

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის  
ქართული უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა (ფაკულტეტი) სადოქტორო  
საგანმანათლებლო პროგრამა თარგმანმცოდნეობა

სვეტლანა ბარბაქაძე

ქართული ლიტერატურის ინგლისურენოვანი  
თარგმანის პრობლემატიკა მე-20 საუკუნეში (დევიდ  
მარშალ ლანგის თარგმანების მიხედვით)

სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

*სამეცნიერო ხელმძღვანელი მარია ოძელი*  
*ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

თბილისი

2018

## შინაარსი

ანოტაცია.....	5
Annotation.....	8
შესავალი.....	11
თავი I. ქართული სასულიერო მწერლობა — დევიდ მარშალ ლანგის მეცნიერული ინტერესის საგანი	
§ 1. 1. ცოტა რამ ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან.....	15
§ 1. 2. ქართული სასულიერო მწერლობა და ინგლისური ლიტერატურათმცოდნეობა.....	20
თავი II. დევიდ ლანგის ლიტერატურულ-თეორიული მოსაზრებები და მათი ქართული თარგმანები.....	30
თავი III. წმინდა ნინო და საქართველოს გაქრისტიანება.....	46
§ 3. 1. სიმბოლურ სახეთა გადატანა თარგმანში.....	54
§ 3. 2. თარგმანის ძლიერი მხარეები.....	56
§ 3.3. თარგმანის შედარებით სუსტი მხარეები.....	60
თავი IV. ცხრა კოლაელი ყრმის მარტვილობა.....	64
თავი V. მარტვილი დედოფალი: წამება წმინდა შუშანიკისა.....	72
§ 5. 1. იაკობ ხუცესის „წმ. შუშანიკის წამება“- ეკვივალენტურობის პრობლემა თარგმანში.....	72
§ 5. 2. ლექსიკურ ერთეულთა სიზუსტე თარგმანში.....	86
§ 5. 3. ტექსტის შინაარსობრივი მხარე.....	89
§ 5. 4. თარგმანში გამოტოვებული ეპიზოდები.....	89
თავი VI. მებრძოლი განდეგილი: პეტრე იბერი, ეპისკოპოსი მაიუმისა, ღაზის მახლობლად.....	95

§ 6. 1. იოანე რუფუსის „პლეროფორიები“ დევიდ ლანგის თარგმანში.....	106
<b>თავი VII. წმინდა ფრანცისის წინამორბედი: დავით გარეჯელი.....</b>	<b>113</b>
§ 7. 1. დევიდ მარშალ ლანგის მოსაზრება ასურელი მამების საქართველოში ჩამოსვლის თარიღთან დაკავშირებით.....	115
§ 7. 2. დევიდ მარშალ ლანგის მოსაზრება ასურელი მამების ავტორობასთან დაკავშირებით.....	118
§ 7. 3. დევიდ მარშალ ლანგის შეხედულება ასურელი მამების აღმსარებლობის საკითხზე.....	120
<b>თავი VIII. წამება წმინდა ევსტათი მეწაღისა.....</b>	<b>136</b>
§ 8. 1. ათი მცნების გადატანა თარგმანში.....	143
§ 8. 2. თარიღთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები და მათი ჩამატება თარგმანში.....	145
<b>თავი IX. მარტვილობა აბოსი, ბაღდადელი ნელსაცხებელთა ოსტატისა.....</b>	<b>147</b>
§ 9. 1. წმ. აბო თბილელის მარტვილობის თარიღისათვის.....	153
§ 9. 2. ტოპონიმების თარგმანის საკითხისათვის.....	162
§ 9. 3. ფსალმუნები და სახარებისეული ფრაზები „აბო თბილელის წამების“ თარგმანში.....	166
<b>თავი X. გრიგოლ ხანძთელი და საქართველოს ეროვნული აღორძინება.....</b>	<b>171</b>
<b>თავი XI. ქართველი ათონელები.....</b>	<b>197</b>
§ 11. 1. ცხოვრება მამისა ჩვენისა იოანესი და ექვთიმესი და თხრობა მათი კეთილი საქმიანობისა.....	201

§ 11. 2. ცხოვრება და მოღვაწეობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა გიორგი მთაწმინდელისა.....	210
თავი XII. წამება ქეთევან დედოფლისა.....	213
დასკვნა.....	218
გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები.....	223
დანართი № 1.....	236
დანართი № 2.....	241

## ანოტაცია

სადისერტაციო ნაშრომი **„ქართული ლიტერატურის ინგლისურენოვანი თარგმანის პრობლემატიკა მე-20 საუკუნეში (დევიდ მარშალ ლანგის თარგმანების მიხედვით)“** წარმოადგენს ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად **„ქართული უნივერსიტეტის“** თარგმანმცოდნეობის მიმართულების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესრულებულ კვლევას (ხელმძღვანელი პროფ. მარია ოძელი).

კვლევა ეხება ინგლისელი ქართველოლოგის დევიდ მარშალ ლანგის მიერ შესრულებულ ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ინგლისურენოვან თარგმანებს. 1956 წელს ინგლისში გამოიცა კრებული **„ქართველი წმინდანების ცხოვრება და ლეგენდები. ორიგინალი ტექსტებიდან შერჩეული და თარგმნილი დევიდ მარშალ ლანგის მიერ“** (**“Lives and Legends of the Georgian Saints. Selected and translated from the original texts by David Marshall Lang”**). ესაა ქართული აგიოგრაფიული ძეგლების შემოკლებული და ადაპტირებული ინგლისური თარგმანები კრებულის სათაური ცხადყოფს, რომ საქმე გვაქვს არა მხოლოდ მხატვრულ თარგმანთან, არამედ ტექსტის თავისებურ ინტერპრეტაციასთან. ლანგმა, როგორც მეცნიერმა და ქართული მწერლობის უზადო მცოდნემ, სრულიად მიზანმიმართულად შეამოკლა ტექსტები. თითოეულ შემოკლებას გარკვეული საფუძველი აქვს. ეს გახლავთ თანამედროვე საზოგადოებისათვის მისაღები ინტერპრეტაციით და პოპულარული ენით შესრულებული უაღრესად საინტერესო კრებული. მასში თავების მიხედვით არის წარმოდგენილი ძველი ქართული მწერლობის ათი ნიმუში („წმინდა ნინო და საქართველოს მოქცევა“, „ცხრა კოლაელი ყრმის მარტვილობა“, „მარტვილი დედოფალი: წამება წმინდა შუშანიკისა“, „მებრძოლო განდეგილი: პეტრე იბერი, ეპისკოპოსი მაიუმისა, ღაზის მახლობლად“, „წმინდა ფრანცისი წინამორბედი: დავით გარეჯელი“, „წამება წმინდა ევსტასი მეწადისა“, „მარტვილობა აბოსი, ბაღდადელი

ნელსაცხებელთა ოსტატისა“, „გრიგოლ ხანძთელი და ქართული ეროვნული აღმავლობა“, „ქართველი ათონელები“, „წამება ქეთევან დედოფლისა“). ჩვენ შევისწავლეთ ეს თარგმანები შედარებითი ანალიზის საფუძველზე. კვლევის პროცესში მოვიძიეთ და დავადგინეთ თუ რომელი რედაქციები აქვს გამოყენებული ლანგს თარგმანებზე მუშაობისას. შედარებითმა კვლევამ გვიჩვენა, რომ რვა ნაწარმოები თარგმნილია ქართულიდან, ხოლო ორი ნაწარმოები შესრულებულია არაქართულენოვანი ტექსტებიდან („პეტრე იბერის ცხოვრება“ ეყრდნობა სირიულ ხელნაწერს, ხოლო „წმ. ქეთევან დედოფლის წამება“ - რომაულ ენაზე შესრულებულ ჩანაწერებს). ტექსტების შედარებამ ცხადყო, რომ ლანგი სხვადასხვა ძეგლის თარგმნისას მხოლოდ ერთ რედაქციას არ ეყრდნობოდა, ის სხვადასხვა რედაქციაზე დაყრდნობით თარგმნიდა და ქმნიდა ახალ, განსხვავებულ რედაქციას. მაგალითად, „წმინდა ნინო და საქართველოს მოქცევა“ და „დავით გარეჯელის ცხოვრებაში“ ლანგი იყენებს ყველა არსებულ რედაქციას და მათზე დაყრდნობით გვთავაზობს ახალ, განსხვავებულ რედაქციას.

ლინგვისტურ თეორიებზე დაყრდნობით ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თარგმანის შედარების შედეგად დავადგინეთ, რომ ისინი შესრულებულია დინამიკური ეკვივალენტურობის პრინციპით. ამასთანავე, ტექსტები შემოკლებული და ადაპტირებულია. ნაშრომში გამოვავლინეთ როგორც მაღალმხატვრული თარგმანები, ასევე მხატვრობადაკარგული პასაჟები.

თითოეულ თარგმნილ ნაწარმოებს წამმღვარებული აქვს მთარგმნელის შესავალი წერილი, რომელსაც მკითხველი შეჰყავს ამა თუ იმ ძეგლის პრობლემატიკაში. დევიდ ლანგი მსჯელობს ნაწარმოების ლიტერატურულ-თეორიულ საკითხებზე, ასევე მიმოიხილავს და თავის შეხედულებისამებრ აფასებს არსებულ ეპოქალურ ვითარებას. მათში ჩანს ლანგის დამოკიდებულება ქართული აგიოგრაფიისა თუ კონკრეტული ნაწარმოების მიმართ. საერთო ჯამში კი ამ წერილების ერთობლიობა ერთ დამოუკიდებელ სამეცნიერო ნაშრომს წარმოადგენს, რომელიც დღემდე ქართულ

სამეცნიერო ლიტერატურაში მხოლოდ ზოგადად იყო მოხსენიებული და ფართო განხილვის საგანი არ გამხდარა. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ მათი დაწვრილებით შესწავლა და ქართულად თარგმნა.

ამასთანავე, ჩვენ მივაკვლიეთ, რომ ცნობილმა ინგლისელმა ქართველოლოგმა უილიამ ედუარდ ალენმა აღნიშნულ კრებულს გამოცემისთანავე მიუძღვნა რეცენზია, რომელიც „ლონდონის უნივერსიტეტის აღმოსავლეთისა და აფრიკისმცოდნეობის მოამბის" XIX ტომის I ნაკვეთში დაიბეჭდა. ვინაიდან ეს რეცენზია ჯერ არ ყოფილა განხილვის საგანი და პირველად ჩვენ შემოვიტანეთ იგი ქართულ სამეცნიერო წრებრუნვაში, საჭიროდ მივიჩნიეთ მისი საგანგებოდ დამუშავება და ქართულად თარგმნა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ სადისერტაციო ნაშრომი „ქართული ლიტერატურის ინგლისურენოვანი თარგმანის პრობლემატიკა მე-20 საუკუნეში (დევიდ მარშალ ლანგის თარგმანების მიხედვით)“ სიახლეს შეიტანს ქართულ თარგმანმცოდნეობაში.

## Annotation

PHD – thesis: **“Problematic of the Georgian Literature in the English Translations of the 20<sup>th</sup> Century (under the Translations of David Marshall Lang)** - is a research done within the framework of the doctoral education program of Translation Studies of the “Georgian University“ aiming to get a Philological Doctoral Degree (Head of the program Prof. Marika Odzeli).

The thesis deals with the English translations of the old Georgian ecclesiastical stories provided by an English Kartvelologist David Marshall Lang. In 1956, the collection of “Lives and Legends of the Georgian Saints” selected and translated from the original texts by David Marshall Lang was published in England. These are abridged and adapted English translations of the Georgian ecclesiastical stories. The title of the collection reveals that this isn’t only a fictional translation, but a peculiar interpretation of the text. Lang, as a scientist and a genuine expert of the Georgian literature, quite purposely abridged the texts. Each shortening of the text has some basis. This is a very interesting collection implemented with the interpretation and popular language, which is acceptable for modern society. The publication contains ten Georgian ecclesiastical stories arranged in chapters: “St. Nino and the Conversion of Georgia”, “The Nine Martyred Children of Kola”, “A Martyred Princess; The Passion of St. Shushanik”, “A Militant Ascetic; Peter the Iberian”, “ Bishop of Mayuma by Gaza”, “A Forerunner of Francis: David Gareja”, “The Passion of St. Eustace the Cobbler”, “ The Martyrdom of Abo, the Performer from Bagdad”, “Gregory of Khandzta and Georgian National Revival”, “The Georgian Athonites”, “The Passion of Queen Ketevan”. We studied all these translations based on a comparative analysis. During the research process, we found out and established as to which of the editions Lang had used, while translating the texts. The comparative research showed that eight stories had been translated from the Georgian original texts, while the two others - from the non-Georgian texts (“The Life of Peter the Iberian was translated on the basis



of the Syriac manuscript, but "The Passion of Queen Ketevan" – of the records made in the Roman language). Through comparing the texts to each other, it became clear that during the translation of different literary works, D. Lang used not only one, but several editions and created a new different one. For example, Lang has used all of the existing editions and provided us with the new, different one based on them, while working on "St. Nino and the Conversion of Georgia" and "The Life of David Gareja".

Considering the linguistic theories, as a result of comparing all of the above-mentioned translations to each other, we have determined that they are done with a dynamic equivalence principle. In addition, the texts are abridged and adapted. In the thesis we have stressed the highly fictional translations, as well as the non-fictional passages.

Each translated work is prefaced by an introductory letter of the translator enabling readers to be aware of the problems related to this or that literary work. David Lang discusses the literary and theoretical issues of the work and also assesses the existing epochal situation according to his own judgment. Thus, Lang's attitude towards the Georgian hagiography or specific work is expressed. Overall, the collection of these letters represents one independent scientific work that has been only generally referenced and has not been widely discussed in the Georgian scientific literature until present. That's why we considered it necessary to comprehensively study and translate them into Georgian language.

At the same time, we found out that the well-known English Kartvelologist William Edward Allen dedicated his review to the above mentioned collection upon its publication, which was printed in I Section of XIX volume of the University of London of Oriental and African Studies. Since this review has not become a subject of discussion yet and has been introduced to the Georgian scientific circulation by us for the first time, we considered it necessary to specially work on it and translate it into Georgian language.

Stemming from the above-said, we believe that the thesis titled "English Translations of the Georgian Ecclesiastical Stories in the 20<sup>th</sup> Century (under the Translations of David Marshall Lang) will bring the novelty to the Georgian translation studies.

## შესავალი

### დევიდ მარშალ ლანგი - ქართული ლიტერატურის მკვლევარი

დევიდ მარშალ ლანგი (1924-1992) თვალსაჩინო ფიგურაა ევროპული და კერძოდ, ინგლისური ქართველოლოგიის ისტორიაში. ინგლისელ მკვლევართაგან ლანგი ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული ქართველოლოგია. მან დიდი წვლილი შეიტანა ინგლისში ქართული მწერლობის აღქმასა და ქართულ-ინგლისური კულტურული კონტაქტების გადრმავებაში. პროფესორი დევიდ მარშალ ლანგი ლონდონის უნივერსიტეტში კავკასიისმცოდნეობის კათედრას ხელმძღვანელობდა, ასწავლიდა ქართულ ენას და კითხულობდა ლექციებს ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის არსებით პრობლემებზე, იყო თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი.

დევიდ მარშალ ლანგმა არაერთი ფუნდამენტური გამოკვლევა შექმნა, რომლებშიც კვალიფიცირებული აქვს ქართული ლიტერატურის განვითარების ეტაპები, ჩამოყალიბებული აქვს მოსაზრებები ლიტერატურათმცოდნეობის სადაო საკითხებზე, შესწავლილი აქვს როგორ ვითარდებოდა ქართველოლოგიური კვლევა ინგლისში. გარდა იმისა, რომ დევიდ ლანგმა ძალიან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართველოლოგიური მეცნიერების განვითარებაში, ასევე მნიშვნელოვანი თარგმანებით შეავსო ინგლისური მწერლობა.

დ. ლანგის ლიტერატურათმცოდნეობითი ნააზრევიდან საგანგებოდ აღსანიშნავია მისი მსჯელობა შუასაუკუნეების რომანის „ვარლამ და იოასაფის“ ეფთვიმე ათონელის ავტორობის შესახებ. ელგუჯა ხინთიბიძეს აღნიშნული აქვს, რომ თანამედროვე ბიზანტინისტიკაში „ვარლამ და იოასაფის“ ავტორად უპირატესად იოანე დამასკელია მიჩნეული, მაშინ როცა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ეფთვიმე ათონელის ავტორობა ეჭვს არ იწვევს. მის ავტორობას იცავს რუსი მკვლევარი ი. გოლენიშჩევ-კუტუზოვი, ამერიკელები რ. ლ. ვულფი და რ. პ. ბლეიკი, ბელგიელი ფ.

ალკენი, იტალიელი ჰ. მუზურილო, ბერძენი ვ. ლაურდასი (Lang 1957: 45; 267; 273—274). 1953 წელს გერმანელმა მეცნიერმა ფრანც დელგერმა დაიცვა იოანე დამასკელის ავტორობის თეზისი. დელგერის გამოკვლევას ვრცელი ნაშრომით უპასუხა ლანგმა „ეფთვიმე ქართველი“ და „ვარლაამისა და იოასაფის“ რომანი (Lang 1957: 46; 300—325). ამ ნაშრომში იგი დაბეჭდით უჭერს მხარს ეფთვიმე ათონელის ავტორობას. 1957 წელს გამოქვეყნებულ წერილში „ბალავარიანის“ ახალადმოჩენილი ვრცელი ქართული რედაქციის თაობაზე ლანგი წერდა, რომ ეს რედაქცია, რომელიც IX საუკუნით უნდა თარიღდებოდეს, არის არაბული არაქრისტიანული ტექსტის ქართულად გადაქრისტიანება, ხოლო ამ უკანასკნელის შემოკლებაა თბილისური (A) რედაქცია – „სიბრძნე ბალავარისა, “რომელიც იმავე IX საუკუნეში უნდა დამუშავებულიყო (Lang 1957: 47; 389—407). სწორედ მაშინ დაიწყო ლანგმა „ბალავარიანის“ მოკლე და ვრცელი რედაქციების ინგლისურად თარგმნა. მან შეასრულა „ბალავარიანის“ ორივე ქართული რედაქციის ზუსტი მეცნიერული თარგმანი (The Wisdom of Balahvar, a Christian Legend of the Buddha. English translation by D. M. Lang, London, 1957; The Balavariani (A Buddhist Tale from the Christian East. Translated from the old Georgian by David Marshal Lang) London, 1966).

ორმოცდაათიანი წლების ქართველ მეცნიერთა კვლევის შედეგების გათვალისწინებით დ. ლანგმა შესავალი წერილი დაურთო გ. ვუდუარდის და ჰ. მეტინგლის მიერ ინგლისურად თარგმნილი „ვარლაამ და იოასაფის“ 1967 წლის გამოცემას. აქ იგი იზიარებს იმ დებულებებს, რომ „ბალავარიანის“ ვრცელი რედაქცია, რომელიც არაბული არაქრისტიანული ვერსიიდან მომდინარეობს, ამ თხზულების პირველ ქრისტიანულ დამუშავებას წარმოადგენს. იგი ქართულიდან ბერძნულად თარგმანა ეფთვიმე ათონელმა XI საუკუნის პირველ მეოთხედში. ჩვენამდე მოღწეული „ვარლაამ და იოასაფის“ ბერძნული ვერსია ეფთვიმე ათონელის თარგმანის გამეტაფრასებას წარმოადგენს, რომელიც შესაძლოა თვითონ სვიმონ ლოლოთეტის, ან მისი რომელიმე მოწაფის საქმიანობის შედეგი იყოს. „ბალავარიანის“ აღმოსავლურ რედაქციებსა და გადამუშავებებს დ. ლანგი განიხილავს 1971 წელს გამოქვეყნებულ

გამოკვლევაში „აღმოსავლური მასალები ქართულ ბალავარიანზე“. ასე რომ, ლანგის საფუძვლიანი არგუმენტაციით შესრულებულმა ნაშრომებმა, საბოლოოდ დაამკვიდრა საყოველთაო მეცნიერული თვალსაზრისი „ვარლამ და იოსაფის“ სადაო საკითხების გარშემო.

1962 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „საქართველოს ახალი ისტორია“, დ. ლანგი მსჯელობს ქართული ანბანის წარმოშობის საკითხზე და ლიტერატურისა და ხელოვნების სხვა პრობლემებზე, ძველ საქართველოში ეკონომიკის აღმავლობასთან ერთად ლიტერატურული კონტაქტების გაღრმავებასა და ლიტერატურულ და თეატრალურ ცხოვრებაზე, კონკრეტულად ჩერდება ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედებაზე, განიხილავს XX საუკუნის დასაწყისის კულტურულ ცხოვრებას. მოგვიანებით დ. ლანგმა გამოაქვეყნა ნაშრომი „ქართული ლიტერატურის განვითარების ეტაპები“, რომელიც უშუალოდ ქართულ ლიტერატურულ პროცესებს შეეხება. მასში თანამიმდევრულადაა გაშუქებული ქართული ლიტერატურის პერიოდები. დევიდ ლანგმა სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა იოანე ბატონიშვილის „კალმასობას“. ინგლისელ მეცნიერს გამოცემული აქვს ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ქართული და სხვა კავკასიური ნაბეჭდი წიგნების კატალოგი.

ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობის კვლევის ისტორიაში ძალზე მნიშვნელოვანია დევიდ მარშალ ლანგის ნაშრომი ”ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში,” რომელიც დაიბეჭდა 1955 წელს ოქსფორდის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალში (D. M. Lang Georgian Studies in Oxford, Oxford Slavonic Papers, vol. VI) გამოკვლევაში გამოთქმულია მოსაზრება დიდ ბრიტანეთში ქართველოლოგიური კვლევის დასაწყისის თაობაზე და განხილულია ამ კვლევის განვითარების პროცესი. მარიკა ოძელის ნაშრომში ”ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის” (ოძელი 1998: 58-75) თანამიმდევრულად არის შესწავლილი ყველა იმ ბრიტანელი მეცნიერის ნაღვაწი, რომელიც ეხება ქართველოლოგიურ პრობლემეტიკას; სათანადოდ არის შეფასებული

დევიდ ლანგის მოღვაწეობა ქართველოლოგიის დარგში უპირატესად, ქართულ-ბრიტანული ლიტერატურული ურთიერთობის კვლევის ისტორიაში.

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მიზანია დევიდ მარშალ ლანგის მიერ ინგლისურ ენაზე თარგმნილი ქართველი წმინდანების ცხოვრებათა და წამებათა კრებულის (Lives and Legends of the Georgian Saints. Selected and translated from the original texts by David Marshal Lang, London, 1956) შესწავლა, იმ ქართული ტექსტების მოძიება, საიდანაც შესრულდა ეს თარგმანები და მათი შედარებითი ანალიზი.

## თავი I.

# ქართული სასულიერო მწერლობა — დევიდ მარშალ ლანგის მეცნიერული ინტერესის საგანი

### § 1. 1. ცოტა რამ ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან

სასულიერო მწერლობის ჟანრთაგან ქართულ მწერლობაში ყველაზე მდიდარია აგიოგრაფია. იგი შუა საუკუნეების მხატვრული პროზის უმთავრესი დარგია. მან ჩვენში ხანგრძლივი ისტორია გამოიარა, დაწყებული V საუკუნიდან XVIII საუკუნემდე. მისი კლასიკური პერიოდი V—XI საუკუნეებს მოიცავს. აგიოგრაფიამ მოამზადა მთელი შემდეგდროინდელი მწერლობა. აგიოგრაფიაში ჩამოყალიბდა ქართული მხატვრული ენა და მისი მომავალიც დაისახა.

ქართული აგიოგრაფიის ერთ-ერთი მკვლევარი, გრივერ ფარულავა, მიიჩნევს, რომ აგიოგრაფია ქრისტიანული შუა საუკუნეების საეკლესიო-ლიტურგიკული, მხატვრულ ესთეტიკური, დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი და საისტორიო ორიენტაციის ლიტერატურას წარმოადგენდა. მისი თქმით, აგიოგრაფიული ლიტერატურა მონოთემატიკურია, რომლის ერთადერთი თემა სიყვარულია, სიყვარული და სიწმინდე, რომელიც აგიოგრაფიულ თხზულებთა ფურცლებზე სხვადასხვა სათნოებათა მოტივებად განშტოვდება. ესენია: სულის ბრძოლა ხორცთან, ლოცვა, მარხვა, მორჩილება, სიმდაბლე, უპოვრობა, ცრემლი და სინანული, ქალწულობა, ურისხველობა და მიტევება, მღვიძარება და ა. შ.

საქმე ეხება საღვთო მიჯნურობის, ანუ საზეო სიყვარულის თემას. ეს არის ტრფობა ადამიანისა უზენაესისადმი, ხორციელისა იმისადმი, ვინც თვალთ უხილავია, ყურით - მოუსმენელი, ხელით - შეუხებელი, ზესივრცული და ზედროული, ე. ი. ტრანსცენდენტური. „ღმერთი სიყვარული არს“ (1 იოანე, 4.8, 16), - ასე გვასწავლის

წმინდა წერილი, და გასაგებია, რომ სიყვარულისკენ სიყვარულითვე იკაფავს გზას წმინდანი. ეს გზა კი განღმრთობის, თეოზისის გზაა.

წმინდანი, აგიოგრაფიული ნაწარმოების პერსონაჟი, ქრისტიანული საზოგადოების გმირობის იდეალს ახასიათებს. გმირად კი ქრისტიანული მსოფლშეგრძნება რაცხს იმას, რომ ადამიანმა, ხორციელ და სულიერ საწყისთა (ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ხაზთა) გადაკვეთის ცენტრში მდგომმა არსებამ, სძლიოს ქვედამზიდველ ინსტინქტებს (ჰორიზონტალს) და გზა გაიკაფოს უზენაესისაკენ, გავიდეს ვერტიკალზე. მოკვდავთაგან ერთადერთს, დაბადებულს ხატად ღვთისა, დამბადებელმა ძალაც და ნიჭიც მისცა ამ ხატის სარეალიზაციოდ, გასაბრწყინებლად და უკვდავებასთან ზიარებისათვის. ეს არის დანიშნულება და მიზანთ მიზანი კაცისა. ამ მიზანთან მიახლება კი ძალიან ძნელია, „შინაგან ბრძოლას“ ასკეტურ შემართებას გულისხმობს.

აგიოგრაფიული ლიტერატურა ორ ჟანრულ სახესხვაობას ქმნის: „წამება“ ანუ „მარტვილობა“ და „ცხოვრება-მოქალაქეობა“. საერთო მათ შორის ის უმთავრესია, რაც წმინდანების ქრისტიანულ იდეალს მოასწავებს: ტკივილის, ცრემლის, ტანჯვის გზით მიემართებიან ისინი განღმრთობისაკენ. განსხვავებას ის ქმნის, რომ ტანჯვა-ტკივილის ძირითადი შინაარსი განსხვავდება ერთმანეთისაგან “წამებასა“ და „ცხოვრებაში“. ტანჯვის პრინციპს „ცხოვრებათა“ ტიპის თხზულებაში სხვა შინაარსიც ემატება, ერწყმის.

შინაგანი ბრძოლა რაც, საერთო მახასიათებელია წმინდანობის ფენომენისა, მოწამეობრივი ცხოვრების გზაზე სხეულისა და სულის მძაფრი დაპირისპირების სახეს იღებს. გასაგები მიზეზების გამო, გმირს სიცოცხლის საფასურად უჯდება რწმენის ერთგულება. „წამების“ ჟანრის თხზულებაში ესაა ძირითადი პრობლემა. სხეულისა და სულის დაპირისპირება. ღმერთი მოგვევლინა ხორციელად, იღვწის და მაღლდება, ვითარცა ადამიანი. ამ მოღვაწეობისას იგი ამჟღავნებს ტკივილს სხეულისა და სულისა. ამის მაგალითად მოიხმობენ ეპიზოდებს ჯვარცმისა და დიდი ხუთშაბათისა.



ჯვარცმის წინა დღესვე გეთსიმანიის ბაღში თავის მოწაფეებთან ერთად განმარტოებულმა მაცხოვარმა „იწყო მწუხარებად და ურვდ“, და მოწაფეებს მიმართა: „შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკვდილამდე... და წარვიდა მცირედ და დავარდა პირსა ზედა თვისსა, ილოცვიდა და იტყოდა: მამაო ჩემო, უკეთუ შესაძლებელ არს, თანაწარმკმედინ ჩემგან (ამაცილე) სასუმელი ესე“ (მათე, 26. 7-39). ცხადად განმჟღავნებულ ტკივილსა და ადამიანურ სისუსტეს მაშინვე უპირისპირდება და შეუპოვრობისაკენ უბიძგებს ცოდვის ტყვეობაში მყოფი კაცობრიობის გამოსახსნელად განზრახული ნება მისი, რომელმაც მსხვერპლად საკუთარი თავი უნდა შესწიროს, რათა განწმინდოს და აღადგინოს კაცთა დაცემული ბუნება. ამიტომაც ითქმება ასე სულისშემძვრელად მისი სიტყვები: „...არავითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ“ კიდევ უფრო დიდი ტკივილი გამოისმის მაცხოვრის ბაგეთაგან ჯვარცმის ჟამს: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რადსათვის დამიტევებ მე?“ (მათე, 27. 46).

ამგვარი მსოფლშეგრძნების საფუძველზე ქრისტიანული ლიტერატურის ძეგლებში „სანქცირებულია“ გამოხატვა შინაგანი ბრძოლისა, ტკივილისა სისუსტისა. ეს შინაგანი ბრძოლაა, სხეულისა და სულის დაპირისპირება ქმნის „მარტვილობის“ მთავარი გმირის ღვაწლის არსს. „ცხოვრების“ პერსონაჟსაც მოუხდება ხორციელ ზრახვებთან ჭიდილი, მაგრამ არა ისე მძაფრი, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე, რომ იჩენს თავს მარტვილის არსებაში.

ახლა ყურადღება მივაპყროთ სულიერი გმირობის იმ იდეალს, რომელსაც „ცხოვრებათა“ პერსონაჟები განასახიერებენ. დრონი იცვლებოდნენ, მაგრამ გმირობის ქრისტიანული გაგების პრინციპული შინაარსი იგივე რჩებოდა - ტანჯვა. „ბრძოლის“ წინა ხაზზე მხედრული შემართებით დგებიან ბერ-მონაზვნები და ასკეტები.

ასკეტური შინაარსი ტანჯვისა, როცა შეჭირვება - ტკივილი ნებაყოფლობითი ფორმისაა, თავისთავადი ღირებულება აქვს, არც მარტვილთათვის და „მარტვილობისთვის“ არის სრულიად უცხო. ბერ-მონაზონთა ცხოვრების წესია ნებაყოფლობითი, ტანჯვაზე თავიდანვე და საგანგებოდ ორიენტირებული და

ორგანიზებული, იგი მონასტერში ამ იდეალით შთაგონებული მიდის და გამოიცდება. რაც შეეხება მოწამეს, მას შემდეგ, რაც მის უკომპრომისო სარწმუნოებრივ პათოსს და სულიერ ზნეობრივ ამაღლებულობას გარემოებანი სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდებიან და შეურაცხველად, მარტვილნი სამსხვერპლოდ გადასდებიან და ნებაყოფლობით ტანჯვასაც მიმართავენ ზოგჯერ.

მაგრამ „ცხოვრებათა“ გმირის მხატვრული მოდელის შინაარსი და სტრუქტურა ამით არ ამოიწურება, იგი გართულებულ-გამდიდრებულია ერთი პრინციპული კომპონენტის მიმატებით. ადამიანი „ცხოვრებათა“ მიხედვით, იდეალურობას მარტო შინაგანი კონფლიქტის დაძლევით ტანჯვაზე ამაღლებით არ აღწევს, არამედ მისი სულიერი ძალმოსილება ობიექტურ, საზოგადოებრივ-კულტურულ ასპარეზზეც იხარჯება. ამის დასტურად გრიგოლ ხანძთელისა და დიდი ათონელების მოღვაწეობის დიაპაზონის გათვალისწინებაც იკმარებდა. მათი გარჯა ფართო შინაარსის კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნებსაც ისახავდა და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ინტერესებსაც ემსახურებოდა. ექვთიმე და გიორგი ათონელები კი წმინდანებად სამწერლობო ღვაწლის კვალობაზე შეირაცხნენ. არც „წამებათა“ გმირის ღვაწლი არ არის მოწყვეტილი საზოგადოებრივ ინტერესებს. მაზდეანურ და მერე „მაჰმადიანურ“ პოლიტიკურ-იდეოლოგიურ ექსპანსიასთან სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაში შეჭიდებული ეროვნული ენერგია ქრისტიანული აღსარების იდეით იყო შემოსილი. ამ მოძრაობამ ქართულ ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში ქართველი მარტვილის ფიგურის სახით წამოაყენა ეროვნული გმირის პრობლემა. მარტვილის მოწამეობრივი ღვაწლი ეროვნული თვითშეგნების იმპულსს წარმოადგენდა, რელიგიური და ეროვნული დამოუკიდებლობის სიმბოლოს“ (გ. იმედაშვილი, „ძველი ქართული ენისა და სტილის მიჯნაზე“). ბრძოლა ეროვნული თვითმყოფადობისთვის ამიტომ „ქრისტიანული აღსარების იდეით იყო შემოსილი. ბუნებრივად, რაკი ქრისტიანობასთან მიმართება ეროვნულთან დამოუკიდებლობის ტოლფასი იყო, რწმენისათვის თავდადება უშუალოდ თავისთავად მოასწავებდა ერის სამსახურს, საზოგადოებრივ ღწვას. მარტვილს არ სჭირდება სამოქმედო სივრცის

გაფართოება, რათა მისი მხედრული შემართება გამოსდგომოდა. სატუსალო დილეგიდან გაუსვლელადაც შეეწეოდა მისი ბრძოლა და ტანჯვა საზოგადოებას, „ეროვნული თვითშეგნების იმპულსს წარმოადგენდა“.

აგიოგრაფია ბიოგრაფიული ჟანრის განშტოებაა, ხოლო ასეთ ნაწარმოებში გმირი და ავტორი ფასეულობრივად ძალიან ახლოს არიან ერთმანეთთან. ბიოგრაფიის ავტორი გმირის ხატვისას „ხელმძღვანელობს“ იმავე ფასეულობებით, რომლითაც წარმართავს თავის ცხოვრებას გმირი; ავტორი პრინციპულად არ არის თავის გმირზე მდიდარი... ავტორი მხოლოდ აგრძელებს მას, რაც უვე ჩადებულია თვით ცხოვრებაში გმირისა. ბიოგრაფიული ჟანრისთვის მისთვის ნიშნეული ეს ტენდენცია ზენიტს სწორედ ჰაგიოგრაფიაში აღწევს. წმინდანობის საკრალური შარავანდენდი, “ზეცისა კაცობა და ქვეყანისა ანგელოზობა“ (გრიგოლ ხანძთელისა) „თვალს სჭრის“ ავტორს; გმირის სუბიექტური მსოფლშეგრძნების ბრწყინვალეობა თავის შიგნით „ითრევს „ ავტორს, რთულდება პერსონაჟის ესთეტიკური დაძლევა, ფორმით შემოსაზღვრა. ეს „დიქტატი“ შინაარსისა განსაკუთრებით ლოცვა-აღსარების სცენებში იგრძნობა, ავტორი და გმირი აქ ერწყმიან ერთმანეთს, როგორც ეს ხდება წმ. ევსტათის მცხეთელის ლოცვაში თავის მოკვეთის წინ (“ევსტათი მცხეთელის წამება“, VI ს), წმ. აბო თბილელის ექვსდღიანი პატიმრობის ეპიზოდში, კონსტანტი კახის სიკვდილით დასჯის ამბავში, წმ. გრიგოლ ხანძთელის დაღადისში მონასტრის აშენების დასაწყისის სურათში, დიალოგებში, წმ. შიო მღვიმელის ლოცვებში და სხვა მრავალ პასაჟებში.

ქართული აგიოგრაფია ბუნებრივად არეკლავს სინამდვილის მხატვრული განსახიერების იმ პრინციპს თუ მეთოდს, რაც საერთოდ ნიშნეულია შუა საუკუნეების ლიტერატურისათვის. ესთეტიკური მსოფლგანცდისა და სინამდვილის მხატვრული მოდელირების შუასაუკუნეობრივი ხერხები კი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან შემოქმედების იმ მეთოდებისაგან, ახალმა დრომ, რომ მოიტანა. უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ შუა საუკუნეების მსოფლშეგრძნება თვალსაჩინოდ თეოცენტრისტულია, იმჟამინდელი ხელოვანი მხატვრული სახის „საშენ მასალად“

იშვიათად იყენებს კონკრეტულს, ბუნებრივს, ინდივიდუალურს, განუმეორებელს, წარმავალს, სახასიათო დეტალსა თუ საპირისპირო შტრიხს. ხდება სინამდვილის აბსტრაგირება, იდეალიზაცია, ლიტერატურული სქემა, შაბლონი წარმართავს შემოქმედებით აქტს. მწერალი იმით კი არაა დაინტერესებული, რომ შექმნას რაღაც ახალი ორიგინალური, განმაცვიფრებელი, რამდენადაც იმით, რომ მკითხველს სავალდებულოსა და ნორმატიულის მშვენიერება შთააგონოს. ლიტერატურული კანონის, ტრაფარეტის დიქტატი, ტრადიციულობის ეს ტენდენცია შუასაუკუნეობრივი მსოფლგანცდის და გემოვნების ჩამორჩენილობას, უძრაობას კი არ ნიშნავს, არამედ განსაზღვრული მხატვრული სისტემის და მეთოდის პრინციპია (ფარულავა 2009: 63 - 70).

## **§ 1. 2. ქართული სასულიერო მწერლობა და ინგლისური**

### **ლიტერატურათმცოდნეობა.**

ინგლისური ლიტერატურათმცოდნეობა XIX საუკუნეში დაინტერესდა ქართული სასულიერო მწერლობით. ინგლისში ქართული სასულიერო მწერლობის შესწავლა დაკავშირებულია ინგლისელი არმენოლოგის ფრედერიკ კორნუელ კონიბირის (1856-1924) სახელთან. მან თავისი პროფესიული საჭიროებიდან გამომდინარე შეისწავლა ძველი ქართული ენა. არაერთი ნაშრომია შექმნილი ერთობლივად ოლივერ უორდროპისა და კონიბირის მიერ. 1894 წელს ოლივერ უორდროპმა სწორედ კონიბირთან თანამშრომლობით გამოსცა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში დაცული ქართული ხელნაწერების ალ. ცაგარლისეული აღწერილობის ინგლისური თარგმანი; „წმინდა ნინოს ცხოვრების“ უორდროპისეულ თარგმანს დართული აქვს კონიბირის მიერ შესრულებული მოსე ხორენელის სომხეთის ისტორიისა და ჯუანშერის მატთანის ნაწყვეტების თარგმანები; კონიბირმა ქართულიდან თარგმნა X საუკუნეში არაბულიდან ქართულად გადმოღებული ანტიოქე სტრატეგის თხზულება „იერუსალიმის აოხრება სპარსელების მიერ 614 წელს,“ ლონდონი, 1910; პარიზში, 1915

წელს გამოიცა წმინდა იაკობის ლიტურგიის ქართული ვერსიის ოლივერ უორდროპისა და ფრედერიკ კონიბირის მიერ შესრულებული თარგმანი; 1888 წელს კონიბირმა გამოაქვეყნა ნაშრომი „ვარლაამისა და იოსაფატის ლეგენდები ძველ ქართულსა და სომხურ მწერლობაში,“ ლონდონი, 1896; ნაშრომი „ახალი აღთქმის პეშიტას ვერსიის განვითარება განმარტებული ძველი სომხური და ქართული ვერსიების ცნობებით,“ გამოიცა 1897 წელს; „ახალი აღთქმის ქართულ ვერსიაში,“ (გიზენი, 1910) ფრედერიკ კონიბირმა ვრცლად წარმოადგინა თავისი მოსაზრებები ბიბლიის ქართულ თარგმანთან დაკავშირებით. შემდეგი ბრიტანელი მეცნიერი, რომელიც შეეხო ქართულ სასულიერო მწერლობის განხილვას, გახლავთ ედუარდ დევიდ ალენი (1901-1973). წიგნში „ქართველი ხალხის ისტორია,“ მან ერთი ნაწილი მიუძღვნა ქართულ ლიტერატურას. ქართული მწერლობის ძეგლების განხილვისას იგი განსაკუთრებით ჩერდება წმინდანთა ცხოვრებაზე.

დევიდ ლანგმა ახალ საფეხურზე აიყვანა კონიბირის მიერ დაწყებული ქართული სასულიერო მწერლობის მეცნიერული შესწავლა. ჩვენი განხილვის საგანი იქნება ლანგის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული ქართველი წმინდანების ცხოვრებათა და წამებათა კრებული (Lives and Legends of the Georgian Saints. Selected and translated from the original texts by David Marshal Lang, London, 1956). ესაა ქართული აგიოგრაფიული ძეგლების ინგლისური შემოკლებული თარგმანები. კრებულის სათაური ცხადყოფს, რომ საქმე გვაქვს არა მხოლოდ მხატვრულ თარგმანთან, არამედ მთარგმნელის თავისებურ ინტერპრეტაციასთან. კრებულში თავების მიხედვით არის წარმოდგენილი ძველი ქართული მწერლობის ათი ნიმუში. თითოეულ თავს წამმღვარებული აქვს მთარგმნელის შესავალი წერილი. ლანგს სათაურები თავისებურად აქვს შერჩეული. ნაწარმოებები შემდეგი მიმდევრობითაა დალაგებული: „წმინდა ნინო და საქართველოს გაქრისტიანება“, „ცხრა კოლაელი ყრმის მარტვილობა“, „მარტვილი დედოფალი: წამება წმინდა შუმანიკისა,“ „მებრძოლი განდევილი: პეტრე იბერი, ეპისკოპოსი მაიუმისა, ღაზის მახლობლად“, წმინდა ფრანცისის წინამორბედი: დავით გარეჯელი“, „წამება წმინდა ევსტასი

მეწაღისა“, “მარტვილობა აბოსი, ბაღდადელი ნელსაცხებელთა ოსტატისა“, “გრიგოლ ხანძთელი და საქართველოს ეროვნული აღორძინება“, “ქართველი ათონელები“, „წამება ქეთევან დედოფლისა“. სათაურების ქართული თარგმანები შესრულებულია მარიკა ოძელის მიერ (ოძელი 1998: 67). ჩვენი დაკვირვებით, ქართული თარგმანები სწორად შეესატყვისება სათაურების ლანგისეულ ინგლისურ ინტერპრეტაციებს და ამიტომ ჩვენც ვიყენებთ უკვე შერჩეულ სათაურებს. მთარგმნელი ტექსტების თანამიმდევრობის განსაზღვრისას არ იყენებს ქრონოლოგიურ პრინციპს.

კრებულის წინასიტყვაობაში ლანგი წერს, რომ მისი მიზანია დასავლეთის მკითხველს გაუზიაროს შთაბეჭდილებები ქართული ეკლესიის ისტორიისა და მისი იდეალების შესახებ ისე, როგორც ეს წმინდანთა ცხოვრებაშია აღწერილი. ლანგი აღწერს ქართველი ერის გმირულ წარსულს და დასძენს, რომ მისი აზრით, ეს საკმარისი უნდა იყოს იმისთვის, რომ ძლიერი ინტერესი გაუღვივოს აღმოსავლეთ საქრისტიანოს მამაცი ხალხის მიმართ, ვისი მფარველიც არის წმინდა გიორგი, ისევე როგორც ინგლისისა.

შუა საუკუნეებში ევროპაში ეკლესიის როლი შესუსტებული იყო სახელმწიფოს ცხოვრებაში. თუ ამ პერიოდის ევროპაში ეხდება ეკლესიის დაცემა, გამოყოფა სახელმწიფოსგან, საქართველოში პირიქით, ეკლესია უახლოვდება სახელმწიფოს, საეკლესიო პირები გადამწყვეტ როლს თამაშობენ საერო ცხოვრებაში, ხდება საერო და სასულიერო აზროვნების შერწყმა. ლანგი ხაზს უსვამს ამ გარემოებას, რომ ქართული ეკლესია იყო არა მარტო რელიგიური მრწამსის ცენტრი, არამედ სახელმწიფოებრივიც და ყოველივე ამან ასახვა ჰპოვა ადრეულ ლიტერატურაში. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კომუნისტური რეჟიმის პირობებშიც კი, საქართველო სულიერ ხელმძღვანელად ინარჩუნებდა საკუთარ პატრიარქს და მართმადიდებლურ საზოგადოებაში დამოუკიდებელი ავტოკეფალიის სტატუსს (Lang 1956: 12).

როგორც აღვნიშნეთ, ყოველი ტექსტი იწყება შესავალი წერილით, რომელშიც ლანგი მსჯელობს ლიტერატურულ-თეორიულ საკითხებზე: ვინ არის ნაწარმოების ავტორი,

როდის დაიწერა იგი, რა პრობლემებია დასმული, მიმოხილულია ეპოქალური ვითარება, მოცემულია განმარტებები, შეფასებები და ა. შ. ეს შესავალი წერილები თარგმანებთან ერთად წარმოდგენას უყალიბებს დაინტერესებულ მკითხველს ქართული აგიოგრაფიისა თუ მისი კონკრეტული ძეგლის შესახებ. ასე მაგალითად, „აბო თბილელის წამების“ თარგმანის შესავალში ლანგი წერს: „ქართველმა აგიოგრაფმა იოანე საბანისძემ აღწერა, თუ როგორ აწამა ქართლის არაბმა მმართველმა წმინდა აბო ტფილელი 786 წლის 6 იანვარს. მისი თხზულება მნიშვნელოვანია იმით, რომ იგი აბოს სიკვდილის შემდეგ მალევე დაიწერა. პროლოგში, რომელიც ამ თარგმანში გამოტოვებულია, იოანე აღწერს სავალალო მდგომარეობას, რომელიც ქართველ ერს არაბთა ბატონობამ მოუტანა. ხალიფა ძალისხმევას არ იშურებდა, რომ ქართველები გაემაჰმადიანებინა - მიმართავდა ცბიერ პოლიტიკას და ეკონომიკურ ძალადობას, ზოგიერთი ქართველი „ირხეოდნენ, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“. აბოს (რომელიც არაბი იყო წარმოშობით, თუმცა ქართლში შემოსვლისას გაქრისტიანდა) გმირული სიკვდილის აღწერით, იოანე საბანისძემ ერთგვარად გაამხნევა თანამემამულეები, რომ სიმტკიცე არ დაეკარგათ“ (Lang 1956: 115-116). როგორც ვხედავთ, ლანგი თვითონვე აფრთხილებს მკითხველს, რომ მისი თარგმანი შემოკლებულია, მაგრამ შესავალ წერილში აწვდის ინფორმაციას ზოგადად ნაწარმოების შესახებ.

ლანგმა, როგორც მეცნიერმა და ქართული მწერლობის უზადო მცოდნემ, სრულიად მიზანმიმართულად შეამოკლა ტექსტები, თითოეულ შემოკლებას გარკვეული საფუძველი აქვს. ეს გახლავთ უაღრესად საინტერესო კრებული, პოპულარული ენით თარგმნილი არა შემთხვევითი მთარგმნელის, არამედ ცნობილი ლიტერატურათმცოდნის მიერ, პოპულარული ენით და ფართო საზოგადოებისათვის მისაღები ინტერპრეტაციით. ეს შესავალი წერილები ფაქტობრივად ერთი მეორის გაგრძელებას წარმოადგენენ, კრავენ და თარგმანებთან ერთად ამთლიანებენ კრებულს. ამდენად, ინგლისურენოვანი მკითხველიც ერთიანობაში აღიქვამს ქართულ სასულიერო მწერლობას თანამედროვე ინტერპრეტირების საშუალებით.

ლანგის შესავალი წერილები გაჯერებულია მნიშვნელოვანი ინფორმაციებით. მაგალითად, „გრიგოლ ხანძთელი 102 წლის ასაკში გარდაიცვალა 861 წლის 6 ოქტომბერს. გრიგოლის ბიოგრაფია მისი გარდაცვალებიდან 90 წლის შემდეგ, ქრისტეშობიდან 951 წელს, გიორგი მერჩულეს მიერ დაიწერა გრიგოლის მთავარი მონასტრის, ხანძთის წინამძღოლთან კონსულტაციის შედეგად. თხზულება მოიცავს შუა საუკუნეების საქართველოს შესახებ ბევრ რეალურ დეტალს; მოგვიანებით, გეოგრაფიული დეტალები მისმა პირველმა რედაქტორმა ნიკო მარმა აღწერა, როგორც საქართველოს ბედეკერი. მომდევნო ეპიზოდები ნიკო მარის 1911 წლის ორიგინალური გამოცემიდან იქნა შერჩეული. სუბტიტრები კი დაემატა მთარგმნელის მიერ.“ (Lang 1956: 134-135).

დევიდ ლანგი „ნინოს ცხოვრებას“ უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებად მიიჩნევს. ამით არის განპირობებული მისი შეტანა კრებულში პირველ ძეგლად. აღნიშნული ტექსტის სათაურია: „წმინდა ნინო და საქართველოს მოქცევა.“ შესავალს მოყვება პატარა ნაწყვეტი რუფინუსის შრომებიდან (ამონაწერი ტირანიუს რუფინუსის საეკლესიო ისტორიიდან, წიგნი I, თავი მე-10) ქვესათაურით: „ტყვე ქალის მიერ იბერიელების ქრისტიანობაზე მოქცევა.“ იმისთვის, რომ გვეჩვენებინა, თუ რა ძირითადი მომენტების წამოწევა სურდა დევიდ ლანგს, საჭიროდ ჩავთვალეთ ამ ტექსტის გადმოქართულება: „იმ დროისათვის, იბერიელებმა, რომლებიც პონტოს ზღვის მიდამოებში ცხოვრობდნენ, ასევე აღიარეს ღვთის მცნებები და ცათა სასუფევლის რწმენა. ეს იყო უდიდესი ღვაწლი იმ ტყვე ქალისა, რომელიც მათ შეუერთდა და რწმენით, სრული სიფხიზლითა და სიძლიერით, მთელ დღეებსა და ღამეებს განუწყვეტლივ ღვთისადმი ლოცვას უთმობდა. ამ მნიშვნელოვანმა სიახლემ ბარბაროსების გაოცება გამოიწვია და ისინი ფრიად დაინტერესდნენ, თუ რას ნიშნავდა ეს. ტყვე ქალმა მათ უბრალოდ ფაქტის სინამდვილე განუმარტა, კერძოდ ის, რომ მას ჩვევად ჰქონდა თაყვანი ეცა ქრისტესათვის - მისი ღმერთისთვის. ბარბაროსებისთვის - შეიძლებოდა თუ არა ასეთი ერთგულების დაჯილდოება (თარგმანი ჩვენია; სვეტლანა ბარბაქაძე).



ზემომოყვანილ ტექსტს მოსდევს ნინოს ცხოვრების თარგმანი, რომლის სათაურია „წმინდა ნინოს ქართული ცხოვრებიდან.“ ინგლისური ტექსტის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ ლანგის ნაშრომი ბევრად მეტია, ვიდრე ერთი გადათვალთვლით ჩანს. გარდა იმისა, რომ ეს არის პოპულარული ენით შესრულებული თარგმანი, იგი ასევე წარმოადგენს „ნინოს ცხოვრების“ ადაპტაციას და განსხვავებების მიუხედავად ის ძირითადად ორიგინალის შესაბამისი პასაჟების ადეკვატურია. ფაქტობრივად, დევიდ ლანგის თარგმანი წარმოადგენს უაღრესად საინტერესო ძეგლის ახალ რედაქციას.

დევიდ ლანგი ძირითად ნაწილში ეყრდნობა „ნინოს ცხოვრების“ ლეონტი მროველისეულ რედაქციას და ქვესათაურად ირჩევს ამავე რედაქციის სათაურს: „მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა წმინდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა მიერ“ .

ორიგინალისა და თარგმანის შედარებამ გვიჩვენა, რომ ლანგი თარგმანს ამცირებს არა, მხოლოდ ფრაზების, არამედ მთელი რიგი ეპიზოდის ხარჯზე.

ნინოს ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია მისი წარმოშობის ამბავი. ლანგი წერს: „ერთხელ დაიწყო გადამუშავებისა და გამშვენეირების პროცესი და საზღვარი აღარ ჰქონდა ნინოს ღვთისმოსავ ბიოგრაფთა ფანტაზიას. ეს წმინდა ქალი, რომელიც თავდაპირველად წარმოდგენილი იყო, როგორც მონა გოგონა, ახლა გადაიქცა იერუსალიმის პატრიარქის იობენალის (რომელიც ცხოვრობდა ნინოს დროიდან ერთი საუკუნის შემდეგ) დისწულად ან სხვა ვარიანტებით რომაელ პრინცესად“ (**Lang 1956: 14**).

აქ გამოთქმულ თვალსაზრისს ნინოსა და იერუსალიმის პატრიარქის საეჭვო ნათესაობის შესახებ, ლანგისთვის ხელი არ შეუშლია, რომ დიდი სიზუსტით ეთარგმნა ტექსტის ის ნაწილი, სადაც იობენალ პატრიარქზე და ნინოს ბავშვობაზეა საუბარი. დევიდ ლანგი მსჯელობს რა ნინოს ბიოგრაფთა მიერ მისი წარმოშობის საკითხის გაზვიადებაზე, არაფერს ამბობს ზაბილონის კავშირზე ფრანკთა მოქცევის

ამბავთან, თუმცა აშკარაა, რომ ეს ისტორიაც ნინოს ბიოგრაფიის გაკეთილშობილების მიზნით შეთხზულად მიაჩნია. როგორც ჩანს, ამის გამო, დევიდ ლანგმა თავი აარიდა მის გადატანას დასავლეთელი მკითხველისათვის გამიზნულ თარგმანში.

დევიდ ლანგის თარგმანში არ აისახა ნაწარმოების ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო ეპიზოდი „ათი სიტყვა“. ჩანს, მთარგმნელმა ეს პასაჟიც ტექსტის გადამუშავების დროს ჩართულ ბიოგრაფიულ შაბლონად მიიჩნია.

თარგმანში არ არის ასახული ბევრი სასწაული, რომელსაც ახდენს წმინდა ნინო: სპარსი მთავრის განკურნება; არმაზისა და ზადენის მთების რღვევა და წყალდიდობა, რაც ქართლში ურწმუნოების და მარცხების სიმბოლოდ იქცა; ბრმა ებრაელის განკურნება; მეფის ძის რევის ვაჟის განკურნება; მკვდარი ყრმის აღდგინება, უშვილოთათვის შვილის მიცემა.

განხილული ეპიზოდების შედეგად შეიძლება ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ მთარგმნელი თავს არიდებს, ერთი მხრივ იმ პასაჟების თარგმნას, რომელიც არ მიაჩნია ტექსტის ორიგინალურ ნაწილად და მეორე მხრივ, აგიოგრაფიული ძეგლებისათვის დამახასიათებელი სასწაულების სერიას.

გვინდა ორიოდ სიტყვით შევეხოთ სიმბოლურ სახეთა ინგლისურ ენაზე გადატანას. ლანგი სიფრთხილით ეკიდება ორიგინალის სიმბოლურ სახეებს. პრაქტიკულად ყველა სიმბოლო, რომელიც ქართულ ტექსტშია მოცემული, შენარჩუნებულია ინგლისურ თარგმანში და ადეკვატური სახეებიც დიდი სიზუსტით არის შერჩეული.

დევიდ ლანგი ნინოს უწოდებს მონას და არა ტყვეს. ინგლისურ ტექსტში არ არის არც ერთი შემთხვევა, სადაც ნინო იწოდება ტყვედ. ამავე დროს რუფინუსის შრომის ნაწყვეტის თარგმანში იგი სწორედ ტყვე ქალზე საუბრობს და ამას სათაურშიც მიუთითებს. აქედან გამომდინარე სავარაუდოა, რომ რუფინუსის შრომის მიხედვით დ. ლანგი იზიარებს ნინოს რეალური ტყვეობის ფაქტს. რაც შეეხება ნინოს დედოფლად სახელდებას, მთარგმნელი მხოლოდ ტექსტის ბოლოს მიმართავს ამას,

თუმცა ქართულ რედაქციებში ნინო ქართლში მოსვლისას უკვე დედოფლად იწოდებოდა.

ჩვენ ვეთანხმებით სესილი გოგიბერიძის მოსაზრებას, რომ დევიდ ლანგის თარგმანი არის „ნინოს ცხოვრების“ თავისებური რედაქცია, რომელიც ეყრდნობა ოთხივე ქართულ რედაქციას და ამასთანავე განსხვავდება მათგან (გოგიბერიძე 2003: 182).

დევიდ ლანგი შესავალ წერილში, რომელიც მან „შუშანიკის წამების“ ინგლისურად გარდათქმას წაუძღვარა, წერს, რომ სომხეთ-საქართველოს მომიჯნავე რეგიონის გამგებელმა ვარსკენ პიტიახშმა პოლიტიკური მოსაზრებით მიიღო მაზდეანობა და ამით დაიმსახურა ირანის ყურადღება და კეთილგანწყობა. მის მოლაღატეობრივ საქმიანობას წინ აღუდგა შუშანიკი, რომელმაც გადაჭრით უარყო მაზდეანობა, რელიგია, რომელსაც ხალხს თავს ახვევდა ირანი. შუშანიკის შეურყეველმა გადაწყვეტილებამ და ქრისტიანული სარწმუნოების მტკიცედ დაცვამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ვარსკენი, რადგან მან ვერ შეუსრულა პირობა ირანის შაჰს. ამან გამოიწვია ვარსკენის განრისხება და შუშანიკის უმოწყალო წამება. ლანგის დაკვირვებით, „შუშანიკის წამება“ საინტერესოა სოციალური ისტორიის თვალსაზრისითაც, რადგან გვაწვდის ცნობებს ადრინდელი ქრისტიანული საზოგადოების ფენათა ურთიერთობის შესახებ. სავსებით ზუსტად მიუთითებს ლევან მენაბდე, რომ დევიდ ლანგმა შესავალში თავიდანვე იმაზე გაამახვილა ყურადღება, რომ უკვე პირველსავე ქართულ თხზულებაში ნათლად შეინიშნება ავტორის სახელმწიფოებრივი და სარწმუნოებრივი ტენდენცია (მენაბდე 1978). აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ „შუშანიკის წამებაზე“ დ. ლანგი მსჯელობს სხვა ნაშრომშიც. კერძოდ, მსხვილტანიან წიგნში „ქართველები“, რომელშიც წარმოჩენილია ქართველი ხალხის მიერ მსოფლიო ცივილიზაციაში შეტანილი წვლილი.

რაც შეეხება თვითონ ნაწარმოების თარგმანს, ლანგი საკმაოდ ფრთხილ დამოკიდებულებას იჩენს მის მიმართ. ამ უძველესი ქართული ორიგინალური თხზულების თარგმანი დ. ლანგს მაქსიმალური სიზუსტით აქვს შესრულებული.

თარგმანის ორიგინალთან შეჯერების შედეგად გამოჩნდა, რომ ისევე, როგორც კრებულში შეტანილი ყველა ტექსტი, ესეც ადაპტირებულია, გამოტოვებული და შემოკლებულია უმთავრესად მონოლოგები და დიალოგები. კერძოდ, გამოტოვებულია შუმანიკის ლოცვა, იაკობისა და შუმანიკის საუბარი, შუმანიკისა და ვარსქენის ზოგიერთი დიალოგი, ვარსქენისა და იაკობის საუბარი ციხის მცველთან. შემოკლებულია ჯოჯიკის საუბარი შუმანიკთან, ჯოჯიკისა და მისი სახლეულის დალოცვა. გამოტოვებულია შუმანიკის მიერ კეთრით შეპყრობილი დედაკაცის განკურნება. გამოტოვებულია ზოგი დეტალი, რომლებიც მიუთითებენ შუმანიკის დიდ ღვთისმოსაობასა და სიმტკიცეს. თუმცა, თარგმანი მთლიანობაში ძალიან კარგად იკითხება და შესავალ წერილთან ერთად მკითხველს კარგად აცნობს ნაწარმოებსა და ეპოქას.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ სათაური თარგმანში ასეა გადმოცემული: „გრიგოლ ხანძთელი და საქართველოს ეროვნული აღორძინება“. ეს სათაური თავადვე მიუთითებს, რომ მთარგმნელისათვის ძალზე მნიშვნელოვანია განუმარტოს მკითხველს ნაწარმოების არსი. თავიდანვე ვიტყვით, რომ მთარგმნელი მის მიერ შერჩეულ ეპიზოდებს ალაგებს არა ორიგინალის მიხედვით, არამედ თავისი შეხედულებისამებრ. თარგმანში სრულად არ ჩანს მთავარი გმირის პორტრეტი. მთარგმნელი არაფერს ამბობს გრიგოლის სულიერი განცდების შესახებ, გამოტოვებულია ისეთი პასაჟები, სადაც ამ არაჩვეულებრივი პიროვნების პირდაპირი დახასიათებაა მოცემული. თარგმანში არ ჩანს, რომ გრიგოლმა დიდი ძმობა ჩამოაყალიბა. ძმობის ზოგიერთი წევრის მხოლოდ სახელია ნახსენები. თარგმანში გამოტოვებულია გრიგოლ ხანძთელის უახლოესი თანამოზიარეები, როგორებიც არიან ფებრონია, ზენონი, ეპიფანე, მატოი. ლანგი არ მიიჩნევს საჭიროდ, რომ ასახოს ორიგინალის ისეთი მნიშვნელოვანი და მოზრდილი ეპიზოდები, როგორიცაა ადარნესეს მიჯნურობა, გაბრიელ დაფანჩულის და მისი ოჯახის ამბავი, ჯავახეთის კრება დასხვა. ყოველივე ამის არარსებობას თარგმანში გარკვეულად აბალანსებს კვლავ შესავალი წერილი, რომელშიც მკითხველის თვალწინ ცხადად იმლება მთელი

ეპოქა და გამოხატულია მთარგმნელის დიდი სიმპათია ამ შესანიშნავი მოღვაწის მიმართ. იგი მკითხველს საგულდაგულოდ უმახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ გრიგოლ ხანძთელი იყო როგორც დიდი საერო, ასევე სასულიერო მოღვაწე.

სავსებით ზუსტად მიუთითებს სესილი გოგიბერიძე, რომ „დ. ლანგის მიერ შესრულებული ქართველი წმინდანების ცხოვრება-მარტვილობის ტექსტების ინგლისური თარგმანების განხილვა შინაარსობრივი თვალსაზრისით ბევრ თავისებურებას წარმოაჩენს. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ დ. ლანგის თარგმანში მის მიერ შერჩეული ეპიზოდები საკმაოდ ზუსტად არის გადატანილი ინგლისურ ენაზე. მთარგმნელის თავისუფალი დამოკიდებულება ტექსტის კომპოზიციისადმი გამოწვეულია მისი ამოცანით: რაც შეიძლება ადვილად გასაგები და მისაღები გახადოს ტექსტი ინგლისელი მკითხველისათვის“ (გოგიბერიძე 2003: 183).

აქ გვინდა გავიხსენოთ, რომ ქართული მწერლობის ინგლისურად თარგმნის ისტორიაში არაერთი შემთხვევაა, როდესაც მთარგმნელის მიზანს წარმოადგენს ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლის ახალი ინტერპრეტირების შესრულება იმიტომ, რომ იგი ახლობელი და გასაგები გახდეს თანამედროვე მკითხველისათვის. მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ ქეთრინ ვივიანისეულ თარგმანს სათაურის ქვეშ აქვს წარწერა - თავისუფალი პროზაული თარგმანი. შესავალში მთარგმნელი მოიხსენიებს მარჯორი უორდროპის თარგმანს და მას ზუსტ მეცნიერულ ტექსტს უწოდებს, ვენერა ურუმადისეულ თარგმანს — შესანიშნავ პოეტურ თარგმანს, რომელიც პოემის ეპოქასთან მიახლოების მიზნით, მოძველებული ინგლისური ენით არის შესრულებული. ქეთრინ ვივიანი მიიჩნევს, რომ ამ ტიპის თარგმანების აღქმა ძირითადად ინტელექტუალებს, სამეცნიერო წრეებსა და ლიტერატურათმცოდნე სტუდენტებს ძალუბთ. მან თვითონ, თარგმანის ფორმა შეარჩია იმ პრინციპით, რომ შორეული წარსული თანამედროვე მკითხველის მხედველობის არეში მოექცია და

ისეთივე აქტუალური გაეხადა ის თანამედროვე ადამიანებისათვის, როგორც ეს რუსთველის ეპოქაში იყო (Vivian 1977).

## თავი II.

### დევიდ ლანგის ლიტერატურულ-თეორიული მოსაზრებები და მათი ქართული თარგმანები

მიგვაჩნია, რომ ეს თავი ჩვენი საკვალიფიკაციო თემის მეტად საინტერესო ნაწილია. როგორც ზემოთ არაერთგზის აღვნიშნეთ, კრებულის დიდ ღირსებას წარმოადგენს თითოეული თხზულების ინგლისურ თარგმანზე დართული დევიდ ლანგის მიერ შესრულებული შესავალი წერილები, რომლებსაც მკითხველი შეჰყავს ამა თუ იმ ძეგლის პრობლემატიკაში. მათში ჩანს ლანგის დამოკიდებულება ქართული აგიოგრაფიისა თუ კონკრეტული ნაწარმოების მიმართ. საერთო ჯამში კი ამ წერილების ერთობლიობა ერთ დამოუკიდებელ სამეცნიერო ნაშრომს წარმოადგენს, რომელიც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მხოლოდ ზოგადად იყო მოხსენიებული და ფართო განხილვის საგანი არ გამხდარა. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ მათი ქართულად თარგმნა და ვფიქრობთ, რომ ამით ჩვენი მოკრძალებული წვლილი შევიტანეთ ლანგის სამეცნიერო ნააზრევის შესწავლის საქმეში.

### წმინდა ნინო და საქართველოს გაქრისტიანება

თხზულება წმინდა ნინოს ცხოვრების შესახებ, ლეგენდარული ხასიათის მიუხედავად, მყარ ფაქტებს ეფუძნება. ისტორიული, არქეოლოგიური და ეროვნული ტრადიცია ერთხმად ამტკიცებს, რომ იბერიაში, რომელიც შემდგომში აღმოსავლეთ საქართველოდ იწოდება, ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად დაახლოებით ქრისტეს შობიდან 330 წელ, კონსტანტინე დიდის მეფობის დროს გამოცხადდა.

ამ პერიოდში რომის იმპერია ახორციელებს პროტექტორატს მეზობელ სახელმწიფოზე სომხეთზე, რომელშიც ქრისტიანობა მოგვიანებით იმარჯვებს წმინდა გრიგოლ

განმანათლებლის მისიის შედეგად. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ წმინდა ნინოს პერიოდში დასავლეთ საქართველო, რომელიც მოიცავდა კოლხეთის, აფხაზეთისა და ლაზეთის პროვინციებს, უკვე მოქცეული იყო ქრისტეს რჯულზე შავი ზღვის სანაპიროზე არსებულ ბერძნულ კოლონიებში მოღვაწე მისიონერების მიერ. 325 წელს შემდგარ ნიკეის კრებას ესწრებოდნენ ლაზეთის ძირითად საპორტო ქალაქ ტრაპიზონიდან, სტრატეგიულ პორტ ბიჭვინთიდან და კოლხეთისა და აფხაზეთის საზღვრებზე მდებარე წმინდა მიტროპოლიიდან წარგზავნილი ეპისკოპოსები. ამგვარად, ირკვევა, რომ არსებული პოლიტიკური მდგომარეობა საკმაოდ უწყობდა ხელს აღმოსავლეთ საქართველოს მოქცევას რომაელების ახალ ოფიციალურ სარწმუნოებაზე ქრისტიანობაზე.

წმინდა ნინოს შესახებ ჩვენამდე მოღწეული ბიოგრაფიული ცნობები ეყრდნობა რამდენიმე უტყუარ ისტორიულ მასალას. რუფინუსის მიერ ქრისტეშობიდან 403 წელს შექმნილი "საეკლესიო ისტორიის" ერთ-ერთ თავში წარმოდგენილია ცნობები წმინდანის პიროვნებისა და მისი მისიის შესახებ. ხსენებული თავი ეფუძნება ქართლის მეფე ბაკურის მიერ რუფინუსისთვის გადაცემულ ზეპირ ინფორმაციას 395 წელს პალესტინაში შეხვედრისას. სწორედ ეს ბაკური გახლდათ იბერიის სამეფო კარის წევრი და მთხრობელი იმ მოვლენებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მისი მოღვაწეობიდან ნახევარსაუკუნეზე ოდნავ მეტი ხნით ადრე, თავისი მშობლების ან ბებუისა და ბაბუის სიცოცხლის (ცხოვრების) პერიოდში. თუ სათანადოდ გავითვალისწინებთ რუფინუსისა და მისი ინფორმატორის ღვთისმოსაობას, არ არსებობს რაიმე მიზეზი, რომ ეჭვი შევიტანოთ მათ მიერ მომზადებული ერთობლივი ჩანაწერების არსებით სიზუსტეში.

ეს იმაზე უფრო მეტია, ვიდრე შეიძლება ითქვას დროთა განმავლობაში წმინდანთან დაკავშირებული ლეგენდების შესახებ. მე-8-მე-9 საუკუნეებში, ფსევდო მოსე ხორენაცის სახელით ცნობილმა სომეხმა მწერალმა, რუფინუსის (როგორც მისთვის ცნობილი იყო სოკრატე სქოლასტიკოსის საეკლესიო ისტორიის სომხური ვერსიიდან) მასალებზე დაყრდნობით, თავი მოუყარა წმინდა ნინოს ცხოვრების შესახებ ცნობებსა



და აგათანგელოზის ჩანაწერებს რიფსიმესა და გრიგოლი განმანათლებლის მიერ სომხეთის გაქრისტიანების შესახებ. წმინდა ნინოსა და რიფსიმესთან დაკავშირებული ამბების ამგვარი ხელოვნური შერწყმა ეწინააღმდეგება ქრონოლოგიას და უბრალო ენით რომ ვთქვათ, წარმოადგენს ისტორიული ანალიზის გზაზე დაბნეულ წითელ ქაშაყს.

ცნობებში საინტერესო დეტალების შეტანის შემდეგ, წმინდა ნინოს ღვთისმოსავი ბიოგრაფების ფანტაზია ამოუწურავი გახდა. ეს წმინდანი ქალი, რომელიც თავდაპირველად აღწერილი იყო, როგორც უბრალო მხევალი, ამჯერად იერუსალიმის პატრიარქის, იუვენალის (რომელმაც წმ. ნინოს მოღვაწეობის პერიოდის შემდეგ მთელი საუკუნე იცხოვრა) დისშვილად იქცა. სხვა ვარიანტებზე დაყრდნობით კი რომაელ ქალწულად. დიოკლეტიანეს ზეობის ხანას მიკუთვნებული ფაქტები ინაცვლებენ კონსტანტინე დიდის პერიოდში, რათა შესაძლებელი გახდეს წმინდა ნინოს წარმოჩენა, როგორც რიფსიმესთან ერთად სომხეთში მიმავალი ერთ-ერთი ქალწულისა; ამ ამბებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ წმინდა ნინო სასწაულებრივად გადარჩენილა მეფე თრდატის მიერ, რომელმაც მისი თანმხლებნი სიკვდილით დასაჯა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქრისტეს ჯვრის ნაწილებსა და მაცხოვრის კვართთან დაკავშირებულ ამბებს, რომელთა მიხედვითაც, კვართი ქართველმა ებრაელებმა გადაარჩინეს და ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ საქართველოში ჩამოაბრძანეს. შესაძლებელია, რომ ამ ლეგენდას საფუძვლად უდევს საქართველოში ებრაული სათემოს უძველესი ტრადიციები და, რომ ამ კოლონიაში ქრისტიანულ სარწმუნოებას წმინდა ნინოს მოღვაწეობამდეც კი ჰყავდა მიმდევრები.

ლეგენდის მომდევნო პასაჟებში მოცემულია რუფინუსის მიერ შედგენილი ქართლის სამეფოს მოქცევის ამბავი, რომელიც ქმნის წმინდა ნინოს მოღვაწეობის შესახებ არსებული გვიანდელი ცნობების მთავარ ბირთვს ქმნის. მას მოჰყვება გვიანდელი ქართული ცნობები წმინდა ნინოს ბიოგრაფიის შესახებ, რომლებმაც საბოლოო ფორმა მე-10 - მე-11 საუკუნეებში მიიღო. წმინდა ნინოს ცხოვრების სრული ციკლის აღსაწერად, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მარჯორი და ოლივერ

უორდროპების კლასიკური თხზულება „წმინდა ნინოს ცხოვრება“, რომელიც 1900 წელს გაიცნო საზოგადოებამ, როგორც Clarendon Press series Studio, Biblica et Ecclesiastica-ის მე-5 ტომი (Lang 1956: 13-15).

## **ცხრა კოლაელი ყრმის მარტვილობა**

წმინდა ნინოს ბიოგრაფია გვიჩვენებს, რომ საქართველოს ქრისტიანულ რჯულზე მოქცევის შემდეგ საქართველოს შორეულ კუთხეებში, წარმართული რწმენა ისევ განაგრძობდა არსებობას. ცხრა კოლაელი ყრმის გულის ამაჩუყებელი ამბავი ასახავს ახლადნაქადაგებ ქრისტიანობასა და ქრისტიანობამდელ სარწმუნოებას შორის კონფლიქტს, რომელიც უკავშირდება წმინდა ნინოს ცხოვრების არც თუ ისე შორეულ პერიოდს.

ნაწარმოების უტყუარობა ეჭვგარეშეა. ის ეფუძნება კოლას ადგილობრივ წესჩვეულებებს. კოლა დღესაც არსებობს. იგი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ტექსტი ნათარგმნია შემოკლების გარეშე, ნიკო მარის რედაქციიდან, რომელიც ეფუძნება მე-10 საუკუნის ხელნაწერს და შემონახულია ათონის მთაზე (Lang 1956: 40)

## **მარტვილი დედოფალი: წამება წმინდა შუშანიკისა**

თუკი ცხრა კოლაელი ყრმა თავიანთი მშობლების წარმართული შეხედულებების გამო მოწამებრივად აღესრულა, წმინდა შუშანიკი საქართველოს ირანელი მბრძანებლების რელიგიის - ზოროასტრიზმის - უარყოფის გამო ეწამა.

შუშანიკის წამება არის ქართული ლიტერატურის ჩვენამდე მოღწეული უძველესი თხზულება. იგი შეიქმნა ქრისტეობიდან 476-483 წლებში შუშანიკის მოძღვრის, იაკობ ცურტაველის მიერ. ნაწარმოები გამოირჩევა ენის პირდაპირობით. წმინდანის

ცხოვრება ცნობილი სხვა ისტორიული წყაროებიდან. შუშანიკის მამა, ვარდან მამიკონიანი, იყო ზოროასტრიზმის მიმდევარი ირანელი მეფის, იეზდიგერდის წინააღმდეგ მიმართული სომხური ეროვნული აჯანყების (451 წ.) გმირი. შუშანიკს ქართველი მეუღლე ჰყავდა - ვარსქენი, რომელსაც პიტიახშის (ირანულად, მეფის ნაცვალი) თანამდებობა ეკავა სომხეთსა და საქართველოს შორის მდებარე სასაზღვრო რეგიონში. როგორც შუშანიკის ცხოვრებიდან ირკვევა, ირანის შაჰმა პეროზმა, ვარსქენი გაგზავნა ჰუნების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც სპარსეთს ემუქრებოდნენ ჩრდილოეთიდან დერბენტისა და კასპიის ზღვის ტერიტორიებთან. ვარსქენს ასევე კონტროლი უნდა განეხორციელებინა ადმოსავლეთ საქართველოს (იბერიის) მეფეზე, მისი დედაქალაქი მცხეთა კი ვარსქენის ცურტავის სასახლიდან ადვილად მისაწვდომი იყო.

შუშანიკის სიკვდილი განპირობებული იყო როგორც პოლიტიკური, ასევე, რელიგიური გარემოებებით. მისმა სიმტკიცემ (რაკი არ უარყო ქრისტიანობა) აღაშფოთა მისი ქმარი, რომელიც გამაზდენადა სპარსეთის შაჰის გულის მოსაგებად. შუშანიკის შეუპოვრობამ ვარსქენი რთულ მდგომარეობაში ჩააგდო, რამაც მას უბიძგა შუშანიკის ბარბაროსული მკვლელობისკენ. ამ დანაშაულის ჩადენის სანაცვლოდ ვარსქენს მიღებული დაპირებით დიდხანს ვერ უსარგებლია, რადგან სომეხი მემატთანე ლაზარე ფარპეცი გვაუწყებს, რომ 484 წელს საქართველოს ქრისტიანმა მეფემ, ვახატანგ გორგასალმა ირანელების წინააღმდეგ აჯანყება მოაწყო და დაატყვევა მათი ამბოხებულნი მოკავშირე ვარსქენი, შემდეგ კი სიკვდილით დასაჯა. ამ პარალელური პოლიტიკური მოვლენების გარდა, შუშანიკის ცხოვრება ინტერესის საგანი იყო სოციოლოგებისთვისაც ვინაიდან ის ეხმიანება ისეთ საკითხებს, როგორცაა, ქალსა და მამაკაცს შორის დამოკიდებულება ადრეულ ქრისტიანულ საზოგადოებაში და უძველეს კავკასიაში არსებული კლიმატური და სანიტარული პირობები და ა. შ. (Lang 1956: 44-45).

## მებრძოლი განდევილი: პეტრე იბერი, ეპისკოპოსი მაიუმისა, ღაზის მახლობლად

პეტრე იბერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერით (409-488) ქართული ეკლესიის ადგილობრივი ტრადიციებიდან ვინაცვლებთ ბიზანტიური რელიგიის ფართო პოლიტიკური მოვლენებისკენ. 451 წელს შემდგარი ქალკედონის საბჭოს კრების ირგვლივ განვითარებული მოვლენების დროს წარმოჩინდა პეტრე იბერის მონოფიზიტური აღმსარებლობა, მისი ანტიქალკედონიტობა. მან უარყო კრებაზე ფორმულირებული დოქტრინა ქრისტეს ორბუნებოვნების შესახებ. იერუსალიმის მართლმადიდებელმა პატრიარქმა სოფრონიუსმა აღშფოთებით მოიხსენია საქართველოს წარმომადგენელი პეტრე, როგორც „გახრწნილი ბარბაროსული აზროვნების მქონე“, ხოლო სირიის, კოპტურმა და სომხეთის ეკლესიებმა, რომელთაც უარყვეს ქალკედონის დოგმატი, პეტრე აღიარეს დიდ წმინდანად და ასკეტად. პეტრეს მშობლიური ქართული ეკლესია შეეცადა მისი დოგმატური გადახრები დაეფარა.

ქართველი ქრისტიანი მეფის ვაჟმა, პეტრემ, დაივიწყა თავისი სამეფო წარმომავლობა და წმინდა მიწაზე ასკეტური ცხოვრება დაიწყო. მისი ბიოგრაფია გვაწვდის ღირებულ ცნობებს მე-5 საუკუნის ქრისტიანული აღმოსავლეთის ისტორიის შესასწავლად, ვინაიდან პეტრე პირადად იცნობდა იმ დროის მრავალ გამოჩენილ პიროვნებას, მათ შორის, იმპერატორ თეოდოსი II და მის მეუღლეს ეუდოკიას, წმინდა მელანია უმცროსსა და ცნობილ პატრიარქებს ნესტორს, იუვენალს, ალექსანდრიის ეპისკოპოს პროტერიუსს და ტიმოთეს შესაბამისად მის ბიოგრაფიაში გადმოცემულია ამ პიროვნებებთან დაკავშირებული მოგონებანი. პროფესორმა ერნესტ ჰონიგმანმა სცადა, გამოეთქვა მოსაზრება პეტრე იბერისა და ფსევდო დიონისე არეოპაგელის იდენტურობის შესახებ. პეტრე იბერიელი მან მოიხსენია, როგორც ავტორი მნიშვნელოვანი მისტიკური თხზულებებისა, რომელიც, სავარაუდოდ, შედგენილია პავლე მოციქულის თანამედროვე მოღვაწის, დიონისე არეოპაგელის მიერ. ამ თეორიამ

მნიშვნელოვანი დისკუსიები გამოიწვია ბოლო წლების განმავლობაში, თუმცა, ამ თემაზე ზოგადი შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა.

პეტრეს ცხოვრების შესახებ ცნობებმა ჩვენამდე ორ ვერსიად მოაღწია. ერთ-ერთი მათგანი წმინდანის გარდაცვალების შემდეგ მალევე დაიწერა თავდაპირველად ბერძნულ ენაზე პეტრეს მოწაფის, იოანე რუფინუსის მიერ. ამ ვერსიის მხოლოდ სირიული თარგმანი გვაქვს ხელნაწერის სახით, რომელიც მე-8 საუკუნით თარიღდება. ქართულ ენაზე შემონახული ბიოგრაფიის მეორე ვერსია უნდა მომდინარეობდეს მესამე პირს, მითილენის ეპისკოპოსს, ზაქარია რიტორისგან, რომელიც იცნობდა პეტრეს ცხოვრების ბერძნულ ხელნაწერს. ვერსიის ქართულენოვანი ვარიანტი მე-13 საუკუნეში უნდა შექმნილიყო. ტექსტი საკმაოდ იყო დამახინჯებული რედაქტორების მიერ, რომელთაც სურდათ მწვალებელი პეტრე უბიწო მართლმადიდებელ წმინდანად წარმოეჩინათ. ამ მიზეზის გამო, ჩვენ ვამჯობინეთ იოანე რუფინუსის ვერსიას დავეყრდნოთ და დაგვემატებინა რამდენიმე ეპიზოდი პეტრეზე „მოგონებების კრებულიდან“ (ცნობილია, როგორც Plerophoric), რომელიც სირიულ ენაზეც არის შემონახული. აღსანიშნავია, რომ პეტრეს ბიოგრაფიაში გამოყენებულია ისეთი ტერმინები, როგორიცაა "მართლმადიდებელი" და „ღვთისმომშიში“, „მონოფიზიტური“ და „ანტიქალკედონიტური“ თვალსაზრისით, ხოლო ქალკედონური მართლმადიდებლობის მიმდევრები მოხსენებული არიან, როგორც "რენეგატები" და "განდგომილები" (Lang 1956: 57-58).

## **წმინდა ფრანცისის წინამორბედი: დავით გარეჯელი**

აღმოსავლეთ საქართველოში დავით-გარეჯის მონასტრის ფუძემდებლის, წმინდა დავითის ცხოვრება მიეკუთვნება ბიოგრაფიების ციკლს - „ასურელი მამების ცხოვრებას,“ რომელთაგან უმრავლესობა საქართველოს კათოლიკოსის არსენიუს II-ის მიერ დაიწერა (955-80). ასურელი მამების სახელთან არის დაკავშირებული საქართველოში სამონასტრო კოლონიზაციის შექმნა. მათი მისიის ისტორიული

მიზანი მნიშვნელოვანი დისკუსიის საგანი იყო. უფრო მეტიც ასურელი მამების ბიოგრაფიების თავმოყრა არსებული ფორმით მათი გარდაცვალებიდან ოთხი საუკუნის შემდეგ მოხერხდა იმის გამო, რომ ისტორიული ფაქტები ლეგენდებითა და მითებით იყო გადაფარული.

საქართველოში ასურელ მამათა შემოსვლის სავარაუდო თარიღის დადგენა რეალურ პერსონაჟებსა და მოვლენებზე დაყრდნობით შეიძლება. ასე რომ, წმინდა დავით გარეჯელის ცხოვრება იერუსალიმის პატრიარქ ელიას (494-513) მოგვაგონებს. დანარჩენი თორმეტი ასურელი მამის ცხოვრება უკავშირდება წმინდა სვიმონ მესვეტე უმცროსთან (521-97) ჩასვლას. წმინდანმა მის მიერვე აგებულ სვეტზე 10 წელი 541-551 გაატარა. ასევე არსებობს კავშირი სპარსეთის შაჰის ხოსრო I-ის მიერ 544 წელს ედესას ალყაში მოქცევის ფაქტთან. ქართლის ქრონიკები, რომელებიც მოქცევაი ქართლისაის სახელით არის ცნობილი, გვატყობინებს, რომ ასურელი მამები საქართველოში წმინდანინოს მოციქულობიდან ორასი წლის შემდეგ შემოვიდნენ. ამ ალუზიების თავმოყრით, ირკვევა, რომ ასურელი მამები ჩამოვიდნენ, ან ტრადიციულად უნდა ჩამოსულიყვნენ კავკასიაში, სხვადასხვა დროს, მე-5 საუკუნის ბოლოსა და მე-6 საუკუნის შუა ხანებში.

რაკი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვრები ასურელ მამებს თაყვანს სცემდნენ, უდავოა, რომ ისინი, პეტრე იბერის მსგავსად, აღიარებდნენ მონოფიზიტურ შეხედულებებს. იმპერატორი მარკიანე (450-57) საოცარი სისასტიკით დევნიდა მათ, ვინც უარყო ქალკედონის კრების დოგმატები ქრისტეს ორი ბუნების შესახებ. დევნის ახალმა ტალღამ თავი იჩინა 520- 545 წლებში იუსტინე I-ისა და იუსტინიანეს დროს. თანამედროვე ანალიტიკოსებმა საზარელი უწოდეს ბიზანტიის ხელისუფლების მიერ ჩადენილ ექსცესებ სირიელი სასულიერო პირებისა და ბერების წინააღმდეგ, რომელთა უმრავლესობა იძულებული გახდა ქვეყანა დაეტოვებინა.

ჩვენ ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ პერიოდში თავად ქართული ეკლესია იყო კეთილგანწყობილი მონოფიზიტური კონფესიების მიმართ. დვინის საბჭოს 506 წლის საეკლესიო კრებაზე, სომხური, ქართული და ალბანურ-კავკასიური ეკლესიები გაერთიანდნენ, რათა დაეგმოთ ქალკედონის დოგმა. ერთი საუკუნის შემდეგ,

საქართველოს კათალიკოსმა კირიონმა ოფიციალურად უარყო სომხური გრიგორიანული დოქტრინა და თავისი სამწყსო სამუდამოდ დააბრუნა მართლმადიდებელ ეკლესიაში.

როდესაც ვსაუბრობთ ასურელ მამათა ჩამოსვლის შესახებ საქართველოში იმ დროს, როცა სირიიდან გამეგებული მონოფიზიტი ბერები თავშესაფარს საზღვარგარეთ ეძებდნენ, ხოლო ქართული ეკლესია იმჟამად მონოფიზიტების მხარეს იყო, უნდა დავასკვნათ, რომ ასურელი მამები, მართლაც მონოფიზიტი ლტოლვილები იყვნენ, რომელთაც მგზნებარედ სურდათ თავიანთი რელიგიური საქმიანობის გაგრძელება საქართველოში, ტოლერანტულ და ხელსაყრელ გარემოში.

ზოგადად, ასურელი მამები დახასიათებულია, როგორც ასკეტური ცხოვრების მოტრფიალენი. მაგრამ ისინი არ შეიძლება კაცთმოდულად ჩაითვალოს, მათი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე. წმინდა ისე წილკნელმა მდინარე ქსანს კალაპოტი შეუცვალა, წყალი წილკნის საყდრამდე მიიყვანა და მრევლი ქრისტეს რჯულზე მოაქცია. რამდენიმე მამა ცხოველებისადმი სიყვარულით გამოირჩეოდა. წმინდა იოანე ზედაზნელი თავის სამწყსოსთან ახლოს მობინადრე დათვებს დაუმეგობრდა. წმინდა შიომ გამოწვრთნა დაუზარელი, თუმცა მოუხერხებელი მგელი და ამ ვირების წინამძღოლად გაამწყსა, რომლებიც მის მღვიმეებს ამარაგებდნენ. წმინდა დავითის ცხოვრების შესახებ ნათარგმნი მასალის მიხედვით, ასურელ მამათა და ცხოველთა სამყაროს შორის არსებულ ურთიერთობებს საფუძვლად რწველი და ნათელი გრძნობები უდევს (Lang 1956: 81-83).

## **წამება წმინდა ევსტასი მეწალისა**

ევსტათი მცხეთელის წამება წარმოადგენს ქართლის ადრეული ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტს. იგი მკაფიოდ აღწერს ქრისტიანულ საქართველოსა და სასანიანთა ირანს შორის არსებულ ურთიერთობას ხოსრო ანუშირვანის მეფობის დროს (531-579 წწ.) ტექსტი, რომელიც უცნობი ავტორის მიერ

მე-6 საუკუნის ბოლოსაა შეთხზული ჩვენამდე შედარებით უცვლელი ფორმით მოაღწია. ბევრი ირანული სახელი ორიგინალური სახითაა შემონახული გასაოცრად მცირე უზუსტობით, ხოლო სასწაულების არ არსებობა აძლიერებს თხრობის უტყუარობას. განსაკუთრებით საინტერესოა არქიდაკონ სამუელის მიერ ინტერპრეტირებული და ცილისმწამებლების წინაშე წმინდა ევსტასის მიერ განმეორებული ქრისტიანული აპოლოგია. 1901 წელს, ადოლფ ფონ ჰარნაკმა ბერლინის აკადემიის შრომებში გამოაქვეყნა ტექსტის გერმანული თარგმანი დეტალურ კომენტართან ერთად, სადაც მან წარმოაჩინა ბევრი განსხვავება ბიბლიის ლიტერატურულ ტექსტთან შედარებით და ხაზი გაუსვა მის მნიშვნელობას ბიბლიური კვლევებისთვის. მან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ათი მცნების უცნაურ ფორმულირებას. ასევე, გარკვეულ ელემენტებს სამუელის მიერ გადმოცემული ქრისტეს ცხოვრებიდან, რომელიც ტატიანეს ნაშრომს - „დიატესარონს“ ანუ „ოთხი სახარების ჰარმონიულობას“ მოგვაგონებს და გვამცნობს, რომ ქართულ ეკლესიას უძველესი დროიდანვე საკუთარი „დიატესარონი“ უნდა ჰქონოდა. სამუელის აპოლოგია იმ მხრივად არის საინტერესო, რომ იგი გვიჩვენებს გზას, რომელიც დეტალურად განუმარტავს ქრისტიანულ რწმენას სპარს და ქართველ ქრისტიანებს სასანიდურ ეპოქაში (Lang 1956: 94-95).

## **მარტვილობა აბოსი, ბაღდადელი ნელსაცხებელთა ოსტატისა**

ორი საუკუნის განმავლობაში, წმინდა ევსტათისა და წმინდა აბოს ცხოვრების ფონზე, უამრავმა სამხედრო და პოლიტიკურმა არეულობამ მთლიანად შეცვალა ახლო აღმოსავლეთის მთელი პოლიტიკური სტრუქტურა. 614 წელს, იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ, სპარსელები ბიზანტიის იმპერატორმა, ჰერეკლემ დაამარცხა. VII საუკუნის შუა პერიოდში ორი დიდი იმპერია იმდენად იყო დასუსტებული ბრძოლებით, რომ სპარსეთს ვერ უშველა ისლამის ახალმა ძალამ, არაბებმა კი გარკვეული ხანი კონსტანტინეპოლში დაჰყვეს. თბილისი, რომელსაც მცირე



პერიოდის მანძილზე ბიზანტია აკონტროლებდა, 655 წელს არაბებს ჩაბარდა და მე-12 საუკუნის დასაწყისამდე მაჰმადიანთა ბატონობის ქვეშ იყო. ქართველმა ჰაგიოგრაფმა იოანე საბანისძემ აღწერა, თუ როგორ აწამა ქართლის არაბმა მმართველმა წმინდა აბო ტვილელი 786 წლის 6 იანვარს. მისი თხზულება მნიშვნელოვანია იმით, რომ იგი აბოს სიკვდილის შემდეგ მალევე დაიწერა. პროლოგში, რომელიც ამ თარგმანში გამოტოვებულია, იოანე აღწერს სავალალო მდგომარეობას, რომელიც ქართველ ერს არაბთა ბატონობამ მოუტანა. ხალიფა ძალისხმევას არ იშურებდა, რომ ქართველები გაემაჰმადიანებინა - მიმართავდა ცბიერ პოლიტიკას და ეკონომიკურ ძალადობას, ზოგიერთი ქართველი „ირხედნენ, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“. აბოს (რომელიც არაბი იყო წარმოშობით, თუმცა ქართლში შემოსვლისას გაქრისტიანდა) გმირული სიკვდილის აღწერით, იოანე საბანისძემ ერთგვარად გაამხნევა თანამემამულეები, რომ სიმტკიცე არ დაეკარგათ.

აბოს წამება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საქართველოს რელიგიის ისტორიისთვის, არამედ, თხზულება ღირებულია იმ თვალსაზრისით, რომ იგი მოგვითხრობს წმინდანის მოგზაურობას ხაზართა (თურქული წარმოშობის ხალხი, რომელმაც ებრაული სარწმუნოება მიიღო) ხაკანთან. ვოლგის ბარში მდებარე ბანაკიდან, ხაზარები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ აღმოსავლურ პოლიტიკასა და ვაჭრობის სფეროში. მათი უხეში ჩვევები და გარეგნობა თვალში მოსახვედრი იყო ბერძნებისთვის, რომლებიც იყენებდნენ გამოთქმას, როგორც შეურაცხყოფელ ტერმინს: „ხაზარს გავხარ!“

Harnack's *Texte und Untersuchungen*-ში (1905) კ. შულცეს მიერ რედაქტირებული წმინდა აბოს წამების გერმანული ვერსია იძლევა შენიშვნების სრულ სიას ტექსტში გაჟღერებულ მრავალრიცხოვან ბიბლიურ ციტატებთან მიმართებით.

7 იანვარი: ქართლის კათალიკოსმა სამოელმა იოვანეს დაავალა თხზულების დაწერა ო ვნება წმიდა და ნეტარ აბოსი, რომელიც სარკინოხების მიერ ეწამა ქართლში, ქალაქ თბილისში (Lang 1956: 115-116).

## გრიგოლ ხანძთელი და საქართველოს ეროვნული აღორძინება

წმინდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას ბევრი კავშირი აქვს აზო ტფილელის ღვაწლთან და წამებათან. გრიგოლი, რომელიც ქრისტეშობიდან 759 წელს დაიბადა, თითქმის ზუსტად აზოს ასაკისა იყო. ორივე მათგანი ქართლის ერისთავის ნერსეს კარზე ცხოვრობდა და ასკეტური ცხოვრებისადმი უდიდეს მიდრეკილებას ამჟღავნებდა. თუმცა, მათი ღვაწლი განსხვავებული იყო: წმინდა აზომ გადაწყვიტა თავი გაეწირა და მოწამეობრივი გზის გავლით დაემტკიცებინა ქრისტიანული სარწმუნეობისადმი ერთგულება. გრიგოლმა კი ამჯობინა, დაეტოვებინა არაბთა ბატონობის ადგილი და წვლილი შეეტანა ქართლის ეროვნული ცნობიერების აღორძინებაში მუსლიმანი დამპყრობლების წინააღმდეგ.

ტაო-კლარჯეთი, სადაც გრიგოლი დასახლდა თავის მიმდევრებთან ერთად საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მხარე იყო, იმხანად გაპარტახებული და მიტოვებული. არაბთა მმართველობის მიმართ ხალხის წინააღმდეგობის საპასუხოდ, ხალიფამ ექსპედიცია გაგზავნა ტაო-კლარჯეთის ასაოხრებლად; შემდეგ კი რეგიონს მალევე ქოლერის ეპიდემია დაატყდა თავს.

ამ მძიმე პირობების მიუხედავად, არაბების ბატონობის ეპოქა მაინც ხელსაყრელი აღმოჩნდა წმინდა გრიგოლის სამმოსთვის. სამხრეთ-დასავლეთი საქართველო სარკინოზთა ბატონობისადმი პატრიოტული წინააღმდეგობის ცენტრი იყო. მოძრაობას სათავეში ედგა ბაგრატოვანი მეფე აშოტი (780-826), იგი დაუპირისპირდა არაბ მმართველებს და დახმარება სთხოვა ბიზანტიის იმპერატორს, რომელმაც მას კურაპალატის ტიტული უბოძა. აშოტმა თავის რეზიდენციად მდინარე ჭოროხის შენაკადზე მდებარე არტანუჯი აირჩია. იქ მან უძველესი ციხესიმაგრე აღადგინა და ააშენა წმინდა პეტრესა და პავლეს სახელობის ეკლესია. აშოტს შეუერთდა ქართლიდან არაბთა ბატონობას გარიდებული ათასობით დევნილი, რომელებიც დაეხმარნენ მას ახალი, ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობაში. აშოტმა ნამდვილობა შესძინა

ლეგენდას, რომლის მიხედვითაც, ბაგრატიონთა დინასტია ისრაელის ბიბლიური მეფის დავითის შთამომავალად იყო მიჩნეული.

პატრიოტულ მოძრაობას მეტწილად ჯვაროსნული ხასიათი ჰქონდა და მას სამხედრო-რელიგიური ლიდერი სჭირდებოდა. ეს როლი ოსტატურად შეითავსა წმინდა გრიგოლ ხანძთელმა, რომელიც იყო როგორც საერო, ასევე დიდი საეკლესიო მოღვაწე. იგი გახდა არქიმანდრიტი კლარჯეთის თორმეტი მონასტრისა, რომელთაგან ხუთი მის მიერ იყო აშენებული ან აღდგენილი, დანარჩენი — მისი მოწაფეების მიერ. შედეგად, ჩამოყალიბდა ნამდვილი სამონასტრო „რესპუბლიკა“, რომელსაც სათავეში ედგა გრიგოლი, მრისხანე და ხშირად დესპოტური „პრეზიდენტი.“ იგი იმდენად გავლენიანი გახდა, რომ შეეძლო თვით მეფე აშოტის პირად ცხოვრებაში ეფექტურად ჩარეულიყო და საზოგადოებრივი საკითხების გადაწყვეტისას სამონასტრო მოღვაწეთა უპირატესობა ეჩვენებინა.

102 წლის გრიგოლ ხანძთელი 861 წლის 6 ოქტომბერს გარდაიცვალა. გრიგოლის ბიოგრაფია მისი გარდაცვალებიდან 90 წლის შემდეგ, ქრისტეშობიდან 951 წელს, დაიწერა გიორგი მერჩულეს მიერ გრიგოლის მთავარი მონასტრის, ხანძთის წინამძღოლთან კონსულტაციის შედეგად. თხზულება მოიცავს შუა საუკუნეების საქართველოს შესახებ ბევრ რეალურ დეტალს; მოგვიანებით, გეოგრაფიული დეტალები აღწერა თხზულების პირველმა გამომცემელმა ნიკო მარმა(Lang 1956: 134-135).

## ქართველი ათონელები

უძველესი დროიდან ათონის მთაზე (სალონიკის აღმოსავლეთით, ეგეოსის ზღვაში მდებარე ცნობილი ნახევარკუნძული) განდევილები და ასკეტები ცხოვრობდნენ. ვინაიდან დიდი სამონასტრო კერები აქ საბოლოოდ მე-10 საუკუნეში დაფუძნდა, ათონი წარმოადგენდა მრავალენოვან თანამეგობრობას, რომელიც აერთიანებდა მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლებს სხვა მრავალ ბერძენ

მოღვაწესთან ერთად. მათ შორის ყველაზე გამორჩეულები ქართველები იყვნენ, როგორც ნაჩვენებია ათონის ქართული მონასტრების მათ შორის ივირონის დამაარსებელეთა „ცხოვრებებში“.

ამ ბიოგრაფიებში გადმოცემული ფაქტები, მათ შორის ივირონის, ეხება ათონის მთის რელიგიურ, პოლიტიკურ და კულტურულ კავშირებს, ქართულ ეკლესიას, ქართულ სახელმწიფოსა და ბიზანტიას შორის ურთიერთდამოკიდებულებას. იოანესა და მისი შვილის ექვთიმეს (955-1028) საქმიანობის გამგრძელებლის, გიორგი მთაწმიდელის მიერ 1045 წელს აღწერილი მათი ერთობლივი „ცხოვრება“ ღირებულ ცნობებს გვაძლევს წმინდა ათანასე ათონელის (1000 წ.) მოღვაწეობის შესახებ, ასევე ძეგლში აღწერილია დიდგვაროვანი ფეოდალის ბარდა სკლიაროსის მიერ მოწყობილი ამბოხებისა და მისი დამარცხების შესახებ ქართველი ბერ-მონაზვნის იოანეს, ერობაში თორნიკე ერისთავის მიერ, რომელიც ქართლის მეფის დავით კურაპალატის არმიას სარდლობდა. ასევე, 980 წელს ათონის მთაზე ივირონის მონასტრის დაარსებასთან დაკავშირებული ამბავი და ა. შ. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება (1009-65) აღწერა მისმა მოწაფემ გიორგი მცირემ 1070 წელს. თხზულება განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან მასში ნახსენებია ანტიოქიის პატრიარქთან გიორგი მთაწმინდლის დავა ქართული ეკლესიისთვის ავტოკეფალიის, ანუ დამოუკიდებლობის მინიჭებასთან დაკავშირებით. ქართული ეკლესიის ისტორიკოსების ყურადღებას იზიდავს ანდრია მოციქულის საქართველოში შემოსვლისა და სიმონ კანანელის აფხაზეთში დაკრძალვის ამბავი. ასევე, მცხეთის საპატრიარქო ტაძარში გოთების ეპისკოპოსის იოანეს კურთხევა მე-8 საუკუნეში იკონოკლასტურ პერიოდში, როდესაც "მთელ საბერძნეთში ერთი მართლმადიდებელი აღმსარებელიც კი არ მოიძებნებოდა" (Lang 1956: 154-155).

## წამება ქეთევან დედოფლისა

ქართლის სამეფომ დიდი ბედუკუღმართობა გადაიტანა ათონელი ქართველების მოღვაწეობასა და ქეთევან დედოფლის ტრაგიკულ ცხოვრებას შორის განვლილი ექვსი საუკუნის მანძილზე. ჯვაროსნული ომების დროს, მეფე დავით აღმაშენებლისა (1089-1125) და თამარ მეფის (1184-1213) ინსპირაციულმა მმართველობამ შეაძლებინა საქართველოს გამხდარიყო პან-კავკასიური ქრისტიანული იმპერიის ლიდერი ქვეყანა. მაგრამ 1230-იან წლებში მონღოლთა და მოგვიანებით კი თემურ-ლენგის შემოსევებმა ყველა ეს მიღწევა გაანადგურა. 1453 წელს თურქების მიერ კონსტანტინეპოლის აღებამ საქართველო დასავლეთ საქრისტიანოს მოსწყვიტა და მუსლიმანთა გაძლიერებული მმართველობის — ოსმალეთისა და საფავიდური ირანის პირისპირ დატოვა.

მე-17 საუკუნის დასაწყისში სპარსეთის მმართველმა, შაჰ-აბას დიდმა მთელი რიგი კამპანიები წამოიწყო აღმოსავლეთ საქართველოს დასამორჩილებლად. მას ხელი შეუწყო ქართლის ახალგაზრდა ქართველი მეფის სამსახურში მყოფმა ცნობილმა მხედართმთავარმა გიორგი სააკაძემ. სააკაძემ უხელმძღვანელა შაჰის ჯარს, რომელმაც რისხვა დაატეხა აღმოსავლეთ საქართველოს; მტერმა გაანადგურა ეკლესიები, დალეწა ხატები და ჯვრები, ხოლო სამკაულები და ძვირფასეულობა შაჰის ხარკებს უსახსოვრა. ბევრმა ტყეებს და მთებს შეაფარა თავი, მაგრამ დაახლოებით სამოცი ათასი ადამიანი მომხდურებმა სასტიკად გაჟლიტა. მოსახლეობის დარჩენილი ნაწილი სპარსეთის შორეულ კუთხეებში გადაასახლეს. იტალიელი მისიონერი პიეტრო დელა ვალე წერდა: „დღეს სპარსეთი, კერძოდ, კირმანი, კასპიის ზღვისპირეთში მაზანდერანი და ამ იმპერიის სხვა ტერიტორიები დაფარულია ქართველებისა და ჩერქეზების საცხოვრებლებით. მათი უმეტესობა დღემდე ქრისტიანი რჩება, თუმცა ძალიან უხეში ფორმით მათ არ ჰყავთ მღვდელი, რათა მათზე იზრუნოს...“ „არ არსებობს გრანდი, რომ არ სურდეს ქართველი ცოლი იმიტომ, რომ ეს არის ძალიან ლამაზი რასა, თავად მეფეს კი თავის სასახლეში უამრავი ქართველი ქალი ჰყავს. ძალიან გრძელი იქნება მოსათხოვრად ამ საშინელი მიგრაციის ამბები, სილატაკით გამოწვეული უამრავი მკვლელობა და დიდი სიკვდილიანობა, ცდუნების, გაუპატიურებისა და ძალადობის

ბევრი ფაქტი, თუ რამდენი ბავშვი დაახრჩო ან მდინარეში გადაისროლა საკუთარმა მშობელმა სასოწარკვეთის გამო; ზოგიერთს დედას ძუძუდან ძალით გლეჯდნენ, რადგან ისინი სიცოცხლის უუნარონი იყვნენ, გზებზე ყრიდნენ და მხეცების საკბილოდ ტოვებდნენ, ან გვამებს ცხენებსა და აქლემებს ათელვინებდნენ; რამდენმა ვაჟმა მიატოვა საკუთარი მამა, ცოლმა ქმარი, დამ-ძმა და გაიხიზნა შორეულ ქვეყნებში მათთან შეხვედრის იმედის გარეშე. ქალები და კაცები, მათი დიდი რაოდენობის გამო, უფრო იაფად იყიდებოდნენ, ვიდრე ცხოველები“.

ქართლის მეფე ლუარსაბი დარწმუნებული იყო, რომ მას უნდა მიეღო შაჰის შეთავაზება სამშვიდობო მოლაპარაკებების თაობაზე; სპარსეთის ბანაკში ჩასვლისას იგი დააპატიმრეს, შემდეგ კი შირაზთან ახლოს დაახრჩეს. აღმოსავლეთ საქართველოს მეორე მმართველმა, კახეთის მეფემ, თეიმურაზ I-მა, შეწინააღმდეგება ამჯობინა და თავად გაუწია მოკავშირეობა ჯერ რუსებს, შემდეგ თურქებს პარტიზანული ომის გასაჩაღებლად. შურისძიების მიზნით, შაჰ-აბასმა დაასაჭურისებინა თეიმურაზის ორი ახალგაზრდა ვაჟი, რომლებიც მძევლებადაც ჰყავდა აყვანილი; თეიმურაზის დედას, დედოფალ ქეთევანს, რომელიც ასევე მის ხელში იყო, გადარჩენის შანსი მისცა — შესთავაზა მიეღო ისლამი და შესულიყო მის ჰარამხანაში. უარის მიღების გამო, შაჰმა ქეთევან დედოფალი სასტიკად აწამებინა შირაზის ველზე 1624 წლის სექტემბერში. ქეთევან დედოფლის წამების შესახებ დაწერილი თხზულება გადმოითარგმნილია სპარსეთში მყოფი ავგუსტინელი მისიონერი მამების თანამედროვე ჩანაწერებიდან. ტექსტის ორიგინალური ვარიანტი პირველად 1910 წელს გამოქვეყნდა მიქელ თამარათის (მიხეილ თამარაშვილი) მიერ (Lang 1956: 169-171).

### თავი III. წმინდა ნინო და საქართველოს გაქრისტიანება

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დევიდ ლანგის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემულ კრებულში თავების მიხედვით არის წარმოდგენილი ძველი ქართული მწერლობის ათი ნიმუში.

სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში შევისწავლეთ და გავაანალიზეთ დევიდ ლანგის მიერ შერჩეული ნაწარმოებები და მათი ინგლისური თარგმანები, მივაკვლიეთ იმ ტექსტების ორიგინალებს, რითაც ისარგებლა ლანგმა და ერთმანეთს შევუდარეთ ინგლისური და ქართული ტექსტები.

„წმინდა ნინოს ცხოვრების“ ერთ-ერთი პირველი ინგლისური თარგმანი შეასრულეს და-ძმა მარჯორი და ოლივერ უორდროპებმა. აღნიშნული თარგმანი ოქსფორდში გამოიცა 1900 წელს. ამ თარგმანთან დაკავშირებით მოსაზრებები გამოთქვეს გურამ შარაძემ (შარაძე, გ. ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე..., გვ. 93), და ლეილა თაქთაქიშვილ-ურუშაძემ (მარჯორი უორდროპი ..., გვ. 89-90). ზემოხსენებულ თარგმანს საფუძვლად დაედო მ. საბინინის „საქართველოს სამოთხეში“ გამოქვეყნებული ტექსტი (მ. საბინინი საქართველოს სამოთხე..., გვ. 119-52). ოქსფორდში გამოცემული „წმ. ნინოს ცხოვრების“ ინგლისური თარგმანის შედგენილობა ასეთია: I. წინასიტყვაობა მარჯორი და ოლივერ უორდროპებისა, გვ. 3-8. II. „წმ. ნინოს ცხოვრება“ (მ. საბინინის გამოცემის მიხედვით: საქართველოს სამოთხე, სპბ, 1882, გვ. 119 შმდ.), გვ. 7-58. III. ნაწყვეტი რუფინუსის „საეკლესიო ისტორიიდან“ ქართლის მოქცევის შესახებ (ლათინურად), გვ. 58-61. IV. წმ. ნინოს ცხოვრება (ე. თაყაიშვილის გამოცემების მიხედვით: სამი ისტორიული ხრონიკა, ტფ. 1890; ახალი ვარიანტი... ტფ. 1891), გვ. 61-64. V. მოსე ხორენელის ცნობები წმ. ნინოს შესახებ, გვ. 65-66. VI. კონიბირის შენიშვნები „წმ. ნინოს ცხოვრების სომხურ ვერსიაზე“, გვ. 67-70. VII. „წმ. ნინოს ცხოვრების“ ქართული ენიდან თარგმნილი სომხური ვერსია (ფ. კონიბირის ინგლისური თარგმანი), გვ. 71-88 (შარაძე, გ. ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე..., გვ. 93).

„წმინდა ნინოს ცხოვრებისადმი“ ინტერესი ინგლისში უორდროპების შემდეგაც გაგრძელდა. ამ მხრივ აღსანიშნავია დევიდ ლანგის ინგლისური თარგმანი.

ზემოხსენებულ კრებულში „წმინდა ნინოს ცხოვრებას“ წინ უძღვის შესავალი: „წმ. ნინო და საქართველოს გაქრისტიანება“ (‘St Nino and the conversion of Georgia’ - ლანგი. 1956: 13-15) და ნაწყვეტი რუფინუსის შრომებიდან, ქვესათაურით: „იბერიელი ხალხის მოქცევის შესახებ, რომელიც მოაქცია ტყვე ქალმა“ (‘On the Conversion of the Iberian People, brought about by a captive woman’ - ლანგი. 1956: 15-19). შემდეგ დაბეჭდილია „ნინოს ცხოვრების“ თარგმანი, სათაურით: „წმინდა ნინო ქართლის ცხოვრებიდან. მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა მიერ“ (‘From the Georgian LIFE OF SAINT NINO. The conversion of King Mirian, and of all Georgia with him, by our holy and blessed Mother, the Apostle Nino’ - ლანგი. 1956: 19-39) მართალია, თხზულების ინგლისური თარგმანი ემთხვევა „წმ. ნინოს ცხოვრების“ ლეონტი მროველისეული რედაქციის სათაურს და ძირითადად ეყრდნობა კიდევ მემატიანის შრომებს, მაგრამ ეს ვერ ჩაითვლება ტექსტის ზუსტ თარგმანად.

“ წმ. ნინოს ცხოვრების“ შესახებ ჩატარებულმა მრავალრიცხოვანმა სამეცნიერო კვლევამ აჩვენა, რომ ძველ ქართულ მწერლობაში რამდენიმეა ისეთი ძეგლი, რომლებსაც მკვლევრები „ნინოს ცხოვრებას“ უწოდებენ. ეს ძეგლებია: ა) „ცხოვრება წმიდისა ნინოსის“ — „მოქცევა ქართლისაჲს“ მეორე ნაწილი, მას „მატბერდულ-ქელიშური“ „ნინოს ცხოვრების“ სახელით მოიხსენიებენ; ბ) „მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა მიერ.“ („ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“) — „ქართლის ცხოვრებაში“ ჩართული ძეგლია. კონკრეტულად იგი ლეონტი მროველის თხზულების - „მეფეთა ცხოვრების“ ნაწილს წარმოადგენს. გ) ცხოვრება და მოქალაქეობა და ღვაწლი წმიდისა და ღირსისა დედისა ჩუენისა ნინოსის, რომელმა იქადაგა ქრისტე, ღმერთი



ჩუენი, ქუეყანასა ჩრდილომასასა და განანათლა ნათესავი ქართველთაჲ“. დ) “ცხორებაჲ და მოქალაქეობაჲ ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნინოსი“.

ტექსტების შედარებამ ცხადყო, რომ დ. ლანგი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ინგლისურ ენაზე გადატანის საკითხს, შესაბამისად, მან კარგად შეისწავლა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი რედაქციები და მათზე დაყრდნობით შექმნა ახალი ინგლისურენოვანი თარგმანი. მიგვაჩნია, რომ ის არის „ნინოს ცხოვრების“ განსხვავებული რედაქცია. ს. გოგიბერიძის თქმით, „ნინოს ცხოვრება“ არის თავისებური რედაქცია. იგი ეყრდნობა ოთხივე ქართულ რედაქციას და ამასთანავე განსხვავდება მათგან“ (გოგიბერიძე 2003: 180-184). ეს მოსაზრება შეიძლება დავადასტუროთ ღვთისმშობლის გამოცხადების ეპიზოდით, მაგალითად, მროველისეულ ტექსტში აღნიშნული ეპიზოდი არ გვხვდება. თუმცა, ის რეალურად არსებობს სხვა რედაქციებში. დ. ლანგს თარგმანის ტექსტი შევსებული აქვს ღვთისმშობლის გამოცხადების ეპიზოდით. აღნიშნული ეპიზოდი მთარგმნელს გადმოტანილი აქვს არსენ ბერის მიერ გადამუშავებული „ნინოს ცხოვრების“ ახალი, მესამე რედაქციიდან (ყუბანიეშვილი 1946: 218).

„ხოლო ღამესა მას გამოუჩნდა ღირსსა ნინოს ძილსა შინა წმიდაჲ ღმრთისმშობელი და ჰრქუა: „წარვედ ქუეყანად ჩრდილოეთისა და უქადაგე სახარებაჲ ძისა ჩემისაჲ, და ჰპოვო შენ მაღლი წინაშე ღმრთისა, და მე ვიყო მფარველი და ჯელისამპყრობელი შენი“. ხოლო იგი ეტყოდა შეძრწუნებული: “დედოფალო, ვითარ შესაძლებელი არს ეს ჩემ მიერ? რამეთუ მე დედაკაცი ვარ უნდოდ და უსწავლელი, ანუ რაჲ იყოს სასწაულად საქმისა ამის? მაშინ წმიდამან დედოფალმან ჯელი მიჰყო ზედა კერძო ცხედრისა მისისა მას რტოსა ვაზისასა და მოჰკუეთა მისგან და შექმნა ჯუარი და მისცა ჯელთა ღირსსა ნინოს და ჰრქუა: „ესე იყოს მცველი შენი და ამით სძლო ყოველთა წინაღდგომათა შენთა, და წარემართა ქადაგებაჲ შენი, და მე ვიყო შენ თანა და არა დაგიტეო შენ“ (ყუბანიეშვილი 1946: 218).

„But in the night the Holy Mother of God appeared to Nino in a vision and said to her, "Depart into the land of the north and preach the gospel of my Son, and I will guide and protect you." But she answered in alarm, "Queen, how may I accomplish this ? For I am a worthless and ignorant woman." Then the Holy Queen stretched out her hand upon a vinebranch which grew close to Nino's bed and cut it off and fashioned it into a cross and gave it to Nino, saying, "Let this be your protection. By it, you may overcome all your foes and preach your message. I will be with you and not abandon you" (Lang 1956: 20).

„წმ. ნინოს ცხოვრების“ შესავალი ნაწილი: „წმინდა ნინო და საქართველოს მოქცევა“ ( „The Conversion of Georgia“ - ლანგი 1956: 13-15;) მეტად მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ აქ ლანგი მსჯელობს ნაწარმოების ლიტერატურულ-თეორიულ და ისტორიულ საკითხებზე. მისივე თქმით, “წმინდა ნინოს” ჩვენამდე მოღწეული ბიოგრაფიული ცნობები ეყრდნობა რამდენიმე უტყუარ ისტორიულ მასალას“ (“The biography of St Nino as we have it today is made a number of elements of varying authenticity” - ლანგი. 1956; გვ. 14). მთარგმნელი ეხმიანება VIII-IX საუკუნეებში ფსევდო მოსე ხორენაცის სახელით ცნობილ სომეხ მწერლს, რომელმაც რუფინუსის მასალებზე დაყრდნობთ, თავი მოუყარა წმინდა ნინოს ცხოვრების შესახებ ცნობებსა და აგათანგელოზის ჩანაწერებს რიფსიმესა და გრიგოლი განმანათლებლის მიერ სომხეთის გაქრისტიანების შესახებ. ლანგის თქმით, წმინდა ნინოსა და რიფსიმესთან დაკავშირებული ამბების ამგვარი ხელოვნური შერწყმა ეწინააღმდეგება ქრონოლოგიას.

დ. ლანგი ძირითად ნაწილში ეყრდნობა „ნინოს ცხოვრების“ ლეონტი მროველისეულ რედაქციას და ქვესათაურად ირჩევს ამავე რედაქციის სათაურს: „მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა წმინდისა და ნეტარისა დედისა ჩვენისა ნინო მოციქულისა მიერ“.

ორიგინალისა და თარგმანის შედარებამ დაგვანახა, რომ დ. ლანგი თარგმანს ამცირებს არა მხოლოდ ფრაზების, არამედ მთელი რიგი ეპიზოდების ხარჯზეც:

1) წმ. ნინოს ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია მისი წარმოშობის ამბავი. დ. ლანგი წერს: „ერთხელ დაიწყო მისი გადამუშავებისა და გამშვენიერების პროცესი და საზღვარი აღარ ჰქონდა ნინოს ღვთისმოსავ ბიოგრაფთა ფანტაზიას. ეს წმინდა ქალი, რომელიც წარმოდგენილი იყო როგორც მონა გოგონა, ახლა გადაიქცა იერუსალიმის პატრიარქის - იობენალის დისწულად ან სხვა ვარიანტით - რომაელ პრინცესად (**ლანგი 1956: 14**).

ზემოთ გამოთქმული თვალსაზრისი წმ. ნინოსა და იობენალის საეკვო ნათესაობის შესახებ დ. ლანგს ხელს არ უშლის, დიდი სიზუსტით თარგმნოს ტექსტის ის ნაწილი, სადაც იობენალ პატრიარქსა და ნინოს ბავშვობაზე საუბარი. როდესაც მთარგმნელი მსჯელობს ბიოგრაფთა მიერ ნინოს წარმოშობის საკითხის გაზვიადებაზე, არაფერს ამბობს ზაბილონის კავშირზე ფრანკთა მოქცევის ამბავთან, თუმცა აშკარაა, რომ ეს ისტორიაც ნინოს ბიოგრაფიის გაკეთილშობილების მიზნით შეთხზულად მიაჩნია. ამის გამო, დ. ლანგი თავს არიდებს მის გადატანას დასავლელი მკითხველისთვის გამიზნულ თარგმანში.

2) დ. ლანგის თარგმანში არ აისახა ნაწარმოების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ეპიზოდი - „ათი სიტყვა“. მას შემდეგ, რაც წმინდა ნინო საქართველოში პირველად შემოვიდა, ის ფარავნის ტბის პირას შეჩერდა. აქვე შეხვდნენ მას მწყემსები, რომლებიც მცხეთიდან და მის ახლოს მდებარე ადგილებიდან იყვნენ: „ზოგნი დაბით და ზოგნი საფურცლით და ზოგნი ქინჯარელნი, რაბატელნი და დიდსა ქალაქისა მცხეთისანი, სადა ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“ (**მეტრეველი 2008: 98**). ისინი აქვე ლოცულობდნენ არმაზსა და ზადენზე.

წმ. ნინომ „გარდასადინებელსა მას ტბასა“ სასთუმლად ერთი ლოდი დაიდო და მიეძინა. ჩვენებაში მან ერთ ანგელოზი იხილა, რომელმაც რაღაც საკვირველი წიგნი გადასცა, რომელიც დაწერილი იყო „ჰრომაელებრ და დაბეჭდილ იყო იესუმსი“. ამ წიგნში „დაწერილნი იყვნეს „ათი სიტყვანი“, ვითარცა იგი პირველ ფიცართა ქვისათა“. ეს „ათი სიტყვა“ (ანუ დეკალოგი) ათ მცნებას შეიცავდა და ერთგვარად ემსგავსებოდა

იმ ფაქტს, როცა ღმერთმა მოსეს გადასცა „ათი მცნება“, რომლებიც ქვის ორ დაფაზე იყო დაწერილი, თუმცა ნინოს ათი სიტყვა შინაარსით განსხვავდებოდა „ათი მცნებისაგან“.

ვფიქრობთ, რომ დ. ლანგმა ეს ფაქტი აგიოგრაფიისთვის დამახასიათებელ სასწაულად მიიჩნია და ამიტომ არ თარგმნა. ამ ფაქტს ეხმიანება ს.გოგიბერიძე და წერს: „როგორც ჩანს, დ.ლანგი ამ პასაჟსაც ტექსტის გადამუშავების დროს ჩართულ აგიოგრაფიულ შაბლონად მიიჩნევდა“ (გოგიბერიძე 2003: 180-184).

3) თარგმანში არ აისახა ბევრი სასწაული, რომელსაც ახდენს წმინდა ნინო. ქვემოთ გთავაზობთ მათ სრულ ჩამონათვალს:

ა) სპარსი მთავრის განკურნება: იყო ერთი სნეული სპარსი, მოგვი, რომელიც უკეთური სულით სასტიკად იგვემებოდა და იყო იგი ნათესავი მირიან მეფისა. მეფე-დედოფალი სთხოვდნენ წმ. ნინოს ამ სპარსის განკურნებას. მეფე ორგულად ეკითხებოდა წმ. ნინოს, რომელი ღმერთის ძალით ახდენ ამ კურნების საქმესო. შენ ან არმაზის ასული ხარ, ან - ზადენის შვილი, უცხოეთიდან მოხვედი და მათ შეეფარე, მაგიტომაც მიგანიჭეს კურნების ძალაო.

მეფემ წმ. ნინოს თავის ქვეყანაში დარჩენა იმ პირობით შესთავაზა, რომ ის გამუდმებით არ ისაუბრებდა თავის რწმენაზე. პირიქით, მირიანმა არმაზსა და ზადენზე მიუთითა და უთხრა, რომ ისინი იყვნენ ნამდვილი ღმერთები, ნაყოფის მომცემელნი და ქვეყნის მპყრობელნი, მზის მომფენელნი, წვიმის მომცემელნი და მიწიდან ნაყოფთა გამომზრდელნი.

თუკი წმ. ნინო სპარს მთავარს არმაზის სახელით განკურნავდა, მეფე მას გაამდიდრებდა და მცხეთის მკვიდრადაც დატოვებდა.

წმ. ნინომ ქრისტეს სახელით დალოცა მირიანი და უთხრა, რომ ღმერთი არის ცათა შინა და უხილავია ყველა დაბადებულისათვის.

შემდეგ მას მოჰგვარეს სპარსი მთავარი. წმ. ნინომ ის ბაღში, ნაძვების ქვეშ, წაიყვანა, ხელები აღმოსავლეთით აღაპყრობინა და სამჯერ გააამეორებინა: “ვიჯმნი შენგან, ეშმაკო, და შევუდგები ქრისტესა, ძესა ღმრთისასა“ (მეტრეველი 2008: 106-107).

ბ) არმაზისა და ზადენის მთების რღვევა და წყალდიდობა: როდესაც დაღამდა, ამ ორმა მთამ - არმაზმა და ზადენმა რღვევა დაიწყო, რასაც მოჰყვა წყალდიდობა. მტკვარი გადმოვიდა და მიჰქონდა ქალაქი, ტყეებისა და გოდების საზარელი ხმები ისმოდა, არაგვი გადმოვიდა და იწყო საზარელი გრგვინვა. ამ დროს ნეტარი ნინო ლოცულობდა. ის გარშემო ყველას ამშვიდებდა და ეუბნებოდა, რომ ეს იყო ურწმუნობის რღვევის ნიშანი (მეტრეველი 2008: 126).

გ) ბრმა ებრაელის განკურნება. სვეტის აღმართვის შემდეგ, პირველად მოვიდა ერთი ებრაელი, რომელიც შობიდან ბრმა იყო. ის მიუახლოვდა თუ არა სვეტს, მაშინვე აეხილა თვალები და უფლის დიდება იწყო (მეტრეველი 2008: 129).

დ) მეფის ძის - რევის ვაჟის განკურნება: მეფის ძეს, რევს, ჰყავდა სასიკვდილოდ დასნეულებული ერთადერთი შვილი. მან ყრმა მოიყვანა, დადო ჯვრის წინაშე და აცრემლებულმა თქვა: “თუ მიბოძებ ამ ყრმას ცოცხალს, ავაშენებ ლუსკუმას შენს საყოფელად“. ყრმა მაშინვე განიკურნა (მეტრეველი 2008: 137).

ე) მკვდარი ყრმის აღდგინება: იყო, ასევე, ერთი ყრმა. ის უცებ დაეცა და მოკვდა. დედამ მიცვალებული აიღო და ჯვრის წინ დაასვენა. ის დილიდან საღამომდე ლოცულობდა. მას სხვები ეუბნებოდნენ: წაილე, დედაკაცო, და დამარხე, რადგან მკვდარია და აქ ნულარ აჩერებ“. მან არ წარიკვეთა სასოება, არამედ უფრო საწყალობლად ტიროდა და ლოცულობდა. საღამოს ჟამს ყრმა მოსულიერდა, თვალი აახილა და შვიდი დღის შემდეგ განიკურნა. გაცოცხლებული ყრმა დედამ წაიყვანა და ადიდებდა ღმერთს (მეტრეველი 2008: 138).

ვ) უშვილოთათვის შვილის მიცემა: იყო ერთი ქალი, სახელად ანასტო, რომელმაც წმ. ნინო ქართლში ჩამოსვლის დროს შეიფარა და ცხრა თვე თავისთან აცხოვრა. ანასტოს

ჰყავდა ქმარი, ისინი უშვილოები იყვნენ, რისთვისაც ფრიად წუხდნენ. ერთხელ წმინდა ნინოს ეჩვენა ნათლისფერი კაცი, რომელმაც უთხრა: შედი ამ ბაღში. ხეზე აშვებული ვაზია - ბაბილო, ნაძვების ქვეშ, აიღე მიწა ამ ადგილიდან, შეაჭამე მათ და ეყოლებათ შვილი. წმინდა ნინოც ასე მოიქცა (მეტრეველი 2008: 106-107).

ვფიქრობთ, რომ შემოკლებულ თარგმანებს ხელი არ შეუშლია ტექსტის შინაარსის გაგებისთვის. მიგვაჩნია, რომ მთარგმნელი თავს არიდებს აგიოგრაფიული ტექსტებისთვის დამახასიათებელი სასწაულების ინგლისურ ენაზე გადატანას. დ. ლანგის მიზანი, როგორც ის შესავალ ნაწილში გვამცნობს, იყო თანამედროვე ინგლისელი მკითხველისთვის გაეცნო ქართლის გაქრისტიანების ისტორია.

განხილულ ეპიზოდებს ეხმიანება ს. გოგიბერიძე და გამოთქვამს შემდეგ მოსაზრებას: „შეიძლება დავასკვნათ, რომ მთარგმნელი თავს არიდებს, ერთი მხრივ, იმ პასაჟების თარგმანს, რომლებიც არ მიაჩნია ტექსტის ორიგინალ ნაწილად, მეორე მხრივ - აგიოგრაფიული ძეგლებისთვის დამახასიათებელი სასწაულების სერიას“ (გოგიბერიძე 2003: 180-184).

დ. ლანგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს წმ. ნინოს სახის ადეკვატურად გადატანას თარგმანში.

დ. ლანგი იზიარებს ნინოს ტყვეობის ამბავს, რადგანაც ტექსტში არ არის არც ერთი შემთხვევა, სადაც ნინო იწოდება ტყვედ. ამავე დროს, რუფინუსის შრომის ნაწყვეტის თარგმანში იგი სწორედ ტყვე ქალზე საუბრობს და ამას სათაურშიც მიუთითებს: ‘a captive woman’ (Lang 1956: 15). აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ რუფინუსის შრომის მიხედვით დ. ლანგი იზიარებს ნინოს ტყვეობის ფაქტს. რაც შეეხება ნინოს დედოფლად სახელდებას, მთარგმნელი მხოლოდ ტექსტის ბოლოს მიმართავს ასე მას (გოგიბერიძე 2003: 180-184 ).

### **§ 3. 1. სიმბოლურ სახეთა გადატანა თარგმანში**

ცალკე ყურადღებას იმსახურებს სიმბოლურ სახეთა ინგლისურ ენაზე გადატანა. დ. ლანგი სიფრთხილით ეკიდება ორიგინალის სიმბოლურ სახეებს. პრაქტიკულად ყველა სიმბოლო, რომელიც ქართულ ტექსტშია მოცემული, შენარჩუნებულია ინგლისურ თარგმანში და ადეკვატური სახეებიც დიდი სიზუსტით არის წარმოდგენილი.

როგორც ვიცით, თარგმანი არის ორი სტრუქტურის სინთეზი, სადაც უცხო და მშობლიური ერთ მხატვრულ თვისობრიობად არის ქცეული. ეს სინთეზი რომ მყარი იყოს, ამისთვის მთარგმნელს უხდება უცხო შინაარსისა და მშობლიური ენობრივი საშუალებებით განსხეულებულ ფორმას შორის მოსალოდნელი წინააღმდეგობის განეიტრალება, რათა არ წარმოიქმნას მკვეთრი კონტრასტი მოქმედების ადგილსა და მთარგმნელის მშობლიური ენის გამომსახველობით საშუალებებს შორის. აი, ამ ამოცანის გადაწყვეტას ემსახურება თარგმანში, უპირველეს ყოვლისა, უცხო კოლორიტის შენარჩუნება (ფანჯიკიძე 1995: 108-109).

მნიშვნელოვანია სიტყვა „სვეტი ცხოვლის“ გადატანა თარგმანში. იგი ქრისტიანობის ქართული სიმბოლოა. სწორედ ამ სიმბოლოს გადატანითაა შენარჩუნებული ქართული კოლორიტი.

მცხეთაში უფლის კვართზე ამოზრდილი კვიპაროსი, ნამვი ლიბანისა, გადაიქცა ნათლის სვეტად, სულიერ, მარადიული სიცოცხლის მომნიჭებელ სვეტად, „ცხოველ“ ანუ ცხოველსმყოფელ სვეტად და სიმბოლოდ ღვთაებისა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დ. ლანგმა მთელი სიზუსტით გადაიტანა ეს სიტყვა და შემოგვთავაზა მისი ადეკვატური ინგლისური თარგმანი - „**Living Pillar**“ (Lang 1956: 31).

საქართველოს გაქრისტიანების სიმბოლოა ღვთისმშობლისაგან ბოძებული „ვაზის ნასხლავიც“, რომლისგანაც ნინომ ვაზის ჯვარი შექმნა. ის ნათარგმნ ტექსტში უცვლელად გვხვდება: ”Than the Holy Queen stretched out her hand upon a **vine-branch** which grew close to Nino’s bed and cut it off and fashioned it into a cross and gave it to Nino” (Lang 1956: 21).

ნაწარმოებში წმ. ნინო დახასიათებულია ორი თითქოს და ერთმანეთან შეუთავსებელი ტერმინით: „დედოფალი“ და „ტყვე“. ბუნებრივია, ჩნდება აზრი, რომ ადრე ნინო მოხვედრილა ტყვეობაში, რის გამოც ტყვე უწოდეს. მაგრამ ამის მსგავსი რამ ნაწარმოებში არ ჩანს. თითქოს რაღაც მიმსგავსებული შეიძლება გვეგულისხმა სომხეთის გზაზე, როცა აქაური მეფე მასსა და მის ახლობლებს შეპყრობით ემუქრება, მაგრამ ნინო გადაურჩა განსაცდელს და აქ არ უნდა შერქმეოდა მას ტყვე. არც საიმისოდ არსებობდა პირდაპირი საფუძველი, რომ ნინოსთვის ეწოდებინათ დედოფალი. რ. სირაძე ეხმიანება ამ საკითხს და ამბობს, რომ ამ სიტყვებს - „ტყვესაც“ და „დედოფალსაც“ სიმბოლური დატვირთვა აქვს. როგორც მაცხოვარმა დაიმდაბლა თავი და ეწამა, ვითარცა მონა, ჯვარს ეცვა ისევე, როგორც ეს მიღებული იყო რომაელთა მიერ მონათა მიმართ. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელიც თავის თავზე ამბობდა: მე ვარო „მხევალი უფლისა“(ლ. 22. 27). ამავე დროს, მთელს საქრისტიანო მწერლობაში ის იწოდება სულიერ დედოფლად.

ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებაზე დაყრდნობით გასაგები უნდა იყოს, რომ წმინდა ნინოს ერთსა და იმავე დროს ეწოდებოდეს დედოფალი და ტყვე. რ. სირაძის თქმით, „მთავარი მაინც ამგვარ სახელდებათა ზოგადი სიმბოლური შინაარსია. წმ. ნინო არის ქართველთა სულიერი დედოფალი და, ამავე დროს, სიმბოლური აზრით, წმინდა ნინო არის ტყვე და მსახური საქართველოსი. ამიტომ ასეც შეიძლება ვთქვათ: წმ. ნინო იმიტომაა „დედოფალი“, რომ „ტყვეა“ და „ტყვეა“ იმიტომ, რომ „დედოფალიცაა“ (სირაძე 2008: 295-296).

დ. ლანგი წერს, რომ „ეს წმინდა ქალი თავდაპირველად აღწერეს როგორც მონა გოგონა“. “This saintly woman, originally was described as a simple slave girl (Lang 1956: 14). რაც შეეხება ნინოს დედოფლად სახელდებას, მთარგმნელი მხოლოდ ტექსტის ბოლოს მიმართავს ასე მას.

### **§ 3. 2. თარგმანის ძლიერი მხარეები**



ვეთანხმებით გ. გაჩეჩილაძის მოსაზრებას, რომლის თანახმად, თუ ფორმა და შინაარსი ერთმანეთისაგან გათიშული იქნება, ნაწარმოები არ ჩაითვლება სრულფასოვნად და ამდენად აქ საქმე არ გვექნება ესთეტიკურ ფაქტთან. მაგრამ თუ ჩვენ მოვახერხებთ, შევქმნათ დედნის ანალოგიური ერთიანობა ფორმისა და შინაარსისა, მაშინ სრულფასოვან ნაწარმოებს შევქმნით და ეს იქნება ჭეშმარიტი ერთიანობა. თავისთავად ცხადია, რომ ფორმისა და შინაარსის ერთიანობაში იგულისხმება მხატვრული მთელი, რომელსაც აქვს თვისობრივი სხვაობა ნაწილების მექანიკური ჯამისგან. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს მხატვრული თარგმანის, როგორც მხატვრული შემოქმედების ფორმის, გაგებისთვის. გაჩეჩილაძის თქმით, დედნის ფორმისა და შინაარსის ერთიანობა ნიშნავს იმას, რომ დედანი, ამ შემთხვევაში, ასრულებს ცოცხალი ნატურის ფუნქციას, ხოლო თარგმანი ამ ნატურის მხატვრული ასახვაა, ისევე, როგორც მხატვრის მიერ შესრულებული პორტრეტი არის ცოცხალი ადამიანის მხატვრულად ასახვა. პორტრეტი არ არის ცოცხალი ადამიანის უბრალო ასლი, მასში ხელოვნებისათვის დამახასიათებელი პირობითობაა შეტანილი. ასეთივე გარკვეულ აუცილებელ პირობით ცვლილებას გულისხმობს თარგმანი დედნის ფორმისა და შინაარსთან შედარებით. ეს ცვლილება სრულიად აუცილებელია, თუ გვინდა ხელახლა შევქმნათ დედნის ანალოგიური ერთიანობა ახალი ენობრივი მასალისაგან. ამიტომ საუკეთესო თარგმანს გარკვეული პირობითი ცვლილება ახასიათებს დედანთან შედარებით.

მიუხედავად იმისა, რომ დ. ლანგის „წმ. ნინოს ცხოვრების“ ტექსტი წარმოადგენს ადაპტირებულ თარგმანს, განსხვავებათა მიუხედავად, ის ძირითადად ადეკვატურია ორიგინალის შესაბამისი პასაჟებისა. უფრო მეტიც, ინარჩუნებს ორიგინალი ტექსტისათვის დამახასიათებელ მხატვრულობას.

ქართულ ეროვნულ იდეოლოგიაში უდიდესი ადგილი უკავია მაცხოვრის კვართის დაბრძანებას საქართველოს უძველეს დედაქალაქ მცხეთაში. ქართველ კაცს ეს ფაქტი სიამაყეს ანიჭებდა საუკუნეთა მანძილზე.

დ. ლანგმა მთელი სიზუსტით გადაიტანა ეპიზოდის აზრობრივი შინაარსი, ამასთან, მოახდინა მისი მხატვრულად სტრუქტურირება. თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანთ ამ ეპიზოდს:

„ხოლო კვართი იგი უფლისაჲ ხვდა წილად მცხეთელთა მათ ჰურიათა, და მოიღო იგი მცხეთად ელიოზ. და მიეგება დაჲ მისი, ცრემლითა მიერ შესუარული, და მოეხვა ყელსა ძმასა თვისსა, ელიოზს და მოუღო მას სამოსელი იგი იესუდსი, შეიტკბო მკერდსა თვისსა და მყის სულნი წარჲდეს მასვე ჟამსა სამთა ამათ ტკივილთა სიმწართა: ქრისტეს სიკუდილითა, და დედისა თვისისა, და ზიარებისათჳს უარისმოფელთა ქრისტესთა. ძმისა თვისისა“ (მეტრეველი 2008: 113).

"Our Lord's Tunic fell by lot to the Jews of Mtskheta, and Elioze took it to that city. His sister greeted him with tears and threw her arms round his neck. She took the garment of Jesus and pressed it to her bosom, and immediately departed this life. The cause of her death was threefold: bitter sorrow at the killing of Christ, grief for her mother's death, and regret that her brother had been an associate of those who denied our Saviour (Lang 1956: 26).

მაგალითად: “შეიტკბო მკერდსა“, „შეტკბობა“ ნიშნავს „შემოხვევა, შეწყნარებას“ (აბულაძე 1973: 489) აქ კი ასე უნდა გავიგოთ მკერდში ჩაიკრა.

ლანგმა შინაარსობრივად და მხატვრულად თარგმანში ადეკვატურად გადაიტანა ეს სიტყვები: ‘**pressed to her bosom**’, რაც ნიშნავს „შეიტკბო მკერდსა თვისსა“, ანუ თანამედროვე ენაზე - მკერდში ჩაიკრა.

<http://dictionary.ge/ka/word/press<sup>1</sup>+II/>

ხოლო „სულნი წარჲდეს“ ინგლისურად გადატანილია, როგორც ‘departed this life’, რაც ნიშნავს - „განემორა ამქვეყნიურ ცხოვრებას“, რაც სავსებით ადეკვატურია.  
<http://dictionary.ge/ka/word/life/>

მნიშვნელოვანია ფრაზის „ეზიარა სისხლსა უფლისა“ - შინაარსობრივად სწორად გადატანა თარგმანში. როდესაც პილატემ უფალი ჯვარზე გააკრა, ამ ჯვარცმის თანამონაწილე გახდა

ელიოზ მცხეთელი. შესაბამისად, ორიგინალის ტექსტში გადმოცემულია, თუ როგორ “ეზიარა სისხლსა უფლისასა“, ანუ **თანამონაწილე გახდა ამ მოვლენისა**. ლანგისეული ინტერპრეტაცია შინაარსობრივად ზუსტად ასახავს ამ აზრს - „**associate of those who denied our Saviour**“ (Lang 1956: 26).

ძალზე საინტერესოა წმ. ნინოს თვალთ დანახული და აღწერილი არმაზის კერპის გარეგნობა. ლანგი არ იშურებს მხატვრულ ხერხებს და ორიგინალისათვის დამახასიათებელ ადეკვატურობას უნარჩუნებს თარგმანს.

„რამეთუ იხილა მუნ წმიდამან ნინო მდგომარე კაცი ერთი სპილენძისად, რომელსა ეცუა ტანსა მისსა ჯაჭვ ოქროდსი და თავსა მისსა ჩაფხუტი ოქროდსი, **სამკრენი და თვალნი მისნი იყვნეს ზურმუხტისა და ბივრტისანი**. და ეპყრა კრმალი კელსა მისსა ელვარე და ბრწყინვალე, რომელი-იგი იქცეოდა კელსა შინა მისსა. და შიშითა მისისა მიმთხვევისა და სიკუდილისა მისმიერისა არავინ განუკრძალველად შეემთხვეოდის“ (მეტრეველი 2008: 101-102).

„Nino saw this tanding figure of a man made of copper. His body was clothed in a golden coat of armour, and he had a gold helmet on his head. **His shoulder-pieces and eyes were made from emeralds and beryl stones**. In his hand he held a sword as bright as a lightning flash, which turned round in his grasp, and nobody dared touch the idol on pain of death (Lang 1956: 23).

„სამხრენი და თვალნი იყვნენ მისი ზურმუხტისა და ბივრტისა“. ინგლისურში „ზურმუხტი“ და „ბივრტი“ ადეკვატურად არის გადატანილი. „ზურმუხტი“ - “emerald”, მარგალიტაძე, ონლაინ ლექსიკონი: <http://dictionary.ge/ka/word/emerald+I/> „ბივრტი“ - “beryl”, მარგალიტაძე, ონლაინ ლექსიკონი

<http://dictionary.ge/ka/word/beryl/>

თარგმანის ასპექტით სტილის კვლევისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტრადიციული, ე. ი. ენაში დამკვიდრებული და მწერლისეული მხატვრული საშუალებების გამორჩევას და მათი ზუსტი ეკვივალენტის ძიებას. ტრადიციული

მხატვრული სახეების აღდგენა ხშირად იოლდება ბევრ ენაში მათი მგავსების გამო, რომელთა საფუძველი ხშირად არა მონათესავე ენებშიც საერთოა, მწერლისეული სახეები თავისი მოულოდნელობითა და ორიგინალობით გამოირჩევა, ისინი მწერლის სტილისტური სისტემის მნიშვნელოვან ელემენტთა რიცხვს მიეკუთვნებიან და თარგმნის ერთ-ერთ მთავარ სიძნელესაც თავად ქმნიან. მოულოდნელობისა და ორიგინალობის გამო ხშირად რთულდება მათთვის ისეთი ბუნებრივი ენობრივი ფორმების გამოძებნა, რომლებიც მკითხველს ყურს არ ეხამუშება და, ამავე დროს, ავტორის სტილის ნიშნითაა აღბეჭდილი (ფანჯიკიძე 1995: 87-88).

დ. ლანგმა მოიძია ისეთი ბუნებრივი ფორმები, რომლის საშუალებითაც თარგმანში მოახერხა მხატვრული სახის აღდგენა. მაგალითად:

„და მოიღო სეტყუად, სწორი ქვისაჲ ორთა მიერ ჳელთა მძლედ ძლივ სატყორცნებელი“ (ქართლის ცხოვრება 2008: 104).

„Hail fell in lumps as big as two fists onto the adobe of the idols“ (Lang 1956: 24).

“as big as two fist” ნიშნავს „მუშტის ოდენა“, ე. ი. მუშტის ოდენა სეტყვა წამოვიდა. ეს წინადადება მხატვრულობას არ კარგავს არც თარგმანში და ადეკვატურია დედნისა.

<http://dictionary.ge/ka/word/fist+II/>

ქვემოთ მოცემულ ლოცვაში ეკვივალენტობა დაცულია რეფერენცირებულ დონეზე. აქ აზრობრივი ინვარიანტი შენარჩუნებულია ორიგინალის ლექსიკური კომპონენტებისაგან განსხვავებული სიტყვის გამოყენებით.

‘Blessed art thou, Jesus, Son of the living God, for Thou didst from the beginning desire to save us from Satan and from hell’ (Lang 1956: 34).

„კურთხეულ ხარ შენ, უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისა ცხოველისაო, რამეთუ პირველითგანვე გინდა ხსნაჲ ჩუენი ეშმაკისაგან და ადგილსა ბნელისა“ (მეტრეველი 2008: 132).

მაგ., „გინდა ხსნა ჩვენი ეშმაკისაგან და ადგილისა ბნელისა თარგმანში გადატანითი მნიშვნელობით არის გადმოცემული. ლანგმა შემოგვთავაზა არა პირდაპირი თარგმანი არამედ ის, რაც იგულისხმება. „hell” – „ჯოჯობეთი“ (ინგლისურ-ქართული ლექსიკონი 1998: 67).

### § 3. 3. თარგმანის შედარებით სუსტი მხარეები

როგორც ტექსტების შედარებამ ცხადყო, ყველა პასაჟი ორიგინალის ტექსტების ადეკვატურია. მათში დაცულია დედნის სტილის მხატვრულობა, თუმცა არის ისეთი პასაჟებიც, სადაც დედნისათვის დამახასიათებელი მხატვრულობა, სხვადასხვა მიზეზის გამო, დარღვეულია.

მას შემდეგ, რაც წმ. ნინომ იხილა არმაზის კერპები და ხალხის თაყვანისცემა, აღივსო სინანულით და ღმერთს შეევედრა, წყალობით მოეხედა ამ ერისთვის, რათა მხოლოდ უფლისთვის ეცათ პატივი. ლოცვის დასრულების შემდეგ აღწერილია ბუნების ავბედითი სურათი:

**„მყის წამისყოფითა საღმრთოთა აღდგეს დასავლეთით ქარნი და ჰაერი ღრუბელთა თანა ხილვითა საშინელითა და ჯმითა ზარისა აღსაჯედისა ქუხილისაჲთა, და მოჰბერა ნიავმან მზისა დასავალისამან და სული ჯერკუალი სიმწარისა და სიმყრალისაჲ“ (მეტრეველი 2008: 103).**

„God immediately sent winds and hurricanes out of the west, with clouds sinister and grim in appearance. The noisy roar of thunder was heard, and at sunset a wind blew with a fetid and unpleasant smell“ (Lang 1956: 24).

„მყის წამისყოფითა საღმრთოთა აღდგეს დასავლეთით ქარნი და ჰაერი“ -თარგმანში ასეა გადმოტანილი - „God immediately sent winds and hurricanes out of the west“, რაც

ნიშნავს, რომ ღმერთმა დასავლეთიდან დაუყონებლივ გამოგზავნა ქარი და გრიგალი.“  
ეს არ არის დედნის ადეკვატური თარგმანი. ხოლო „ჯერკუალი სიმწარე“  
გადატანილია, როგორც “unpleasant smell” - სიტყვა ჯერკული – „უმვერი“ „უჯერესი“  
ცუდს ნიშნავს, ესე იგი ცუდი სიმწარის სუნს (აბულაძე 1973: 574) ხოლო “unpleasant  
smell “-არასასიამოვნო სუნს.

ზემოთ მოყვანილ მაგალითებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზოგიერთ  
მხატვრულად აღწერილ ეპიზოდს დაკარგული აქვს ეკვივალენტობა, მაგრამ შინაარსი  
სწორადაა გადმოცემული.

მზის დაბნელების ეპიზოდში დაკარგულია ის ემოცია, რაც გადმოცემულია  
დედნისეულ ტექსტში.

„და იპყრნა ბნელმან არენი და განიბნივნეს ურთიერთას ჭირისაგან და ურვისა“  
(მეტრეველი 2008: 123).

There region was enveloped in darkness and the members of the party lost touch with one  
another (Lang 1956: 29).

როგორც ვხედავთ, სიტყვები - „ჭირისაგან და ურვისა“ შემოკლებულია თარგმანში. რაც,  
ჩვენი აზრით, თარგმანს უკარგავს მხატვრულობას.

ტექსტში გვხვდება ეპიზოდი, როდესაც აღდგომის დღესასწაულის კვირა დღეს მირიან  
მეფემ და მთელმა მცხეთამ შესწირეს შესაწირი უფალს. ეს დღე მეფემ განაწესა ჯვრის  
მსახურებად. დ. ლანგმა სიტყვა მსხვერპლშეწირვა საერთოდ ამოიღო და ჩაანაცვლა  
„ლოცვის აღსრულების და მადლობის შეწირვით“ (Lang 1956: 36). გთავაზობთ  
ეპიზოდს:

„და დღესა კვირიაკესა, აღვსებისა ზატიკსა, ყო მირიან მეფემან და ყოველმან მცხეთამან  
შესაწირავი, და დღე იგი განაწესეს ჯუარისა მსახურებად აღვსებისა ზატიკი“  
(მეტრეველი 2008: 136).

„And on Easter Sunday, King Mirian and all Mtskheta **offered up prayers and thanks giving**“ (Lang 1956: 36).

“ზატიკი“ ნიშნავს „მსხვერპლს“ (აბულაძე 1975: 162), რომელიც თარგმანში საერთოდ არ გვხვდება და ჩამატებულია „offered up prayers and thanks giving“ რაც ინგლისურად „ლოცვის აღსრულებას და მადლობის შეწირვას ნიშნავს“. ონლაინ ლექსიკონი:

<http://dictionary.ge/ka/word/offer+II/>,

<http://dictionary.ge/ka/word/thanksgiving/>

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ლანგი ცდილობს, გააკეთილშობილოს რეალური მდგომარეობა და, ამასთანავე, არ დაამძიმოს ის ქრისტიანობისათვის მიუღებელი რიტუალით.

ტოპონიმების ენიდან ენაზე გადაცემის საკითხი დღესდღეობითაც პრობლემურია, თუმცა ამას ვერ ვიტყვით დ. ლანგის თარგმანებთან მიმართებაში. „წმ.ნინოს ცხოვრების“ თარგმანში ყველა ტოპონიმი ზუსტად არის გადატანილი. მაგალითად, „**მთავართ სანათლო**“ გადატანილია როგორც “**Mtavart Sanatlo**” (Lang 1956: 33)“. მას შენარჩუნებული აქვს დედნისეული ჟღერადობა. ამავე დროს, მთარგმნელი ინგლისელ მკითხველს განუმარტავს კიდეც ამ სახელწოდებას: “Mtavart Sanatlo” which means, The place where princes received baptism-„მთავართ სანათლო“, რაც ნიშნავს ადგილს, სადაც მეფე მოინათლა (Lang 1956: 33).

აქვე უნდა აღინიშნოს, წმ. ნინოს გარდაცვალების საკითხთან დაკავშირებული აზრთა სხვადასხვაობის და ურთიერთგამომრიცხავი თარიღების მიუხედავად დ. ლანგს დედოფლის გარდაცვალების პერიოდად მიჩნეული აქვს საქართველოში ჩამოსვლის არა მეთოთხმეტე, არამედ მეთხუთმეტე წელი.

„Committing her spirit in to the hands of god, she ascended to heaven in the fifteenth year from her arrival in Georgia (Lang 1956: 37).

ინგლისური ტექსტის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ საქმე გვაქვს არა მხოლოდ მხატვრულ თარგმანთან, არამედ მთარგმნელის თავისებურ ინტერპრეტაციასთან. უფრო მეტიც, დ. ლანგის თარგმანი არის „წმ. ნინოს ცხოვრების“ ახალი რედაქცია. იგი ეყრდნობა ოთხივე ქართულ რედაქციას და, ამასთანავე, განსხვავდება მათგან.



## თავი IV.

### ცხრა კოლაელი ყრმის მარტვილობა

„ცხრა კოლაელი ყრმის მარტვილობის“ შესავალ ნაწილში დ. ლანგი საუბრობს ნაწარმოების მნიშვნელობაზე. ის ევროპელ მკითხველს განუმარტავს: „წმინდა ნინოს ბიოგრაფია გვიჩვენებს, რომ საქართველოს ქრისტიანულ რეალურ მოქცევის შემდეგ, ამ ქვეყნის შორეულ კუთხეებში წარმართული რწმენა ისევ განაგრძობდა არსებობას. ცხრა კოლაელი ყრმის გულის ამაჩუყებელი ამბავი ასახავს ახლანაქადაგებ ქრისტიანობასა და ქრისტიანობამდელ სარწმუნოებას შორის კონფლიქტს, რომელიც უკავშირდება წმინდა ნინოს არცთუ ისე შორეულ პერიოდს“ “The biography of St. Nino shows us that even after Georgia's conversion to Christianity, there was many a remote corner where pagan beliefs lingered on. The touching story of the nine infant martyrs of Kola illustrates the conflict between the Christian message and the faiths of pre-Christian Georgia, and probably goes back to a period not far removed from the time of St. Nino“ (Lang 1956: 40).

აქ მეტად მნიშვნელოვანია ლანგის მოსაზრება, „წმინდა კოლაელ ყრმათა წამების“ დაწერის დათარიღებასთან დაკავშირებით. მას მიაჩნდა, რომ „ცხრა კოლაელ ყრმათა მარტვილობა“ უკავშირდება წმინდა ნინოს ცხოვრების არცთუ ისე შორეულ პერიოდს. თუმცა ნაწარმოების დაწერის თარიღთან დაკავშირებით ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში აზრთა სხვადასხვაობა დღემდე არსებობს, რომლის შესახებ მოკლედ ვისაუბრებთ.

„წმინდა კოლაელ ყრმათა წამება“ უძველესი ქართული აგიოგრაფიული მოთხრობაა, რომელშიც ასახულია ახლანაქადაგები ქრისტიანობისა და საუკუნეთა წიაღში დამკვიდრებული წარმართობის ბრძოლა, რომელიც წმინდა კოლაელი ყრმების მოწამეობით სრულდება.

როგორც ავტორი მოგვითხრობს, კოლას ხევში, ერთ სოფელში, სადაც ძირითადად წარმრთები ცხოვრობდნენ, იყო ეკლესია, სადაც მწუხრის ზარის დარეკვისას ქრისტიანები იკრიბებოდნენ და ლოცულობდნენ. კოლაელი ყრმები, რომელთაც ჯერ არ მიეღოთ ქრისტიანობა, სიხარულით ისმენდნენ გალობას, თუმცა მათ ქრისტიანი თანატოლები ეკლესიაში არ უშვებდნენ და ეუბნებოდნენ: თუ გასურთ შემოსვლა, მაშინ უნდა მოინათლოთო. კოლაელმა ყრმებმა გადაწყვიტეს მონათლულიყვნენ და ისინი მღვდელმა, ზამთრის ერთ ყინვიან ღამეს, მდინარის პირას მონათლა. ახლად მონათლულებს სურდათ სულ ქრისტიანებთან ყოფილიყვნენ, რამაც ძალიან განარისხა მათი წარმართი მშობლები. ისინი ვერც მუქართა და ვერც დაპირებით ვერაფერს გახდნენ ყრმებთან, რის შემდეგაც ამოთხარეს ორმო, ბავშვები სცემეს და ქვებით ჩაქოლეს, შემდეგ ეკალი მიაყარეს და დამარხეს.

„წმ. კოლაელ ყრმათა წამების“ ტექსტში ციტირება მხოლოდ სახარებიდან გვხვდება, როდესაც ავტორი ცხრა კოლაელი ყრმის მონათვლის ეპიზოდს გადმოგვცემს. მოძღვარი წარმოთქვამს საგალობელს, რომელშიც იესო ქრისტეს მონათვლის წმინდა წერილისეული პასაჟია ასახული.

მნიშვნელოვანია, რომ სახარება ღრმა თეოლოგიური შინაარსითა და მორწმუნეთათვის ქრისტეს წამების მაგალითად დასახვით, სრულიად განსაკუთრებულ ადგილს სწორედ II-III საუკუნეების ლიტურგიკასა და წმინდანთა მოწამეობის ამსახველ ძეგლებში იმკვიდრებს.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში „წმინდა კოლაელ ყრმათა წამების“ შესახებ ცნობები პირველად მე-19 საუკუნის დასასრულიდან გვხვდება.

პლატონ იოსელიანმა სხვა ქართველ წმინდანთა მოსახსენებლებს შორის, ათონის მთაზე, პორტაიტისას მონასტრის მრავალთაგანში მიაკვლია ცხრა კოლაელი ყრმის ხსენების დღეს, რომელიც დადებული იყო 22 თებერვალს. მეცნიერი შენიშნავდა, რომ მის ავტორად მიჩნეულია არსენი, რომელიც იყო მოძღვარი დავით აღმაშენებლისა. საეკლესიო გადმოცემით, კოლაელთა წამება უნდა მომხდარიყო „ჟამსა დორიმეს

სამცხის პატრონისა,“ თუმცა, პლატონ იოსელიანმა ისტორიული საბუთების სააგულდაგულო ძიების მიუხედავად ასეთ სახელს ვერ მიაკვლია.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ცხრა კოლაელი ყრმის ხსენების თარიღი დ. ლანგმა გადაიტანა და ეპიზოდის დასაწყისშივე წარუმძღვარა თარგმანს (**ლანგი 1956: 40**)

ნიკო მარი ამახვილებდა ყურადღებას ორ საინტერესო გარემოებაზე: 1) აგიოგრაფი ამტკიცებს, რომ ქრისტე მოინათლა ღამით; 2) ტექსტში მოყვანილია მონათვლისას წარმოსათქმელი ლოცვა, სახელწოდებით „ჟამობა“. მან გამოთქვა ვარაუდი, რომ ეს ერთადერთი ცნობაა ასეთ უძველეს დროში ქრისტიანობის არსებობისა საქართველოში (**Mapp 1903: 54**).

კორნელი კეკელიძე მიიჩნევდა, რომ „კოლაელ ყრმათა წამებაში“ წარმოდგენილია სურათი ქრისტიანობის უძველესი ხანისა, არა უგვიანეს VI საუკუნისა, რის დასტურადაც მას მიაჩნდა უაღრესი სიმარტივე მსახურებისა, კერძოდ ნათლისღების წესისა. თუმცა, ადარებდა რა იმავე კრებულში მოთავსებულ „მარტვილობას დავითისა და ტირიჭანისა“, სტილისა და ტერმინოლოგიის ანალიზის შედეგად, მეცნიერი ასკვნის, რომ „მოქმედება ორსავე ძეგლში ერთსა და იმავე ტაოს, რაიონში წარმოებს, სიუჟეტიც თითქმის ერთია: დავით და ტირიჭანი არიან ძმები და მცირეწლოვანი ყრმანი, კოლაელნი სულიერი ძმები არიან და ყრმანნი მცირეწლოვანნი; იმათაც და ამათაც კლავენ ქრისტიანობისათვის უახლოესი ნათესავები: დავით - ტირიჭანს - მკვიდრი ბიძა, კოლაელ ყრმებს - მშობლები. ამ ორი ნაწარმოების ასეთი ნათესაობა გვაფიქრებინებს, რომ ისინი: 1) ან ორივე ორიგინალური ნაწარმოებია არა უდიდესი მეცხრე საუკუნისა, და ამით აიხსნება, რომ ისინი, კერძოდ დავით-ტირიჭანის მარტვილობა, სომხურად არ შენახულან, ანდა 2) ორივე ორიგინალური სომხური ნაწარმოებია, ქართულად ნათარგმნი არა უაღრეს მეცხრე საუკუნისა, - სომხურად ისინი განგებ მოუსპიათ, როგორც არასასიამოვნო დოკუმენტი ქრისტიანობისა და წარმართობის ბრძოლისა სომეხთა შორის, ქართულად კი შეუნახავთ, ვინაიდან მათში

აღწერილი ამბავი მოხდა ქართველთა ტერიტორიაზე, ტაოს რაიონში“ (კეკელიძე 1980: 516-519).

ილია აბულაძის თქმით, „კოლაელ ყრმათა მარტვილობა“ შესაძლოა ტაოელ სომეხს დაეწერა ქართულად. თუმცა მისივე შენიშვნით, ძეგლებში გვხვდება ქართული ტერმინები: „ჯევი“, „სოფელი“ და „მთავარი“ .

მარიამ ლორთქიფანიძე შენიშნავს, რომ ცხრა ძმა კოლაელთა მარტვილობა თავისი შინაარსით უცხოა მე-9 საუკუნის საქართველოსთვის, ისევე როგორც უცხოა ის ამ ხანის სომხეთისათვის. თუმცა, ის იზიარებს ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს, რომ ძეგლი შესაძლოა მე-9 საუკუნეშია შექმნილი თუ გადაკეთებული (ლორთქიფანიძე 1966: 57).

პავლე ინგოროყვა ძეგლის დაწერის თარიღის განსაზღვრისას ყურადღებას ამახვილებდა მონათვლის წესის უძველესობაზე და ასკვნიდა, რომ ის დაწერილია არა უგვიანეს IV-V საუკუნეებისა (ინგოროყვა 1977)

როგორც ვხედავთ, ძეგლის დაწერის დათარიღების განსაზღვრისას მთავარ ამოსავალ წერტილად აღებულია საღვთისმსახურო წესები, რომელთა აღწერისას ავტორი გარკვეულწილად საკუთარი ეპოქის სურათსაც გადმოცემს. ჩვენ დანამდვილებით არ შეგვძლია განვსაზღვროთ, თუ რას ეყრდნობოდა ლანგი, როცა მიიჩნევდა, რომ ცხრა კოლაელი ყრმის ამბავი უკავშირდება წმინდა ნინოს არცთუ ისე შორეულ პერიოდსო, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ დაწერის თარიღად IV-VI ს. ს. მიიჩნევდა.

„კოლაელ ყრმათა წამება“, ისევე როგორც ქრისტიანობის თავდაპირველი ხანის მარტვილოლოგიური თხზულებები ფორმის და შინაარსის უბრალოებით გამოირჩევა. იგი მცირე მოცულობისაა და მოკლებულია მხატვრულობას. თვით ძეგლიც ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ათონის ქართველთა მონასტერში დაცულ X ს. ხელთნაწერიდგან. ეს ნაწარმოები მოხსენიებული იყო უკვე იმერეთის მეფის სოლომონის, ნამოდგვრალის - ილარიონის აღწერილობაში, ამას გარდა აღ.

ცაგარელის კატალოგში (сведения, I,4,№ 29), გამოცემულია ნ. მარის მიერ (Mapp 1903: 54).

შესავალ წერილში ლანგი სწორედ მიუთითებს, რომ მან ცხრა კოლაელი ყრმის თარგმანი გადმოიტანა ნ. მარის მიერ გამოცემული ორიგინალი ტექსტიდან.

ეს უძველესი ორიგინალური ნაწარმოები გამოირჩევა ენის სიძველით და სირთულით, მისი თარგმანი კი ლექსიკურ ერთეულთა სიზუსტით. დ. ლანგის განმარტებით, ეს თარგმანი წარმოდგენილია შემოკლების გარეშე, პროფესორ ნიკო მარის გამომცემლობიდან, რომელიც გამოირჩევა ორიგინალის ფორმისა და შინაარსის სიზუსტით:

მოვიყვან რამდენიმე მაგალითს, სადაც თარგმანი პასაჟები ადეკვატურია დედნისა. მაგ.: წარმართი და ქრისტიანი ბავშვები ყოველდღე ჩვეულებრივ იკრიბებოდნენ სათამაშოდ და დღის ბოლომდე ერთად თამაშობდნენ, ვიდრე საღამოს ლოცვაზე არ წავიდოდნენ ეკლესიაში: „შეკრებიან ყრმანი ქრისტიანეთად და წარმართთანი მღერად ვითარცა [არს] ჩუეულებად ყრმათად“ (Mapp 1903: 56).

„The Christian and pagan children used to **meet at play**, as children will, and frolic together all day“ (Lang 1956: 40).

აქ საყურადღებოა სიტყვა „მღერას“ მნიშვნელობის განსაზღვრა, იგი ძველი ქართული სიტყვაა და თამაშს ნიშნავს (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1958: 1185).

ზემოთ მოცემულ მაგალითში, დ. ლანგს ძველი ქართულ სიტყვა „მღერა“ ზუსტად გადმოაქვს ინგლისურ თარგმანში, როგორც **“meet at play”** რაც ინგლისურად ნიშნავს - სათამაშოდ ხვდებოდნენ ერთმანეთს: <http://dictionary.ge/ka/word/play+I/>

როდესაც წარმართი ბავშვები მიდიოდნენ ეკლესიის კართან, ქრასტიანები მათ ეკლესიაში არ უშვებდნენ და ეუბნებოდნენ, რომ ისინი კერპთაყვანისმცემლების შვილები იყვნენ და არ შეიძლებოდა მათი ეკლესიაში შესვლა, რის გამოც ბავშვები გულნაწყენნი და შერცხვენილები ბრუნდებოდნენ უკან: „და ვითარცა მიიწინიან

კართა ეკლესისა. არა შეუტევინ ქრისტეანეთა ეკლესიად. არამედ ესრწოთ ჰრქჳან მათ ვითარმედ: თქუენ შვილნი ხართ მეკერპეთანი და არა ჯერ - არს შემოსვლაჲ თქუენი სახლსა ღმრთისასა: და იგინი წარვიდიან გულკლებულნი და სირცხვლეულნი და მრავალ გზის ყვიან ესრწოთ ყრმათა მათ“ (Mapp 1903: 56).

„But when they reached the church door, the Christians would not let them come inside, but sad to them, ‘You are sons of idolaters, and not fit to be admitted into God’s house.’ And they went away downcast and ashamed” (Lang 1956: 41).

მნიშვნელოვანია სიტყვა „გულკლებულნის“ გადატანა ინგლისურ თარგმანში. „გულკლებულნი“ ძველი ქართული სიტყვაა და გულნაწყენს ნიშნავს (აბულაძე 1973: 101).

ინგლისურ თარგმანში ლანგმა „გულნაწყენს“ ადეკვატური სიტყვა შეუსაბამა და გადაიტანა, როგორც **“downcast”**, რაც სავსებით მართებულია: „downcast“ ინგლისურად ნიშნავს დამწუხრებულს, დადარდიანებულს“ (ინგლისურ-ქართული ლექსიკონი).

როდესაც მღვდელმა გადაწყვიტა მოენათლა ყრმები, იგი სხვა ქრისტიანებთან ერთად მდინარის თავთან მივიდა. ამ დროს ზამთრის პირი იდგა და ღამით ყინავდა: „მაშინ წარვიდა მღვდელი იგი თავსა ზედა მდინარისა მის დიდისასა. და მასთან სიმრავლჳ ქრისტეანეთად. და იყვნეს ყრმანიცა იგი წარმართთანი მათ თანა: იყო ჟამი ზამთრისად და ღამჳ ნეფხვისად“ (Mapp 1903: 57).

“Then the priest went out to the source of the great river, and many Christians with him. Also with them were the pagan children it was winter-time, and a frosty night (Lang 1956: 41).

აქ მნიშვნელოვანია სიტყვა „ნეფხვისად“ გადატანა თარგმანში. „ნეფხვისად“ ძველი ქართული სიტყვაა და ყინვიანს ნიშნავს (აბულაძე 1973: 328).

ინგლისურ თარგმანშიც ლანგმა მას ადეკვატური სიტყვა შეუსაბამა და გადაიტანა, როგორც **“frosty”**, რაც ინგლისურად „ყინვიანს/სუსხიანს“ ნიშნავს (ინგლისურ-ქართული ლექსიკონი).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნ. მარმა ტექსტი X საუკუნის ხელნაწერიდან გადმოიტანა. სადაც ის აღნიშნავს, რომ ტექსტი მეტისმეტად ძველია და გამოირჩევა არქაიზმებით. შესაბამისად, ნ. მარმა შეუცვლელად დატოვა ისეთი არქაული სიტყვები, როგორც არის ტექსტში „დაალებნეს“ და „აჰაძდენ, მაგრამ უნდა ყოფილიყო „დალებნეს“ და „ჰაძდენ“ (Mapp 1903: 55). აქვე განვსაზღვროთ მათი მნიშვნელობა: „ჰაძდენ“ ნიშნავს სხვის მსგავსად ქცევას ( ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1950: 1001), ხოლო „დალებნეს“ დალურჯებას (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1958: 488).

რაც შეეხება ინგლისურ თარგმანს, ამ ცვლილებას ხელი არ შეუშლია დ. ლანგისთვის, სემანტიკურად ზუსტად გადაეტანა ეს სიტყვები ნათარგმნ ტექსტში, მაგ., „და ჰბრძანეს თავნი მათნი და დაალებნეს ჯორცნი მათნი ფიცხლითა მით ცემითა“ (მარი 1903: 58).

„Struck them about the head and beat them **black and blue**” (Lang 1956: 42).

ინგლისურად „**struck**“ ნიშნავს დარტყმა, შეჯახებას, ხოლო **beat black and blue** - ცემით დალილავებას (მაგრად მიბეგვას) (ინგლისურ-ქართული ლექსიკონი 1996: 91).

მნიშვნელოვანია, რომ უძველეს ხანებში ქართულ ენაზე შექმნილ ნაწარმოებში სახარება ორჯერაა ციტირებული, რომელიც ინგლისელმა მეცნიერმა მთელი სიზუსტით გადაიტანა თარგმანში: „რომელმან არა დაუტევოს მამაჲ თვისი, და დედაჲ თვისი, დანი და ძმანი, ცოლნი და შვილნი, და არა აღილოს ჯვარი თვისი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს“ (მათე, X, 38);

„Whoever will not leave his father and mother, his sisters and brothers, his wife and children, and will not take up his cross and follow me, the same is not worthy of me” (Lang 1956: 41).

„მისცეს ძმამან ძმაჲ სიკუდიდ და მამამან შვილი; და აღდგენ მამა-დედანი შვილთა მათთა ზედა და მოჰკლვიდნენ მათ“ (მათე, X, 21; მარკოზი, XIII, 12).

“Brother shall put brother to death, and the father the son, and fathers and mothers shall rise up against their children and kill them (Lang 1956: 43).

ჩვენ მიერ ტექსტების შედარებამ ცხადყო, რომ დ. ლანგს „ცხრა კოლაელი ყრმის მარტვილობა“ თარგმნილი აქვს ნიკო მარის გამომცემლობიდან, რომელიც ეყრდნობა ათონის მთის ქართული მონასტრის X ს. ხელნაწერს. მიუხედავად იმისა, რომ ნ. მარმა უცვლელად გადმოიტანა ყველა ის არქაული სიტყვა, რომელიც გაუგებარი იქნებოდა თანამედროვე მკითხველისთვის, ლანგისთვის ამ სიძველეს ხელი არ შეუშლია, სემანტიკური სიზუსტით გადმოეტანა ისინი თარგმანში. აღსანიშნავია ისიც, რომ „ცხრა კოლაელი ყრმის მარტვილობის“ თარგმანი ფორმით და შინაარსით ადეკვატურია დედნისა.

**თავი V.**



## მარტვილი დედოფალი: წამება წმინდა შუშანიკისა

### § 5. 1. იაკობ ხუცესის „წმ. შუშანიკის წამება“- ეკვივალენტურობის პრობლემა თარგმანში

ქართული აგიოგრაფიული მწერლობის ერთ-ერთი შედევრი იაკობ ხუცესის „წმიდა შუშანიკის წამება“ თავისი მხატვრული ღირსებებითა და მძაფრი პრობლემატიკით სათავეს უდებს მრავალსაუკუნოვან ქართულ მხატვრულ პროზას.

ჩვენ შევეცდებით განვიხილოთ დ. ლანგის ინტერპრეტაცია, წარმოვაჩინოთ, ერთი მხრივ, მისი შეხედულებები და მეორე მხრივ, დავადგინოთ, თუ რამდენად ზუსტად აქვს გადატანილი ტექსტის შინაარსობრივი და ენობრივი მხარე.

ვიდრე დევიდ ლანგის თარგმანებზე ვისაუბრებთ, უნდა აღინიშნოს, რომ იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“ რამდენიმე უცხოურ ენაზეა თარგმნილი. დედოფლის მოწამეობრივ აღსასრულს, თხზულებაში წამოჭრილ ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებს, მის მხატვრულ ღირსებას არაერთი უცხოელი მეცნიერი შეეხო. ცნობები ნაწარმოების ავტორისა და წმ. შუშანიკის წამების შესახებ შესულია საზღვარგარეთ გამოცემულ ენციკლოპედიებსა თუ ლექსიკონებში (მენაბდე 1978).

იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“ თარგმნა ლათინურ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, ესპანურ, რუსულ და უნგრულ ენებზე. ინგლისურ და რუსულ ენებზე თხზულების რამდენიმე თარგმანი არსებობს. ცალკე აღნიშვნის ღირსია კრებული „შუშანიკის წამება“, რომელიც 1983 წელს დაიბეჭდა თბილისში (გამომცემლობა „ხელოვნება“). წიგნის შემდგენელ-რედაქტორია ოთარ ეგაძე (ეგაძე 1983). მასვე ეკუთვნის წინათქმა, რომელიც თარგმნილია უცხოურ ენებზეც. გამოცემაში თავმოყრილია „შუშანიკის წამების“ თარგმანები რუსულ, ლათინურ, ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ და გერმანულ ენებზე. ზოგიერთი თარგმანი სპეციალურად ამ გამოცემისთვისაა შესრულებული (კერძოდ, ინგლისური, ესპანური, გერმანული).

პირველი უცხოელი მეცნიერი, რომელიც დაინტერესდა „შუშანიკის წამების“ შინაარსითა და მასში წამოჭრილი პრობლემატიკით, იყო მარი ბროსე (1802-1880). როგორც ცნობილია, მან გამოაქვეყნა ჯუანშერის ისტორიული თხზულება „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“. აღნიშნულ თხზულებაში ნათქვამია, რომ ვარსკენმა დედოფალი შუშანიკი აწამა ბაკურის მეფობის დროს, IV საუკუნის მეორე ნახევარში. აქვე შენიშნულია, რომ ბაკურ მეფემ ვარსკენი სიკვდილით დასაჯა (ბროსე 1849). მარი ბროსე იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც კრიტიკულად შეაფასა ჯუანშერის ეს ცნობა და მას შემდგომში სხვა ავტორებიც (ვახუშტი ბაგრატიონი, ანტონ I და სხვა) იმეორებდნენ. წმ. შუშანიკის წამება V საუკუნის ფაქტად მიიჩნია ჯერ კიდევ პ. იოსელიანმა, რომელმაც ასეთი დასკვნა სომხური მასალების საფუძველზე გამოიტანა, მაგრამ მას ეს საკითხი საგანგებოდ არ განუხილავს. მ. ბროსემ კი, როგორც ჯუანშერის თხზულების ქართული ტექსტისა და მისი ფრანგული თარმანის გამომცემელმა, დეტალურად გააანალიზა ქართველი მემკვიდრის უწყება, შეუპირისპირა იგი სომხური საისტორიო წყაროების ცნობებს და სწორად გადაჭრა აღნიშნული საკითხი: მან წმ. შუშანიკის წამება ვახტანგ გორგასლის მეფობის ხანას დაუკავშირა (აქ ნაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ წმინდანის გარდაცვალების წლის დადგენისას მ. ბროსე ცდებოდა).

ამდენად, მ. ბროსემ ვარსკენი და წმ. შუშანიკი ვახტანგ გორგასლის ეპოქის მოღვაწეებად მიიჩნია. მან ვარსკენი ქვემო ქართლის (სომხეთის, გუგარქის) მფლობელად ცნო და მისი რეზიდენციის - ცურტავის - ადგილმდებარეობის დადგენაც გადაწყვიტა. ამ მიზნით მან ყურადღება მიაქცია სომეხი ისტორიკოსის - უხტანესის უწყებას შუშანიკის უფრეთის (ოფრეთის) ციხეში წამების შესახებ, გამოიყენა ლაზარე ფარპეცის ცნობა ვახტანგ გორგასლის მიერ ვარსკენის სიკვდილით დასჯის შესახებ და ა.შ. ყოველივე ამან მ. ბროსეს საშუალება მისცა, კატეგორიულად უარეყო ჯუანშერის თვალსაზრისი წმ. შუშანიკ დედოფლის VI საუკუნის მეორე ნახევარში წამების შესახებ (მენაბდე 1978: 120-121).

იაკობ ცურტაველის „შუმანიკის წამება“ მოხსენიებულია ფრანგი მეცნიერის - ჟოზეფ კარსტის ვრცელ ნარკვევში - „Littérature géorgienne chrétienne“ („ქართული ქრისტიანული ლიტერატურა“), რომელიც კ. კეკელიძის ორტომიანი ნაშრომის საფუძველზეა შედგენილი. ძველი ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობის მიმოხილვაში არის ნაკვეთი “Vie de sainte Chouchanik” („ცხოვრება წმინდა შუმანიკისა“) (კარსტი 1934: 74-76), რომელშიც, კ. კეკელიძის ნაშრომის გარდა, აშკარად ჩანს მ. ბროსეს ზემოთ დასახელებული გამოკვლევის გავლენა. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ისტორიულ-ქრონოლოგიური თუ სხვა ხასიათის შეცდომები და არმენოფილური ტენდენციები, რომლებიც ამ ნარკვევში გვხვდება.

1964-1972 წლებში პარიზში გამოსულ ქართველოლოგიურ ჟურნალში - „რევიუ დე კარტველოლოჟი“ („ბედი ქართლისა“) - პერიოდულად ქვეყნდებოდა ჟურნალის დამაარსებლისა და რედაქტორის, კალისტრატე სალიას (1901- 1986), ვრცელი ნარკვევი - „La Littérature géorgienne“ („ქართული ლიტერატურა“). აღნიშნულ ნარკვევში ავტორი ეხება „შუმანიკის წამებას“ (სალია 1964: 34-35; სალია 1972: 207). კერძოდ, საქართველოს ეკლესიის წმინდანების - წმ. ევსტათი მცხეთელის, წმ. აბო თბილელის, წმ. კონსტანტი კახის, წმ. გრიგოლ ხანძთელის გვერდით ის საგანგებოდ მოიხსენიებს დედოფალ შუმანიკის ღვაწლს, ხოლო “შუმანიკის წამებას“ განიხილავს, როგორც ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებს. ნაკვეთში - “Le Martyre de Chuchanik” („შუმანიკის წამება“) (კ. კეკელიძის, ა. ბარამიძისა და სხვა ქართველ მეცნიერთა ნაშრომებზე დაყრდნობით) მოცემულია ცნობები იაკობ ცურტაველის, მისი თხზულების დათარიღების, V საუკუნის საქართველოს სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ (სალია 1972; 207).

იაკობ ცურტაველის „შუმანიკის წამების“ ყველაზე ადრინდელი თარგმანი ეკუთვნის პაულ პეტერს (1870-1950), ცნობილ აღმოსავლეთმცოდნეს, ბელგიის სამეფო აკადემიის წევრს, რომელმაც ბელგიაში საფუძველი ჩაუყარა ქართველოლოგიურ კვლევას. 1935 წელს მან გამოაქვეყნა „შუმანიკის წამების“ ლათინური თარგმანი და ვრცელი გამოკვლევა ფრანგულ ენაზე *Sainte Sousanik, martire en Mirméno-Georgie*

(„წმინდა შუმანიკი - ქართველებისა და სომხების მარტვილი“, პეტერსი 1935), რომელშიც განიხილა ნაწარმოების ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები. მკვლევრის აზრით, ჩვენამდე მოღწეული ტექსტი „შუმანიკის წამებისა“ არ ეკუთვნის წმ. შუმანიკის თანამედროვე იაკობს. მას ამგვარად ესახება ამ თხზულების სომხური და ქართული რედაქციების წარმოშობა: ქართველ-სომხთა საეკლესიო განხეთქილების (VII ს.) შემდეგ იმის დასამტკიცებლად, რომ შუმანიკი ქართველი წმინდანია, ქართველებმა დაწერეს „შუმანიკის წამების“ აგიოგრაფიული თხზულება, რომელიც მალე დაიკარგა. ამიტომ ვერ უპოვია მას ასახვა ძველ ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში. ამის საპასუხოდ სომხებმაც დაწერეს „შუმანიკის წამება“ (ქართული თხზულების გამოყენებით) წმინდანის სომხობის დასამტკიცებლად. სომხური რედაქცია გავრცელდა. იგი ეკლესიაში გამოყენების მიზნით შემოკლდა და გაჩნდა სომხური მოკლე რედაქცია, რომელიც 940 წლის მახლობლად ქართულად ითარგმნა. ამის შემდეგ ქართველებმა სომხურიდან თარგმნილი მოკლე რედაქციის გასაბათილებლად დაწერეს დღეს ჩვენამდე მოღწეული იაკობის სახელით ცნობილი „შუმანიკის მარტვილობა“. ამ გამოკვლევას ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ გამოეხმაურნენ კ. კეკელიძე, ი. აბულაძე და სხვ. მათ განიხილეს და გააკრიტიკეს ნაშრომში წამოყენებული მცდარი დებულებები (კეკელიძე 1980;119-121; აბულაძე 1938; 020-063). თუმცა, უნდა ითქვას, რომ კ. პეტერსის ტენდენციური უზუსტობები შემდგომშიც გამოიყენა ზოგიერთმა არაკეთილმოსურნე მეცნიერმა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ბოლო დროს თავისი პოზიცია გამოთქვა ე. ხინთიბიძემ ნარკვევში - „ევროპაში ქართული ლიტერატურის კვლევის მეცნიერული ღირებულებისათვის“, რომელიც არსებითად უცხოელ ქართველოლოგთათვისაა განკუთვნილი. მკვლევარმა სრულად და ამომწურავად წარმოადგინა საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკა. ე. ხინთიბიძის თქმით, პეტერსის მსჯელობა გაუგებრობაზეა აგებული. „შუმანიკის წამების“ ჩვენამდე მოღწეული ქართული ვრცელი რედაქცია დაწერილია წმ. შუმანიკის მოძღვრის, იაკობ ხუცესის მიერ 475-484 წლებში. ამის საფუძველზე ქართულ-სომხური საეკლესიო განხეთქილების შემდეგ სომხურად დაუწერიათ სომხური ვრცელი

რედაქცია „შუმანიკის წამებისა“, რომლისგანაც შემდეგ შექმნილია მოკლე სვინაქსარული რედაქცია. ეს უკანასკნელი უთარგმნიათ ქართულად. ქართული ვრცელი რედაქციის პირველადობას სომხურ ვრცელ რედაქციასთან მიმართებით ამტკიცებს შემდეგი გარემოებანი: ა) ქართულ რედაქციაში სომხურისაგან განსხვავებით შემონახულია ქრონოლოგიური, გეოგრაფიული და საყოფაცხოვრებო დეტალები, რომელთა გვიანდელი ჩართვა სომხურიდან თარგმნილ ტექსტში არაა მოსალოდნელი; ხოლო მათი გამოტოვება ქართულიდან სომხურად ადვილი დასაშვებია. ბ) სომხურ რედაქციაში ქართულთან შედარებით მეტია ვრცელი პოლემიკა ქართულ ეკლესიასთან და შუმანიკის სომხური წარმოშობის მტკიცება, რაც ასახავს სომხურ - ქართული განხეთქილების შემდგომი პერიოდის ვითარებას. ქართულ რედაქციაში კი არ ჩანს სომხულ ეკლესიასთან პოლემიკის არც ერთი კვალი. პირიქით, გარკვევითაა მითითებული შუმანიკის სომხური წარმოშობა. ეს პოზიცია ასახავს სომხურ-ქართული საეკლესიო ერთიანობის ვითარებას. გ) ქართული რედაქცია თავისი სტილითა და კომპოზიციით შეესაბამება ბიზანტიური აგიოგრაფიის განვითარების ადრინდელ ეტაპს (IV-VI საუკუნეები); მაშინ, როცა სომხური რედაქცია საყოფაცხოვრებო დეტალების ამოღებით და ვრცელი ლოცვების ჩართვით შემდგომი ეტაპის აგიოგრაფიული სტილის ნიშნებს ავლენს.

„შუმანიკის წამება“ ფრანგულ ენაზე თარგმნა სერგი წულაძემ (1916-1977). ეს თარგმანი პირველად დაიბეჭდა 1978 წელს ჟურნალ რევიუ დე ქართველოლოჯის“ („ბედი ქართლისა“) ოცდამეთექვსმეტე ტომში, სათაურით: “Traduction du martyre de sainte Chouchanik, du V siècle, premier monument de la littérature géorgienne” (წულაძე 1978: 56-58). თარგმანს წამძღვარებული აქვს ნ. სალიას წინათქმა, რომელშიც ავტორი მკითხველს აცნობს ს. წულაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მის სხვა პოეტურ თარგმანებს.

„შუმანიკის წამების“ ს. წულაძისეულ თარგმანს საქართველოში სათანადო გამოხმაურებაც მოჰყვა. ს. თურნავას დაკვირვებით, „სერგი წულაძის ფრანგული თარგმანი შესრულებულია პროფ. ილია აბულაძის 1938 წლის გამოცემის

საფუძველზე. ქართული ტექსტის თარგმანთან შეჯერებამ დაგვარწმუნა, რომ მთარგმნელი ამჟღავნებს ძველი ქართული ენის კარგ ცოდნას, შენარჩუნებული აქვს ავტორისეული განწყობილება, ითვალისწინებს ორიგინალის ენასა და სტილს ... კარგი საქმე გაკეთდა ს. წულაძის თარგმანის გამოქვეყნებით - ფრანგულენოვანი სამყარო ახლოს გაეცნო ქართული მწერლობის ამ უბრწყინვალეს ძეგლს“ (თურნავა 1979).

როგორც აღვნიშნეთ, 1983 წელს გამოცემული 345 გვერდიანი წიგნი “შუშანიკის წამება“ იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ სპეციალურად ამ გამოცემისთვის თხზულება ითარგმნა ზოგიერთ უცხოურ ენაზე, მაგალითად, ესპანურად. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ესპანურ ენაზე ქართული ლიტერატურა ნაკლებადაა თარგმნილი, მით უმეტეს - ძველი ტექსტები. ამდენად, „შუშანიკის წამების“ ესპანური თარგმანი, რომელიც ამ კრებულშია გამოქვეყნებული, მეტად მნიშვნელოვანია. თარგმანი ეკუთვნის ადელა მარტინეს-მარტინესს. მას ერთვის წინასიტყვაობა ესპანურ ენაზე (მარტინესი 1983: 269-274), იგი შედგება ოცი თავისაგან, ახლავს კომენტარები და განმარტებები (მარტინესი 1983: 306) და გაფორმებულია ზ. ლაბაძის ილუსტრაციებით.

აღსანიშნავია, რომ ინგლისურ ენაზე არსებობს „წმ. შუშანიკის წამების“ სამი თარგმანი. ამათგან ყველაზე ადრინდელია ცნობილი ქართველოლოგის, დევიდ მარშალ ლანგის თარგმანი, რომელიც ლონდონში 1956 წელს გამოიცა. სწორედ ეს თარგმანი იქნება ჩვენი განხილვის საგანი, რომლის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

დ. ლანგი წიგნში “The Georgians” (ქართველები) (ლანგი 1966) ქართულ ლიტერატურაზე საუბრისას მოკლედ ეხება „წმ. შუშანიკის წამების“ პრობლემატიკასაც: საუბრობს იაკობ ცურტაველზე, თხზულების შექმნის თარიღზე (476-483), ვარდან მამიკონიანს მოიხსენიებს, როგორც სომხეთის ეროვნულ გმირს. აქვე მოთხრობილია ვარსქენისა და შუშანიკის ურთიერთობის, ვარსქენის გამაზდეანების, ანუ სპარსული ორიენტაციის მიღების შესახებ. დ. ლანგის სიტყვით, ეს არის ტრაგიკული და დრამატული ისტორია თავისი რეალური დეტალებით, პერსონაჟთა ხასიათებით... საინტერესოა ისიც, რომ წმ. შუშანიკისა და ვარსქენის გვერდით ავტორი საგანგებოდ ჩერდება თხზულების მეორეხარისხოვან პერსონაჟებზე (სპარსი კაცი,

დიაკვანი...), გამოყოფს ჯოჯიკს, რომელიც ბევრს ზრუნავდა შუშანიკზე, მაგრამ ვერ შეძლო, თავიდან აეცილებინა საბოლოო ტრაგედია. ლანგის აზრით, ეს ტექსტი მნიშვნელოვანია როგორც სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობათა შესასწავლად, ასევე, V საუკუნის საქართველოს რელიგიური კონფლიქტების გასაანალიზებლად. იაკობ ცურტაველი რეალურად ასახავს იმდროინდელ ყოფა-ცხოვრებას. დ. ლანგი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას იმ ბუნებრივ კლიმატური პირობების აღწერაზე, რომელშიც წმ. დედოფალი ეწამა. იგი სათანადო მონაკვეთსაც იმოწმებს თხზულებიდან (ლანგი 1966: 154-155).

„შუშანიკის წამების“ მეორე ინგლისური თარგმანი დაიბეჭდა 1983 წელს, თბილისში, მისი სათაურია: „The Martyrdom of the Blessed Queen Shushanik“ („წამებად წმიდისა შუშანიკისა დედოფლისა“) („შუშანიკის წამება“ 1983: 191-223), ხოლო მთარგმნელი - ელიზაბეტ ფაუერი. ტექსტს უძღვის ო. ეგაძის წინასიტყვაობა ინგლისურ ენაზე (ფაუერი 1983: 185-190), რომელშიც მოკლედ მიმოხილულია თხზულების ძირითადი საკითხები და ისტორიული ვითარება. ეს არის „წმ. შუშანიკის წამების“ სრული თარგმანი, რომელიც შედგება 19 თავისაგან. როგორც ირკვევა, ის შესრულებულია რუსული (კ.კეკელიძისეული) თარგმანის მიხედვით.

რაც შეეხება მესამე თარგმანს, ის 2006 წელს გამოიცა. თარგმანი ეკუთვნის ჯუმბერ ჩოლობარგიას. წიგნი მცირე ფორმატისაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი აღჭურვილია სამეცნიერო აპარატით, გაფორმებულია მ. მალაზონიას ილუსტრაციებით. ეს არის ორენოვანი, კერძოდ, ქართულ-ინგლისური გამოცემა: „იაკობ ცურტაველი, წამება წმინდისი შუშანიკისი დედოფლისა“. Jacob Tsurtaveli, „The Martyrdom of the holly Queen Shushanik“ („შუშანიკის წამება“ 2006).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დისერტაციის ამ ნაწილში საუბარი გვექნება ცნობილი ქართველოლოგის, დ. მარშალ ლანგის „შუშანიკის წამების“ ინგლისურენოვან თარგმანზე. ნაშრომის შესავალი ნაწილი, რომელიც წინ უძღვის თარგმანს სათაურით: „წამებული დედოფალი: წმ. შუშანიკის მარტვილობა“ („A MARTYRED PRINCESS: THE PASSION OF ST. SHUSHANIK“-ლანგი 1956; 44), მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც

აქ დ. ლანგი, როგორც მკვლევარი, მიმოიხილავს თხზულების ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებს. იგი აღნიშნავს, რომ თხზულებაში მკაფიოდ ვლინდება ავტორის სახელმწიფოებრივი და სარწმუნოებრივი ტენდენცია. დ. ლანგის მიხედვით, სომხეთ-საქართველოს მომიჯნავე რეგიონის გამგებელმა, ვარსკენ პიტიახშმა, პოლიტიკური მოსაზრებით მიიღო მაზდეანობა და ამით დაიმსახურა ირანის ყურადღება და კეთილგანწყობა. მის მოღალატეობრივ საქმიანობას წინ აღუდგა შუშანიკი, რომელმაც გადაჭრით უარყო მაზდეანობა, რელიგია, რომელსაც ჩვენს ხალხს თავს ახვევდა მოძალადე ირანი. შუშანიკის შეურყეველმა გადაწყვეტილებამ და ადგილობრივი ქრისტიანული სარწმუნოების მტკიცედ დაცვამ მძიმე მდომარეობაში ჩააყენა ვარსკენი, რადგან მან ვერ შეუსრულა პირობა ირანის შაჰს. ამ ამბავმა პიტიახში განარისხა და წმ. შუშანიკი უმოწყალოდ ტანჯა და აწამა. დ. ლანგის დაკვირვებით, „შუშანიკის წამება“ საინტერესოა სოციალური ისტორიის თვალსაზრისითაც, რადგანაც იგი პასუხს სცემს ისეთ საკითხებს, როგორცაა ქალსა და მამაკაცს შორის დამოკიდებულება ადრეულ ქრისტიანულ საზოგადოებასა და უძველეს კავკასიაში (ლანგი 1956: 44-45).

შუშანიკის წამება“ ქართული ქრისტიანობის გარიჟრაჟზე შექმნილი ძეგლია და სათავეს უდებს ახალი ტიპის მწერლობის განვითარებას.

საქართველოში მწიგნობრობა თავდაპირველად მთარგმნელობითი გზით ვითარდებოდა, ითარგმნებოდა ყველაფერი, რაც ქრისტიანულ ღვთისმსახურებას სჭირდებოდა, პირველ რიგში კი ისეთი მნიშვნელოვანი წიგნები, როგორცაა: ბიბლია ანუ საღვთო წერილი, ხოლო ყოველივე ამას მალე მოჰყვა სასულიერო მწერლობის სხვა მრავალფეროვანი დარგების აღორძინება, რომელთა შორის, მხატვრული სიტყვის განვითარების თვალსაზრისით, განსაკუთრებით საგულისხმოა აგიოგრაფია და სასულიერო პოეზია.



უკვე ამავე დროიდან ჩასახვას იწყებს ქართული ორიგინალური ქრისტიანული მწერლობაც, რომლის ერთი უპირველესი ნიმუშია სწორედ „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისა დედოფლისაჲ“.

თავისი მიმართულებით „შუშანიკის წამება“ აგიოგრაფიული ხასიათის თხზულებაა. თავად აგიოგრაფია, როგორც დარგი, ჩაისახა და განვითარდა ქრისტიანობის გავრცელების პირველსავე წლებში, როცა ახალი იდეოლოგია გზას იკაფავდა ძველთან ბრძოლაში. ეს ბრძოლა სწორედ პროზელიტიზმის ნიშნით იყო აღბეჭდილი, როცა ახალ იდეოლოგიას უნდა დაესაბუთებინა საკუთარი უპირატესობა და ახალ-ახალი მიმდევრები შეეძინა. ასეთ დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა პირადი მაგალითი, რწმენა და ამ რწმენისათვის თავდადება, რამაც მოითხოვა სპეციალური სამწერლობო დარგის აღმოცენება, რომელშიც წარმოდგენილი იქნებოდა ქრისტიანობისთვის თავდადებული „წმინდა მხედრების“ ცხოვრება.

აგიოგრაფიის გმირები თავიანთი „მოწამებრივი სიკვდილით“ ან ცხოვრება-მოქალაქეობით მისაბამ ნიმუშად უნდა ქცეულიყვნენ, რითაც განამტკიცებდნენ ქრისტიანულ იდეოლოგიას.

გმირის იდეალი და თხრობის ელემენტი, რაც გამოარჩევს აგიოგრაფიას ქრისტიანული მწერლობის სხვა დარგებისაგან, უკვე თავისთავად განაპირობებდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მხატვრულ ნაკადს, რაც მეტ-ნაკლებად ახასიათებს თითქმის ყველა ამ ტიპის თხზულებას. ქართული აგიოგრაფიული მწერლობა ამ ნიშნით ვითარდებოდა და მან საუკუნეთა მანძილზე (V-XVIII სს.) არაერთი მნიშვნელოვანი თხზულებით გაამდიდრა ჩვენი ლიტერატურა. მათ შორის განსაკუთრებით გამორჩეული ადგილი უკავია იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებას“.

საკვლევი თემის ამ ნაწილში მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ, რამდენად ეკვივალენტურია თარგმანი დედანთან მიმართებაში.

მხატვრული ნაწარმოების შინაარსი, მისი სახეები და ხასიათები მისი სტილი, ანუ ენობრივი საშუალებების შერჩევა და სათანადოდ ორგანიზება მწერლის იდეურ-მხატვრული პოზიციითა განპირობებული, ამიტომ პროზის თარგმნის სტილისტიკაში ერთ-ერთი უპირველესი როლი ენიჭება მწერლის პოზიციის გარკვევას, მის დამოკიდებულებას მხატვრულ ნაწარმოებში ასახული სინამდვილის, მოვლენებისა და პერსონაჟებისადმი.

მწერლის მხატვრულ პოზიციას თავის მხრივ აყალიბებს მისივე მსოფლმხედველობა, ლიტერატურული ტრადიციები, ლიტერატურული გავლენები, მწერლის სამშობლოსა და თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ეპოქალური ძვრები, მსოფლიო მეცნიერების საერთო დონე და სხვა. ეს მომენტები თავისუფლად აისახება ლიტერატურულ შემოქმედებაში, ხოლო მათი რემინისცენციის მასშტაბსა და ხარისხს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მწერლის გარემო და ბიოგრაფია. ამიტომ ხდება იგი ზემოთ დასახელებული ლიტერატურის მკვლევრისა თუ მთარგმნელის ყურადღების საგანი.

გ. ეგერის კონცეფციაზე დაყრდნობით ეკვივალენტურობას განსაზღვრავს თარგმანისა და ორიგინალის კომუნიკაციურ ღირებულებათა თანხვედრა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ორიგინალის კომუნიკაციური ღირებულება ინვარიანტულია თარგმანისათვის. კომუნიკაციური ღირებულება კი ის თვისებაა, რომელიც იწვევს გარკვეულ კომუნიკაციურ ეფექტს ადრესატის ცნობიერებაში, სადაც აღმოცენდება იმ აზრთა იდენტური ნაკადი, რომელთა გადაცემაც მიზნად ჰქონდა დასახული ორიგინალის ავტორს. ბუნებრივია, რომ ამ აზრებს აქვს შესაბამისი ლინგვისტური ექსპლიკატები. ისინი ლინგვისტურ აღწერას ექვემდებარებიან და მათი მოძიება ამ დონეზეა შესაძლებელი: სინტაქსი, სემანტიკა, პრაგმატიკა (Erep 1979: 137).

თარგმანში ეკვივალენტობის შენარჩუნების კუთხით განვიხილოთ შემდეგი პასაჟი:

„და ვითარცა მწუხრის ჟამი აღასრულეს, სახლაკი ერთი მცირე პოვა მახლობლად ეკლესიისა და შევიდა მუნ შინა სიმწართა სავსე და მიეყრდნა ყურესა ერთსა და მწართა ცრემლითა ტიროდა“ (აბულაძე 1963: 13).

“When the evening service was over, she found a small cottage near the church, and went into it, filled with grief, and leant against the wall in a corner and wept bitterly” (Lang 1956: 47).

“და უბრძანა შეკრვად მისი და ბორკილთა შესხმად ფერკთა მისთა“ (აბულაძე 1963: 17).

“And he commanded her to be bound and chains to be attached to her feet” (Lang 1957: 50).

საერთო პროზული ნაწარმოების თარგმნის პროცესში განუწყვეტლივ უნდა გვახსოვდეს მთელი ნაწარმოები და მოცემული კონტექსტის მიმართება მასთან და ამასთან, ცალკეული გამოთქმის მიმართება კონტექსტთან. დიალოგზე მუშაობისას უნდა გვახსოვდეს პერსონაჟი და მისი ხასიათი. ამის გარეშე არც მისი სიტყვების აზრის ზუსტი ამოკითხვა მოხერხდება და არც ზუსტი გადმოცემა თარგმანში. მოქმედებათა აღწერაში უნდა გავითვალისწინოთ მთელი ფაბულა, ყოველი ელემენტის გადმოცემისას - მთელი სიუჟეტი და ა. შ. მთელისა და ნაწილის ურთიერთობის ასეთი გააზრება უდევს საფუძვლად სტილისტური გასაღების ძიებას, სწორი ინტონაციის და რიტმის გადმოცემას, საერთო მხატვრული პროზის ყოველი კომპონენტის თარგმნას (გაჩეჩილაძე 1966:).

პროზის თარგმანის გარშემო მსჯელობის ნათელსაყოფად გვინდა ნაწარმოებიდან ერთი ეპიზოდი მოვიყვანოთ: მას შემდეგ, რაც ვარსკენმა დედოფალი აწამა და მისი ერთ სენაკში შეყვანა ბრძანა, ყველას აუკრძალა წმინდანის ნახვა, გარდა ერთი მსახურისა. მიუხედავად ასეთი მკაცრი ბრძანებისა, იაკობი მაინც მიდის დედოფლის მოსანახულებლად. იაკობსა და მსახურს შორის იმართება მეტად მნიშვნელოვანი საუბარი:

„ხოლო მე აღვდეგ და მივედ და ვარქუ მცველსა მას: „მე ხოლო მარტომ შემიტყვე და ვიხილო წყლულება იგი მისი“. ხოლო მან მრქუა მე: „ნუუკუე ცნას და მომკლას მე“.

და მე ვრქუ მას: „უბადრუკო, არა მისი განზრდილი ხარა? და თუცა მოგკლას შენ მისთვის, რაა არს?!“ (აბულაძე 1963: 18).

„But I got up and went and said to the guard, just let me in by myself to have a look at her wounds.” but he said to me, what if he finds out and kills me?” I said to him, “Miserable man did he not bring you up and educates you ? If he kills you for her sake, what have you to regret?” (Lang 1956: 50).

“educate you?” - “აღზრდას“, „განვითარებას“ ან „განათლების მიცემას“ ნიშნავს (ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, V რვეული, გვ.16). მართალია, ეს ფრაზა დედანში არ გვხვდება, მაგრამ ამ სიტყვებში ყურადღება გამახვილებულია იაკობის დამოკიდებულებაზე შუშანიკისადმი, როგორც მზრუნველი დედოფლისადმი“. ამდენად, „educate you“ დედანში არ გვხვდება, თუმცა, მთელ კონტექსტში იგულისხმება.

მ. მოროზოვი დედნის ინტონაციის დაჭერის და თარგმანში მისი გადმოცემის უნარს მთარგმნელის უმაღლეს ოსტატობად თვლის: „მთარგმნელის განვითარებული სმენა სცნობს მწერლის ხმას. საკუთარი ხმა აქვს გორკის, საკუთარი - ჩეხოვის, გორკის ყოველ გმირს და ჩეხოვის ყოველ გმირს. ს. მარშაკმა სწორედ შეადარა მთარგმნელი ანტენას, რომელიც სხვადასხვა ხმას იჭერს“ (морозов 1956: 36).

მაგალითისთვის მოვიყვანთ ეპიზოდს „შუშანიკის წამებიდან“, რომელიც მოკლე წინადადებებისაგან შედგება. მწერალი ამ გზით ქმნის ავტორი მლეღვარე რიტმულ ნახატს, სადაც აშკარად იგრძნობა დედნის ჟღერადობა:

„უკუეთუ სულითა ცხოველ არს იგი, ცოცხალმცა ხართ იგიცა და შენცა. უკუეთუ სულითა მომკუდარ ხართ, მოკითხვაჲ ეგე შენი შენდავე მოიქეცინ“ (აბულაძე 1963: 12).

„If he is alive in soul, you are both alive, both he and thou. If you are both dead in your spirit, that enquiry of thine needs to be addressed to thyself” (Lang 1956: 46).

ზემოთ მოყვანილ თარგმანში სწორად არის გამოხატული დედნის ჟღერადობა. აქვე შეიძლება მოვიხმოთ სხვა მსგავსი მაგალითი, სადაც სტილის და ინტონაციის ერთობლიობა სწორად ესმის მეცნიერს და მთარგმნელს:

„In the summer time the heat of the sun burns like fire, the winds are torrid and the waters infected. The inhabitants of this region are themselves afflicted with various diseases, being swollen with dropsy, yellow with jaundice, pock-marked, withered up, mangy, pimply, bloated of face and brief of life, and nobody attains old age in that district“ (Lang 1956: 55).

„ჟამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწუელი იგი მჯურვალეზად მზისად, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი, რომლისა მკვდრნიცა მის ადგილისანი სავსენი სენითა, წყლითა განსივებულნი და განყვითლებულნი, დაწერტილნი და დამშრშალნი და დამღიერებულნი, ჩარადოვანნი, პირ-მსივანნი და დღე-მოკლედ ცხორებულნი; და მოხუცებული არავინ არს მათ ქუეყანათა“ (აბულაძე 1963: 25).

„საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსქენ, რამეთუ უვარყო ჭემმარიტი ღმერთი და აღი-არა ატროშანი და შეერთო იგი უღმერთოთა“ (აბულაძე 1963: 12).

“Pitiable indeed has become the unfortunate Varsken! He has forsaken the true god, and embraced the religion of fire and united himself to the godless” (Lang 1956: 46).

გაჩეჩილაძის თქმით, პროზის მთარგმნელი უეჭველად უნდა ითვალისწინებდეს დედნის რიტმს და მის ცვალებადობას. ტექსტის ინტონაციისა და იდეის შესაბამისად ეძებდეს თავის ენაზე იმგვარ სინტაქსურ წყობას, რომელიც ყველა ამ ელემენტს - აზრს, ინტონაციას და რიტმს - მაქსიმალური სიზუსტით გამოხატავს. დედნის ამ ელემენტების შესწავლისას, თარგმანის რეალისტური მეთოდის თანახმად, მთარგმნელმა უნდა გადმოიღოს მთავარი და არსებითი მომენტები, გაითვალისწინოს

ჟანრის სპეციფიკა და, ამავე დროს, არ უღალატოს მშობლიური ენისა და ლიტერატურის კანონებს. მარტივად რომ ვთქვათ, მან უნდა წარმოქმნას დედნის სტილი, მაგრამ არ გაიმეოროს მისი ენის გრამატიკული ფორმები“.

ქვემოთ მოცემულ მაგალითში დ. ლანგმა ინგლისურ ენაზე მაქსიმალურად კარგად იპოვა სინტაქსის იმგვარი წყობა, რომელიც ყველა ელემენტს - აზრს, ინტონაციას და რიტმს - აბსოლუტური სიზუსტით გადმოგვცემს.

„ესევეთარი სახლი მშვიდობისად ვითარ საწყალობელ იქმნა და სიხარული მწუხარებად გადაიქცა?“. ხოლო ზრახვითა იყო იგი ვარსქენისათა და ზაკუვით იტყოდა ამას და უნდა მონადირებად ნეტარისად მის“ (აბულაძე 1963: 14).

„How so? A peaceful household has become miserable, and joy has turned to grief. But he actually come on a secret errand from Varsken and said this as a ruse to ensure the blessed one“ (Lang 1956: 47).

წარმოგიდგენთ მეორე მსგავს მაგალითს:

”და ჩუენლა ამას განვიზრახევდით, მოვიდა ყრმაჲ ერთი და თქუა: „იაკობ მანდა არსა?!“. და მე ვარქუ, ვითარმედ: „რაჲ გინებს?“. და მან მრქუა: „უწესს პიტიახში“. და მე დამიკვრდა, თუ „რამსამე მიწესს ამას ჟამსა“. და მივისწრაფე და მივედ. და მან მრქუა მე: „უწყია, ხუცეს, მე ბრძოლად წარვალ ჰონთა ზედა. და ჩემი სამკაული მას არა დაუტეო, ოდეს იგი არა ჩემი ცოლი არს, - იპოოს ვინმე, რომელმან განკაფოს იგი. მივედ და მომართუ იგი ყოველივე, რადცა რაჲ არს“ (აბულაძე 1963: 18).

“While we were discussing this, a boy came in and said, “Is Jacob here?” And I said, “what do you want?” He said the Pitiakhsh is calling for you.” And I was surprised and wondered why he called me now, so hurried to go. He said to me, ”Do you know, Priest, that I am leaving to fight against the Huns? I have no intention of leaving my jewellery with her, now that she is

not my wife. Someone else will have to be found to wear it. Go and bring whatever there is of it” (Lang 1956: 51).

## § 5. 2. ლექსიკურ ერთეულთა სიზუსტე თარგმანში

შუმანიკის სახის გაგებისთვის მრავალ ასპექტის გათვალისწინებასთან ერთად არანაკლებად მნიშვნელოვანია იაკობ ხუცესის ლექსიკაში გარკვევა და მისი დამოწმება.

„შუმანიკის წამების“ კვლევის რთულ და მრავალფეროვან პრობლემატიკაში ერთ-ერთი არსებითია ტექსტოლოგიის, კერძოდ, ლექსიკის საკითხები. ამ მხრივ ბევრი რამ დადგენილია, ხოლო ბევრი კიდევ საჭიროებს დადასტურებას. ერთ-ერთ საცილობელ საკითხად იქცა სიტყვა „იწროს“ გაგება. ეს სიტყვა გვხვდება შემდეგ კონტექსტში: “ნურას ფიცხელსა სიტყვასა ეტყვ მას, რამეთუ დედათა ბუნებაჲ იწრო არს” .

ამ წინადადების მართებულ გაგებასთან დაკავშირებულია როგორც წმინდა ლექსიკური ამოცანები, ისე იდეურ-შინაარსობრივი გააზრება ტექსტისა.

სიტყვა „იწრო“ გაგებული იყო შემდეგი მნიშვნელობით: ვიწრო, შეზღუდული („тесный“). ბოლო წლებში გააჩნდა აზრი, რომლის თანახმად, ამ სიტყვას სხვა ლექსიკური მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, იგი ნიშნავს „ემოციურს“, „ადვილაგზნებადს“ და ამგვარად უნდა იქნეს გააზრებული ზემოთ მოყვანილი ფრაზა: „ქალის ბუნება ადგზნებადიაო“ (რობაქიძე 1978: 138-40).

დ. მ. ლანგს თავის კრებულში წინადადება: “რამეთუ დედათა ბუნებაჲ იწრო არს” (აბულაძე 1963: 14), ასე აქვს გადატანილი: „After all, women are always liable to be unreasonable” (Lang 1956: 47).

ინგლისური სიტყვა -“unreasonable” ნიშნავს „უგნურს“, „არაკეთილგონიერს“ ან „არაკეთილგონიერულს“ <http://dictionary.ge/ka/word/unreasonable/>

ზემოთ თქმული მოსაზრებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ (რომ „იწრო“ ნიშნავს „ემოციურს“ ან „ადვილაგზნებადს“), მაშინ სიტყვა „unreasonable“, ამ შემთხვევაში, შეუსაბამოდ ჩაითვლება.

ძალზე მნიშვნელოვანია ქვემოთ მოცემული მაგალითი:

„მაშინ შუელად აღდგა ჯოჯიკ, ძმაჲ მისი, და იბრძოდეს, ვიდრემდის გუემა იგიცა“ (აბულაძე 1963: 17).

„Jojik his brother rose to protect her, and came to grips with him and struck him.“(Lang 1956: 49).

ორიგინალში სიტყვა „იბრძოდეს“ თარგმანში გადატანილია, როგორც “grip” – რაც ქართულად ხელის „ჩაჭიდებას“, „მოჭიდებას“ ნიშნავს:

<http://dictionary.ge/ka/word/grip1+I/>

თარგმანში რთული გასაგები ხდება ის, თუ ვინ ვის სცემა, ვარსკენმა ჯოჯიკი თუ - პირიქით. აქ უდავოდ იკვეთება ნაცვალსახელის პრობლემა.

დ. მ. ლანგის მიერ შესრულებულმა თარგმანებმა გვიჩვენა, რომ მთარგმნელმა ძალიან კარგად იცოდა ძველი ქართული ენა. მას კონტექსტიდან გამომდინარე, თანამედროვე ენაზე გადმოჰქონდა სათქმელი. თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანთ პირველ მაგალითს:

“და კუბასტიცა თავსა მისსა მოხეთქა” (აბულაძე 1963: 17).

“After her veil had been torn from her head” (Lang 1956: 47).

სიტყვა „კუბასტი“ დედანში ორჯერ გვხვდება სხვადასხვა მნიშვნელობით. ეს სიტყვა ნიშნავს როგორც „სამოსელს“, ასევე, „შუბლსაკრავს“ (აბულაძე 1973: 205), რომელზეც გამოსახულია ქრისტიანული სიმბოლოები. დ. ლანგმა თარგმნისას, კონტექსტიდან



გამომდინარე, ზუსტად შეუსაბამა მას სიტყვა „veil“, რაც ქართულად „ვეალს“ ნიშნავს <http://dictionary.ge/ka/search/?q=veil>

„მოყვანდა წმიდად შუშანიკი უკამური და თმაგარდატევებული, ვითარცა ერთი ვინმე შეურაცხთაგანი“ (აბულაძე 1963: 20).

„St. Shushanik was led barefoot, with her hair disordered, like some woman of the common folk“ (Lang 1956: 52).

ეს წინადადება ლანგს განსაკუთრებული სიზუსტით აქვს გადატანილი, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ის კარგად ფლობდა ძველ ქართულ ენას. მაგალითისთვის განვიხილოთ სიტყვები: „უკამური“, „თმაგარდატევებული“ და „ვინმე შეურაცხთაგანი“

„უკამური“ ნიშნავს „ფეხშიშველს“ (აბულაძე 1973: 442). თარგმანშიც დ. ლანგი გვთავაზობს ადეკვატურ სიტყვას - “barefoot”. “Barefoot” ნიშნავს „ფეხშიშველს“, აგრეთვე, <http://dictionary.ge/ka/word/barefoot/>

„თმაგარდატევებული“ ნიშნავს “თმაგადაშვებულს”, ან „თმეზჩამოშლილს“ (აბულაძე 1956: 182), რომელსაც ლანგმა ადეკვატური თარგმანი შეუსაბამა: “hair disordered”, რაც ნიშნავს „მოშლილს“, ან „არეულს“ <http://dictionary.ge/ka/word/disordered/>

სიტყვა „ვინმე შეურაცხთაგანი“ ნიშნავს „მდაბიოს“ ან „უბრალოს“. ლანგმა აქაც იპოვა შესატყვისი სიტყვა და გამოიყენა “common folk”, რაც წარმოადგენს ადეკვატურ თარგმანს და ნიშნავს „მდაბიოს“, „სტატუსის არმქონე ადამიანს“: <https://www.urbandictionary.com/define.php?term=Common%20Folk>

### § 5. 3. ტექსტის შინაარსობრივი მხარე

მოსაზრება იმის თაობაზე, რომ წმ. შუშანიკის გარდა ვარსკენს მეორე ცოლიც ჰყავდა თუ არა, მეცნიერთა შორის დავის საკითხი გახდა. თანამედროვე მკვლევარი ნ. ჯანაშია ამტკიცებს, რომ ფრაზა „ბრძანა ცოლად მისა ასული მეფისა“ - აშკარად გაუგებარია. არ ჩანს ვისი ასული „ბრძანა ცოლად მისა“ თუ საკუთარი, უნდა ყოფილიყო „ასული თვისი, თუ სხვა მეფისა, უნდა დასახელებულიყო ეს მეფე. ნ. ჯანაშია უფრო შორს მიდის და ასკვნის: “ვარსკენს მეორე ცოლი, ყოველ შემთხვევაში, შუშანიკის წამების პერიოდში არ ჰყოლია“. ამის საპირისპიროდ, სხვა მოსაზრებას ვაწყდებით „შუშანიკის წამების“ ანტონისეულ გადამმუშავებაში.<sup>1</sup> სადაც ანტონი არ უარყოფს ამ ცნობას, მაგრამ ცდილობს გამართოს ფრაზა. მისი თქმით, მეფემ ვარსკენს „მიუბოძა ცოლად ასული ანუ თვისი, და ანუ პირველ მისა ყოფილისა ვისმე სპარსთა მეფისა“ (S 1272, 149), ე. ი. ცოლად შერთო თავისი თუ მასზე ადრე ყოფილი რომელიღაც სპარსთა მეფის ასული. ჩვენთვის მნიშვნელოვანია თუ როგორ გადაიტანა დ. ლანგმა ფრაზა ნათარგმნ ტექსტში. „ბრძანა ცოლად მისა ასული მეფისა“ თარგმანში წარმოდგენილია, როგორც **“gave him his own daughter”**, რაც ქართულად შეესაბამება ანტონისეულ ფრაზას და ნიშნავს: „ცოლად შერთო თავისი ასული“.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვასკვნით, რომ დ. ლანგმა საკითხის გარშემო არსებული უზუსტობა თავისი შეხედულებისამებრ წარმოგვიდგინა. შესაბამისად, ვასკვნით, რომ ლანგი შესაძლოდ მიიჩნევდა ვარსკენის მეორე ცოლის არსებობას.

### § 5. 4. თარგმანში გამოტოვებული ეპიზოდები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „შუშანიკის წამების“ დ. მ. ლანგისეული თარგმანი წარმოადგენს დედნის შემოკლებულ-ადაპტირებულ ვარიანტს, რომელშიც გამოტოვებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ეპიზოდი, შემოკლებულია მონოლოგები

---

<sup>1</sup> იაკობის „შუშანიკის წამება“ გადაამუშავა XVIII ს. ქართველმა მეცნიერმა და მწერალმა ანტონ კათოლიკოსმა.

და დიალოგები. თუმცა, მიუხედავად ამისა, ლანგმა მოახერხა, გადმოეცა თბზულების სრული შინაარსი და, ამავე დროს, ის მარტივი და გასაგები გაეხადა მკითხველისათვის.

გთავაზობთ გამოტოვებულ ეპიზოდებს:

1) თარგმანში დ. მ. ლანგი ტოვებს იმ ეპიზოდს, რომელიც უშუალოდ გადმოგვცემს ვარსკენის მიერ ქრისტეს უარყოფის ფაქტს, თუმცა ამის შესახებ მთარგმნელი შესავალ წერილში ამცნობს თავის მკითხველს, „ვითარ იგი განაგდო სანატრელი სასოებაჲ ქრისტჳსი! ანუ ვინ არა სტიროდის მას, რომელსა არცა ჭირი ეხილვა, არცა შიში, არცა მახვლი, არცა პყრობილებაჲ ქრისტჳსთჳს (აბულაძე 1963: 11).

2) თარგმანში გამოტოვებულია შუმანიკის ლოცვა. კერძოდ, როცა დედოფალმა შეიტყო ვარსკენის გამაზღვანება, მაშინვე დატოვა სასახლე და შვილებთან ერთად ეკლესიაში წავიდა. მან საკურთხეველის წინ დააყენა ისინი და უფალს შავედრა: „უფალო ღმერთო, შენნი მოცემულნი არიან და შენვე დაიცვენ ესენი, განათლებულნი წმინდისაგან ემბაზისა მადლითა სულისა წმიდისაჲთა, ყოფად ერთ სამწყსო ერთისა მწყემსისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჳსა“ (იქვე; გვ. 12).

3) გამოტოვებულია დიალოგი იაკობსა და შუმანიკს შორის, სადაც მოძღვარი ამხნევებს დედოფალს და აფრთხილებს მოსალონელი განსაცდელის შესახებ. ის ეუბნება წმინდანს: „ღუაწლსა დიდსა შესლვად ხარ, დედოფალო, ეკრძაღე სარწმუნობასა ქრისტჳსსა, ნუუკუე მტერმან ვითარცა სრსკლმან სამოვარი პოს შენ თანა“. ხოლო შუმანიკი პასუხობს: „ხუცეს, და მეცა დიდსა ღუაწლსა განმზადებულ ვარ“. და მე ვარქუა მას: „ეგრჭთ არს, მჳნე იყავ, მოთმინე და სულგრძელ“. ხოლო მან მრქუა მე: „ჩემდა მარტომსა არიან ჭირნი ესე“. ხოლო მე ვარქუ მას: „ჭირი შენი ჭირი ჩუენი არს და სიხარული შენი სიხარული ჩუენი არს. ჩუენი არა ხოლო თუ დედოფალი ოდენ იყავ, არამედ ჩუენ ყოველთა ვითარცა შვილთა გუხედევდ“.

გამოტოვებულია ამავე ეპიზოდის გაგრძელება, სადაც იაკობი ეუბნება დედოფალს, რომ სურს, აღწეროს „შრომა მისი“ და ეკითხება - „მტკიცედ სდგაა?“ ხოლო დედოფალი ეუბნება, რომ ნუ იქნება, რომ ვარსკენის საქმეს ეზიაროს.

მოდვარი შეახსენებს მას, რომ მძიმე ბუნება აქვს პიტიახშს და დიდ ტანჯვას მიაყენებს. ამის სანაცვოდ შუშანიკი პასუხობს: „უმჯობეს არს ჩემდა ჯელთა მისთაგან სიკუდილი, ვიდრე ჩემი და მისი შეკრება და წარწყმედა სულისა ჩემისა“; დედოფალი აქვე იმოწმებს პავლე მოციქულის სიტყვებს: „არა დამონებულ არს ძმად, გინა და, არამედ განეყენენ“ და იაკობიც ეთახმება (იქვე; გვ. 13).

4) გამოტოვებულია იაკობსა და კარის მცველს შორის გამართული დიალოგი და მოძღვრის საპყრობილეში შესვლის ამბავიც. კერძოდ, მას შემდეგ, რაც ვარსკენმა ბრძანა შუშანიკის საპყრობილეში გამოკეტვა და ბორკილების დადება, დედოფალს ერთი კარისკაცი მიუჩინა მცველად, რომ არავის გაეხედა მისი მონახულება, თუმცა იაკობი მაინც მივიდა და სთხოვა კარის მცველს, შეეშვა ის საკანში, სანაცვლოდ კი დაჰპირდა მას რაღაც ჭურჭელს. ამ გზით იაკობი შედის დედოფლის მოსანახულებლად. საპყრობილეში შესული მოძღვარი ამბობს: „ვიხილე ტარიგი იგი ქრისტესი შუენიერად ვითარცა სძალი შემკული საკრველთა მათგან, და მე, ვითარ ვერ დამითმო გულმან, ვტიროდე ფრიად“ (იქვე; გვ. 22).

5) შემოკლებულია ჯოჯიკსა და შუშანიკს შორის გამართული დიალოგიც. ტექსტის თანახმად, ჯოჯიკი აფრთხილებს წმინდანს, რომ ვარსკენი მსახურებს გამოგზავნის და თრევით წაიყვანენ სასახლეში. წმიდა შუშანიკი კი ეუბნება: „უკუეთუ შემკრას და მითრიოს, მიხარის, რამეთუ მით სახითა იყოს განჩინება ჩემი მისგან“. როდესაც დედოფლის ეს სიტყვები მოისმინეს, ყველა ატირდა, თვალცრემლიანი ჯოჯიკი ადგა და გარეთ გავიდა. წმინდა შუშანიკმა კი ეპისკოპოსს უთხრა: „როგორ ცდილობ ჩემს გადარწმუნებას, მან ხომ ღმერთი ჭეშმარიტი უარყო?“ ჯოჯიკი დედოფალს შეევედრა: „დაა ჩუენი ხარ შენ, ნუ წარსწყმედ სახლსა ამას სადედოფლოსა“. წმინდა შუშანიკმა

უპასუხა: „ვიცი, რომ და ვარ და ერთად გაზრდილებიც, მაგრამ ამას ვერ ვიზამ, დანაშაული რომ მოხდეს და ამაში თქვენც ბრალი გქონდეთ“ (იქვე; გვ. 15).

6) გამოტოვებულია სპარსი მოგვი დედაკაცის ეპიზოდი. ავტორი მოგვითხრობს კეთრით დაავადებული ქალის შესახებ, რომელიც მოვიდა შუშანიკთან იმისთვის, რომ განკურნებულიყო. შუშანიკის სწავლებით, “მან დაუტევა მოგვობა“, წავიდა იერუსალიმში და გულით ირწმუნა სახელი ღმერთისა იესო ქრისტესი. მას შემდეგ დედაკაცი განიკურნა. (იქვე; გვ. 23).

7) გამოტოვებულია ეპიზოდი, რომელიც მოგვითხრობს ციხეში შუშანიკის საქმიანობის შესახებ. თხზულების თანახმად, მან ხელსაქმის ნაცვლად ასორმოცდაათი ფსალმუნი ზეპირად დაისწავლა და დღედაღამ ზეციურ მეუფეს ცრემლით სათნო გალობას სწირავდა (იქვე; გვ. 23).

8) მას შემდეგ, რაც შუშანიკმა შეიტყო, რომ მისმა შვილებმა ცეცხლთაყვანისმცემლობა მიიღეს, ისინი „ველარ ბედავდნენ დედის ნახვას, ხოლო დედოფალს მათი სახელის გაგონებაც კი სძაგდა“ (იქვე; გვ. 23).

9) დედოფალმა საპყრობილეში ექვსი წელი გაატარა, წმ. შუშანიკმა ამ ხნის მანძილზე დიდი ტანჯვა და გასაჭირი დაითმინა, იგი ძლიერ დაავადმყოფდა. იაკობი წერს, თუ როგორ აფრთხილებდა დედოფალს: „ასეთი მკაცრი ცხოვრებით დაიტანჯები, სხეულს დაიმძიმებ, ამდენი მარხვით, მუდამ ფეხზე დგომით და უძილობით, ფსალმუნთა გალობით ველარ შეძლებ კეთილი საქმის კეთებას“. წმინდანი ასეთი ღვაწლის გამო, მართლაც, ნაცარივით დადნა (იქვე; გვ. 24).

ვფიქრობთ, რომ დ. მ. ლანგმა შეგნებულად შეამოკლა წმინდანის ტანჯვა-წამების ამსახველი დეტალები იმ მიზნით, რომ არ დაემძიმებინა თანამედროვე მკითხველი. თარგმანში გამოტოვებულია შემდეგი მომენტებიც: ექვსი წლის განმავლობაში, „დიდ მარხვებში, შუშანიკი არც დღისით და არც ღამით არ იძინებდა, არც ჯდებოდა, არც საკვებს იღებდა, გარდა კვირა დღისა, როცა ის ეზიარებოდა ქრისტეს სისხლსა და

ხორცსა. მას შემდეგ კი, რაც საპყრობილეში ჩააგდეს, ბალიშზე თავს არ დებდა, მხოლოდ აგური იყო მისი სასთუმალი. ქვეშაგებად ერთი ძველი ქსოვილის ნაჭერი ედო, ხალხის დასანახად კი მცირე ბალიში და ტყავი ჰქონდა სასთუმალთან. მას უფლის თაყვანის საცემად ქვეშ საფენი ჰქონდა დაფენილი, ამასთან, წმინდანს უამრავი ტილი და რწყილი ეხვია (იქვე; გვ. 25).

10) გამოტოვებულია ჯოჯიკისა და მისი სახლეულის დალოცვის ეპიზოდი. კერძოდ, როცა ჯოჯიკმა გაიგო, რომ მოახლოვდა წმინდა შუშანიკის ამ სოფლიდან გასვლის ჟამი, მასთან თავის ცოლ-შვილთან ერთად მივიდა და პატიება სთხოვა: „სძალო და მჭევალო ქრისტწსო, ითხოვე ღმრთისაგან, რადთა მომიტევენს მე მრავალნი შეცოდებანი ჩემნი“. ხოლო შუშანიკმა უთხრა: “თუ შენ ყრმასავით არაფერი ჩაგიდენია, ღმერთმა მოგიტევოს“. ჯოჯიკმა თქვა: “თუ ასე მოიქცევი, უკვდავებას მომანიჭებ მაგ სიტყვებით და ღმერთმა შესძინოს დღეები შენს ცხოვრებას“. როგორც კი ჯოჯიკი მიხვდა, რომ დედოფალი უკვე სიკვდილის პირას იყო, მან სთხოვა, დაელოცა მისი ცოლ-შვილი და ნუ გაიხსენებდა მის გულგრილობას.

შუშანიკმა ჯოჯიკს და მის ცოლს უთხრა: „უგულოდ მომექეცით, რადგან არავინ გამოჩნდა კაცთა შორის, რომელიც შემიწყალებდა და დაარწმუნებდა ჩემს უღმრთო საწუთრო მეუღლეს“ (იქვე; გვ. 26).

11) გამოტოვებულია ჯოჯიკისა და შუშანიკის საუბრის ის მომენტიც, სადაც დედოფალი ნატრობს, როცა ვარსქენთან ერთად იმ ქვეყნად განისჯება. წმინდანი ამბობს: „განვისაჯებით უზენაესი მსაჯულის, მეუფეთა მეუფის მიერ მე და ვარსქენ პიტიახში იქ, სადაც არ არის უსამართლობა; იქ, სადაც არ არის მამაკაცისა და დედაკაცის გარჩევა, სადაც მე და ის თანასწორ სიტყვას ვიტყვით ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს წინაშე; მიუზღოს მას უფალმა იმისათვის, რომ უდროოდ ჩემი ნაყოფი დააჭკნო, მშვენიერება ჩემი სიკეთისა დააბნელა და ჩემი დიდება დაამდაბლა. ღმერთი განგვსჯის ორივეს. ხოლო ახლა ამას ვმადლობ ღმერთს, რამეთუ ვარსქენისაგან მოყენებული ტანჯვის გამო, მოვილხენ და მისგან მოყენებული ტანჯვის სანაცვლოდ

განვისვენებ; მისი უგულობისა და შეუწყნარებლობის წილ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესაგან წყალობას მივიღებ“ (იქვე; გვ. 26).

მიუხედავად იმისა, რომ უძველესი ქართული ორიგინალური თხზულების თარგმანი წარმოადგენს დედნის შემოკლებულ ვერსიას, ის მაქსიმალურად მიახლოებულია მასთან და და მიჰყვება სიუჟეტის განვითარებას. თარგმანის ორიგინალთან შეჯერების შედეგად გამოჩნდა, რომ კრებულში შეტანილი ყველა ტექსტის მსგავსად, ეს ტექსტიც ადაპტირებულია, გამოტოვებულია გარკვეული პასაჟები ან შემოკლებულია უმთავრესად მონოლოგები და დიალოგები. გამოტოვებულია ის დეტალებიც, რომლებიც წმ. შუმანიკის დიდ ღვთისმოსაობასა და სიმტკიცეზე მიუთითებენ. თუმცა, თარგმანი მთლიანობაში ძალიან კარგად იკითხება და შესავალ წერილთან ერთად მკითხველს აცნობს ნაწარმოების შინაარსსა და ეპოქას, რომელშიც მოქმედება ხდება.

## თავი VI.

### მებრძოლი განდევილი: პეტრე იბერი, ეპისკოპოსი მაიუმისა, ღაზის მახლობლად

„პეტრე იბერის ცხოვრება“ არაერთგზის გამხდარა როგორც ქართველ, ისე უცხოელ მეცნიერთა განხილვის საგანი. დღესაც ბევრს დაობენ პეტრე იბერის ბიოგრაფიისა თუ მისი, ავტორობის გამო, თუმცა, ბევრი რამ უკვე დასაბუთებული და დადგენილია.

პეტრე იბერის ცხოვრებისა თუ მისი მოღვაწეობის შესახებ დ. ლანგმა არაერთი სამეცნიერო ნაშრომი გამოაქვეყნა.

აღნიშნულ თარგმანში ვეცნობით პეტრე იბერის მოუსვენარ და ნახევრად მოხეტიალე ცხოვრებას, რომელიც დაკავშირებულია ბიზანტიაში ქრისტიანობის წიაღში წამოშობილი ორი რელიგიური პარტიის — დიოფიზიტებისა და მონოფიზიტების ბრძოლის პერიპეტიებთან.

ისტორიულად ცნობილია, რომ ჯერ კიდევ თეოდოს II-ის გამეფებამდე კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნესტორი ქადაგებდა ქრისტეს ერთბუნებოვნებას, მისი მოძღვრების (ნესტორიანობა) მიხედვით, ქრისტე იყო მარტოოდენ ადამიანი და შემდეგ (განიღმრთო) გახდა იგი ღმერთი. ნესტორი უარყოფდა ყოვლადწმიდა მარიამის „ღვთისმშობლობასაც“ (Theotokos). რომის პაპის დახმარებით პატრიარქმა კირილე ალექსანდრიელმა ნესტორის უფლებები შეზღუდა, ხოლო ნესტორიანობა, როგორც ერესი, ოფიციალურად იქნა დაგმობილი. რამდენიმე წლის შემდეგ ევტიქიმ კირილე ალექსანდრიელის მოძღვრება უკიდურესობამდე განავითარა და ქრისტეში მარტოოდენ ღვთაებრივი ბუნება აღიარა. ასე წარმოიშვა მონოფიზიტური ერესი. კონსტანტინოპოლში თითქოს საბოლოოდ დააკანონეს ალექსანდრიის ეკლესიის პრიორიტეტი (მონოფიზიტობას ენერგიულად მხარს უჭერდა ალექსანდრიის ახალი პატრიარქი დიოსკორე). ყოველივე ამან (ალექსანდრიული ორიენტაციის ტრიუმფმა



საეკლესიო დოგმატების საკითხებში) და კეისრის უფლებათა ხელყოფამ მონოფიზიტების წინააღმდეგ გააერთიანეს კონსტანტინოპოლის ახალი კეისარი მარკიანე (456-457) და რომის პაპი ლეონ დიდი (440-461 წწ) ქალკედონიის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (451), ლეონ დიდის ფორმულის შესაბამისად, ქრისტეს პიროვნებაში ორბუნებოვნობა ანუ დიოფიზიტობა აღიარეს. ეს იყო პოლიტიკური სეკულარიზაციის ნამდვილი ტრიუმფი და, ამავე დროს, ალექსანდრიული მიმართულების სრული მარცხი საეკლესიო დოგმატიკის საკითხებში. იმპერატორი ამიერიდან თვითონ გახდა უმაღლესი იერარქი იმპერიაში, რომელიც ნიშნავდა სანდო პირს კონსტანტინეპოლის პატრიარქად. სწორედ ამ ისტორიულ მოვლენებს მოჰყვა მონოფიზიტების მასობრივი ლტოლვა ბიზანტიის სატახტო ქალაქიდან, მაგრამ რეპრესიები პეტრე იბერს არ შეჰხებია, ამისი მიზეზი იყო პირადად მისი პიროვნებისადმი განსაკუთრებული პატივისცემა სასახლის მხრივ და თვით პეტრეს თავდაჭერილობა უმდაფრეს რელიგიურ ბრძოლებში, რომელიც ქალკედონიის კრების წინა პერიოდში მიმდინარეობდა. დიოფიზიტების გამარჯვების შემდეგ მონოფიზიტების სარბიელმა ეგვიპტესა, პალესტინასა და სირიაში გადაინაცვლა, სადაც პეტრე და იოანე მოღვაწეობდნენ. პეტრე იბერიელის ცხოვრების ნაწილი სწორედ ამ გეოგრაფიულ არეალს უკავშირდება.

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, მოკლედ მიმოვიხილოთ ის ისტორიულ-კულტურული ურთიერთობა, რომელიც ამ პერიოდის საქართველოსა და ბიზანტიას შორის არსებობდა და რომელშიც ქართველებს დიდი წვლილი მიუძღვით.

როგორც ცნობილია, ქართველებს ადრეული ხანიდანვე ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ახლო აღმოსავლეთთან. კერძოდ, პალესტინასთან, იერუსალიმსა და მის ახლოს არსებულ სავანეებთან. ასეთი ურთიერთობა სავსებით ბუნებრივია, რადგან მეცნიერულად დადგენილია, რომ ქართული ეკლესია იერუსალიმური წარმოშობისაა.

შესაბამისად, ქართველთა ლტოლვა პალესტინისკენ განაპირობა, ერთი მხრივ, ქართლის ეკლესიის აღმოსავლურმა (იერუსალიმურმა) წარმომავლობამ და ქართველთა ინტერესმა ბიბლიური ადგილებისადმი, მეორე მხრივ კი - ქართველთა სწრაფვამ ბერმონაზვნური ცხოვრებისკენ. ამასვე მოწმობს ქართულ წერილობით ძეგლებში შემონახული ზოგიერთი ტრადიციული გადმოცემა (ქართველთა განმანათლებლის იერუსალიმიდან მოსვლა, ქართველ მეფეთა ბრძოლა იერუსალიმის დასაცავად და ა. შ.).

ქართველების მოღვაწეობა ახლო აღმოსავლეთში საუკუნეთა მანძილზე გრძელდებოდა. ასეთი მოღვაწეობა გულისხმობდა ინტენსიურ შემოქმედებით საქმიანობას და სხვა კულტურულ წრებთან ახლო ურთიერთობას. აქედან გამომდინარე, პეტრე იბერის ბიოგრაფიაში აღწერილი მოგონებები, მისი ურთიერთობა სამეფო კარის წარმომადგენლებთან შემთხვევითი არ არის.

საგულისხმოა, რომ ქართველი ბერ-მონაზვნები არა მხოლოდ სხვა მოღვაწეთა სავანეებში ცხოვრობდნენ, არამედ ზრუნავდნენ ქართული მონასტრების დაარსებაზეც. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია პეტრე იბერის მრავალმხრივი და ფრიად ნაყოფიერი მოღვაწეობა, რომლის შესახებაც საუბარია აღნიშნულ თარგმანში.

დევიდ ლანგის მიერ შესრულებულ „პეტრე იბერის ცხოვრების“ თარგმანს უძღვის შესავალი ნაწილი სათაურით: „A MILITANT ASCET: PETER THE IBERIAN BISHOP OF MAYUMA BY GAZA“ („მებრძოლი განდევილი: პეტრე იბერი, ეპისკოპოსი მაიუმისა“- ლანგი. 1956; 57). აღნიშნული მონაკვეთი მეტად მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ლანგი აქ მკითხველს წინასწარ აცნობს ნაწარმოების მნიშვნელობას, მკვლევარი აქვე განმარტავს, რომ პეტრე იბერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის (409-488) აღწერით მის ყურადღებას ქართული ეკლესიის ადგილობრივი ტრადიციებიდან მიმართავს ბიზანტიაში მიმდინარე რელიგიური და პოლიტიკური მოვლენებისკენ “With the life and career of Peter the Iberian (c. 409-4088), we emerge from the local traditions of the

Georgian Church into the wider arena of Bizantine religious and political affairs” (Lang 1956: 57).

შესავალ ნაწილში დ. ლანგი ეხება 451 წელს ბიზანტიაში გამართულ ქალკედონის საეკლესიო კრების ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს, რომლის დროსაც გამოიკვეთა პეტრე იბერის მონოფიზობა, მისი ანტიქალკედონიტობა.

პეტრე იბერის აღმსარებლობის მიუხედავად დ. ლანგმა აღწერა მისი მეფური წარმომავლობა და საქმიანობა სამეფო კარზე. დ. ლანგის თქმით, პეტრე იბერის ბიოგრაფია გვაწვდის საყურადღებო ცნობებს V საუკუნის ქრისტიანული აღმოსავლეთის ისტორიის შესასწავლად, ვინაიდან პეტრე პირადად იცნობდა იმ დროის მრავალ გამოჩენილ პიროვნებას, მათ შორის, იმპერატორ თეოდოს II-ს და მის მეუღლეს, ევდოკიას, წმინდა მელანია უმცროსსა და ცნობილ პატრიარქებს: ნესტორს, იუვენალს, ალექსანდრიის ეპისკოპოს პროტერიუსსა და ტიმოთეს. შესაბამისად, მის ბიოგრაფიაში გადმოცემულია ამ პიროვნებებთან დაკავშირებული მოგონებები.

როდესაც პეტრე იბერზე ვსაუბრობთ, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, განვმარტოთ ის ძირითადი მომენტები, რაც საფუძვლად უდევს მის ბიოგრაფიას, კერძოდ, გვსურს, მოკლედ მიმოვიხილოთ ჩვენს ხელთ არსებული ქართული და სირიული აგიოგრაფიული ძეგლები.

როგორც ვიცით, არსებობს პეტრე იბერის „ცხოვრების“ ორი ვერსია. ერთი-ერთი ვერსია ბერძნულ ენაზე დაწერა პეტრეს მოწაფემ, იოანე რუფუსმა. იგი არის ცნობილი **პლეროფორიზის** ავტორი. მეორე ქართული აგიოგრაფიული ძეგლის ავტორია ზაქარია რიტორი, რომელიც იცნობდა „პეტრეს ცხოვრების“ ბერძნულ ხელნაწერს.

თხზულების შესავალ ნაწილში დ. ლანგი ხაზგასმით საუბრობს „პეტრე იბერის ცხოვრების“ შემცველ ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებზე. მისივე მტკიცებით, ერთ-ერთი მათგანი მალევე დაიწერა პეტრეს მოწაფის, იოანე რუფუსის მიერ. ამ ვერსიის მხოლოდ სირიული თარგმანია შემორჩენილი ხელნაწერის სახით. იგი მე-8 საუკუნით

თარიღდება. ქართულ ენაზე შემონახულ ვერსიას ლანგი აკუთვნებს მესამე პირს, მითილენის ეპისკოპოსს, ზაქარია რიტორს, რომელიც იცნობდა „პეტრეს ცხოვრების“ ბერძნულ ხელნაწერს. ეს ძეგლი, მისივე მტკიცებით, XIII საუკუნეში უნდა შექმნილიყო. ქართული ტექსტი ძალიან დამახინჯდა მისი ღვთისმოსავი რედაქტორებისაგან, რომლებსაც სურდათ წარმოედგინათ ერეტიკოსი პეტრე როგორც უმწიკვლო მართლმადიდებელი წმინდანი. უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი ტერმინები, როგორიცაა: «მართლმადიდებელი» და «ღვთისმოსავი» პეტრეს ბიოგრაფიაში (იგულისხმება იოანე რუფუსის მიერ დაწერილი ბიოგრაფია), გამოყენებულია მონოფიზიტური ანტიქალკედონური აზრით, მაშინ როცა ქალკედონური აზრის დამცველნი წოდებულნი არიან, როგორც «მოღალატენი» და «განდგომილნი» (ლანგი 1956: 58).

ედიშერ ჭელიძემ ახლახანს გამოსცა ნაშრომი, სახელწოდებით „საეკლესიო დოგმატიკა და ერესები I“ (მეექვსე მსოფლიო კრების განჩინება პეტრე იბერის შესახებ და მართლმადიდებელი ეკლესიის ორი ყოვლადმსოფლიო «სინოდიკონი» თბ. 2016), სადაც ის არგუმენტირებულად საუბრობს პეტრე იბერის მონოფიზიტურ აღმსარებლობაზე.

ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებო ნაშრომები აქვთ გამოქვეყნებული ქართველ მეცნიერებს: ა. გაწერელიას და ს. ყაუხჩიშვილს. სწორედ ამ ნაშრომებზე დაყრდნობით შევეცდებით, განვსაზღვროთ „პეტრე იბერის ცხოვრების“ შემცველი ძეგლების ავტორობისა და შექმნის თარიღი. ა. გაწერელიას თქმით, ჩვენამდე მოღწეულ ბიოგრაფთა შორის 1912 წლამდე პირველი ადგილი უჭირავს რუფინუსის სახელით ცნობილ „პეტრე იბერის ცხოვრებას“, რომელიც ავტორს ბერძნულად დაუწერია. მისი მხოლოდ სირიული თარგმანია შემორჩენილი. ამ „ცხოვრების“ სირიული ტექსტი გერმანული თარგმანითურთ გამოსცა რიხ. რაბემ 1885 წელს. აღნიშნული თარგმანიდან „ცხოვრების“ ის ნაწილები, რომლებიც განსაკუთრებით საყურადღებო ცნობებს შეიცავს პეტრეს ბიოგრაფიიდან, ქართულად გამოაქვეყნა

პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა 1965 წ. ხოლო მოგვიანებით „პეტრე იბერის ცხოვრების“ ასურული რედაქცია გერმანულიდან თარგმნა, გამოკვლევა, კომენტარები და განმარტებითი საძიებელი დაურთო ივ. ლოლაშვილმა 1988 წ.

რაც შეეხება ზაქარია რიტორის სახელით გამოცემულ ბერძნულ ტექსტს, ორიგინალი და მისი სირიული ვარიანტიც დაკარგულია.

აღსანიშნავია, რომ ზაქარია რიტორის სახელით იყო გამოცემული ბერძნულ ენაზე „საეკლესიო ისტორია“. მისი სირიული თარგმანი შემონახულია. პეტრე იბერის შესახებ ზაქარიას ცნობები ექსცერპტების სახით შესრულებული კომპილატორის მიერ გადმოცემულია გეორგიკას წიგნებში; ისინი გერმანული თარგმანის მიხედვით ქართულად გამოაქვეყნა ს. ყაუხჩიშვილმა.

XIII თუ მე-XIV ს. ს.- ში მღვდელმა მაკარი მესხმა სირიულიდან, ანუ ზაქარია რიტორის „საეკლესიო ისტორიიდან“, ქართულად გადმოიღო (ზოგან პირდაპირ, ზოგან კი გავრცობილი თუ შემოკლებული სახით) „პეტრე ქართველის ცხოვრება და მოქალაქეობა“. აღნიშნული „ცხოვრება“, ფურცლებდაშლილი, ხელთ ჩავარდნია ვინმე დეკანოზ პავლეს (XV ს.), მას თავისებურად დაულაგებია ხელნაწერი, ზედ დაურთავს წინასიტყვაობა, განუვრცია სასწაულებით და „ბოლოც კეთილად დაუსრულებია“ (გაწერელია 1977: 284).

დ. ლანგმა დიდი მეცნიერული პასუხისმგებლობით შეისწავლა „პეტრე იბერის ცხოვრების“ ქართული ხელნაწერი. ის თავისი გამოკვლევის შესავალ წერილში განმარტავს, რომ „ზაქარია რიტორის ტექსტი, რომელიც მესამე პირისგან მომდინარეობს, საკმაოდ იყო დამახინჯებული რედაქტორების მიერ, რომელთაც სურდათ, მწვალებელი პეტრე უბიწო მართლმადიდებელ წმინდანად წარმოეჩინათ. და ჩვენ ვამჯობინებთ, იოანე რუფუსის ვერსიას დავყრდნობოდით და დაგვემატებინა რამდენიმე ეპიზოდი პეტრეზე „მოგონებების კრებულიდან“, ცნობილი, როგორც პლეროფორიები, რომელიც სირიულ ენაზე არის შემონახული“, “ This Georgian text has been much distorted by it’s pious redactors, who wanted to present the heretic Peter as an

impeccably Orthodox saint. For this reason, we have preferred to draw on John Rufus' version, adding a few episodes from a collection of Peter's reminiscences known as the *Plerophorioe*, also preserved in Syriac (Lang 1956: 58).

ზემოთ გამოთქმული მოსაზრება ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, თუ რომელი ხელნაწერიდან თარგმნა „პეტრე იბერის ცხოვრება“ დ. ლანგმა. როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში იოანე რუფინუსის სირიულ ტექსტზე დაყრდნობით აღნიშნული „ცხოვრება“ ს. ყაუხჩიშვილმა „პლეროფორიებთან“ ერთად გადათარგმანა 1965 წელს, ხოლო დ. ლანგმა სირიულ ხელნაწერზე დაყრდნობით გამოსცა თარგმანი 1956 წელს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ წინაშეა ქრონოლოგიური აცდენა. აქედან გამომდინარე, დ. ლანგი სიმონ ყაუხჩიშვილის თარგმანს ვერ დაეყრდნობოდა, რადგან ჯერ კიდევ თავად ს. ყაუხჩიშვილი თავის სამეცნიერო ნაშრომში („პეტრე იბერიელი და დიონისე არეოპაგელი“, 1963 წ.) წერდა: „დღესდღეობით გარკვეულია, რომ ყველაზე დიდი მოღვაწის პეტრე იბერიელის მოწაფეთაგან იყო იოსებ რუფინუსი. ჩვენს ხელთ არის მისი ორი თხზულება მაინც, რომელთაგან ერთი, დღევანდელი დაბეჭდილი სტამბური 150 გვერდის შემცველია და ეწოდება „პეტრე იბერის ცხოვრება და მოღვაწეობა“ (იგუ. რაბეს ასურული ტექსტი), მეორე თხზულება ამავე ავტორისა არის „პლეროფორიები“, საკმაოდ სქელტანიანი წიგნი, რომლის ორი მესამედი მიძღვნილი აქვს პეტრე იბერის ცხოვრებასა და მოღვაწეობას“ (ყაუხჩიშვილი 1963: 155-156).

ა. გაწერელისა სამეცნიერო ნაშრომი - „პეტრე იბერის ბიოგრაფიის საკითხი“ - ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ აქ მეცნიერი საუბრობს რუფუსის და მაკარი-პავლეს ტექსტების მსგავსებასა და განსხვავებაზე. კერძოდ, ის მიუთითებს, რომ „უეჭველად მნიშვნელოვანი პასაჟები რუფუსის თხზულებისა (ზოგან გავრცობილი, ზოგან შემოკლებული), უეჭველად ამ ავტორის თხზულების სირიული დედნიდან, ე. ი. რუფუსის თხზულებიდან არის გადმოსული ქართულში. ეს გამოჩნდება იმ პარალელური ადგილებიდან, რომელთაც აქ მოვიტანთ (სამწუხაროდ, რუფუსის სირიული დედნისა და ქართული „ცხოვრების სრული შედარება ამ

მეთოდით დღემდე არავის უცდია. ეს საქმე უნდა შეასრულონ იმათ, ვინც სირიულს კარგად ფლობენ. მაშინ ზოგი დეტალი კარგად დაზუსტდება. და საერთოდ, საჭიროა სირიული ტექსტის სრულად თარგმნა“ (გაწერელია: 1970: 135-169).

1965 წელს ყაუხჩიშვილის რედაქტორობით გამოიცა II ტომი, რომელიც შეიცავს ორი თხზულებიდან ამოკრეფილ ნაწყვეტებს. ერთი წარმოადგენს „პეტრე იბერის ცხოვრებას“, ხოლო მეორე - „პლეროფორიებს“, სადაც ავტორი გვაწვდის ცნობებს ქალკედონის კრების (451 წ.) შემდეგ გაშლილი იდეოლოგიური ბრძოლის შესახებ და გვამცნობს ამ ბრძოლის იმ ეპიზოდებს, რომლებიც პეტრე იბერის წრეში მიმდინარეობდა. ს. ყაუხჩიშვილი ნაშრომის წინასიტყვაობაში წერს, რომ „პეტრე იბერის ცხოვრების“ ნაწყვეტი თარგმნილია რ. რაბეს გერმანული თარგმანიდან, რომელიც ეყრდნობა ი. რუფუსის სირიულ ხელნაწერს, ხოლო „პლეროფორიები“ გადმოთარგმნილი აქვს ფ. ნაუს ფრანგული თარგანების მიხედვით.

ზემოთ წარმოდგენილი მოსაზრებებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ დ. ლანგის „პეტრე იბერის ცხოვრება“ არ მომდინარეობს ქართული თარგმანიდან, რადგანაც იმ დროისთვის რუფინუსის „პეტრე იბერის ცხოვრების“ აღნიშნული თარგმანი საქართველოში ფიზიკურად არ არსებობდა. მეტიც, დ. ლანგს ის სირიულ რედაქციაზე დაყრდნობით შეუსრულებია.

დ. ლანგის თარგმანისა და სიმონ ყაუხჩიშვილის ნაწყვეტი „თარგმანის“ წაკითხვის შემდეგ დავრწმუნდით, რომ ორივე ტექსტი შინაარსით ემთხვევა ერთმანეთს და ისინი სირიული ტექსტის ხელნაწერიდან მომდინარეობენ, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ ვერ შევძლებთ პეტრე იბერის „ცხოვრების“ სირიული ხელნაწერის ინგლისურ თარგმანთან შედარებას, შემოვიფარგლებით მხოლოდ დ. ლანგის ინგლისური თარგმანით და ვისაუბრებთ მის გარშემო.

ტექსტის წაკითხვის და გაანალიზების შემდეგ ნათელია, რომ თარგმანი არის დედნის შემოკლებული ვერსია. ეპიზოდები ადაპტირებულია და გადმოცემულია

თანამედროვე ენაზე. რადგან ეს ნაწარმოები ისტორიული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია, მკვლევარმა საჭიროდ ჩათვალა დაეთარილებინა ყველა ისტორიული მომენტი, რათა ამ გზით ეპიზოდები უფრო გასაგები და დამაჯერებელი ყოფილიყო მკითხველისთვის.

თარგმნილი ტექსტის ძირითადი ნაწილის სათაურია: „Biography of the holy Peter the Iberian, the venerable bishop, ascetic and confessor of our Lord “ (“ცხოვრება წმინდა პეტრე იბერიისა, ღირსეულისა ეპისკოპოსისა და უფლისა ჩვენისა აღმსარებლისა და ასკეტისა“ - დ. ლანგი. 1956; 58).

დ. ლანგი თხრობას იწყებს პეტრე იბერიის მშობლიური ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობისა და იქ მცხოვრები ხალხის აღწერით: “The blessed Peter’s fatherland was the renewed country of the Iberians, those northern people who dwell towards the rising of the sun — a land perpetually at war with the Romans and the Persians, because each of these notions was attempting to annex it for strategic reasons“, „ნეტარი პეტრეს სამშობლო იბერიის სახელგანთქმული ქვეყანა იყო, იმ ჩრდილოელთა ქვეყანა, რომლებიც მზის აღმოსავლეთით ბინადრობენ და გამუდმებით ჩართული იყვნენ ბრძოლებში რომაელებთან და სპარსელებთან. რადგან ყველა ცდილობდა ქვეყნის ანექსირებას თავიანთი სტრატეგიული მიზნებისთვის“ (Lang 1956: 58).

ლანგი თხრობას აგრძელებს პეტრე იბერიის მეფურ წარმომავლობაზე. თარგმანიდან ვიგებთ, რომ პეტრე იყო იბერიის მბრძანებლის - ბუზმარის (Bosmarios) და ბაკურდუხტიას (Bakurdukhtia) შვილი. დედის მხრივ, პეტრეს პაპის და ბეზის სახელებია ბაკური (Bacurius) და ოსდუხტია (Osdukhtia). ლანგი მკითხველს განუმარტავს ბაკურის ვინაობას და შეახსენებს, რომ ის დანამდვილებით იგივე ბაკური იყო, რომელიც მსახურობდა პალესტინაში და ჟამთააღმწერელ რუფინუსს უამბო „წმინდა ნინოს“ ამბავი, რომლის შესახებაც მოთხრობილი იყო ამავე კრებულის პირველ თავში: „Evidently the same Bacurius who served in Palestina and told the chronicle



Rufinus the story of St. Nino which we have reproduced in the first chapter of the book“(Lang 1956: 59).

მამის მხრივ, პეტრეს პაპა და ბებია იყვნენ ბოსმარიოსი (Bosmarios), ივერიის მეფე და ოსდუხტია (Osdukhtia). ავტორი ასახელებს ოსდუხტიას ძმას, ფარსმანს (Pharsmanios), რომელსაც რომაელთა მეფე არსაკიდი დიდი პატივით ეპყრობოდა. ის ჯარის სარდალი იყო და სამეფო კარზე პირველი ადგილი ეკავა.

დ. ლანგი წერს, რომ მას შემდეგ, რაც პეტრე ღვთაებრივი წყალობის შედეგად ჩაისახა, დაიბადა და აღიზარდა, 12 წლის ასაკში მძევლად გააგზავნეს ბიზანტიის კეისარ თეოდოსი II-სთან, რადგან ქართველი მეფე ქრისტიანულ ბიზანტიას უფრო მეტ პატივს სცემდა, ვიდრე უღმრთო სპარსელებს.

ლანგი აღწერს, თუ როგორ განსაკუთრებულ პატივსა და სიყვარულში იზრდებოდა ნაზარნუგიოუსი. მისი თქმით, როდესაც ის რომში ცხოვრებულ თეოდოსისთან ჩამოვიდა, დიდი სიყვარულით მიიღეს. შემდეგ აღზარდეს და როგორც საკუთარი შვილი, ისე შეიყვარეს. ამ ყველაფერს ემატებოდა მორწმუნე კეისრის სასახლე, რომელიც ღმრთის მოშიში და მწირობისადმი მიდრეკილი პირებისაგან შედგებოდა.

ძეგლში ასევე აღწერილია პეტრეს სიყვარული ღმრთის მიმართ, რომელსაც ის არა მხოლოდ კეისრის კარზე, არამედ თავის დედ-მამასთანაც ამჟღავნებდა.

რა თქმა უნდა, პეტრეს ასეთ გარემოში აღზრდა და ღვთისადმი განსაკუთრებული სიყვარული შემდგომში გახდა მასში რელიგიური გრძნობის გაღვიძებისა და ასკეტობისკენ ლტოლვის საფუძველი.

აღნიშნულ თარგმანში ლანგს აღწერილი აქვს თუ როგორ გაურბოდა ჯერ კიდევ ყრმა პეტრე სასახლის კარზე არსებულ ფუფუნებას. მთარგმნელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პეტრე თავს არიდებდა დიდებულებთან და სენატორებთან შეხვედრას. მრავალ მსგავს ეპიზოდს ვხვდებით მოცემულ თარგმანში. ასე მაგალითად, პეტრემ უარი თქვა

სულთმოფენობის დღესასწაულზე გამოცხადებაზე, რადგან ამ დროს, ტრადიციის მიხედვით, სენატორები მოდიოდნენ იმპერატორის კარზე.

როცა პეტრე კონსტანტინოპოლში მოღვაწეობდა, მისი იქ ყოფნის ამბავი შეიტყო დედოფალმა ევდოკიამ და გახარებულმა მისი ნახვა მოისურვა. მას მთელი გულით უყვარდა იგი, მაგრამ პეტრემ თავიდანვე შეუთვალა: სენაკს ნუ დამატოვებინებო, რადგან ამას ის ერთგვარ ცდუნებად მიიჩნევდა. რაკი დედოფალი მაინც დაჟინებით მოითხოვდა მასთან შეხვედრას, პეტრე მასთან სასაუბროდ მივიდა. ევდოკია ყურადღებით აკვირდებოდა მის მორჩილებას, სიბრძნეს და ბოლოს უთხრა: „კურთხეულ ხარ შენ, ჩემო შვილო, რამეთუ სიკეთე აგირჩევია! მომიხსენე შენს წმინდა ლოცვაში“. პეტრემ მაშინვე უპასუხა: „რა სიკეთე შეიძლება ჰქონდეს ცოდვილ მლოცველ ადამიანს?“ დედოფალმა კი მიუგო: „შენი ცოდვები ჩემზე იყოს, შვილო ჩემო“. ასე დაბრუნდა პეტრე თავის საკანში.

როდესაც დედოფალმა კვლავ მოინდომა პეტრეს ნახვა, ის რჩევის მისაღებად წმინდა ზენონთან გაიქცა, რომელმაც უთხრა: „იხსენ, იხსენ თავი შენი“.

თარგმანში აღწერილია უამრავი სასწაული, რომელსაც პეტრე აღასრულებდა. მაგალითად, ერთხელ, სასახლის კარზე ყოფნის დროს, როდესაც მან სულთმოფენობის დღესასწაულზე წასვლისგან თავი შეიკავა, ოთახში ჩაიკეტა და ლოცულობდა, თავის პაჟს სთხოვა, მისთვის ზეთი მიეტანა ჭრაქში ჩასასხმელად, რაზეც მტკიცე უარი მიიღო. როდესაც ღამისთვის საღამო დადგა, ყველა ჭრაქი, ნაცვლად ზეთისა, წყლით აავსო და მოხდა სასწაული, ეს ჭრაქები მთელი დღესასწაული, შვიდი დღის განმავლობაში ანთებული იყო (თარგმანი ჩვენია; ს. ბარბაქაძე).

პეტრე იბერი ხშირად თერმულ წყაროებს მოიხმარდა სამკურნალოდ. ერთხელ მას ურჩიეს, თერმული წყლისთვის ბარში ჩასულიყო, სადაც ცხელი წყალი მოედინებოდა. ეს იყო მაღალი მთებით გარშემორტყმული ვიწრო ხეობა, რომელსაც ცხელი წყლის ნაკადულები ისე ათბობდნენ, რომ გარშემორტყმული მთები, საკვამლე მიწებივით იყო გაშავებული მათზე მუდმივად მდგარი სქელი ორთქლის ღრუბლებით. მაგრამ იმ

დღეებში, როდესაც პეტრე იქ იმყოფებოდა, ჰაერი ისეთი სუფთა და რბილი იყო, რომ ეს კაცს საამო ნიავის ქროლას აგონებდა. ისინი, ვინც მასთან ერთად ჩამოვიდნენ, გაკვირვებული ამბობდნენ, არასოდეს გვინახავს ასეთი სასწაულიო.

მოხდა სხვა სასწაულიც, რამაც უფრო მეტად განუმტკიცა მორწმუნეებს რწმენა. ხალხი, რომელიც ზამთარში იქ იკრიბებოდა, ლერწამს აგროვებდა და ქოხებს იკეთებდა, რომლებიც ერთმანეთზე იყო გადაბმული. ზაფხულში იმ ადგილას არავინ რჩებოდა, მიტოვებული ქოხები სიცხის გამო ერთიანად შრებოდა და ხმებოდა. იმათ კი, ვინც პეტრესთან ერთად ჩავიდა, ქოხები მზად დახვდათ და შესახლდნენ. როგორც კი ერთმა მისულმა ცეცხლი დაანთო საჭმლის მოსამზადებლად, ნაპერწკალი ავარდა და ლერწამს მოედო. ცეცხლი მალე გადავიდა მოსაზღვრე ქოხებზე და ნაცრად აქცია. ალი ისე სწრაფად ავარდა ცაში, რომ ატყდა გოდება მოსალოდნელი უბედურების გამო. პეტრემ ტირილი დაიწყო და ზეცისკენ აღაპყრო ხელები. იგი მდუმარედ, როგორც მოსე, გულში შეჰლაღადებდა ღმერთს. ვინაიდან არავის შეეძლო და ვერც გაბედეს წყლით ჩაექროთ ცეცხლი, ყველა ქოხი მაშინვე ფერფლად და ნაცრად იქცა, მოხდა ისე, რომ ვერ ნახეს ვერც ერთი კაცი, ვერც ერთი საქონელი, ხელსაწყო ან დამწვარი და განადგურებული ტანსაცმელი, გარდა ვირის უნაგირისა. ამით ყველამ შეიტყო, რომ წმინდანის ლოცვამ და ვედრებამ შეაჩერა ცეცხლის ძალა და მისი წყალობით, ყველა გადარჩა (თარგმანი ჩვენია; ს. ბარბაქაძე).

## **§ 6. 1. იოანე რუფუსის „პლეროფორიები“ დევიდ ლანგის თარგმანში**

თვით თხზულება „პლეროფორიები“ შეიცავს ზოგიერთ ავტობიოგრაფიულ ცნობას ავტორის შესახებ. მისი სახელია იოანე, ის არის არაბი, წარმოშობით სამხრეთ პალესტინიდან (ასკალონიდან); ბეირუთში დაეუფლა სამართლის მეცნიერებას; მას ეწოდებოდა ბეით - რუფინი. ის ანტიოქიის მღვდლად აკურთხა პატრიარქმა პეტრე ფულონმა, რომლის სინკელოსადაც იყო. პატრიარქ პეტრეს გადაყენების შემდეგ იოანე დაბრუნდა პალესტინაში, სადაც გაიცნო მეუღაბნოე ესაია და პეტრე იბერი, მაიუმის

მონოფიზიტი ეპისკოპოსი. 485 წელს ის იერუსალიმშია. ამ დროიდან მოკიდებული იოანეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა პეტრე იბერთან, რომლის გარდაცვალების შემდეგ, მაიუმის ეპისკოპოსად დაინიშნა.

„პლეროფორიები“ დაწერა იოანე რუფუსმა (512-518). ამ შრომით ავტორი მიზნად ისახავს ქალკედონის კრების დადგენილების განქიქებას. მას მოჰყავს მთელი რიგი სასწაულები და წინასწარმეტყველებანი და სურს აჩვენოს, რომ ეს კრება ნესტორიანთა გამართლებას ცდილობდა, იმ ნესტორიანთა, რომელთა მოძღვრებაც დაგმეს ეფესოს პირველ კრებაზე ( 431 წელს). უმეტესი ნაწილი ამ შრომებში („პლეროფორიებში“) გადმოცემული ამბებისა მომდინარეობს პეტრე იბერის წრიდან (**ყაუხჩიშვილი 1965: 290**).

ქალკედონის კრებამ გამოიწვია დიდი მითქმა-მოთქმა. ეს მითქმა-მოთქმა თავის შრომაში ასახა იოანე რუფუსმა, რომელიც ბერძნულ ენაზე დაწერა 512 წლის შემდეგ.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, დ. ლანგს პეტრე იბერის ბიოგრაფიისთვის „პლერიფორიებიც“ მიუმატებია. თარგმნილი ტექსტიდან ირკვევა, რომ დ. ლანგმა პეტრე იბერის ბიოგრაფიას ორი „პლეროფორია“ შეჰმატა. ქვემოთ მოვიყვანთ ორივე მათგანს: “Our father and bishop, the venerable Abba Peter the Iberian, used to tell us that he was in Constantinople when Nestorius was still alive and exercising the episcopate. ‘When Nestorius was ending the commemoration of the forty Holy Martyrs in the church which is called Mari, he rose in my presence to expound the scriptures before all the people. He had a clear and feminine voice. In front of me, he began to blaspheme and say in the middle of his sermon: Thou shalt not be glorified, O Mary, as if thou hadst given birth to God; but O excellent one, thou hast given birth not to God, but to a man, the instrument of God. — As soon as he had said this, he was possessed in the pulpit by a demon, so that his face and right hand were twisted askew. As he was all bent up and on the point of falling, the attendants and deacons seized him quickly and carried him into the sacristy. From then on, most of the

townsfolk cut themselves off from communion with him, especially the people of the palace, and in particular I myself, although he was very fond of me' (Lang 1956: 61).

“ჩვენი მამა ეპისკოპოსი, პატივცემული ამბა პეტრე იბერი მოგვითხრობდა, როდესაც ის ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლში იყო, როდესაც ნესტორიოსი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და ეპისკოპოსად იჯდა—ასრულებდა რა მოსახსენიებელს 40 წმინდა მოწამისას მარიამის სახელობის ეკლესიაში, ის ჩემი თანდასწრებით, წირვის დროს წარდგა ხალხის წინაშე, რათა განემარტა საღმრთო წერილი. მას ჰქონდა სუფთა და ქალისთვის დამახასიათებელი ხმა. მან დაიწყო ღვთის გმობა და შუა ქადაგების დროს თქვა: ღვთისმშობელმა შვა არა ღმერთი, არამედ ადამიანი, ღმერთის ინსტრუმენტი. როგორც კი ეს თქვა, მაშინვე ის დემონმა შეიპყრო, ისე, რომ მას სახე და მარჯვენა ხელი გაუმრუდდა. როცა ძირს უნდა დავარდნილიყო, დიაკვნებმა და თანმხლებმა პირებმა ხელი ჩასჭიდეს და სწრაფად გაიყვანეს. ამის შემდგომ, ქალაქში მცხოვრებთა უმრავლესობამ საერთოდ გაწყვიტა მასთან კავშირი. განსაკუთრებით დიდებულებმა და მათ შორის მეც, მიუხედავად იმისა, რომ მე მას ძალიან ვუყვარდი“ (თარგმანი ჩვენია; ს. ბარბაქაძე).

მოვიყვანთ მეორე პლეროფორიასაც:

‘While I was still a child ‘,he used to tell us,’and residing at the palace in Constantinople, holding vigil and living ascetic life, I used to reason in my mind on the mystery of the Holy Trinity—how it is that when we confess one single God, we believe at the same time in a Trinity of the same essence, eternal, without beginning; and also whether He who was incarnate for us is one of the Trinity ‘. Then he told us that he had a vision in which the apostle Peter led him to a high place and showed him in the heavens a great light, inaccessible and incomprehensible, in the shape of a wheel, like the sun, and said to him: That is the Father. Then he showed him a second light which followed the first and resembled it completely, in the middle of which was our Lord, represented with the features of the Nazarene, and he added: That is the Son. Finally he showed him a third light similar in every way to the

preceding ones, and St. Peter said to him: That is the Holy Spirit — one essence, one nature, one glory, one power, one light one godhead, in three hypostases; but while all three are inaccessible, only that in the centre was represented with the figure of the Nazarene, to show that He who was crucified is one of the Holy Trinity and not another — far from it! But the two others are simply a light inaccessible, unimaginable, unattainable, incomprehensible’ (Lang 1956: 62).

„სანამ ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი“, ის ჩვენ გვიყვებოდა: „ცხოვრობდი კონსტანტინოპოლში, სასახლეში ღამეებს ვათენებდი და ასკეტის ცხოვრებით ცხოვრობდი, ჩემს გუნებაში წმინდა სამების საიდუმლოს შესახებ ვფიქრობდი - როგორ ხდება, როდესაც ჩვენ ვალიარებთ ერთ ღმერთს, ამავე დროს, ჩვენ გვჯერა სამებისა ერთარსებისა, მარადიულისა და უსასრულოდსა. და, ასევე, უფალი, რომელიც განკაცდა ჩვენთვის, არის ერთი სამებიდან, ერთარსებიდან. შემდეგ მან ჩვენ გვითხრა, რომ ერთხელ მას ჰქონდა ხილვა, სადაც ის მოციქულმა პეტრემ წაიყვანა შემალღებულ ადგილას და აჩვენა მას უზარმაზარი სინათლე, ზეცაში მიუწვდომელი, ჩაუწვდომელი, მრგვალი ფორმის, როგორც მზე, და უთხრა მას: ეს არის მამა ღმერთი. შემდეგ მან აჩვენა მეორე სინათლე, რომელიც მიუძღოდა პირველს და ძალიან ჰგავდა მას, შუაში იყო ჩვენი უფალი, რომელიც წარმოდგენილი იყო იესო ნაზარეტელის ნაკვეთებით და მან დაამატა: ეს არის ძე. საბოლოოდ, მან აჩვენა მას მესამე სინათლე, ყოველმხრივ მსგავსი წინამორბედისა. ცხონებულმა პეტრემ უთხრა მას: ეს არის სულიწმინდა — ერთარსი, ერთი ბუნება, ერთი დიდება, ერთი ძალა, ერთი სინათლე, ერთი ღვთაებრიობა სამ ჰიპოსტასში; მაგრამ მაშინ როცა სამივე მათგანი არიან მიუწვდომელნი, მხოლოდ ის იყო ცენტრში წარმოდგენილი იესო ნაზარეტელის სხეულით, იმისათვის, რომ ეჩვენებინა, რომ ის არის ერთადერთი წმინდა სამებიდან, ვინც ჯვარს ეცვა და არა ისინი, რომლებიც იყვნენ მოშორებით მისგან“ (თარგმანი ჩვენი; ს. ბარბაქაძე).

პროფესორი ედუარდ ალენი გამოეხმაურა დ. ლანგის „პეტრე იბერის ცხოვრების“ თარგმანს „ლონდონის უნივერსიტეტის აღმოსავლეთისა და აფრიკამცოდნეობის

მოამბის XIX ტომის 1-ლ ნაკვეთში. ის წერდა, რომ ღაზის მახლობლად მოღვაწე მაიუმის ეპისკოპოსის - პეტრე იბერიელის ცხოვრება (409-88), რომელსაც დოქტორი ლანგი ჯეროვნად ახასიათებს, როგორც მებრძოლ ასკეტს, ბიზანტიური ეკლესიის ისტორიის შემსწავლელისთვის მნიშვნელოვანია. მართლაც, ეს არაჩვეულებრივი კაცი თანამედროვე ფსიქიატრისთვის საინტერესო უნდა იყოს. ბიზანტიაში მძევლად გაგზავნილ განებივრებულ ახალგაზრდა უფლისწულს თავისი შუბოსნებიც კი ვერ ეგუებოდნენ. "როდესაც ჯერ კიდევ ბავშვი იყო“, ტრანსცენდენტული აზროვნება და სამების მისეული ინტერპრეტაციის გამოხატვის ძალა ჰქონდა (იხ. დანართი №1).

„პეტრე იბერის ცხოვრება“ ბიზანტიური ეკლესიის ისტორიის შესასწავლად მეტად მნიშვნელოვანია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისტორიულად მნიშვნელოვან ეპიზოდებს თარგმანში ლანგი უმატებს თარიღებს, იმისათვის, რომ უფრო დამაჯერებელი გახადოს ის მკითხველისთვის.

მაგალითად, დათარიღებულია პეტრეს და იოანეს მღვდლად კურთხევის ეპიზოდი. თარგმანიდან ვიგებთ, რომ ეს მოხდა 445 წელს, მაშინ, როდესაც პეტრე ცხოვრობდა წმინდა ქალაქ იერუსალიმში და ამ ქალაქის ეპისკოპოსი იყო იუვენალი. ამ იუვენალმა მრავალჯერ მოიწადინა პეტრეს მღვდლად კურთხევა, მაგრამ ვერ შესძლო, რადგან ღმერთი ამისგან იცავდა პეტრეს. და აი, ახლა, როდესაც პეტრე მაიუმის ახლოს ცხოვრობდა, იმ მხარის ეპისკოპოსი იყო პავლე, იუვენალის ძმისწული. ამანაც მოინდომა პეტრეს ხელდასმა, ხოლო პეტრემ სთხოვა მას: ნუ მაკურთხებო და მანაც შეუთვალა, თხოვნას შეგისრულებო; მაგრამ როდესაც სახელგანთქმული ვიქტორის ხსენების დღეს გაიმართა მრავალი ეპისკოპოსისაგან შემდგარი კრება, პავლემ ერთი ეპისკოპოსთაგანი საიდუმლოდ თავისთან იხმო და დაიყოლია, რომ პეტრე ეკურთხებინა. მან დაიხმარა ირენონი, რომელსაც მათთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. მისი მონაწილეობით ორივეს მოულოდნელად თავს დაესხა და დიდი ძალდატანებისა და თხოვნის მიუხედავად, მღვდლად აკურთხა (თარგმანი ჩვენია; ს. ბარბაქაძე).

მღვდლად კურთხევიდან შვიდი წლის განმავლობაში, პეტრე უარს ამბობდა მღვდელმსახურებაზე, სანამ 451 წელს (ასე გვითარილებს დ. ლანგი), ქალკედონის განდგომის ხანაში, პეტრეს ეპისკოპოსის პატივი არ მიანიჭეს. ეს იყო მაშინ, როდესაც რენეგატობა ნება დართული იყო პაპ ლეონის მიერ. მან მიიღო სამარცხვინო ნესტორის დოქტრინა, რომელიც უკავშირდება დიოსკურეს, ეგვიპტის მთავარეპისკოპოსის განდევნას, მანამ, სანამ იუვენალი, რომელიც ატარებდა იერუსალიმის ეპისკოპოსის ტიტულს, ხელი მოაწერა რენეგატობის აქტს, რითაც იუდას ხვედრი გაიზიარა (თარგმანი ჩვენია; ს. ზარბაქაძე).

დ. ლანგი მოკლედ გადმოსცემს დიოფიზიტების მიერ მონოფიზიტების დევნის ამბავს. როგორც აღვნიშნეთ, კონსტანტინოპოლის ახალი კეისარი მარკიანე და რომის პაპი ლეონ დიდი მონოფიზიტების წინააღმდეგ გაერთიანდნენ. დ. ლანგის მიერ დათარიღებულ ეპიზოდში მოთხრობილია, 457 წელს, მარკიანეს გარდაცვალების შემდეგ, თუ როგორ დატოვა პეტრემ ოქსირინხი და ალექსანდრიაში დაბრუნდა; როდესაც მარკიანეს - ამგვარ სისამაგლეთა მოთავის, დამწყებისა და დამცველის სიკვდილის ამბავმა მიაღწია ალექსანდრიაში, ამას მოჰყვა მორწმუნე ხალხის გამოცოცხლება. ისინი მადლობას სწირავდნენ ყოვლისშემძლე ქრისტეს. ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, მათ უდაბნოში გააგზავნეს კაცები და წინასწარი ცოდნის და მიხვედრილობის გარეშე იქიდან წამოიყვანეს განთქმული აღმსარებელი ტიმოთე. მათ ის ქალაქში, სახელდობრ - „კაისარიონის“ ეკლესიაში მოიყვანეს, რომ მღვდლმთავრად ეკურთხებინათ. იქ აღმოჩნდა მხოლოდ ერთი მართლმადიდებელი ეპისკოპოსი, სახელად ევსები პელუზიელი. სხვები დამალულები იყვნენ და გამოჩენასაც ვერ ბედავდნენ, როგორც კი ცნობილი გახდა, რომ პეტრე იქ იყო და იმალებოდა, ძალით გამოიყვანეს, თავიანთ მხრებზე შეისვეს და ისე მოიყვანეს „ლაისარიონში“, სადაც ხალხი იყო შეკრებილი. პეტრემ, მეორე ეპისკოპოსთან ერთად, საიდუმლოდ აკურთხა ტიმოთე ეპისკოპოსად.



ამას მალე მოჰყვა პროტერიუსის განრისხება. მან დიონისიუსის მეთურობით შეირადებული ჯარი გაგზავნა წმინდა ეკლესიაში, რასაც მოჰყვა მონაზვნების, ბერების და ერისკაცების მასობრივი ჟლეტა.

პეტრეს მოგზაურობას ალექსანდრიისა და მის გარშემო არსებულ მონასტრებში დ. ლანგი 457-474 წლებით ათარიღებს. პეტრემ ფარულად მოინახულა ეგვიპტის ბევრი სოფელი და ქალაქი, სადაც მორწმუნეებს, მსგავსად პავლე მოციქულისა, მოძღვრავდა.

დ. ლანგი თავის თარგმანში, გამოკვეთილად საუბრობს იმ მნიშვნელოვან აღმშენებლობით საქმიანობაზე, რომელიც პეტრემ იერუსალიმში გასწია. როგორც ირკვევა, პეტრე და მისი აღმზრდელი იოანე ლაზი გულმოდგინედ ზრუნავდნენ თავიანთ თანამემამულეებზე და მათთვის აგებდნენ სავანეებს. იერუსალიმში, ქვეყნის ჩრდილოეთით, წმინდა ეკლესიის სიონის გვერდზე, დავითის კომკთან ახლოს (Tower David) მათ აღაშენეს მონასტერი, რომელსაც ერქვა იბერიელთა სააბატო (Abbey of the Iberians).

როგორც აღვნიშნეთ, დ. ლანგის თარგმანი წარმოადგენს ადაპტირებულ ვარიანტს, რომელიც თანამედროვე ენაზეა წარმოდგენილი. ავტორი ხაზს უსვამს ბიზანტიის კარზე ორი რელიგიური პარტიის — მონოფიზიტებისა და დიოფიზიტების ბრძოლას. მიუხედავად მონოფიზიტების მასობრივი ლტოლვისა, თარგმანში კარგად ჩანს, რომ რეპრესიები პეტრეს არ შეჰხებია, რადგანაც ამის მიზეზი იყო პირადად მისი პიროვნებადმი განსაკუთრებული პატივისცემა სასახლის კარის მხრიდან და, ამავე დროს, პეტრეს თავდაჭერილობა უმძაფრესი რელიგიური ბრძოლების ჟამს, რომელიც ქალკედონის კრების წინა პერიოდში მიმდინარეობდა.

## თავი VII.

### წმინდა ფრანცისის წინამორბედი: დავით გარეჯელი

საქართველოს სარწმუნოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში ასურელ მამათა მოღვაწეობას ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია. ამიტომაც გასაკვირი არ უნდა იყოს ის, რომ ლანგმა, როგორც დაკვირვებულმა მეცნიერმა და მთარგმნელმა, დიდი ყურადღებით შეისწავლა მათი ქართლში მოსვლის დროისა და მოღვაწეობის საკითხი. მან ცამეტ ასურელ მამათაგან ინგლისურ ენაზე თარგმნა დავით გარეჯელის ცხოვრება, რომელსაც, შესავალი წერილი დაურთო. ამ შესანიშნავი თარგმანით ინგლისურენოვანი მკითხველი წმ. დავითის ცხოვრებასთან ერთად ეცნობა იმ ეპოქას, როცა საქართველოში ფეხს იკიდებდა ბერმონაზვნური ცხოვრება.

შესავალი ნაწილი, რომელიც წინ უძღვის თარგანს, წარმოდგენილია სათაურით “A FORERUNNER OF ST. FRANCIS: DAVID OF GARESJA („წმინდა ფრანცისის წინამორბედი: დავით გარეჯელი“ - D. Lang 1956: 81). თხზულების ეს ნაწილი, ისევე როგორც სათაური, მეტად მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ დ. ლანგი წმ. დავით გარეჯელს წმ. ფრანცის ასიზელის წინამორბედად მიიჩნევს.

როგორც ცნობილია, ლანგის მიერ ინგლისურ ენაზე თარგმნილმა ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებმა ევროპაში ხელი შეუწყო ქართული სასულიერო მწერლობის პოპულარიზაციას და ევროპელ მკითხველში ჩვენი ქვეყნის კულტურისადმი დიდი ინტერესი აღძრა. შესაბამისად, დავით გარეჯელის წმ. ფრანცის ასიზელთან შედარება შემთხვევითი არ უნდა იყოს. ეს იტალიელი წმინდანი, რომელიც მე-12 საუკუნეში მოღვაწეობდა, ერთ-ერთ ყველაზე ღირსეულ ფიგურას წარმოადგენდა იმდროინდელ კათოლიკურ სამყაროში. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ წმ. ფრანცისკე ასიზელი ცხოველთა მფარველი იყო და მის მსგავსად, ასურელი მამებიც, ცხოველთა სამყაროს მიმართ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ. სწორედ წმ. ფრანცისის და წმ. დავით გარეჯელის შორის ურთიერთმსგავსება

ცხოველებისადმი კეთილგანწყობილ დამოკიდებულებაში უნდა დავინახოთ. დ. ლანგი თარგმანის შესავალ წერილში ევროპელ მკითხველს განუმარტავს, რომ „რამდენიმე ასურელი მამა ცხოველებისადმი სიყვარულით გამოირჩეოდა. წმინდა იოანე ზედაზნელი თავის სამწყსოსთან ახლოს მოზინადრე დათვებს დაუმეგობრდა. წმინდა შიომ გამოწვრთნა დაუზარელი, თუმცა, მოუხერხებელი მგელი და ვირების წინამძღოლად გაამწყსა, რომლებიც მის მღვიმეებს ამარაგებდნენ. „წმინდა დავითის ცხოვრების შესახებ ნათარგმნი მასალის მიხედვით კი ასურელ მამათა და ცხოველთა სამყაროს შორის არსებული კარგი ურთიერთობა ძალზე მგრძნობიარე და ნათელ ფონზეა წარმოდგენილი“ „Several of the Fathers were distinguished by their love of animals. St. John Zedazneli made friends with bears near his hermitage. St. Shio employed an obliging but rather inefficient wolf to guide the donkeys which brought supplies to his lonely grotto. But it is perhaps in the life of St. David here translated that the good relations existing between the Syrian Fathers and the animal world are brought out in the most touching and vivid light“ (Lang 1956: 81-83).

მეტად მნიშვნელოვანია შესავალი წერილი, რომელიც უძღვის თარგმანს. იგი ფასეულია იმ მხრივ, რომ აქ ლანგი ეხება ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორცაა ნაწარმოების დაწერის თარიღი, მისი ავტორობის საკითხი, ასურელ მამათა საქართველოში შემოსვლის დრო და აღმსარებლობა, რომელიც არაერთგზის გამხდარა მეცნიერების კვლევა-ძიების საგანი. ლანგის მტკიცებით, აღმოსავლეთ საქართველოში დავით გარეჯის მონასტრის ფუძემდებლის, წმ. დავითის ცხოვრება მიეკუთვნება ბიოგრაფიების ციკლს - „ასურელი მამების ცხოვრებას“, რომელთა უმრავლესობა საქართველოს კათოლიკოსმა არსენ II-მ დაწერა (955- 980 წ. წ.). მისივე თქმით, ასურელი მამების სახელთან არის დაკავშირებული საქართველოში სამონასტრო კოლონიზაციის წარმოშობა, უფრო მეტიც, ასურელი მამების ბიოგრაფიების თავმოყრა არსებული ფორმით მათი გარდაცვალებიდან ოთხი საუკუნის შემდეგ მოხერხდა, იმის გამო, რომ ისტორიული ფაქტები ლეგენდებითა და მითებით იყო გადაფარული (ლანგი 1956: 81).

## **§ 7. 1. დევიდ მარშალ ლანგის მოსაზრება ასურელი მამების საქართველოში ჩამოსვლის თარიღთან დაკავშირებით**

საქართველოში ასურელ მამათა შემოსვლის სავარაუდო თარიღს დ. ლანგი რეალურ პერსონაჟებსა და მოვლენებზე დაყრდნობით საზღვრავს. ასე რომ, მისი თქმით, დავით გარეჯელის ცხოვრება იერუსალიმის პატრიარქ ელიას (494-513) მოგვაგონებს. დანარჩენი თორმეტი ასურელი მამის ცხოვრება-მოღვაწეობა კი წმინდა სვიმონ მესვეტე უმცროსთან (521-97) სტუმრობას უკავშირდება. დ. ლანგის თქმით, წმ. სვიმონმა თავის აგებულ სვეტზე 10 წელი (541-551) გაატარა. ლანგი ასურელი მამების ქართლში ჩამოსვლას სპარსეთის შაჰის, ხოსროს I-ის მიერ 544 წელს ქალაქ ედესას ალყაში მოქცევის ფაქტსაც უკავშირებს. იგი ასევე არ გამორიცხავს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ სახელით ცნობილ ქართლის ქრონიკებს, რომლის თანახმადაც ასურელი მამები საქართველოში წმინდა ნინოს მოციქულობრივი მოღვაწეობიდან ორასი წლის შემდეგ შემოვიდნენ. საბოლოოდ, დ. ლანგის ასკვნის, რომ ეს წმინდა მამები კავკასიაში სხვადასხვა დროს, V საუკუნის ბოლოსა და VI საუკუნის შუა ხანებში ჩამოვიდნენ (**Lang 1956: 81**).

დაწვრილებითი ცნობების სიმწირის გამო, IX ს-დან მოყოლებული ასურელ მამათა ვინაობის, მოღვაწეობის დროისა და აღმსარებლობის საკითხი მეცნიერული პოლემიკის საგანი გახდა. ამ დროისთვის უკვე არეული ყოფილა მათი მოღვაწეობის ქრონოლოგიაც, ასურელ მამათა მოღვაწეობის დროდ ფარსმან მეფის ზეობის ხანა იყო მიჩნეული. მაგ., „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატეანის სიტყვით, ფარსმან მეფის დროს „მოვიდა ნეტარი იოანე ზედა ზადენელი შუა მდინარით ასურეთისაჲთ და თორმეტნი მოწაფენი მის თანა მოვიდეს“ (**თაყაიშვილი 1906: 723**). ჭელიშური ხელნაწერი მათი შემოსვლის ჟამს კონკრეტულ თარიღსაც უმატებს და ამბობს: „ქართლისა მოქცევითგან მეორასესა წელსაო“ (**თაყაიშვილი 1906: 723**).

ეს თარიღი VI ს. უტოლდება, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში მეფობა უკვე გაუქმებული იყო და ქვეყანას სპარსელები მარზპანის საშუალებით განაგებდნენ.

ფარსმან მეფის ზეობა მიაჩნია ასურელ მამათა მოღვაწეობის ხანად ჯუანშერსაც (**Mapp 1915: 187**).

ფარსმანის ზეობით დათარიღება თვით ასურელ მამათა გადაკეთებული ცხოვრების ერთ-ერთი ავტორს უნდა უკავშირდებოდეს. დანარჩენებს მისი ეს ცნობა ჭეშმარიტად მიუჩნევიათ და თავიანთ თხზულებებში ჩაურთავთ.

IX—XII საუკუნეებში არსებითად გაურკვეველი იყო ასურელ მამათა საქართველოში მოსვლის მიზნიც, რომელიც ამ მოღვაწეთა პირვანდელი ცხოვრებიდან ამოღებული ცნობების შეცვლა-შესწორების ოდენობაზე იყო დამოკიდებული. საერთოდ, ამ დროს მიღებული იყო აზრი იმის შესახებ, რომ ასურელი მამები საქართველოში სამონასტრო მოღვაწეობის დასამკვიდრებლად და ახლად მოქცეულ ქვეყანაში ქრისტიანობის განსამტკიცებლად იყვნენ მოსულნი. მაგრამ ზოგიერთ გადაკეთებულ ცხოვრებაში პირვანდელი წყაროებიდან მათი მოსვლის ნამდვილი მიზნის სულ სხვანაირი ცნობაც არის შემორჩენილი (**ჯავახიშვილი 1979**).

კ. კეკელიძე საუბრობს ასურელი მამების ქართლის შემოსვლაზე. მისი სიტყვით, „ქართლში მოსულა არა ერთი პარტია მოღვაწეების, არამედ რამდენიმე“ (**კეკელიძე 1926: 88**). ამათგან „პირველი პარტია“ სირიელი მამებისა ქართლში 520 წლის ახლო ხანებში მოსულა“. აღნიშნული თარიღი ელია იერუსალიმელის 494 — 516 წწ. პატრიარქობის ცნობაზეა დამყარებული და 518 წ. მონოფიზიტთა დევნულობის თარიღითაა გამაგრებული. ამ ჯგუფში ყოფილა დავით გარეჯელი და, შესაძლებელია, ლუკიანეც და დოდოც (**კეკელიძე 1926: 88**).

ასურელ მამათა „მეორე პარტია“ იოანე ზედაზნელის მეთაურობით მოსულა. ამ ჯგუფში შიო მღვიმელი, ისე წილკნელი, ეზდერიოს სამთავნელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იყალთოელი და თათა ყოფილან. ისინი 543 წელს მოსულან საქართველოში, ეს თარიღიც დამყარებულია „ცხოვრების“ იმ ცნობებზე, რომლის თანახმადაც, იმ დროს სვიმონ მესვეტე „თორნესა შინა მჯდომარე იყო“ (541 — 551 წწ.). მაშასადამე, ეს წმ.

მამები ამაზე ადრე ვერ მოვიდოდნენ და ვერც 544 წლის შემდგომ, რადგან ანტონ მარტყოფელს ამ წელს მათი წამოსვლის ამბავი გაუგიაო (კეკელიძე 1926).

როგორც ჩანს, „მესამე პარტია“ მხოლოდ ანტონ მარტყოფელისგან შედგებოდა. იგი 545 წ. მოსულა ედესიდან. ეს თარიღი მეფე ხოსროს მიერ 544 წ. ედესის გარემოცვასთანაა დაკავშირებული, რადგან ამ გარემოცვისა და აღების ამბავი წმინდანის ცხოვრებაშია მოთხრობილი.

მეოთხე და უკანასკნელი „პარტია“ მარტო წმ. აბიბოს ნეკრესელისგან შედგებოდა, რომელიც ქართლში 571 წლის შემდეგ უნდა შემოსულიყო. ეს თარიღი კ. კეკელიძის თქმით, ერთი მხრივ, 591 წელს ბერძენთაგან სპარსელების ქართლიდან განდევნის ამბავს უკავშირდება, მეორე მხრივ კი - 571 წ. ასურეთში მონოფიზიტების დევნის დაწყებას.

გ. ფერაძეს ასურელ მამათა საქართველოში მოსვლის თარიღის გამოსაკვლევად „დავით გარეჯელის ცხოვრებაში“ დაცული ცნობა მიაჩნია იერუსალიმის პატრიარქის ელიას შესახებ. მისი მტკიცებით, ელია ისტორიული პირი გახლდათ, რომელიც 497 – 517 წწ. ნამდვილად იყო პატრიარქი. რაკი ცხოვრების თანახმად დავით გარეჯელი იერუსალიმში სალოცავად წავიდა საქართველოში კარგა ხნის ყოფნის შემდეგ, ამიტომ მისი იერუსალიმში გამგზავრების თარიღად დაახლოვებით 500 წ. უნდა ვივარაუდოთ. მას საქართველოში უკვე 30-40 წლის განმავლობაში უნდა ეღვაწა. აქედან გამომდინარე, ის საქართველოში V ს-ის შუა წლებში უნდა იყოს მოსული (ფერაძე 1927). ამგვარად, გ. ფერაძის აზრით, ასურელი მამები ანტიოქიიდან საქართველოში მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში არიან მოსული (ფერაძე 1927: 39-40).

მნიშვნელოვანია დ. ლანგის მოსაზრება საქართველოში ასურელი მამების შემოსვლის სავარაუდო თარიღთან დაკავშირებით. დ. ლანგი და მ. ბროსე დავით გარეჯელის შემოსვლას იერუსალიმში ელიას პატრიარქობის დროს უკავშირებენ (494-513), დანარჩენი თორმეტი ასურელი მამის შემოსვლას კი - სვიმეონ მესვეტე მცირეს (541-551). მათი თქმით, ასურელ მამებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ სვიმეონ მესვეტე

მცირესთან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დ. ლანგი იზიარებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ასურელი მამები კავკასიაში სხვადასხვა დროს, V საუკუნის ბოლოსა და VI საუკუნის შუა ხანებში ჩამოვიდნენ (Lang 1956: 81).

## **§ 7. 2. დევიდ მარშალ ლანგის მოსაზრება ასურელი მამების ავტორობასთან დაკავშირებით**

როგორც ზემოთ არაერთგზის აღვნიშნეთ დ. ლანგი თავის შესავალ ნაწილში წერს, რომ „ასურელი მამების ცხოვრების“ უმრავლესობა საქართველოს კათოლიკოსმა არსენ II-მ დაწერა (955- 980 წწ.) „The life of St.David, founder of David-Garejeli Monasteri in Eastern Georgia, belongs to the cycle of biographies known as The Lives of the Syrian Fathers, most of which were composed by the Catholicos Arsenius II of Georgia (c 955-980) (Lang 1956: 81)

„ასურელ მამათა ცხოვრებანი“ პირველად კრიტიკულად აკად. მ. ბროსემ განიხილა. მან აღნიშნა, რომ „იოანე ზედაზნელის ცხოვრება“ განახლებულია არსენ კათალიკოსის მიერ X საუკუნეში. ბროსეს მხოლოდ ის აბრკოლებდა, რომ ამ დროს არსენ კათალიკოსი ცნობილი არ იყო. „შიო მღვიმელის ცხოვრებას“ ბროსე მარტვირი, ანუ იოანე კონსტანტინეპოლელის დაწერილად თვლიდა, მაგრამ ეს აზრი თვით ძეგლის დაწერილობის ხანას არ არკვევს (ჯავახიშვილი 1979 ). ამავე მკვლევარს აღნიშნული აქვს, რომ „აბიბოს ნევრესელის ცხოვრება“ ქართლის კათალიკოსის — არსენი დიდის მიერ არის დაწერილი, „დავით გარეჯელის ცხოვრების“ ავტორი კი არა ჩანს, მაგრამ IX საუკუნეზე გვიანდელი უნდა იყოს, რადგან იქ წმ. ილარიონი იხსენიება (ჯავახიშვილი 1979: 303; ბროსე 1851: 129-130).

1926 წ. კორნელი კეკელიძემ გამოაქვეყნა მონოგრაფია ასურელ მამებთან დაკავშირებით, რომელსაც ეწოდება „საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ“. ამ გამოკვლევაში ჯერ განხილულია წყაროები და აღნიშნულია, რომ მათი

„ცხოვრებებიდან“ ყველაზე ადრინდელია „აბიბოს ნეკრესელის ცხოვრება“, რომელიც არსენ დიდ კათალიკოსს დაუწერია IX საუკუნეში, შემდეგ მას მოსდევს „დავით გარეჯელის ცხოვრება“, რომელიც დაწერილია X საუკუნეში უცნობი ავტორის მიერ. შემდეგ, X საუკუნის მეორე ნახევარში, იოანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების ცხოვრებაა შედგენილი. XII ს-დან ამ თხზულების გადამეტაფრასტება დაუწყიათ (ე. თაყაიშვილი: 1906: 720). ეს ძეგლები ემყარებოდნენ „ძველ კიმენურ არქტიპებს“, რომელთა შესახებაც მეტაფრასტული რედაქციები ხშირად მიუთითებენ“ (ე. თაყაიშვილი 1906: 721).

ასურელ მამათა მოღვაწეობას ეხება 1927 წ. გერმანიაში გამოსული გ. ფერადის მონოგრაფია „Die Anfänge des Mönchtums in Georgien“- „მონაზნობის დასაწყისი საქართველოში“ (Gotha). ამ საკითხის შესახებ არსებული წყაროების განხილვის დროს გ. ფერადე უძველეს ძეგლად „დავით გარეჯელის ცხოვრებას“ თვლის და მისი შექმნა 1084 წ. არაუადრესად და XII ს. პირველ მეოთხედზე არაუგვიანესად მიაჩნია (ფერადე 1927: 6-8). „ანტონ მარტყოფელის ცხოვრების“ თარიღთან დაკავშირებით კი ფიქრობს, რომ იგი „დავით გარეჯელის ცხოვრების“ დაწერიდან მალევე უნდა შექმნილიყო. გ. ფერადე არ იზიარებს პროფ. კ. კეკელიძის აზრს იოანე ზედაზნელის ცხოვრების დაწერის თარიღის შესახებ, რომლის თანახმადაც პირველად იგი არსენი II-მ შეადგენა, ხოლო XII ს-ში გადააკეთეს. ამ აზრის საპირისპიროდ ის ამტკიცებს, რომ ეს ძეგლი „დავით გარეჯელის ცხოვრების“ დაწერიდან ცოტა ხნის შემდეგ და „შიო მღვიმელის ცხოვრებაზე“ უწინარეს არის შედგენილი, რადგან მისი აღმწერელი „შიო მღვიმელის ცხოვრებას“ არ იცნობსო (ფერადე 1927: 16-17).

„შიო მღვიმელის ცხოვრების“ შექმნა, ფერადის აზრით, ალბათ, დავით აღმაშენებლის მიერ შიო მღვიმეში ახალი ეკლესიის აგებას უკავშირდება და იგი ამ მეფის მოძღვრის - არსენი ბერის მიერ უნდა იყოს დაწერილი, რომელიც შემდგომში შეცდომით არსენ კათალიკოსად მიიჩნიეს (ფერადე 1927: 27).



### § 7. 3. დევიდ ლანგის შეხედულება ასურელი მამების აღმსარებლობის საკითხზე

დ. ლანგი თარგმანის შესავალ წერილში საუბრობს ასურელი მამების აღმსარებლობაზე. ის ამბობს: „რაკი ქართული მართმადიდებელი ეკლესიის წინამძღვრები ასურელ მამებს თაყვანს სცემდნენ, უდავოა, რომ ისინი, პეტრე იბერის მსგავსად, აღიარებდნენ მონოფიზიტურ შეხედულებებს. სირია ქალკედონის საბჭოს უზარმაზარ ოპოზიციურ კერას წარმოადგენდა. იმპერატორი მარკიანე (450-457წწ.) საოცარი სისასტიკით დევნიდა იმათ, ვინც უარყო ქალკედონის კრების დოგმატები ქრისტეს ორი ბუნების შესახებ. დევნის ახალმა ტალღამ თავი იჩინა 520 -545 წლებში, იუსტინე I-ისა და იუსტინიანეს დროს. თანამედროვე ანალიტიკოსებმა ბიზანტიის ხელისუფლების მიერ ჩადენილ ექსცესებს საზარელი უწოდეს, რომელიც მიმართული იყო სირიელი სასულიერო პირებისა და ბერების წინააღმდეგ, მათი უმრავლესობა იძულებული გახდა, ქვეყანა დაეტოვებინა“ (ლანგი 1956: 82).

ჩვენ ასევე უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ამ პერიოდში თავად ქართული ეკლესია იყო კეთილგანწყობილი მონოფიზიტური კონფესიების მიმართ. დვინის 506 წლის საეკლესიო კრებაზე სომხური, ქართული და ალბანურ-კავკასიური ეკლესიები გაერთიანდნენ, რათა დაეგმოთ ქალკედონის დოგმა. ერთი საუკუნის შემდეგ საქართველოს კათალიკოსმა კირიონმა ოფიციალურად უარყო სომხური გრეგორიანული დოქტრინა და თავისი სამწყსო სამუდამოდ მართმადიდებელ ეკლესიაში დააბრუნა“ (ლანგი 1956: 82).

„While the Syrian Fathers are revered among the fathers of the Orthodox Georgian Church there can be no doubt that they belonged to the Monophysite persuasion, as did Peter the Iberian, whose life we have read in the last chapter. Syria was a great centre of opposition to the edicts of the Council of Chalcedon. We have already seen with what vigour the Emperor Marcian (450-57) persecuted those who refused to accept the Chalcedonian formulation of the doctrine of Christ's two natures. After a period of respite under Zeno and Anastasius, there

was a fresh outburst of persecution between the years 520 and 545 under Justin I and Justinian. Contemporary analysts give a lurid picture of the excesses committed by the Byzantine authorities against the Syrian clergy and monks, many of whom were forced to flee abroad“.

„We also have to bear in mind that at the period under review the Georgian Church was itself sympathetic to the Monophysite cause. At the Council of Dvin in 506, the Armenian Georgian and Albano-Caucasian Churches united in condemning the dogma laid down at Chalcedon. Not until a century later did the Georgian Catholicos Kyrion formally reject the Armenian Gregorian doctrine and bring his flock back for ever within the Orthodox fold“ (**Lang 1956: 82**).

ქართულ ისტორიოგრაფიაში ასურელ მამათა აღმსარებლობის საკითხი XX ს-მდე ტრადიციული თვალსაზრისით განიხილებოდა. მეტიც, ეს საკითხი ცალკე მსჯელობის საგნად არც კი ქცეულა, სანამ ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან მასთან დაკავშირებით განსხვავებული ვერსიები არ წამოიჭრა. გასული საუკუნის მკვლევართაგან კი ისინი არამართმადიდებლურ აღმსარებლებად არავის წარმოუდგენია (**მერკვილაძე 2006: 116**).

ასურელ მამათა აღმსარებლობის საკითხში პირველი განსხვავებული მოსაზრება ეკუთვნის ნ. მარს. სომეხ ქალქედონიტთა მდგომარეობის შესახებ საუბრისას ნ. მარი სხვათა შორის გამოთქვამს მოსაზრებას ამ საეკლესიო მამათა ნესტორიანობის თაობაზე, შესაძლებლად მიაჩნდა რა, რომ ნესტორიანობა საქართველოში ასურელ მამათა შემოტანილი ყოფილიყო (**Mapp 1906: 3**).

ასურელ მამათა ნესტორიანული მოძღვრების შესახებ ნ. მარის გამოთქმული ვარაუდი შემდგომში მისაღები აღმოჩნდა პ. ინგოროყვასთვისაც, რომელიც თავის მხრივ ამ გარემოებით ხსნის იოანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების ბიოგრაფიების „განახლებას“ შემდეგ ხანაში (**ინგოროყვა 1939: 163**).

მოგვიანებით ასურელი მამების მართმადიდებლური (დიოფიზიტური) სარწმუნოებისადმი კუთვნილება გადაჭრით უარყო კ. კეკელიძემ. მის აღწერით სირიიდან მოსული სასულიერო მოღვაწენი მონოფიზიტი ბერები იყვნენ, რომელნიც ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში დიოფიზიტებსა და მონოფიზიტებს შორის მკვეთრი დაპირისპირებისა და ამის შემდეგ მონოფიზიტთა მიმართ მთელი VI საუკუნის მანძილზე ხანგამოშვებით ატეხილი სასტიკი დევნილობის გამო თავს აფარებდნენ ქართლს (კეკელიძე 1926: 92-93). ამგვარი ვითარების დასაბუთებას მკვლევარი შემდეგი არგუმენტებით ცდილობს:

1. სირიის ქალკედონიტი (დიოფიზიტი) ბერები იმ დროს იმდენად შევიწროვებული და შეჭირვებულები იყვნენ, რომ ცამეტ მათგანს ერთდროულად არ ძალუძდათ უცხო ქვეყნებში გამგზავრება საქადაგოდ, ყველა აქტიური პიროვნება მათი რიცხვიდან ადგილზე უფრო საჭირო იყო მომძლავრებულ მონოფიზიტობასთან საბრძოლველად;
2. „მეექვსე საუკუნის ბოლომდე ქართლში ოფიციალურ ქრისტიანობად, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ მონოფიზიტობა ითვლებოდა, ქართველები სომხებთან ერთად მედგარ დარაჯად უდგნენ ანტიქალკედონისტობას“ (ავტორი აქ უთითებს ივ. ჯავახიშვილის ნაშრომს: История церковного разрыва между Грузией и Армений.)
3. წმინდა ადგილთა მოსალოცად იერუსალიმს გამგზავრებული დავით გარეჯელი, მეცნიერის აზრით, ქალაქში ვერ შევიდა იმ მიზეზით, რომ იქ დიოფიზიტობა იყო გაბატონებული და მონოფიზიტობა იდევნებოდა;
4. ასურელ მამათა ცხოვრებაში ისტორიული სინამდვილე შებღალულია, მაგრამ მამათა ყოველდღიური ცხოვრების, ზნე-ჩვეულებების აღწერილობაში „ვპოულობთ ისეთ რამეებს, რაც ენათესავება მონოფიზიტურ ასკეტიზმს VI ს-ის სირიაში (კეკელიძე 1926: 94). მკვლევარს ამის საუკეთესო ნიმუშად მოჰყავს შიოს მღვიმეში ჩასვლის ამბავი. მსგავსი არაბუნებრივი რეჟიმი კი მონოფიზიტური ასკეტიზმისათვის დამახასიათებლად მიაჩნია (კეკელიძე 1926: 97).

კ. კეკელიძის თეორია გააკრიტიკა გ. ფერაძემ. მან გამოთქვა რამდენიმე საყურადღებო შენიშვნა ავტორის არგუმენტებთან დაკავშირებით. კერძოდ, მკაცრი ასკეტიზმი მხოლოდ მონოფიზიტური მიმდინარეობისთვის არაა დამახასიათებელი (ფერაძე 1927: 33-35), ხოლო რაც შეეხება დავით გარეჯელის მონოფიზიტობას, რომელიც, ვითომდა ამ მიზეზის გამო ვერ შედის იერუსალიმში 519-520 წლებში, მიუღებელია იმის გამო, რომ სწორედ ამ ხანებში იერუსალიმში დროებით გამარჯვებულად მონოფიზიტები გვევლინებიან, რომელთა მიერ იქნა კიდევაც ქალაქიდან გაძევებული (516 წ.) დავითის ცხოვრებაში დასახელებული პატრიარქი ელია (ფერაძე 1927: 7).

თუმცა ასურელ მამათა მონოფიზიტობის მთავარ უარყოფელ დებულებას გ. ფერაძისათვის წარმოადგენს ის გარემოება, რომ, მისი აზრით, „ეს მამები ქართლში V ს-ის II ნახევარში შემოდიან, ხოლო ამ დროისათვის სირიაში არ იყო მონოფიზიტთა დევნა და მეორე მხრივ ქართლის ეკლესია ოფიციალურად მონოფიზიტური არ ყოფილა“ (ფერაძე 1927: 38).

ივ. ჯავახიშვილი ასურელ მამათა სარწმუნოებრივი მიმდინარეობის გარკვევისათვის პირველ რიგში დაემყარა ძველ წყაროთა ცნობებს, რომელთა მიხედვით „ისინი საქართველოში მოვიდნენ საქადაგებლად, ქვეყნის განსამტკიცებლად „სარწმუნოებითა მართლითა“ და „წმიდისა სამებისასა“, ე. ი.“ მართლმადიდებლობის გასაძლიერებლად“, - დასძენს ავტორი (ჯავახიშვილი 1979: 411). და რადგან ამის შესახებ XI-XII საუკუნეებში მოღვაწე ქართველი მწერლები მოგვითხრობენ, რომელთათვისაც “მართალი სარწმუნოება” ქალკედონიანობის გამარჯვებისათვის ბრძოლას ნიშნავდა, შესაბამისად „განმწმენდელობა სჯულისა“ (ჯუანშერი) მონოფიზიტობის წინააღმდეგ ბრძოლას წარმოადგენდა.

ამრიგად, ივ. ჯავახიშვილი ასურელი მამების დიოფიზიტობას იცავს. ის თან უარყოფს კ. კეკელიძის არგუმენტს, რომ სირიის დიოფიზიტ მოღვაწეებს სხვა ქვეყნებში გასვლის შესაძლებლობა არ ექნებოდათ იქ შექმნილი მდგომარეობის გამო. როგორც მეცნიერებმა ჰოჰანნეს სომეხთა კათალიკოსის მიერ VI ს-ის შუა წლებში ალბანეთის

ეპისკოპოსებისადმი მიმართული ეპისტოლეებიდან დაადგინეს, „ალბანეთშიაც ამ დროისათვის პეტროს გლახაკთა-მოყვარის ასურთა სავანიდან მქადაგებლები მოსულან, რომელთაც დაუბრკოლებლივ ნესტორიანობისა და ქალკედონიანობის ქადაგება და დანერგვა დაუწყიათ“ (ჯავახიშვილი 1979: 411).

რადგან დიოფიზიტი (ქალკედონიტი) მქადაგებლები სომხეთ-ალბანეთშიც მოღვაწეობდნენ, მსგავსი ვითარება აღარც ქართლში გამოირიცხება და „როგორც ასურელ ბერებს ქალკედონიანებს თავიანთი რწმენის გაბატონებისათვის სამშობლო მიუტოვებიათ და ალბანეთშიც მისულან საქადაგებლად, ისევე მომხდარა საქართველოშიც და ასურელი მამები მოსულან“, - ასკვნის მეცნიერი (ჯავახიშვილი 1979: 411).

ივ. ჯავახიშვილს სწორედ ეს მოღვაწეობა მიაჩნია იმ მთავარ ფაქტორად, რამაც განაპირობა დიოფიზიტობის გამარჯვება. მან „მონოფიზიტობას ჩამოართვა ბატონობა“ საქართველოში, „ამიტომაც ცხადია, რომ იდეური ბრძოლა და მოქალაქეობა უფრო ქალკედონიანთა მხრივ უნდა ყოფილიყო ძლიერ ენერგიული“. მკვლევარი ასეთ მქადაგებლებლად მიიჩნევს ასურელ მამებს, რომელნიც „არა თუ მონოფიზიტები არ ყოფილან, არამედ სწორედ მონოფიზიტობის დაუძინებელი მტრები იყვნენ“ (ჯავახიშვილი 1979: 411).

ბოლო დროს ასურელ მამათა დიოფიზიტობას დაუჭირა მხარი ვ. გოილაძემ. 518 წლიდან ბიზანტიის საიმპერატორო კარის მიერ მკაცრი დიოფიზიტური რელიგიური პოლიტიკის გატარება და იმპერიის აღმოსავლეთ მხარეებში ქალკედონიტი მწესმთავრების აღსაყდრება მისთვის იმის მაუწყებელია, რომ ედესაშიც (საიდანაც წამოსულებადაც წარმოუდგენია ასურელი მამები) დიოფიზიტები იმძლავრებდნენ.

VI ს-ის დასაწყისიდან ირანის პოლიტიკური გავლენის პირობებში, ვ. გოილაძის აზრით, სირიელ მამათა მიერ მონასტრების აგება სწორედ დიოფიზიტების პოზიციების განმტკიცებას ემსახურებოდა (გოილაძე 1992: 198 ).

გარდა ამისა, მკვლევარს, კ. კეკელიძის მსგავსად, მიაჩნია, რომ დავით გარეჯელი იერუსალიმში გაემგზავრა საქართველოში ჩამოსვლამდე, მაგრამ დასკვნები მისგან საპირისპირო გამოაქვს. ვ. გოილაძის მტკიცებით, რადგან წმ. დავით გარეჯელმა სწორედ ელიას პატრიარქობის დროს მოისურვა იერუსალიმის წმინდა ადგილების მოლოცვა, ეტყობა სრულიად აკმაყოფილებდა იმ დროს იქ არსებული მდგომარეობა და ელიასადმი მოსარიდებელი არაფერი არ ჰქონდა, - ე. ი. „მონოფიზიტი კი არა, დიოფიზიტი იყო“. იერუსალიმში მის შეუსვლელობას კი ხსნის ელიას გადაყენებით და იქ შექმნილი არეულობით, რის გამოც დავითი ქალაქში აღარ შედის და უკან ბრუნდება (გოილაძე 1992: 198).

ასურელ მამათა დიოფიზიტობისადმი ერთგულება სადავო არ არის მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძისთვისაც. ეპისკოპოსი ანანია ხაზს უსვამს მონოფიზიტობის პოზიციების სიმტკიცეს ქართლში ასურელ მამათა მოსვლისას, რაც მოკლე ხანში საპირისპირო ვითარებით იცვლება. იგი დარწმუნებულია მონოფიზიტობის მმლავრობის პირობებში ქართლში დიოფიზიტების თვალსაჩინო ტრიუმფი და სომხური ეკლესიის მცდელობათა წარუმატებლობა თავისი გავლენის დამკვიდრებისა, სწორედ რომ ამ მოღვაწეთა მრავალწლიანი ღვაწლის წყალობით აღინიშნა, რითაც თავიდან იქნა აცილებული ეროვნულ-კულტურული გადაგვარების აშკარა საფრთხე (ჯაფარიძე 1996: 390).

გ. ფერაძეს ასურელი მამები ქალკედონიტებად მიაჩნია, რომელთაც საქართველოში მოსვლის მიზანი სამონასტრო მოღვაწეობის დაფუძნება და ქართველ წარმართთა მოქცევა უნდა ყოფილიყო (გ. ფერაძე 1927).

ზემოთ მოყვანილი მსჯელობა ვფიქრობთ, ნათელს მოჰყენს იმ აზრთა სხვადასხვაობას, რომელიც ასურელ მამათა ვინაობას, მათი მოსვლის დროსა და მოღვაწეობას უკავშირდება, თუმცა უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ დღეს ასურელ მამათა დიოფიზიტობაში ეჭვი აღარავის არ ეპარება.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, გამოვყოთ „დავით გარეჯელის ცხოვრების“ ჩვენამდე მოღწეული რედაქციები:

არსებობს „დავით გარეჯელის ცხოვრების“ ორი რედაქცია: მოკლე და მეტაფრასული. როდესაც ჩვენში დამყარდა მეტაფრასული მიმართულება, ძველი კიმენური რედაქცია ასურელი მოღვაწეების ცხოვრებისა გაამეტაფრასეს. ეს მეტაფრასული თხზულებანი ორ ჯგუფად იყოფა: ერთ ჯგუფს ეკუთვნის „დავით გარეჯელის ცხოვრება“, რომელიც შეუთხზავს პეტრიწონული სკოლიდან გამოსულ მწერალს. ვინ არის ეს მეტაფრასტი, არ ვიცით. თავისი შრომის დასაწყისში ის წერს: „იმულებითა სულთა მწყემსისა ონოფრესითა“. თუ ამ ონოფრედ მივიჩნევთ „დიდსა ბერსა და მოძღვარსა ონოფრე გარესჯელსა, რომელიც დავით აღმაშენებლის დროსაა მოხსენიებული, მეტაფრასტი მეთერთმეტე საუკუნის პირველი ნახევრის მწერლად უნდა მივიჩნიოთ, ამას ზედმიწევნით უდგება პეტრიწონული ხასიათი თვით შრომისა“ (კეკელიძე 1969: 107-109).

რაც შეეხება სხვა მამათა „ცხოვრებებს“, ისინი შეადგენენ მეორე ჯგუფს და დაწერილი არიან ერთი და იმავე ავტორის მიერ, რომელთაგან ერთს ზოგი რამ „წიგნთაგან“ ამოუკითხავს (იგულისხმება კათალიკოს არსენის მიერ შეთხზული, მანამდე არსებული ძველი ცხოვრება) მათ შესახებ და ზოგი „მამათაგან“ გაუგონია.

„დავით გარეჯელის ცხოვრება“ და სვინაქსარული საკითხავები გამოცემულია მ. საბინინის „საქართველოს სამოთხეში“ და წარმოადგენს ეგრეთწოდებულ მეტაფრასს. იბადება კითხვა: იყო თუ არა ძველი, „ლიტონად და მარტივად“ აღწერილი გადაუკეთებელი ცხოვრება ასურელი მამებისა? თვით ეს მეტაფრასული რედაქციები მოწმობენ, რომ თავის დროზე ასეთი ძველი რედაქცია მართლაც ყოფილა. მაგ: „დავით გარეჯელის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „უკუეთუ ვინმე პირველ და ძუელ ოდესმე აღწერილსა მოქალაქობასა ამის ღირსისასა მიხედვიდეს, ნუ დაუკვრდების ესრეთ სიმარტივით აღწერად“ (გვ. 266). რას წარმოადგენდა ეს ძველი რედაქცია, შენახულა თუ არა ის, ან ვინ იყო მისი ავტორი?

კ. კველიძის თქმით, ასეთი ძველი რედაქცია უნდა გვქონდეს ჩვენ ხელნაწერთა ინსტიტუტის ოთხ ნუსხაში - № 199, 707, 832 და 833 (ფონდი A), რომელიც ნაწილებია ერთი და იმავე ხელნაწერისა. ეს ხელნაწერი გადაწერილია მეცამეტე საუკუნის ხელით და ქართველ წმინდანთა ცხოვრებას შეიცავს. აქ არის ცხოვრება შემდეგი მამებისა: იოანე ზედაზნელისა, ისე წილკნელისა და შიო მღვიმელისა (№ 199), დავით გარეჯელისა (№ 199) და აბიბო ნეკრესელისა ( № 832).

ხელნაწერში A 199 ცალკე მოთავსებულია, აგრეთვე, „ცხოვრება და მოქალაქეობაა წმიდისა მამისა ჩუენისა დავით გარეჯელისა“. ეს გახლავთ მოკლე რედაქცია, სადაც ცხოვრება იწყება პირდაპირ იმით, თუ როგორ დამკვიდრდნენ დავითი და ლუკიანე პარეხში, ანუ გამოქვაბულში: ამის შემდეგ გადმოცემულია ყველა ფაქტი ბუბაქარის შვილის განკურნებამდე. აქ კი „ცხოვრება“ წყდება დანარჩენი ფურცლების დაკარგვის გამო, ამ რედაქციაში არაა გრძელი მიხვეულ-მოხვეული ადგილები, ლოცვები და ენაწყლიანობა, რასაც ადგილი აქვს საბინინის გამოცემაში. ვისი დაწერილია ეს მოკლე რედაქცია, რომელიც უეჭველია თავდაპირველი რედაქციაა, ამის თქმა ძნელია. ერთი კი ცხადია, რომ ის კათოლიკოს არსენ II -ს არ ეკუთვნის.

ილია აბულაძე გამოყოფს „დავით გარეჯელის ცხოვრების“ ორი რედაქციას: მოკლეს და მეტაფრასულს. მეტაფრასულის გამოქვეყნებისათვის მას გამოუყენებია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ნუსხები: A 160, A 130, S 449, ხოლო მოკლე რედაქციისთვის - A199 და H 1336.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია „დავით გარეჯელის ცხოვრების“, შემდეგი რედაქციები: ვრცელი რედაქცია, რომელიც პროფ. ილ. აბულაძემ გამოაქვეყნა „ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველ რედაქციებში“ სათაურით: „ცხოვრება და მოქალაქეობაა წმიდისა და ღმერთ-შემოსილისა მამისა ჩუენისა დავით გარეჯელისა“ და მ. საბინინის რედაქცია: „ამაღლების დღესასწაულის შემდგომი პირველი ხუთშაბათი, ჩვენი წმინდა მამის დავით გარეჯელის ცხოვრება და მოქალაქეობა“. ტექსტების შედარების შედეგად დავადგინეთ, რომ დ. ლანგმა სათაურად აირჩია მ. საბინინის



რედაქციის სათაური „The First Thursday after Ascension Day, The Life and Acts of our Holy Father David of Garesja” („ამაღლების დღესასწაულის შემდგომი პირველი ხუთშაბათი, ჩვენი წმინდა მამის დავით გარეჯელის ცხოვრება და მოქალაქეობა“). მან ამავე რედაქციიდან ამოკრიფა თხზულების დასაწყისი და დასასრული ნაწილი. თარგმნილი ტექსტის ძირითადი ნაწილი ილ. აბულაძის რედაქციიდან მომდინარეობს. აქ დ. ლანგი ძირითადად იყენებს იმ ადგილებს, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ დამკვიდრდნენ დავითი და ლუკიანე პარეხში, ანუ გამოქვაბულში. ამის შემდეგ გადმოცემულია ყველა ფაქტი ბუბაქარის შვილის განკურნებამდე და დეტალურად არის აღწერილი მამა დავით გარეჯელის იერუსალიმში გამგზავრების ეპიზოდი.

დ. ლანგი თხრობას იწყებს დავით გარეჯელის მოკლე ბიოგრაფიული ცნობებით. ის მოგვითხრობს, რომ ამ ღირსეული და საკვირველმოქმედი მამის სამშობლო არის ასურეთი, ანუ მესოპოტამია, საიდანაც მრავალი წმინდანი გვევლინება, შთაგონებული სული წმიდის მიერ (თარგმანი ჩვენია; ს. ბარბაქაძე).

დ. ლანგი დასაწყის ნაწილშივე მოიხსენიებს დავით გარეჯელის სულიერ მამას, საკვირველ და კეთილშობილ იოანე ზედაზნელს. მისი თქმით, მამა იოანე ანტიოქიიდან იყო. ის სულიწმიდის ხელმძღვანელობით ჩამოვიდა საქართველოში და წმინდა ქალაქ მცხეთაში დასახლდა (ლანგი 1956: 83).

დ. ლანგის განმარტებით, იოანე ზედაზნელი ისწრაფვოდა განდეგილის ცხოვრებისკენ, ის თავის მოწაფეებს ეუბნებოდა: „ ჩემო შვილებო, რატომ ხართ უსაქმურად? განა არ იცით, რომ ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ გამოგვგზავნა ჩვენ აქ ქვეყნის კეთილდღეობისთვის. რადგან ეს არის ღვთისმშობლის ქვეყანა. და ახლა თქვენი ჯერია ყველანი ცალ-ცალკე წახვიდეთ და განამტკიცოთ ჩვენი ძმობა და იაროთ ქრისტეს გზით“ (თარგმანი ჩვენია; ს. ბარბაქაძე).

როგორც აღვნიშნეთ, დ. ლანგი ამცირებს თარგმანს არა მხოლოდ ფრაზების, არამედ მთელი რიგი ეპიზოდების ხარჯზეც. როგორც მოკლე რედაქციაში, ასევე თარგმანში არ

არის გრძელი, მიხვეულ-მოხვეული ადგილები, ლოცვები და ენაწყლიანობა. თარგმანი ადაპტირებულია და მასში გამოტოვებულია ისეთი ეპიზოდები, როგორც არის: ა) საუბარი ლუკიანესა და დავით გარეჯელს შორის: მას შემდეგ, რაც ლუკიანე და მამა დავითი დასახლდნენ ისეთ უკაცრიელ უდაბნოში, როგორც გარეჯა იყო, ლუკიანე შიშმა მოიცვა და უთხრა მამა დავითს: „ვხედავ, რომ ეს უდაბური ადგილი ფრიად მწირია და მძიმე, არ მოიპოვება საზრდელი და წყალი; ჩვენ კი ადამიანები ვართ, ხორციელად უძლურნი და როგორ ავიტანთ ამ უდაბნოს ჭირსა და განსაცდელს?“ ხოლო წმინდა მამამ მიუგო: „მმაო ლუკიანე, იმან, ვინც უდაბნოში გამოზარდა ისრაელთა ერი და კლდიდან გამოადინა წყალი, ვინც მწყერის წვიმა გამოაგზავნა მათ ბანაკზე და ვინც ილიას ყორნის გზით აწვდიდა საზრდოს, ასევე ანტონს და სხვა წმინდა მამებს (რომლებიც მთასა და უდაბნოში იყვნენ დამკვიდრებულნი) კვებავდა, იმავე ღმერთს ძალუმს, ჩვენც მოგვცეს საზრდელი ჩვენი სხეულის უძლურების ნუგეშისსაცემად. მხნედ იყავი, მმაო ლუკიანე და ნუ გეშინია, რადგან მოწყალე არის ღმერთი და არა მოგვაგებს ჩვენი ცოდვების შესაბამისად, არამედ სიტკბოებით ზრდის მის მოშიშებს“ (აბულაძე 1955: 153).

ბ) ბუბაქარის ყრმის განკურნების ამბავი სრულად მიჰყვება თარგმანს, თუმცა, გამოტოვებულია ბუბაქარის ცოლთან საუბრის ეპიზოდი: როდესაც ბუბაქარი შევიდა სახლში, ცოლს ჰკითხა, თუ რა დროს განიკურნა მათი შვილი. ხოლო ცოლმა ის დრო უთხრა, რომელიც ბერმა აუწყა: „ვითარმე ენებოს ღმერთსა, განიკურნოს ყრმა იგი შენი. და ყოველივე რაღცა ექმნა და უთხრა მისდა წმიდასა დავითს, წარმოუთხრა მან“ (აბულაძე 1955: 172).

გ) ამოკლებულია დიალოგი ლუკიანესა და მამა დავითის შორის. მას შემდეგ, რაც მამა დავით გარეჯელი გადაწყვეტს იერუსალიმში გამგზავრებას, ლუკიანე სთხოვს მას, თან წაიყვანოს, თუმცა ბერი არწმუნებს, რომ მათი ორივეს ერთად წასვლა არ იქნებოდა სწორი, რადგან აქ შეკრებილი ძმები განიბნეოდნენ დაბასა და ქალაქებში, ხოლო მათი

სულების წარწყმედისათვის მათ მოეთხოვებოდათ პასუხი ღმერთისგან (აბულაძე 1955: 176-177).

დ) გამოტოვებულია მამა დავით გარეჯელის ერთი სასწაული, კერძოდ, როდესაც ის თავის განდევილი ძმის მოსანახულებლად მივიდა და ჰკითხა, რამე ხომ არ უჭირდა, მან მიუგო, რომ წყალი, რომელიც კლდიდან გამოდიოდა, მეტად მწარე იყო დასალევად და ის ბალახიც, რომელსაც ეს წყალი რწყავდა, ასევე, მწარე იყო საჭმელად. როდესაც წმინდა დავითმა ეს მოისმინა, ბერი შეეცოდა და უთხრა: „ნუ ხარ მწუხარე, ძმაო, არამედ ვევედროთ უფალს, რომელმაც მარანში წყალი გაამტკნარა, იგივე სახიერი უფალი ამ წყალსაც გაამტკნარებს“. ისინი ადგნენ და შეევედრნენ უფალს. შემდეგ აავსეს ჭურჭელი და წყალი საუკეთესო გემოსი შეიქმნა. იმ წყალს და ბალახს დღემდე საუკეთესო გემო აქვს. იმ დროიდან მოყოლებული იქ იზრდებოდა ნიახური. და ყველა, ვინც მივა იმ ადგილას, მადლის ნიშნად მიიღებს წყალს და ბალახს ღმერთისგან“ (აბულაძე 1955: 176-177).

ჩვეულებრივ, აგიოგრაფიულ თხზულებებში ასურელ მამათა ურთიერთობა გარემომცველ ბუნებასთან მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ავტორთათვის უფრო მნიშვნელოვანია იმის წარმოჩენა, რამდენად ზრუნავს უფალი თავის მოსავებზე, როცა მათ ირმებისა თუ ფრინველების საშუალებით უგზავნის ხორციელ საზრდოს, ანდა რამდენად ძლიერია დაყუდებულ მამათა სიწმინდე, რომ მათ ემორჩილებიან ველური მხეცებიც კი. „დავით გარეჯელის ცხოვრება“ გამოირჩევა ამგვარი ურთიერთობის ამსახველი ეპიზოდებით. აღნიშნული ეპიზოდები დ. ლანგმა უნაკლოდ გადაიტანა თარგმანში, რითაც კიდევ ერთხელ გადმოგვცა ასურელი მამის პიროვნული ფსიქოლოგიური ნიუანსები, ანუ წმინდანის განსაკუთრებით ფაქიზი და მზრუნველი დამოკიდებულება ბუნების მიმართ. ეს ყოველივე მეტად ნიშანდობრივ შტრიხს ჰმატებს მის პიროვნებას და დ. ლანგის თქმით, ამსგავსებს კათოლიკე წმინდან ფრანცის აზიზელს.

როგორც აღვნიშნეთ, დავთ გარეჯელის ცხოვრების ინგლისური ტექსტი წარმოადგენს ადაპტირებულ თარგმანს. შესაბამისად, აქ მრავლად გვხვდება როგორც შემოკლებული, ისე გავრცობილი ეპიზოდებიც. მიუხედავად მათი გავრცობისა, ისინი მაინც ინარჩუნებენ ორიგინალისათვის დამახასიათებელ მხატვრულობას, სადაც აშკარად იგრძნობა დედნის ინტონაცია და რიტმი. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია გამოვკვეთოთ რამდენიმე მათგანი:

მაგალითისთვის განვიხილოთ დიალოგი ანგელოზსა და მამა დავითს შორის: მას შემდეგ, რაც საზარელმა გველეშაპმა ბერს ნუკრი მოსტაცა, წმინდანმა უბრძანა მას, გასცლოდა იმ ადგილს და შორეულ უდაბნოში წასულიყო. გველეშაპი დათანხმდა, მაგრამ თან სთხოვა მამა დავითს, გაჰყოლოდა მთის წვერამდე და თვალი არ მოემორებინა მისთვის, სანამ წყალში არ ჩავიდოდა, რადგან ეშინოდა, მეხი არ დასცემოდა. მამა დავითი ვეშაპს გაჰყვა მთის წვერზე. გველეშაპი უფრო სწრაფად გაემართა. როდესაც ის მინდორში მიდიოდა, მამა დავითი მას თვალს არ აშორებდა. ამ დროს უფლის ანგელოზმა მას უკნიდან დაუძახა: „დავთ, დავით!“ დავითმა მოიხედა. როგორც კი ბერმა მიიხედა, ვეშაპს მეხი დაეცა და სრულიად დაწვა. როდესაც ეს წმინდა დავითმა იხილა, მეტად შეწუხდა და თქვა: „უფალო, უფალო, რად ესე ყავ, რამეთუ მოაკუდინე ვეშაპი, რომელი დიდითა სასოებითა მომენდო მე, ხოლო შენ ცეცხლისა მიერ უჩინო ჰყავ იგი.“

ამ სიტყვების გაგონების შემდეგ ღვთის ანგელოზმა უთხრა მას: „რადსა ესრეთ მწუხარე ხარ, მონაო ღმრთისაო, ანუ არა უწყია, ვითარმედ უკუე თუმცა შთასრულ იყო წყალთა იმათ შინა, იმიერ ეგულვებოდა წარსლვად ზღუად და მრავალთამცა ნავთა ვნებად შეემთხუეოდა მის მიერ და თანაც კაცთაცა, ვინაჲცა ნუ მწუხარე ხარ შენ წარწყმედისა მისისათჳს, რამეთუ ესრეთ სთნდა ღმერთსა წარწყმედად მისი. ხოლო შენ წარვედ ქუაზად შენდა, რამეთუ მოწაფე შენი ლუკიანე დაცემული მდებარე არს პირსა ზედა თჳსსა შიშისათჳს ვეშაპისა და აღადგინე იგი და განამტკიცე და ნუგეშინის-ეც და

ნაცვლად პირუტყვსა ამის ბოროტისა მჯეცისა პირმეტყუელთა და სულიერთა იზრუნე“ ღმერთისგან“ (აბულაძე 1955: 161-162).

When St. David saw this he was very sorry and said, “O Lord, King of Glory, why didst Thou kill this dragon which put its trust in me, in spite of which Thou hast relentlessly destroyed him?” Then the angel of the Lord said to him, “Why are you sorry, O virtuous follower of our Lord Jesus Christ? for if the dragon had entered the river waters, he would have passed on into the sea. **By eating the fish there, he would have grown enormous in size**, and have overturned many ships in the ocean and destroyed many living souls in the seas. So do not grieve because the Lord has shown His mercy in this way, but go to your cavern, because your disciple Lucian has fallen on his face and is lying terror-stricken from fear of the dragon. Stretch out your hand and raise him up and strengthen and fortify him, and both together glorify God who has freed you from the fear of that detestable monster of a dragon (Lang 1956: 85).

ინგლისურ თარგმანში ჩამატებულია შემდეგი წინადადება: “ By eating the fish there, he would have grown enormous in size and have overturned many ships“ „იქ თევზების ჭამით ის ზომიერად უზარმაზარი გახდებოდა და ბევრ გემს ამოატრიალებდა“, ეს წინადადება არც ერთ ქართულ რედაქციაში არ გვხვდება.

ვფიქრობთ, ამ წინადადების ჩამატებით ლანგმა უფრო დააზუსტა და მეტი დატვირთვა მისცა იმ გარემოებას, თუ რა მოხდებოდა გველეშაპის გადარჩენის შემთხვევაში.

დ. ლანგი, გვთავაზობს იოანე ზედაზნელის საქართველოში ჩამოსვლის თავისებურ ინტერპრეტაციას : „This blessed Father John was from the borders of Antioch in the land of Mesopotamia. And by the guidance of the Holy Ghost, he arrived in this country of Georgia nearby the sacred capital city of Mtskheta. He longed for a hermits life, and said to his disciples, “My sons, why do you stand idle? Do you not know that the Lord Jesus Christ has sent and guided us here for the benefit of this country? For this is a virgin land. Now it is time for you to go away separately and strengthen our brethren to walk in Christ's ways” (Lang 1956: 83).

აქ მოთხრობილია, რომ: “ეს საკვირველი და კეთილშობილი მამა იოანე იყო ანტიოქიის საზღვრებიდან, ანუ მესოპოტამიის სამშობლოდან და სულიწმიდის ხელმძღვანელობით ის ჩამოვიდა საქართველოში და წმინდა დედაქალაქ მცხეთასთან ახლოს დასახლდა. ის ისწრაფვოდა განდეგილური ცხოვრებისკენ და თავის მოწაფეებს ეუბნებოდა: „ ჩემო შვილებო, რატომ ხართ უსაქმურად? განა არ იცით, რომ ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ გამოგვგზავნა ჩვენ აქ ქვეყნის კეთილდღეობისთვის. რადგან ეს არის ღვთისმშობლის ქვეყანა ახლა თქვენი ჯერია. ყველანი ცალ-ცალკე წადით და განამტკიცეთ ჩვენი ძმობა და იარეთ ქრისტეს გზით“ (თარგმანი ჩვენი; ს. ბარბაქაძე).

მიგვაჩნია, რომ დ. ლანგის მიერ გავრცობული ეპიზოდები ხელს არ უშლის დედნისეული შინაარსის გაგება-გააზრებას, ის ეხმარება მკითხველს, რომ მეტი ინფორმაცია მიიღოს ასურელ მამათა ცხოვრებასთან დაკავშირებით. მაგ., წინადადება, რომელიც დ. ლანგს მოყვანილი აქვს თავის ინტერპრეტაციაში: “For this is a virgin land“ “საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა” (Lang 1956: 84) დიდი მნიშვნელობის მატარებელია.

საჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ ინგლისური თარგმანის დასასრული ნაწილი. როგორც ზემოთ ვიმსჯელებთ, ის ლანგს გადმოტანილი აქვს საბინინის გამოცემიდან. საბინინის გამოცემა განსხვავდება ყველა სხვა დანარჩენი რედაქციისაგან. ეს ნაწილი, როგორც დასაწყისი, წარმოდგენს შემოკლებულ ვარიანტს, სადაც მოთხრობილია დავით გარეჯელის გარდაცვალების ამბავი. მაგალითისთვის წარმოგიდგენთ ინგლისური თარგმანის დასასრულ ნაწილს:

Now when a considerable time had passed in this way, his ship was full of the good cargo and inexhaustible riches of virtue, and it was time for it to be carried up to the heavenly shores above. So he summoned all the brethren whom he had gathered together and instructed them with words of paternal exhortation. Afterwards he partook of the immaculate and immortal mysteries of Christ, being the sacred flesh and holy blood of our Lord Jesus. Then he raised up

his hands towards God and committed his soul to Him, and relinquished his body, worn out with much toil, to he committed as earth to earth, while the brothers who had gathered round wept bitterly over the loss of their good shepherd (Lang 1956: 93).

„ამას შინა რა წახდენ ჟამნი რაოდენნიმე და სავსე იყო ნავი კეთილთა ტვრთვთა სიმდიდრესა დაუღუენელსა მიმღებელნი შინაგან თვსა და ჯერ იყო შინაგან ნავთ საყუდელის, შორს მსოფლიოთა ღელვათაგან დაზამრთებაჲ მისი და უფროსდა ზეცისა სავანეთა მიმართ აღწევნა, ესე იგი არს განსხნა სხეულთა მიწიერთაგან სულისა, არღა ამას უმეცარ იქმნა ღმერთშემოსილი ესე და ზეცისათა ღირსი სანატრელი დავითი, რამეთუ ეუწყა მას უფლისა მიერ განსვლა თვისი ხორცთაგან...

ამათ და ესევითართა სწავლათა მიერ განმაკრძალებელი და ყოველთა ძმათა და მღდუელ მემსხუჭრპლეობითსა მსახურებასა სრულ ქმნად ბრძანებელი, ეზიარა უხრწნელთა და უკვდავთა ქრისტეს საიდუმლოთა, წმიდასა ხორცსა და პატიოსანსა სისხლსა უფლისა ჩუჭნისა იესო ქრისტესსა: ამისა შემდგომად აღმპყრობელმან ხელთამან ღუთისა მიმართ და მადლობისა შემწირველმან ხელთა სამეფოთა შევედრა წმინდა სული თვისი და დაუტევა მრავალ მოღვაწე იგი გუამი მის, მრავალთა შრომათა მიერ განკაფული მიცემად მიწა მიწასა, რომლისაცა გარემიდგომილნი კრებულნი ძმათა ტიროდეს საღმობიერად დაკლებისათვის მწყემსისა მის კეთილისაგან და იტყებდეს თავსა თვსთა ვითარ ოხრად დაკლებისათვის მწყემსისა მის კეთილისაგან... (საბინინი 2010: 267-268).

ზემოთ განხილული „დავით გარეჯელის ცხოვრების“ თარგმანი, შესრულებული თანამედროვე ინგლისურ ენაზე, მეტად მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ დ. ლანგმა, სპეციალურად ევროპელი მკითხველისთვის შექმნა „დავით გარეჯელის ცხოვრების“ მეტად საინტერესო ძეგლის ახალი რედაქცია. მან თარგმანი უფრო საინტერესო გახადა თანამედროვე ევროპელი მკითხველისთვის იმ მხრივ, რომ წმ. მამა დავითი შეადარა იტალიელ კათოლიკე წმინდან ფრანცის აზიზელს, რომელიც მე-12

საუკუნეში მოღვაწეობდა და ერთ-ერთ ყველაზე ღირსეულ ფიგურას წარმოადგენდა იმდროინდელ კათოლიკურ სამყაროში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დ.ლანგის „დავით გარეჯელის ცხოვრების“ თარგმანი, სხვა თარგმანების მსგავსად, წარმოადგენს ადაპტირებულ ვერსიას. თარგმანი ეყრდნობა მ. საბინინის და ილ. აბულაძის რედაქციები. მიუხედავად იმისა, რომ თარგმანი შემოკლებულია, მასში მოყვანილი ეპიზოდები ძირითადად ადეკვატურია ორიგინალის შესაბამისი პასაჟებისა. „დავით გარეჯელის ცხოვრების“ თარგმანი სცილდება პოპულარულ დონეზე შესრულებული თარგმანის ჩარჩოებს და იგი ფაქტობრივად არის ამ ძეგლის უაღრესად საინტერესო ახალი რედაქცია.



## თავი VIII.

### წამება წმინდა ევსტათი მეწალისა

„ევსტათი მცხეთელის წამება“ პირველად 1872 წელს რუსულად თარგმნა მ. საბინინმა, 1882 წელს კი ბეჭდურად გამოსცა (Страдание святого мученика Евстафия Мцхетского, წიგნში Полное жизнеописание святых грузинской церкви, ч. II сб, 1872 ст. 79-91).

თხზულების ივ. ჯავახიშვილისეული გერმანული თარგმანი 1901 წელს ბერლინში დაიბეჭდა. აღნიშნული თარგმანის ისტორიულ-ლიტერატურული კომენტარები პროფ. ა. ჰარნაკმა შეავსო (Das Martyrium des heiligen Eustatius von Mzchetha, Sitzungsberichte der Königlich-preussischen Akademie der Wissenschaften, XXXVII, 875-902), ამ შრომებმა დიდი როლი შეასრულეს შემდგომი კვლევის განვითარებაში.

„წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ მიმართ ინტერესი გამოხატა დ. ლანგმა. მისი თარგმანი გამოირჩევა სიზუსტითა და ლექსიკურ ერთეულთა ტოლფასოვნებით. „წმ. შუმანიკის წამების“ შემდეგ „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“ უძველესი ქართული ორიგინალური აგიოგრაფიული ძეგლია. ის დაიწერა VI ს-ის II ნახევარში. მისი ავტორი ჩვენთვის უცნობია.

ტექსტის თანახმად, სპარსთა მეფის - ხუასრო ანუშირვანის (531-579) მეფობის მეათე წელს ქართლში მოვიდა და მცხეთაში დასახლდა ოცდაათი წლის კაცი, სახელად გვირობანდაკი, ეროვნებით სპარსი. ის იყო ქალაქ განძაკიდან, არშაკეთის პროვინციიდან. გვირობანდაკი იყო მოგვის შვილი, რომელიც მას მოგვობას ასწავლიდა. გვირობანდაკმა ჯერ კიდევ სპარსეთში ყოფნისას დაიწყო ჭემმარიტების ძიება. დაექვებული მამაკაპისეული მაზდეანობის სიმართლეში, განძაკში მყოფ ქრისტიანთა და ურიათა ზეგავლენით, უშუალოდ კი სამუელ დიაკონის დახმარებით, გაეცნო ქრისტიანობასაც და ურიათა სჯულსაც. საბოლოოდ ქრისტიანობის მხარეზე გადაიხარა და მისდამი სიმპათიებით გამსჭვალული მცხეთაში მოვიდა. იმ დროს ამ ქალაქში მისი ბევრი თანამემამულე იყო, მათ შორის ქრისტიანებიც. მცხეთაში

გვირობანდაკმა მეხამლეობა ანუ მეჩექმეობა შეისწავლა, დაუახლოვდა ქართველ ქრისტიანებს და მათი ქალი ცოლად შეირთო. აქ ის თვალყურს ადევნებდა „რჩულსა ქრისტიანესათა და მსახურებასა ქრისტესსა და წმიდისა ჯუარისა (მცხეთის) ძალისა ჩინებასა“. ამიტომ უფრო მეტად „შეიყუარა რჩული ქრისტიანობისა“, უფრო მეტად „ჰრწმენა ქრისტე“ და ბოლოს მოინათლა კიდევ „ხელითა მცხეთის კათალიკოსის სამოელისა“, რომელმაც მას ევსტათი დაარქვა. მამულის რჯულიდან განდგომისათვის, რაც მან დემონსტრაციულად უჩვენა თავის თანამემამულეებს მათ მთავარ დღესასწაულში მონაწილეობაზე უარის თქმით, მცხეთელმა სპარსელებმა ევსტათი დააბეზღეს ადგილობრივი ციხისთავის - უსტამის წინაშე. უსტამმა ის სხვა შვიდ ქრისტიანთან ერთად თბილისის მარზპან არვანდ გუშნასპსთან წარგზავნა. აქ ის ციხეში ჩასვეს და ექვსი თვის შემდეგ გაათავისუფლეს. სამი თვის შემდეგ კი, როდესაც ქართლში ახალი მარზაპანი ვეჟან ბუზმირი შემოვიდა, მცხეთელმა სპარსელებმა ევსტათი მის წინაშეც დააბეზღეს. ვეჟან ბუზმირი ბევრს ეცადა, ევსტათი მამულის რჯულზე გადაებირებინა, მაგრამ ამაოდ. ის მტკიცედ იდგა ქრისტიანობაზე, რისთვისაც მას სიკვდილი მიუსაჯეს და თავი მოჰკვეთეს.

ასეთია ამ თხზულების მოკლე შინაარსი, რომლის უძველესი ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერი (H 341) ეკუთვნის მეათე საუკუნის გასულს თუ მეთერთმეტეს დამდეგს. თხზულება სამჯერაა გამოცემული. კერძოდ, მ. საბინინის («საქართველოს სამოთხე» გვ. 313-322), ს. კაკაბაძისა („საისტორიო მოამბე“, III, 1928 გვ. 76-94) და ს. ყუბანეიშვილის (**ყუბანეიშვილი 1946: 44- 54**) მიერ.

კვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ დ. ლანგმა ს. ყუბანეიშვილის ქრესტომათიის ტექსტზე დაყრდნობით თარგმნა „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“. შესავალი ნაწილი, რომელიც უძღვის თარგმანს, მოგვითხრობს ნაწარმოების მნიშვნელობაზე. დ. ლანგის თქმით, „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“ თავისი სიძველიდან გამომდინარე (VI ს.), ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც მკაფიოდ აღწერს ქრისტიანულ საქართველოსა და სასანიანთა ირანს შორის არსებულ

ურთიერთობას ხოსრო ანუშირვანის მეფობის დროს (531-579). აქვე მთარგმნელი ყურადღებას ამახვილებს თხზულების გერმანულ თარგმანზე. მისივე ცნობით, „1901 წელს ადოლფ ფონ ჰარნაკმა ბერლინის აკადემიის შრომებში გამოაქვეყნა ტექსტის გერმანული თარგმანი დეტალურ კომენტართან ერთად, რომელშიც წარმოაჩინა ბევრი განსხვავება ბიბლიის ლიტერატურულ ტექსტთან შედარებით და ხაზი გაუსვა მის მნიშვნელობას ბიბლიური კვლევებისთვის. მან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ათი მცნების უცნაურ ფორმულირებასა და გარკვეულ ელემენტებს სამუელის ჩანაწერებში ქრისტეს ცხოვრების შესახებ, რომლებიც ტატიანეს ნაშრომს „დიატესარონს“ ანუ „ოთხი სახარების ჰარმონიულობას“ გვახსენებს და გვამცნობს, რომ ქართულ ეკლესიას უძველესი დროიდანვე საკუთარი „დიატესარონი“ უნდა ჰქონოდა. სამუელის აპოლოგია ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა, რადგან იგი გვიჩვენებს გზას, რომელიც დეტალურად განუმარტავს ქრისტიანულ რწმენას სპარს და ქართველ ქრისტიანებს სასანურ ეპოქაში“ (Lang 1956: 94).

ა. ჰარნაკი მსჯელობს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა: „ევსტათი მცხეთელის წამების“ ქრონოლოგია, ანუ როდის მოვიდა გვირობანდაკი საქართველოში, როდის მოინათლა, როდის და ვის მიერ უნდა დაწერილიყო ნაწარმოები; განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ავტორის მიერ ბიბლიის, კერძოდ, ძველი აღთქმის წიგნებისა და სახარების შინაარსის გამოყენების საკითხს. ტექსტზე დაყრდნობით, სამოელ არქიდიაკონი, ებრაელთა რჯულისა და ქრისტიანობის გაცნობის მიზნით, ევსტათის უყვება ძველი და ახალი აღთქმის ისტორიას. შინაარსი ამ ისტორიისა არ უდგება კანონიკური ტექსტების შინაარსს, განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას სახარების შესახებ. დასახელებული მკვლევრის აზრით, ავტორს დეკალოგის ან ათი მცნების გადმოცემისას სახელმძღვანელოდ აღებული აქვს ცნობილი „დიდაქე“, ხოლო სახარების ამბებისა - ტატიანეს (II ს.) „დიატესარონი“. კ. კეკელიძის თქმით, განსხვავება კანონიკურ რედაქციასთან იმდენად დიდი და მნიშვნელოვანია, რომ იმ ორიოდე მაგალითით „დიდაქე“ და „დიატესარონთან“ დამთხვევისა, რომელიც ა. ჰარნაკს მოჰყავს, ძნელია ამ თეზისის

დამტკიცება. მისივე თქმით, სამუელ არქიდიაკონის გადმოცემაში საქმე გვაქვს ე. წ. თარგუმებთან, ან სირიულთან ან სპარსულთან. შესაძლოა, ვიფიქროთ ქართულ თარგუმებთანაც, რომელთა არსებობაც ივარაუდა ნ. მარმა, ცნობილია, რომ „თარგუმი“ უფრო პერიფრაზია, ვიდრე ზუსტი გადმოცემა ტექსტისა: თარგუმისტი ჩვეულებრივ დიდ თავისებურებას იჩენს, ის ბიბლიის ტექსტს ხან უმატებს, ხან აკლებს, ხან ცვლის კიდეც (კეკელიძე 1980: 508-515).

კვლევის ამ ნაწილშიც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ორიგინალსა და თარგმნილ ტექსტებს შორის ადეკვატურობის ხარისხის დადგენა.

თარგმანის ყოველი ჟანრი, განურჩევლად იმისა, სამეცნიერო-ტექნიკურია სათარგმნი ტექსტი, მხატვრული, პუბლიცისტური თუ სხვა, ერთიანდება „თარგმანში“, როგორც ენათშორისი კომუნიკაციის ზოგად ცნებაში. მთავარი კი ის არის, რომ მიუხედავად თითოეული ჟანრისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნებისა, ყველა ჟანრისათვის არსებობს საერთო მახასიათებლებიც. ესენია: 1. ორიგინალის ინვარიანტული ინფორმაციის გადაცემის მიზანი თარგმანში; 2. შემოქმედებითი დამუშავება, პირობადებული შეპირისპირებულ ენათა სპეციფიკით, მათში არსებულ ენობრივ უნიკალიზმებთან შემოქმედებითი მიდგომის საჭიროებით, რაც შემდგომში გამოიხატება სათანადო ენობრივ ტრანსფორმაციებში; 3. გარეენობრივ ფაქტორთა გათვალისწინების აუცილებლობა, რადგან თარგმანის კომუნიკაციურ-პრაგმატული ეფექტის ეკვივალენტობა, პირველ ყოვლისა, დამოკიდებულია სწორედ ორიგინალისა და თარგმანის კომუნიკაციური ღირებულების თანხვედრაში (საყვარელიძე 2001: 51–52).

ტექსტების შედარებამ ცხადყო, რომ დ. ლანგის „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“ გამოარჩევს მას სხვა დანარჩენი თარგმანებისაგან თავისი სიზუსტითა და ეკვივალენტურობით. არც ერთი პასაჟი ტექსტში შემოკლებული არ არის. და ამავე დროს მასში შენარჩუნებულია ენობრივ ნიშანთა ივარიანტულობა.

ძველი ქართული ენა საკმაოდ რთული აგებულების მქონეა, იგი თანამედროვე მკითხველისათვის ზოჯერ გაუგებარიცაა და ბუნდოვანიც. „ძველი ქართული ენის გაგებას სპეციალური სწავლა სჭირდება. წინააღმდეგ შეთხვევაში, ტექსტის გაგება სრულყოფილი არ იქნება და ხშირად არასწორი, ვინაიდან ზოგიერთი სიტყვა მნიშვნელობას იცვლის საუკუნეთა განმავლობაში“ (ილია II).

სწორედ დ. ლანგი იყო ის მეცნიერი, რომელმაც საფუძვლიანად შეძლო ძველი ქართული ენის ყოველი სიტყვა სემანტიკური სიზუსტით გადაეტანა თარგმანში. ამის საილუსტრაციოდ უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება. გთავაზობთ რამდენიმე მათგანს:

იმ დროს, როდესაც სპარსელები შეიკრიბნენ თავიანთ დღესასწაულზე, ნეტარ ევსტათის შეუთვალეს, მისულიყო და შეერთებოდა მათ, რისთვისაც უარი მიიღეს: “მოვედ და გუერთე შეებასა ამას ჩუნესა“. და მიავლინეს ნეტარსა ევსტათისა და ჰრქუა: „თქვენი **ტოზიკიცა** ბნელ არს, და თქუნ, **მეტოზიკენიცა**, ბნელ ხართ“ (ქრესტომათია I, 1946. 45) “Your **festival** is dismal, and you, its **celebrators**, are a dismal crowd“ (D. Lang 1956. 95). „ტოზიკი“ - „დღესასწაული“ , „ლხინი“, „ განცხრომა“ (აბულაძის 1973: 413).

დ. ლანგმა თარგმნში სიტყვა “ტოზიკი” გადაიტანა როგორც „festival“, რაც „დღესასწაულს“ ნიშნავს <http://dictionary.ge/ka/word/festival+I/>

ხოლო „მეტოზიკენი“ – „celebrators,“ რაც დღესასწაულის მონაწილებს ნიშნავს: <http://dictionary.ge/ka/word/celebrant/>

ლექსიკურ ერთეულთა სიზუსტე გვხვდება იესო ქრისტეს მიერ აღსრულებულ სასწაულებში. როდესაც მან დაბადებიდან ბრმა იპოვა და თვალი აუხილა: „მერმე შობითგან ბრმაჲ ჰპოვა და თიკაჲ შექმნა ნერწყვთა და თვალთა მისთა დაჰგოზა და უბრძანა მას მობანად წყლითა“. Afterwards he found one who was blind from burth, and he

made clay with his spittle, **rubbed** it on his eyes told him to wash them with water”( Lang, 1956. 105).

„დაჰგოზა“ ნიშნავს „შეაზილა“, ეს სიტყვა დ. ლანგმა ადეკვატურად გადაიტანა „**rubbed**“, რაც ინგლისურად „შეზელვას“ ნიშნავს:

<http://dictionary.ge/ka/word/rub+I/>

ლექსიკურ ერთეულთა სიზუსტე იკვეთება ევსტათის სიტყვებში, როდესაც ის არწმუნებს თავის მარზპანს, რომ მზე, მთვარე და ვარსკვლავები არ არიან ღმერთები, პირიქით, ისინი ღმერთის მიერ არიან შექმნილი და ღმერთის ნებას ემორჩილებიან:

„ღმერთმა შექმნა ცა, მიწა, მზე, მთვარე და ვარსკვლავნი, ზღვა და ჯმელი, მდინარენი და შესაკრებელნი წყალთანი და ბორცუნი, ველნი და ტყენი, შეშა და ცეცხლი, ოთხფერჯნი პირუტყენი და მკეცნი, ქვეწარმავალნი და მფრინველი ცისანი, და მერმე კაცნი შექმნა ღმერთმან და მას ყოველსა ზედა უფალყო იგი“ (ყუბანიეშვილი 1946: 52).

“For it was God who created **heaven and earth, sun and moon and stars, the sea and the land, the rivers and assemblies of the waters, mountains and hills, meadows and forests, wood and fire, four-footed animals and beasts**, reptiles and birds of the sky; and afterwards, God created mankind made him lord over all these and subjected all these to man” (Lang 1956: 110).

საკმაოდ, მნიშვნელოვანია დედნიდან პავლე მოციქულის სიტყვების გადატანა თარგმანში. დედნის მსგავსად, თარგმანი ზედმიწევნით მიჰყვება ორიგინალს, ხშირად გამეორებული „არც“ უარყოფითი ნაწილაკი ინგლისურში „neither ... nor“ კონსტრუქციით არის გადასული:

„მე ვარო ნარჩევი მოციქულთაჲ, შენ იცი უფალო ჩემო იესუ ქრისტე,რამეთუ არავინ ვირჩიე შენსა, **არცა** მამაჲ, **არცა** დედაჲ, არცა ძმანი, **არცა** ნათესავნი, გარნა მხოლოდ შენ, უფალი, შეგიყუარე და სახელისა შენისათჳს ესერა თავი წარმეკუეთების დღეს “ (ყუბანიეშვილი 1946 : 54).

„I am the last remnant of the apostles. Thou knowest, O my Lord Jesus Christ, that I have preferred no one before Thee, **neither** father, **nor** mother, **nor** brothers, **nor** children, but have loved Thee, the Lord, alone“ (Lang 1956: 113).

საინტერესოა როგორ გადადის თარგმანში ქვეყნის მოხელეთა იერარქიის აღმნიშვნელი სიტყვები. თუ ასეთი ტიპის სიტყვების თარგმანებს გადავავლებთ თვალს, შევნიშნავთ, რომ მთარგმნელს სხვადასხვა მეთოდი აქვს გამოყენებული ამ სიტყვების გადატანისას. მაგ., სიტყვა „მარზაპანი“ თარგმანში უცვლელად გადადის „Marzipan“ და იქვე თავისებური განმარტება ახლავს: **“Governor General“**, რაც მთავარ მმართველს ნიშნავს და სავსებით მართებულია. შემდეგ მთელ ტექსტში მთარგმნელი მოიხსენიებს მას, როგორც “Marzipan“-ს .

სიტყვა „ციხისთავი“ - ციხესიმაგრის ან პატარა გამაგრებული ქალაქის უფროსი იყო ფეოდალურ საქართველოში. ის თარგმანში გვხვდება როგორც “The castle commander“.

სიტყვა „მამასახლისი“ სახლის, გვარის ან თემის მეთაურს ნიშნავდა. იგი თარგმანში უცვლელად გვხვდება, როგორც “Mamasaxlisi“ და ახსნილია იმავე გვერდის ქვედა ნაწილში: „მამასახლისი“ სიტყვასიტყვით „სახლის მამამთავარს ნიშნავს“ე. ი. თემის გამგებელს, რომელიც პატრიარქალური დროიდან იღებს სათავეს” - “Mamasaxlisi: “literally “Father of the House,” i.e. head of a clan, an ancient Georgian title dating from patriarchal times (Lang 1956: 99).

მნიშვნელოვანია ასევე დედნისეული სიტყვის შეცვლა თარგმანში. მას შემდეგ, რაც მარზაპანმა საპყრობილეში ჩაყარა ევსტათი და მისი თანამოაზრენი, დასძინა, რომ თუ ვინმე აღიარებდა მამისეულ სჯულს, მას ძალიან გაამდიდრებდა. შესაბამისად, პანაგუმნაპსიმ და ბახდიადმა უარყვეს ქრისტე და უღვთოება აღიარეს, მაგრამ მარზაპანმა მათ არაფერი მისცა, ერთი “ფსირიდიც“ კი.

„ხოლო საფასესა და კეთილსა, რომელსა უქადებდა მათ, არცა ფსირიდი ერთი მისცა მათ“ (ყუბანეიშვილი 1946: 46).

“But of the reward and hand-some compensation he had promised them he gave them not one farthing” (Lang, 1956.99)

უძველეს ხელნაწერში (H 341) გვაქვს „ფსირიდი“ ანუ „კალათი“. სხვა ნუსხებში კი - „ფსიადი“, რაც ძველ ქართულში, ერთი მხრივ, ნიშნავს „ფიალას“ (აბულაძე გვ. 448), მეორე მხრივ კი - „ჭილს“, „ჭილოფს“, „საგებს“. კონტექსტის მიხედვით ორივე მათგანი შესაძლებელია ვიგულისხმოთ, თუმცა, დ. ლანგმა შემოთავაზებულ თარგმანში „ფსიადი“ ჩაანაცვლა სიტყვა „ფართინგით“ „Farthing“, რაც ქართულად ¼ პენის ღირებულების მქონე ძველ ინგლისურ მონეტას ნიშნავს.

<http://dictionary.ge/ka/word/farthing/>

ვფიქრობთ, ზემოთ მოყვანილი ცვლილება განაპირობა სხვადასხვა ხელნაწერში აზრობრივად განსხვავებული მნიშვნელობის მქონე სიტყვების არსებობამ.

## **§ 8. 1. ათი მცნების გადატანა თარგმანში**

ორიგნალი ტექსტის თანახმად, ევსტათიმ ჯერ კიდევ განძაკში ყოფნის დროს სთხოვა სამოელ არქიდიაკონს, გაეცნო მისთვის ქრისტიანული სარწმუნოების ისტორია. თხრობას სამოელ მთავარდიაკონი იწყებს უძველესი ბიბლიური ამბით, ებრაული სარწმუნოების ძირითადი მომენტებით და ამთავრებს სახარების საკმაოდ ვრცელი შინაარსის გადმოცემით. ბიბლიური შინაარსის ტექსტების გამოყენების საკითხს, წლების მანძილზე იკვლევდნენ მეცნიერები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ა. ჰარნაკის მტკიცებით „ევსტათი მცხეთელის“ ავტორს დეკალოგის ან ათი მცნების გადმოცემისას სახელმძღვანელოდ აღებული აქვს ცნობილი „დიდაქე“, ხოლო სახარების ამბებისა - ტატიანეს დიატესარონი“.

მეტად მნიშვნელოვანია ათი მცნების ფორმულირება დ. ლანგის თარგმანში. ტექსტების შედარებამ ცხადყო, რომ ისინი მხატვრულად შესრულებული



ლიტერატურული თარგმანებია, რომლებიც ადეკვატურად გადმოსცემენ კონტექსტის მთელ სიღრმეს. მაგალითისთვის განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

„ნუ გული გითქვამს ცოლსა მოყუისა შენისასა“ (ყუბანეიშვილი 1946: 49). თარგმანში გადატანილია როგორც “Do not lust after your neighbour’s wife” (Lang 1956: 103). „Lust” ნიშნავს „გულისთქმას“, „ხორციელ ლტოლვას“ (ინგლისურ-ქართული ლექსიკონი 2001: 187), ხოლო „neighbour’s wife“ ნიშნავს „მოყვასის ცოლს“ (ინგლისურ-ქართული ლექსიკონი 2006: 32). აღნიშნული მაგალითი შესრულებულია მხატვრულ დონეზე და წარმოდგენილია ვერბალურ ერთეულთა სიზუსტით. ის დედნის ადეკვატურია და ნიშნავს „ნუ გული გითქვამს ცოლისა მოყვასისა შენისა“.

„ნუ ორსა სიტყუასა იტყვ“ (ყუბანეიშვილი 1946: 49) გვხვდება როგორც “Do not equivocate” (Lang 1956: 103). სიტყვა „equivocate” ნიშნავს „ორაზროვანს“ ან „საეჭვოს“, როლმელიც ადეკვატურია დედნისა (ინგლისურ-ქართული ლექსიკონი 1997: 71).

ნათარგმნ ტექსტში გვხვდება სიტყვასიტყვით შესრულებული თარგმანები:

„პირველი მცნებაჲ ესრეთ: შეიყუარეთ უფალი ღმერთი თქვენი ყოვლითა გულითა თქუენთა და ყოვლითა სულითა თქუენითა და ყოვლითა გონებითა თქუენითა“ (ქრესტომათია, I, 1946. 49) ნათარგმნი ტექსტი სიტყვასიტყვით არის წარმოდგენილი. “The first commandment thus - Love the Lord your God with all your heart and with all your soul and with all your mind”(Lang 1956: 103).

„ნუ იპარავ“ (ყუბანეიშვილი 1946: 103) ასევე გადმოცემულია სიტყვასიტყვით “Do not steal” (Lang 1956: 49)

მიგვაჩნია, რომ დ. ლანგის მიერ შესრულებული თარგმანები ზუსტია პირველ ყოვლისა, არსის გადმოცემის თვალსაზრისით და სიტყვასიტყვითია მაქსიმალურად, იმდენად რამდენადაც ამის საშუალებას ენათა შორის სხვაობა იძლევა.

## § 8. 2. თარიღთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები და მათი ჩამატება თარგმანში

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დ. ლანგმა, როგორც მეცნიერმა და მკვლევარმა, საჭიროდ ჩათვალა თარგმნილ ტექსტში თარიღების ჩამატება იმისათვის, რომ უფრო გასაგები გაეხადა მკითხველისთვის მოვლენათა მიმდინარეობის ზუსტი დრო. შესაბამისად, მან მოახდინა ორი მოვლენის დათარიღება თარგმანში: პირველი - ევსტათის ჩამოსვლა მცხეთაში და მეორე - მისი წამების წლები.

თარგმნილ ტექსტში დ. ლანგს ევსტათის ჩამოსვლა დათარიღებული აქვს ქრ. შ-დან 540-541. A.D. 540-541. In the tenth year of King Khusrau's reign when Arvand Gushnasp was Marzapan (Governor-General) of Georgia, a certain man arrived from Persia, from the province of the Arshakids; son of a Magian was he, and a pagan. His name was Gvirobandak, and he was a young man of about thirty“ (Lang 1956: 95).

თუ კ. კეკელიძის მოსაზრებას დავეყრდნობით, დ. ლანგის მიერ ჩამატებული თარიღები მართებულია. მისივე თქმით, პირველ კითხვაზე პასუხი თვით თხზულებაშია მოცემული: „წელსა მეთესა ხუასრო მეფისასა“ მოვიდა გვირობანდაკ-ევსტათი მცხეთას; აქედან გამომდინარე, კ. კეკელიძის ვარაუდით, ევსტათი მცხეთაში მოსულა 540 წლის 12 ივნისსა და 541 წლის 12 ივნისს შორის.

წმ. ევსტათის წამების წლებთან დაკავშირებით არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. მაგ. დ. ლანგმა წამების წლებად 544-545 წლები მიიჩნია. კ. კეკელიძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ევსტათი არა უგვიანეს 551 წელს აწამეს (კეკელიძე 1980: 511), ხოლო ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, ეს არის 544-545 წლები (გაბიძაშვილი 2007: 44).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დ. ლანგი იზიარებდა ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას.

ტექსტების შედარებამ და ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ დ. ლანგის მიერ შესრულებული „ევსტათი მცხეთელის წამების“ თარგმანი არის ერთ-ერთი უნაკლო

და სრულყოფილი თარგმანი ინგლისურ ლიტერატურაში, რომელიც შესრულებულია თანამედროვე ინგლისურ ენაზე და გამოირჩევა ლექსიკურ ერთეულთა სიზუსტითა და ტოლფასოვნებით.

## თავი IX.

### მარტვილობა აბოსი, ბაღდადელი ნელსაცხებელთა ოსტატისა

ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ერთ-ერთ კლასიკური ნიმუშია იოანე საბანისძის „წმ. აბო თბილელის წამება“. მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს არა მხოლოდ აგიოგრაფიის, არამედ მთელი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. როდესაც კ. კეკელიძე VIII-X საუკუნეებს მოიხსენიებდა ქართული მწერლობის ისტორიის ეროვნულ ხანად, მას, უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში იოანე საბანისძის თხზულება ჰქონდა (კეკელიძე: 1954).

დ. ლანგის მიერ თარგმნილი იოანე საბანისძის თხზულება, ორიგინალის მსგავსად, პოლიჟანრულია. თუმცა, ის დედნისეული ოთხი თავის ნაცვლად ორი თავისგან შედგება. მასში შემოკლებულია პირველი თავის ქადაგებითი ნაწილი, რომელშიც ავტორი მსჯელობს საქართველოში შექმნილ კატასტროფულ მდგომარეობაზე. არაა თარგმნილი არც მეოთხე თავი, რომელშიც შექმნილია წმინდა აბო. მკვლევართა აზრით, ეს ნაწილი ქართული ჰიმნოგრაფიის ერთ-ერთი უადრესი ნიმუშია.

ამდენად, ლანგისეულ თარგმანში სრულად და უნაკლოდაა წარმოდგენილი თხზულების II-III თავები, რომლებიც დაწვრილებით მოგვითხრობენ წმ. აბოს თავგადასავალსა და წამების ამბავს: „ქართლად შემოსლვაჲ და ნათლის-ღებაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოჲსი“ - „Abos's arrival in Georgia, and his baptism“ და „წამებაჲ წმიდისა ჰაბოჲსი „-The Martyrdom of st. Abo“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დ. ლანგი შესავალ ნაწილში გვამცნობს, რომ „აბო თბილელის წამების“ მისეულ თარგმანში პროლოგი გამოტოვებულია. მასში იოანე საბანისძე აღწერს საქართველოში არსებულ მძიმე პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც მას არაბთა ბატონობამ მოუტანა. იქვე დ. ლანგი ეხება ნაწარმოების მნიშვნელობას. იგი აღნიშნავს, რომ თხზულება აბო თბილელის წამებიდან მალევე დაიწერა, იოანე საბანისძის მიერ, ქართლის კათალიკოსის - სამოელის შეკვეთითა და თხოვნით.

იმ დროიდან მოყოლებული, როცა ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული თარგმანის შეფასების კრიტერიუმები, იმ ნორმატიულ მოთხოვნათა შორის, რომელსაც უყენებდნენ თარგმანს, უმთავრესი იყო და ამჟამადაც, უმთავრესად რჩება ეკვივალენტურობის პრობლემა.

სხვადასხვა ავტორთა კონცეფციის თანახმად, ეკვივალენტურობა თარგმანში უმეტესად გააზრებულია, როგორც ენობრივ ნიშანთა რეფერენციალური შესაბამისობა. კერძოდ, კონტექსტუალურად რელევანტური სემანტიკური მახასიათებლების ერთგვაროვნება თარგმანსა და ორიგინალში (ჟ. კეტფორდი მ. ჰელიდე); როგორც ორიგინალის ენობრივ ნიშანთა ინვარიანტული მნიშვნელობის შენარჩუნება თარგმანის ენაში (ა. ეტინგერი); ასევე, როგორც ენის ნიშანთა მიერ წყარო ენის კონტექსტში გამოვლენილ მნიშვნელობათა შენარჩუნება თარგმანის ენის ნიშნებში (საყვარელიძე 2001: 74-75).

ამ მხრივ პრინციპულად განსხვავებულ მიდგომას ვხედავთ ი. ნაიდას კონცეფციაში. ის თარგმანში გამოარჩევს ორ განსხვავებულ ორიენტაციას: ერთი მხრივ, ფორმალური ეკვივალენტობის მიღწევის ცდას და მეორე მხრივ, დინამიკური ეკვივალენტურობისკენ სწრაფვას.

დინამიკური ეკვივალენტურობის პრინციპის დაცვით შესრულებული თარგმანებისთვის, ნაიდას აზრით, დამახასიათებელია გამოხატვის ფორმათა სიმსუბუქე. შეტყობინების მიმღებს, ამ შემთხვევაში, არ მოეთხოვება ესმოდეს ორიგინალის კულტურის კონტექსტი. პირიქით, მას სთავაზობენ ქცევის ისეთ მოდუსს, რომელიც მისი საკუთარი კულტურის კონტექსტს უფრო შეესაბამება.

ი. ნაიდას დინამიკური ეკვივალენტობის პრინციპმა შემდგომში განვითარება ჰპოვა თანამედროვე თარგმანმცოდნეობაში, სადაც თანდათან გამოიკვეთა, ერთი მხრივ, თარგმანთა თვისობრივი ტიპოლოგიის იდეა, როგორც მთარგმნელის სტრატეგიის შერჩევის ძირითადი დეტერმინანტი და, მეორე მხრივ, ეკვივალენტურობის ფენომენთა დიფერენციალური მიდგომის ტენდენცია.

თუ ადრეულ გამოკვლევებში ეკვივალენტურობა, უმეტეს შემთხვევაში, უკავშირდება თარგმანის დიფერენციალურ დონეს, შედარებით გვიანდელ შრომებში ვხვდებით მსჯელობას ეკვივალენტურობის ვარიანტულ ხასიათზე. მაგალითად, ვ. კოლერი ეკვივალენტურობის ხუთ ძირითად სახეობას განიხილავს: 1. დენოტაციური ანუ რეფერენციალური ეკვივალენტურობა, რომელშიც იგულისხმება საწყისი ტექსტის აზრის, მისი შინაარსის ინვარიანტის შენარჩუნება; 2. კონოტაციური ეკვივალენტურობა, როცა თარგმანის ენაში არსებული გამოხატვის სინონიმური საშუალებებიდან სტატისტიკური ეფექტის თვალსაზრისით ტოლფასოვანი ენობრივი საშუალებებია შერჩეული; 3. ტექსტუალურ-ნორმატიული ეკვივალენტობა, რომელიც ტექსტის ჟანრული მახასიათებლებისა და მათი შესაბამისი სამეტყველო ნორმების დაცვას გულისხმობს; 4. პრაგმატული ეკვივალენტობა, რომელშიც იგულისხმება ორიენტაცია თარგმანის მიმღების ფაქტორზე მასში სათანადო სტიმულირებაში; 5. ფორმალური ეკვივალენტურობა ანუ ორიგინალის ისეთი ფორმალური ნიშნების შენარჩუნება, როგორცაა ინდივიდუალური სამწერლო სტილის მხატვრულ-ესთეტიკური მახასიათებლები (საყვარელიძე 2001: 78).

ეკვივალენტურობის დიფერენცირებულ გაგებას ვხვდებით ვ. ნ. კომისაროვის კონცეფციაშიც. იგი ორიგინალისა და თარგმანის ტოლფასოვნებაში გამოყოფს ხუთი ტიპის ეკვივალენტურობას: 1. კომუნიკაციის მიზანთა ტოლფასოვნება, რომელშიც გამოხატულია გამონათქვამის როლი, მისი დანიშნულება კომუნიკაციის აქტში, რაც ნებისმიერი გამონათქვამის დამახასიათებელი ნიშანია, თუნდაც ეს გამონათქვამი იყოს სრულიად ნეიტრალური და უბრალოდ რაიმე ფაქტის კონსტატაციას ახდენდეს; 2. აღწერილი სიტუაციის იდენტურობა, რომელშიც მოაზრებულია როგორც შეტყობინება რაიმე კონკრეტულ სიტუაციასა ან რაიმე ფაქტზე, რაც შეტყობინების საგანს შეადგენს. სხვა თეორეტიკოსთა ტერმინოლოგიაში ასეთ ეკვივალენტურობას „დენოტაციური“ ეწოდება; 3. სიტუაციის აღწერის საშუალებათა იგივეობა; 4. სინტაქსურ სტრუქტურათა ტოლფასოვნება; 5. სიტყვიერ ნიშანთა ტოლფასოვნება (კომისაროვი 1973)

სწორედ კომისაროვის კონცეფციაზე დაყრდნობით მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს „წმ. აბო თბილელის“ თარგმანის ეკვივალენტურობასთან დაკავშირებით: ტექსტში სინტაქსურ-სტრუქტურული ტოლფარდოვნების უამრავი მაგალითი გვხვდება გთავაზობთ რამდენიმე მათგანს:

„And now, O lovers of Christ, I should like to tell you about the blessed saint and martyr Abo, what sort of person he was, and how he came here to Georgia“ (Lang 1956: 117).

„მნებავს აწ, ქრისტეს-მოყუარენო, ამიერთგან წმიდისა და სანატრელისა მოწამისა ამის ჰაბოძსთვს, რადთა გაუწყო, ვითარ ანუ რაბამ იყო, ანუ ვინაჲ მოიწია აქა“ (აბულაძე 1964: 56).

ქვემოთ მოყვანილ შემთხვევას კომისაროვი მიაკუთნებს ისეთ თარგმნით ვარიანტებს, როცა ორიგინალსა და თარგმანში აღწერილი სიტუაციები იდენტურია, მათი ასახვის ხერხები კი - განსხვავებული.

„Then he started to acquire and read the holy books of the Old and the New Testaments, for the Lord guided his understanding. He used to go to church and listen regularly to the Holy Gospel and readings from the Prophets and Apostles, and ask questions and gain information from many expert theologians“. (Lang 1956: 117).

„მაშინ იწყო ზედამიწევნად და სწავლად წმიდათა საღმრთოთა წიგნთა ძუელისა და ახლისა შჯულისათა, რამეთუ უფალი მეცნიერ-ჰყოფდა მას“ (აბულაძე 1964: 57). მაგალითად, „უფალი მეცნიერ ყოფდა მას“, - ნიშნავს გააგებინებდა, მცოდნეს გახდიდა, რაც ინგლისურშიც გამოხატულია წინადადებით: Lord guided his understanding და ნიშნავს – „უფალი გაუძღვებოდა მის გონებას“ <http://dictionary.ge/ka/word/guide+I/>

შემდეგ მაგალითში კარგად ჩანს სიტყვიერ ნიშანთა ტოლფასოვნება:

„Nerses came as a refugee from his own country into the land of the north, where is the home and abode of the sons of Magog who are called the Khazars - wild men, fearsome of face, savage

in character, drinkers of blood, without religion, except that they recognize a god the creator“  
(Lang 1956: 118).

„ხოლო ნერსე, ლტოლვილი ქუეყანით თჳსით, შევიდა ქუეყანასა მას ჩრდილოდსასა, სადა-იგი არს სადგური და საბანაჴჴ მეთა მაგოგისთაჲ, რომელ არიან ხაზარნი, კაც ველურ, საშინელ პირითა, მჴეცის ბუნება, სისხლის მჴამელ, რომელთა შჴული არა აქუს, გარნა ღმერთი ხოლო შემოქმედი იციან“ (აბულაძე 1964: 58).

თარგმანის ეკვივალენტურობის ძიებისას შვეიცერი მხედველობაში იღებს როგორც სტრუქტურულ და სემანტიკურ მხარეს, ასევე პრაგმატულ დონეს, რომელიც უმთავრესი დეტერმინანტია იმ ტრანსფორმაციებისას, რომლებსაც ორიგინალის ფორმა და შინაარსი მაღალხარისხოვან, ადეკვატურ თარგმანში განიცდის. შესაბამისად, გთავაზობთ პრაგმატული ტრანსფორმაციის რამდენიმე მაგალითს:

„ხოლო ღმერთმან მოამშჳდა პირი მეფისა მის ჩრდილოდსაჲ და განუტევა ნერსე მრავლითა ნიჴითა“ (აბულაძე 1964: 59).

Then God put the King of the North into a kindly mood, and he let Nerses go after presenting him with many gifts (Lang 1956: 119).

ეს მაგალითი - „ღმერთმა მოამშჳიდა პირი მეფისა“ - გაგებული უნდა იყოს, როგორც ღმერთმა დააწყნარა, დაამშჳიდა მეფე, რაც თარგმანშიც პრაგმატულად არის გადატანილი: „put the King of the North into a kindly mood“ - ეს კი კეთილ განწყობაზე დაყენებას ნიშნავს.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი ენათმორისი კომუნიკაციის პროცესში სიტყვის როლის განსაზღვრაა. ამ საკითხთან დაკავშირებით ი. მერაბიშვილი წერს:

„... ჩვენ მიგვაჩნია, რომ ტექსტის ლინგვისტები ზედმეტად გაიტაცა წინადადების მიღმა არსებული ერთეულების ძიებამ, თუ გაბმული ტექსტის ფორმამ და მათ ყურადღების გარეშე დატოვეს ტექსტის ამოსავალი, ჴემმარიტად მისი კუთვნილი და მისი ძირითადი ძალის შემცველი ისეთი ერთეული, როგორც გახლავთ სიტყვა –



სიტყვა, როგორც ფორმისა და შინაარსის შემცველი უმცირესი ერთეული, სიტყვა, როგორც უდიდესი ინფორმაციის დამტევი, სიტყვა, რომელსაც აზარია ექსპრესიის ძირითადი დატვირთვა ტექსტში, სიტყვა, როგორც ძირითადი მამოძრავებელი ძალა ჩვენი არსებობისა, სიტყვა, როგორც ლოგოსი, და სიტყვა, რომელიც იყო პირველი ...“ (მერაბიშვილი 2005: 51–52).

აქვე ჩნდება აუცილებლობა იმისა, რომ განისაზღვროს, თუ რა არის „უმცირესი სათარგმნი“ ერთეული - ჟ. ვინესა და ჟ. დარბელნეს აზრით, უმცირესი სათარგმნი ერთეული სიტყვათა შეთანხმებაა და არა სიტყვა.

ი. რეცკერის მოსაზრებით, „სათარგმნი ერთეული“ შეიძლება იყოს სიტყვაც, სიტყვათშეთანხმებაც, სინტაგმაც და მთელი ტექსტიც. ის მიიჩნევს, რომ აუცილებელია გავითვალისწინოთ ნაწილის მთელთან მიმართების ცნება (Рейкер 1974: 25).

ვეთანხმებით რეცკერისა და მერაბიშვილის მოსაზრებებს და მიგვაჩნია, რომ სწორი ლექსიკური ერთეულის შერჩევა კონტექსტის გათვალისწინებით განსაზღვრავს თარგმნილი ტექსტის ინვარიანტულობას, ტექსტის სწორ ემოციურ შეფერილობას, მხატვრულ მხარეს.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს კონკრეტულ სიტუაციაში სწორი სიტყვის შერჩევა, განვიხილოთ შემდეგი პასაჟი:

“When the blessed Abo saw the exceptional devoutness of the local people and their assiduity in prayer, he was filled with **a fever of emulation**, remembering the words of the holy apostle, "It is always good to imitate excellence" (Lang 1956: 120).

„ხოლო წმიდამან და ნეტარმან ჰაბო, ვითარცა იხილა კაცთა მის ადგილისათა გარდამეტებული ღმთისმოყვარება და ლოცვაჲ ყოვლისა მის ერისაჲ დაუცადებელი, შური საღმრთოდ აღიღო, რამეთუ მოიჯსენა მან სიტყუაჲ იგი წმიდისა მოციქულისაჲ, ვითარმედ „კეთილ არს ბაძვაჲ კეთილისათჳს მარადის“ (აბულაძე 1964: 60).

მეტად მნიშვნელოვანია გამოთქმის - „საღვთო შური აიღო“ ადეკვატურად გადატანა თარგმანში. ძველ ქართულ თარგმანებში დადებითი მნიშვნელობით გვხვდება და „ღირსეულად ბაძვას“, ანუ „ღირსეულ მიმბაძველობას“ ნიშნავს. უნდა ითქვას, რომ მოცემულ სინტაგმაში „შური“ უტოლდება „ბაძვას“.

ამრიგად, „საღვთო შური აიღო“ ნიშნავს: „საღვთო ბაძვის სურვილით აღიძრა“. ინგლისურ ენაზე გადატანისას ლანგმა გამოიყენა ადეკვატური თარგმანი. იგი ინგლისურ ტექსტში გვხვდება როგორც „a fever of emulation“, რაც ქართულად ნიშნავს „გაჯიბრების ციებ-ცხელებაში ყოფნას“. აქედან გამომდინარე, ლანგმა სიტყვას - შური, რომელიც უნდა გავიგოთ როგორც „ბაძვა“, ინგლისურში შეუსაბამა სიტყვა „emulation“, რაც „მიბაძვას, გაჯიბრებას“ ნიშნავს (ინგლისურ-ქართული ლექსიკონი 1997: 41).

როგორც ვხედავთ, თარგმნის პროცესში ხშირად დგება ცალკეული სიტყვების, წინადადებების თუ მოზრდილი მონაკვეთების ფორმალური ეკვივალენტურობის მიღწევის პრობლემა, მაგრამ თუ საკითხს სიღრმისეულად მივუდგებით, აღმოჩნდება, რომ ტექსტის ცალკეულ მონაკვეთში სულაც არ არის აუცილებელი მაინცდამაინც იმ სიტყვას ან წინადადებას მოეძებნოს სტილისტური ეკვივალენტი, რომელიც დედანში სტილისტურადაა შეფერილი. მთავარია ეკვივალენტური ელემენტები გაჩნდეს კონტექსტში და მთელ მონაკვეთს მიანიჭოს დედნის შესაბამისი სტილისტური შეფერილობა. კონტექსტუალურ-სტილისტური ეკვივალენტობის მიღწევა კი საბოლოო ჯამში, დედნის ტექსტისა და თარგმანის ტექსტის სტილისტური ეკვივალენტობის საწინდარია.

## **§ 9. 1. წმ. აზო თბილელის მარტვილობის თარიღისათვის**

„წმ. აზო თბილელის მარტვილობის“ შემცველ ხელნაწერებში წმინდანის წამების შესახებ სულ სხვადასხვა და ერთმანეთის გამომრიცხავი თარიღებია მოცემული.

აქედან გამომდინარე, მეცნიერებსაც ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული დასკვნები გამოაქვთ.

ილ. აბულადის რედაქტორობით გამოცემულ „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებში“ იმ ადგილას, სადაც წმ. აბო თბილელის წამების თარიღია მოცემული, ძირითად ტექსტად აღებულია ისეთი ხელნაწერი (ძველი კოლექციის Sin-11), რომელიც თუ ქართული დასაბამითგანით ვიანგარიშებთ, 785 წელს უჭერს მხარს. კერძოდ, ვკითხულობთ:

“უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჳსსა, წელიწადსა ვნებითგან და მკუდრეთით აღდგომითგან რვაას ოთხმეოც და ექუსსა, მეფობასა კოსტანტინეპოვლის, ქალაქსა მას დიდსა, ქრისტეანეთა ზედა კონსტანტინჳსსა, ძისა ლეონისსა, სარკინოზთა შორის მეფობასა მოსე ამირა-მუმნისასა, ძისა მაჰდისსა, ქართლს შინა კათალიკოზობასა სამოელისსა, ერისმთავრობასა სტეფანოზისსა, ძისა გურგენისსა, დასაბამით გარდასრულთა ექუს ათას სამას ოთხმეოც და ცხრასა წელსა, თთუესა იანვარისასა ექუსსა, დღესა პარასკევსა, შევისწავეთ მარტვლობად წმიდისა და ნეტარისა ამის მოწამისა და კეთილად მოღუაწისა ჰაბომსი ქალაქსა ტფილისს“ (აბულაძე 1964: 63).

წმ. აბოს მარტვილობის თარიღად 786 წლის 6 იანვარი თხზულებაში მოცემული რეალობის მიხედვით (ბიზანტიის კეისრის კონსტანტინესა და არაბთა ხალიფის, ამირა მუმნის ზეობა, 6 იანვარი, პარასკევი) პირველად მ. ბროსემ განსაზღვრა. იგივე თარიღი იმავე არგუმენტაციით გაიმეორა დ. ბაქრაძემ. მანვე პირველმა გამოხატა სიტყვიერად ის, რასაც მ. ბროსე, როგორც ჩანს, ვარაუდობდა, რომ სვანურ მრავალთავში (X ს.) „დასაბამითგანით“ მოცემულ თარიღს (6424=820) უნდა გამოაკლდეს ქრისტეს ამქვეყნად ცხოვრების წლები (მისი ვარაუდით, 30), რის შედეგად მივიღებთ რეალურთან (786) ძლიერ დაახლოებულ 790 წელს.

წმ. აბოს მარტვილობის თარიღზე საგანგებოდ იმსჯელა უამრავმა მეცნიერმა და მათი უმეტესობა მხარს უჭერდა მ. ბროსესა და დ. ბაქრაძის მოსაზრებას. საბოლოოდ, იგივე თარიღი დაამკვიდრა კეკელიძემ (კეკელიძე 1954: 85).

როგორც ჩანს, წმ. აბო თბილელის მარტვილობის თარიღთან დაკავშირებით დ. ლანგიც იმავე მოსაზრებას იზიარებს. მან ზემოთ მოყვანილი ეპიზოდის თარგმანს დასაწყისშივე ჩაუმატა თარიღი: „A. D. 786“. ჩვენი აზრით, მეცნიერი დაეყრდნო მ. ბროსეს და დ. ბაქრაძის მოსაზრებას და დასძინა, რომ ზოგიერთ ხელნაწერში გვხვდება წმ. აბოს მარტვილობის არასწორი თარიღი 915 წ, რომელიც სინამდვილეში 786 წელია („Thus in some of the manuscripts; however, the list of names of contemporary sovereigns shows this date, corresponding to A. D. 915 is wrong, and that the year must in reality have been A. D. 786“ (Lang 1956: 122)).

#### **გთავაზობთ ინგლისურ ვარიანტს:**

„A. D. 786. In the reign of our Lord Jesus Christ, in that year after His Passion and Resurrection when Constantine, son of Leo, was reigning over the Christians in the great city of Constantinople, when Mousa, son of Mahdi, Commander of the Faithful, was reigning among the Saracens, in the pontificate of Samuel, Catholicos of Georgia, when Stephen, son of Gurgen, was Duke of Georgia, in the year 6424 from the Creation, on Friday, January 6th, we commemorate the day of witness of the blessed saint and pious hero Abo in the city of Tiflis. Now this is how it occurred: —” (Lang 1956: 122).

დ. ლანგმა, როგორც მკვლევარმა, „აბო თბილელის წამების“ ტექსტში უფრო მეტი სიზუსტისთვის, ისეთი ეპიზოდები დაათარიღა, რომლებიც ორიგინალში მოცემულია - „რამეთუ იყო ჟამის“ წინადადებით.

„რამეთუ იყო ჟამი, ოდეს ერისმთავარი იგი ქართლისაჲ, სახელით ნერსე, ძჳ ადარნესე კურაპალატისა და ერისმთავარისაჲ, მოწოდებულ იქმნა ქუეყანად ბაბილოვნისა მფლობელისა მისგან მის ჟამისა სარკინოზთაჲსა ამირა მუმნისა აბდილაჲსგან, რომელი იყო ქალაქსა მას დიდსა ზაღდადს, რომელიცა იგი მან აღაშჳნა“ (აბულაძე 1963: 55-56).

**A.D. 772.** Now this happened at the time when the ruling prince of Georgia, Nerses, son of the Kuropalates and ruling prince Adarnerse, had been summoned to the land of Babylon by its ruler, the Saracen Caliph Abdulla, the Commander of the Faithful, who ruled in the great city of Baghdad which he himself had built (D.M.LANG 116).

ზემოთ მოყვანილი ეპიზოდი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ დ. ლანგმა სიტყვა „კურაპალატი“ უცვლელად გადაიტანა თავმანშიც, თუმცა, შენიშვნებში მკითხველს განუმარტა, რომ ეს იყო ბიზანტიის სამეფო ტიტული, რომლითაც ჯილდოვდებოდა საქართველოს, სომხეთისა და ბიზანტიის საზღვარზე მყოფი სახელმწიფოს მმართველი მეფე (“A high Byzantine court title, regularly bestowed on the ruling prince of Georgia, Armenia and other frontier states adjoining Byzantium” (Lang 1956: 116)).

დათარიღებულია სარკინოზთა მეფის განრისხების და ნერსე კურაპალატის გაქცევის ეპიზოდი:

„და იყო დღეთა მათ შინა კუალად განრისხებად ჯელმწიფეთა მათ სარკინოზთად ნერსე ერისთავსა ზედა, და ივლტოდა იგი, რამეთუ სასტიკად ჰბრძოდეს მას სარკინოზთა ერი; და უფალმან დაიცვა იგი ჯელთაგან მათთა, და განვლო მან კარი იგი ოვსეთისად, რომელსა დარიალან ერქუმის“ (აბულაძე 1964: 58).

**A.D. 779-80.** Now at this time the Saracen authorities again became enraged against Duke Nerses, and he took to flight. Though hard-pressed by the Saracen army the Lord saved him from their hands, and he passed through the gateway of the Ossetes, which they call Dari-Alan (the Alans' Gate, or Dariel Pass over the Caucasus) (Lang: 1956: 118).

„და იყო დღეთა მათ შინა“ უნდა გავიგოთ, როგორც იმ დღეებში, იმ დროს იყო. იმისათვის, რომ მკითხველისთვის გასაგები ყოფილიყო ის, თუ როდის ხდებოდა მოქმედება, ლანგმა ტექსტის გარვეულ ნაწილებს თარიღები დაუმატა.

თუ აბოს მარტვილობის თარიღის ქრონოლოგიას გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ დავით ლანგის მიერ შემოთავაზებული ყველა თარიღი ზუსტად შეესატყვისება ამა თუ იმ ფაქტს თუ მოვლენას. მაგალითად:

„და ესრჳთ არწმუნა მთავარსა მას და განუტევა. და გამოვიდა იგი ნერსჳს თანა ქუეყნად ქართლად და შემოვიდა ქალაქსა ტფილისს, და იქცეოდა იგი განცხადებულად ქრისტეანედ. და ვითარცა იხილეს იგი ქრისტეანედ მუნ მყოფთა მათ სარკინოზთა, რომელთა იცოდეს იგი პირველად, რომელნიმე ჰყუედრიდეს, რომელნიმე აგინებდეს, რომელნიმე აშინებდეს, რომელნიმე სდევნიდეს, რომელნიმე მშჯდობისა სიტყვთა შეაჯერებდეს“ (აბულაძე 1964: 62).

“A. D. 782. In this way he won over the prince who let him go. Then he went with Nerses to the land of Georgia and entered the city of Tiflis, where he walked about openly professing the Christian faith. Of the local Saracens who had known him before some swore at him, others tried to intimidate him, others pestered him, while some tried to win him over by soft words. But he remained firmly attached to Christ, and was quite unmoved by them. For three years he went about openly in the city and the villages nearby as a professing Christian, and nobody molested him, for his time had not yet come. But God-fearing people who knew of his piety provided him with food and clothes” (Lang 1956: 122).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უამრავი მოსაზრება არსებობს წმ. აბო თბილელის მარტვილობის თარიღთან დაკავშირებით. დ. ლანგი ზედმიწევნით ცდილობს, დაიცვას აბოს მოღვაწეობის ზუსტი ქრონოლოგია. ის თარგმნისას შეახსენებს მკითხველს, რომ ჩვ. წ. აღ. 785 წელს აბო შეიპყრეს და ციხეში ჩასვეს. იმავე მოსაზრებას ვხვდებით კ. კეკელიძის ნაშრომში - „იოანე საბანისძე“, სადაც კ. კეკელიძე ხაზგასმით წერს: “ამიტომ, 785 წელის 27 დეკემბერს ის ჩასვეს საპრობილეში, რომელშიაც მან დაჰყო ათი დღე“ (კეკელიძე 1954: 85).

„რამეთუ მცირედ უწინარჯსრე დღეთა ამათ შეიპყრეს ნეტარი ესე მოწამჳ ქრისტჳსი და მიიყვანეს იგი მსაჯულისა მის, რომელ იყო ამირად ქალაქსა ტფილისს, და ქრისტჳს

აღსაარებისათვის შეაყენეს იგი საპყრობილესა, ხოლო შემდგომად რავდენთამე დღეთა გამოითხოვა იგი სტეფანოზ, ერისთავმან ქართლისამან, და გამოიყვანა საპყრობილით და განუტევა“ (აბულაძე 1964: 63).

**A.D. 785.** A little time before those days, the blessed martyr of Christ had been arrested and brought before the magistrate who was Amir (Saracen governor) over the city of Tiflis, who cast him into prison because of his Christian beliefs. Soon afterwards, however, Duke Stephen of Georgia intervened on his behalf and brought him out of prison and let him go (Lang 1956: 123).

ლანგის მიერ ჩამატებული თარიღები, რომლებიც გვხვდება ნათარგმნ ტექსტში კიდევ უფრო აკონკრეტებს და აზუსტებს ამათუ იმ ისტორიულ მოვლენას.

საკითხი, თუ როგორი სტილით უნდა ითარგმნოს წინა საუკუნეების ლიტერატურა, დედნის ეპოქის კვალის დაცვით თუ თარგმნის ეპოქის ენით საკამათო საკითხია. თეორეტიკოსები ძირითადად თანხმდებიან იმაზე, რომ თარგმანის დანიშნულებაა, ნაწარმოები ხელმისაწვდომი გახადოს თანამედროვე მკითხველისათვის. აღნიშნულ საკითხში დ. ფანჯიკიძე ეთანხმება თ. ჩხენკელს და ამბობს, რომ „ყოველი თარგმანი თანამედროვეთათვის კეთდება და იგი, უპირველეს ყოვლისა, თანამედროვეობის გემოვნებას უნდა აკმაყოფილებდეს“ (ფანჯიკიძე 2005: 44).

ჩვენ ვიზიარებთ ზემოაღნიშნულ შეხედულებას და სტილთან დაკავშირებით და აღვნიშნავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ დ. ლანგის თარგმანი თანამედროვე ენაზეა შესრულებული, მასში ასევე შენარჩუნებულია არქაული იერი. მთარგმნელმა ეცადა ღმერთთან წმ. აბოს საუბარისთვის შეუნარჩუნა არქაული სტილი და გამოიყენა შემდეგი სიტყვები: “Thee”, “Thy”, “Thine”, რომლებიც, ძირითადად ძველ ინგლისურში, განსაკუთრებით საეკლესიო ლიტერატურაში გამოიყენებოდა. ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

"I thank Thee, O Lord, my God and Redeemer Jesus Christ, for making me worthy of enduring trial and imprisonment for Thy holy name" (Lang 1956: 124).

„- გმადლობ შენ, უფალო და მაცხოვარო ღმერთო ჩუენო, იესუ ქრისტე, რამეთუ ღირს მყავ მე განკითხვასა და პერობილებასა სახელისა შენისათჳს წმიდისა“ (აბულაძე 1964: 65).

"I thank Thee, my Lord God Jesus Christ, who hast given me as provision for my journey this life-imparting flesh of Thine, as well as Thy sacred blood to be my cheer and strength!" (Lang 1956: 127).

„ გმადლობ შენ, უფალო ჩემო და ღმერთო, იესუ ქრისტე, რომელმან მომეც მე საგზლად ჩემდა ცხოვრების მომნიჭებელი კორცი შენი და სიხარულად და განმამტკიცებულად ჩემდა პატოსანი სისხლი შენი! “ (აბულაძე 1964: 67).

"I thank and bless Thee, O Holy Trinity, that Thou hast made me worthy to take part in the feats of Thy holy martyrs!" (Lang 1956: 129).

„გმადლობ შენ და გაკურთხევ შენ, სამებაო წმიდაო, რამეთუ ღირს მყავ მე მიმთხუევად ღუაწლსა მას წმიდათა მოწამეთა შენთასა!“ (აბულაძე 1964: 71).

უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება თხრობას, რომლის ერთიან სისტემაში ჩართულია პერსონაჟების მეტყველების ფორმები – მონოლოგი და დიალოგი.

ავტორისეული თხრობა-მეტყველება „აბო თბილელის წამების“ ძირითადი ელემენტია. მასში გამოიხატება პროზის მთავარი აზრი, მისი ძირითადი შინაარსი, რაც პროზაული მეტყველების საერთო კანონზომიერებით არის განპირობებული. ნაწარმოებში აღწერილია VIII საუკუნის საქართველოს მძიმე პოლიტიკური ვითარება, აბოს გულმხურვალე სწრაფვა და სიყვარული უფლის მიმართ. პროზის შინაარსის, მისი ძირითადი აზრის გამოხატვის ფორმები კი არის გარემოს აღწერა, გმირის დახასიათება, ამბავთა და სიტუაციათა არსის ჩვენება.



ნათქვამის საილუსტრაციოდ თხზულებიდან მოვიყვანთ ერთ მნიშვნელოვან ეპიზოდს: მას შემდეგ, რაც წმ. აზო ქრისტიანობისთვის ეწამა, ღმერთმა ხალხს საკვირველი სასწაული მოუვლინა, რათა ყველას გაეგო, რომ ის იყო უფლის ჭეშმარიტი მოწამე:

“ვითარცა შემწუხრდა დღე იგი და იყო ჟამი პირველი ღამისაჲ მის, გარდამოავლინა უფალმან ადგილსა მას ზედა ვარსკვლავი მოტყინარღ, ვითარცა ღამპარი ცეცხლისაჲ, რომელი მყოვარ-ჟამ დგა ადგილსა მასსა და დაწუვეს ნეტარი იგი მოწამე ქრისტესი. და დგა იგი ზე ჰაერთა, ვიდრე სამ ჟამადმდე, გინა უმეტეს, ღამისა მის, და გამოუტევებდა ბრწყინვალეებასა არა თუ ვითარცა ცეცხლი ესე ქუეყანისაჲ, არამედ ვითარცა საშინელებაჲ ელვისაჲ, რომელსა ჰხედვიდეს ყოველნი მოქალაქენი, მსაჯულიცა იგი და ყოველი ერი და მკვდრნი იგი ქრისტეანითანი და ყოველნი სარკინოზნი და მწირნი, სხვთ მოსრულნი; მყოვარ-ჟამ ჰხედვიდეს გუგაძთა თუალისაჲთა, ვიდრემდის ჰკდემებოდაცა მძლავრთა მათ და მი-ვინმე-ვიდეს ხილვად ადგილსა მას მსახურთაგანნი მსაჯულისა მის ამირისანი, რამეთუ ჰგონებდეს, ნუუკუე ქრისტიანეთა აღანთეს სანთელი ადგილსა მას. და ვითარცა მიეახლებოდეს ადგილსა მას, იხილეს, რამეთუ აღმალდეზოდა ვარსკვლავი იგი ზე ჰაერთა, და ვერ მიეახლნეს ადგილსა მას, რამეთუ შეიპყრნა იგინი შიშმან საღმრთომან (აბულაძე 1963: 74).

“When that day was growing dim and it was the first hour of the night, the Lord set over that spot a flaming star like a fiery torch, which stood for a long time over the place where they had burnt the blessed martyr of Christ. It stood high up in the sky until the third hour of the night or longer, and gave forth a brilliance that was like no earthly fire, but like a fearsome lightning flash, seen by all the townspeople, including the judge and all the local Christians and all the Saracens and travellers who had come from other lands. For a long time they gazed with the pupils of their eyes until the tyrants were put to shame; and some of the Saracen judge's attendants came out to look at that spot because they imagined the Christians might have lit **the place up**. When they drew near the spot they saw the star rising up higher in the

air, and could not approach the place, for they were seized with the fear of God” (Lang 1956: 132).

„წმ. აბოს წამებიდან“ ჩვენ მიერ მოყვანილი ქართული და ინგლისური პასაჟები კარგად აღწერს იმ ემოციურ მდგომარეობას, რომელიც იმ დროს იყო გამეფებული.

პროზაული ნაწარმოების თარგმნის პროცესში მუდმივად უნდა გვახსოვდეს მთლიანი ნაწარმოები და მოცემული კონტექსტის მიმართება მასთან, ასევე, ცალკეული გამოთქმის მიმართება კონტექსტთან. დიალოგზე მუშაობისას კი პერსონაჟი და მისი ხასიათი. სხვანაირად არც პერსონაჟის აზრის ზუსტი ამოკითხვა მოხერხდება და არც ნათქვამის ადეკვატურად გადმოცემა თარგმანში. მოქმედებათა აღწერისას არ უნდა დავივიწყოთ მთელი ფაბულა, ყოველი ელემენტის გადმოცემისას მთლიანი სიუჟეტი და ა. შ. მთელისა და ნაწილის ურთიერთობის ასეთი გააზრება უდევს საფუძვლად სტილისტური გასაღების ძიებას, სწორი ინტონაციის და რიტმის გადმოცემას, მხატვრული პროზის ყოველი კომპონენტის თარგმნას (გაჩეჩილაძე 1966: 293).

საინტერესოა, ამ მხრივ როგორაა წარმოჩენილი დიალოგი მსაჯულსა და აბოს შორის. ტექსტის თანახმად, როდესაც მსაჯულმა შეიპყრო აბო, ის ცდილობდა, დაებრუნებინა წმინდანი მამისეულ სჯულზე. ორიგინალის მსგავსად, თარგმანშიც კარგად იკვეთება აბოს მტკიცე ხასიათი, თხრობაც დინამიურია და ინტონაციაც ადეკვატური.

„- რად არს, რომელი-ესე მესმის შენთვის, რამეთუ ხარ შენ ნათესავით და ტომით სარკინოზ და დაგიტევებიეს მამული შჯული და ქრისტეანეთა თანა შეცთომილ ხარ? აწ განემზადე და ილოცე შჯულითა მით, რომლითა განგზარდეს მშობელთა შენთა“! (აბულაძე 1964: 70).

„What is this I hear about you, that you are a Saracen by birth and descent, and have abandoned your native religion and fallen into error among the Christians? Now get ready to pray according to the faith in which your parents brought you up” (Lang 1956: 123).

მკითხველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს ავტორის მიერ დახატული მოწამის პორტრეტი, როგორც მტკიცე, შეურყეველი და გაბედული აგიტატორისა და რწმენისათვის თავდადებული ადამიანისა. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა დიალოგი, რომელიც წარიმართა აბოსა და თბილისის ამირას შორის. წმინდანი ეუბნება მსაჯულს:

„რად გეგულების ჩემ ზედა, იქმოდე, რამეთუ მე, ვითარცა კედელსა მაგას, რომელსა მიყრდნობილ ხარ, ეგრე არა მესმიან ცუდნი ეგე სიტყუანი შენნი. რამეთუ გონებაჲ ჩემი ქრისტეს თანა არს ზეცას!“ (აბულაძე 1964: 70).

„Why do you delay? Carry out your design upon me! For I am as firm as that wall against which you are leaning; I do not listen to your futile words, for my mind is with Christ in heaven.“ (Lang 1956: 129).

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ნათარგმნი ტექსტი დინამიკური ეკვივალენტურობით არის შესრულებული. აქ რიტმი და ინტონაცია დედნისეული სიზუსტით არის შერჩეული და მკითხველში იგივე ემოციას იწვევს რასაც ორიგინალს კითხვის დროს.

## § 9. 2. ტოპონიმების თარგმნის საკითხისათვის

ორიენტირებისა და მინიშნების გასაადვილებლად ადამიანებმა გეოგრაფიულ ობიექტებს, როგორცაა, მაგალითად, კონკრეტული მდინარე, ქალაქი ან ზღვა, სახელები შეარქვეს. მაგ., მტკვარი, თბილისი, შავი ზღვა და სხვ. ამ სახელთაგან ბევრი სრულიად პირობითია და არავითარი აზრობრივი დატვირთვა არ აქვს, ზოგი კი ობიექტის საერთო ნიშანზე მიუთითებს. მაგ.: მდინარის სახელწოდება „დონი“ ნიშნავს წყალს, „რიო გრანდა“ – დიდი მდინარეა, „რიო დე ჟენეირო“ – იანვრის მდინარე და სხვ.

მრავალი ტოპონიმი თავისი სიძველის ან უცხოური წარმოშობის გამო დღეს გაუგებარია (მაგ.: რიონი, მტკვარი, კავკასია, მოსკოვი, ვოლგა, სომხეთი, საბერძნეთი და სხვ.).

ტოპონიმების ერთი ენიდან მეორე ენაზე გადაცემისას მრავალი სირთულე და გადაუჭრელი საკითხი ჩნდება, რაც თვით სათარგმნი მასალის სიჭრელე-სირთულიდან გამომდინარეობს. მრავალსაუკუნოვანმა პრაქტიკამ, ისტორიისა და ტრადიციების გათვალისწინებამ შესაძლებელი გახადა ზოგადი პრინციპების გამომუშავება. ეს პრინციპები, უფრო კი ტენდენციები, ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. ტოპონიმს მეორე ენაში აქვს ისტორიულად დადგენილი შესატყვისი, რომელიც მთარგმნელმა უნდა იცოდეს და გამოიყენოს. მაგ.: საქართველოს აღმოსავლურ ენებში ჰქვია გურჯისტანი, დასავლურ ენებში - გეორგია (წარმოთქმის ვარიანტებით), რუსულად - გრუზია, სომხურად კი - ვრასტან, რაც არც ქართული ძირის გამეორებაა და არც დასავლურის ან აღმოსავლურის. ქართველები ჰაიების ქვეყანას უწოდებენ „სომხეთს“, რაც, არც „ჰაი“ ძირს უკავშირდება და არც დასავლურ „არმენ“ ძირს. ქართული „საბერძნეთიც“ არ გამომდინარეობს არც ბერძნული „ელადადან“ და არც „გრეკ“ - „გრიკ“ ძირი-დან, რომელიც ევროპულ ენებშია გავრცელებული.

2. იხმარება საყოველთაოდ გავრცელებული ტოპონიმები: იტალია, ბრაზილია, ამერიკა, ნიგერია, იაპონია, ტაილანდი, კანადა.

3. ენას აქვს უცხოენოვანი ძირიდან საკუთარი გრამატიკული საშუალებებით ნაწარმოები ტოპონიმი, რომელზედაც ვერ იტყვიტ გადაჭრით - ნასესხებია თუ საკუთარი. ასე, მაგალითად, საფრანგეთი, ინგლისი, ფინეთი, ჩინეთი, რუსეთი, მოსკოვი, ესპანეთი, პოლონეთი, თურქეთი, სპარსეთი და სხვა მრავალი.

4. ზოგჯერ ორ(სამ)სიტყვიანი ტოპონიმის განსაზღვრებითი ნაწილი ითარგმნება, ძირითადი კი - არა. მაგ.: ჩრდილო ამერიკა, სამხრეთ ამერიკა, ახალი ზელანდია.

5. ხშირია შემთხვევა, როცა ორ(სამ)სიტყვიანი ტოპონიმი ითარგმნება მთლიანად: სპილოს ძვლის ნაპირი, კეთილი იმედის კონცხი, აღდგომის კუნძული, მწვანე კონცხი, კლდოვანი მთები.

ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს ტრადიციას, რომელიც ყოველთვის არ არის ლოგიკური. ასე, მაგალითად, ითარგმნება ზოგი გეოგრაფიული სახელი, როგორცაა: „წმინდა ელენეს კუნძული“, „აღდგომის კუნძული“, მაგრამ „ტრინიდადი“, რაც სამებას ნიშნავს, რელიგიური მოტივის გამო არ ითარგმნება.

ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც მხატვრულ ლიტერატურაში ტოპონიმს, ადგილის დასახელების გარდა, დამატებითი ფუნქციაც აქვს და ამ დამატებითი ინფორმაციის შენარჩუნება თარგმანში მიზანშეწონილია (წიბახაშვილი 2000:79 – 81). საინტერესოა რა ხდება ამ კუთხით „წმ. ახო თბილელის წამების“დ. ლანგისეულ თარგმანში. ამის გასარკვევად განვიხილოთ რამდენიმე ნიმუში ონომასტიკური ლექსიკის თარგმანებიდან:

„და ვითარცა გამოიღეს წმიდა იგი გუამი წმიდისა მის გარეშე ქალაქსა და აღიღეს ადგილსა, რომელსა საგოდებელ ეწოდების, რამეთუ მუნ არს საფლავები კაცთა მის ქალაქისათა, მუნ გადამოიღეს იგი ურმისა მისგან და დადვეს იგი ქუეყანასა. და მოიღეს შეშად და თივად და ნაფთი და დაასხეს გუამსა მას ქედა წმიდასა და დააგზნეს ცეცხლი ვიდრემდის დაწუნეს ჯორცნი იგი წმიდისა მოწამისანი ადგილსა მას, რომელ არს აღმოსავლით ციხესა მას ქალაქისასა, რომელსა ჰრქვან სადილეგო, პირსა ზედა კლდისასა, რომელ არს კბოდჭ, კლდჭ მდინარისა მის დიდისად, რომელი განჰვლის აღმოსავალით ქალაქსა, ესე არს სახელით მტკუარი, ხოლო ადგილსა მას არავის აუფლეს მისლვად ქრისტეანეთაგანსა, ვიდრემდის აღასრულეს დაწუვად იგი ჯორცთა მათ წმიდისა მოწამითასა“ (აბულაძე 1964: 73).

„After they had transported the saint's sacred body outside the town and taken it up to the spot which is called the Place of Lamentation - for it is there that the burial ground of the people of this town is situated, they took him off the cart and laid him on the ground.

They collected firewood and straw and oil, and heaped it on to the holy body and set fire to

it, until they had burnt the flesh of the holy martyr on that spot which is to the east of the city fortress which they call Sadilego ("the Dungeon"), at the edge of a cliff on the steep bank of the great river which flows eastwards from the city and is called the Kura“ (Lang 1956: 131)

მოცემულ თარგმანში გამოყენებული “Kura” მდინარე მტკვრის აღსანიშნავად ვფიქრობთ, არასწორია. რადგანაც, როცა საქმე ეხება გეოგრაფიულ ობიექტს მაგ: ქალაქებს, მდინარეებს და სხვა., მთარგმნელი უნდა ხელმძღვანელობდეს ტრადიციით, რათა რაც შეიძლება უფრო ახლოს მიუახლოვდეს დედნის ჟღერადობას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სწორი იქნებოდა დ. ლანგს გამოყენებინა ე. წ. ტრანსლიტერაციის მეთოდი. აღნიშნული მეთოდი გულისხმობს ერთი დამწერლობის ასოების გადმოცემას სხვა დამწერლობის ასოებით. ამ გზით მივიღებდით ტოპონიმს “Mtkvari”, რადგან ტოპონიმი „მტკვარი“ მისი სიძველის ან უცხოენოვანი წარმოშობის გამო დღეს გაუგებარია, მაგრამ დამკვიდრებულია ქართულში, აღნიშნული მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილი იქნებოდა. ნიშანდობლივია ისიც, რომ დ. მ. ლანგმა გეოგრაფიული სიტყვის - „ოსეთის კარის“ თარგმნისას ინგლისურენოვან მკითხველს განუმარტა, რომ აღნიშნულ კარს ქართველები ალანის კარს ან დარიალის ხეობას უწოდებენ.

A.D. 779-80. Now at this time the Saracen authorities again became enraged against Duke Nerses, and he took to flight. Though hard-pressed by the Saracen army the Lord saved him from their hands, and he passed through **the gateway of the Ossetes**, which they call **Dari-Alan (the Alans' Gate, or Dariel Pass over the Caucasus)**. Among the three hundred men of his escort was Abo, the blessed servant of Christ (Lang 1956: 118).

საგულისხმოა, რომ თარგმანში სიტყვა „Sadilego“ მთარგმნელს უცვლელად გადააქვს და განმარტების სახით ურთავს ინგლისურ თარგმანს "the Dungeon“.

### § 9. 3. ფსალმუნები და სახარებისეული ფრაზები „აბო თბილელის წამების“ თარგმანში

იოანე საბანისძის თხზულება მდიდარია ფსალმუნებით და სახარებისეული ეპიზოდებით. აღნიშნული მონაკვეთები დ. ლანგს თარგმანში უნაკლოდ, კონტექსტის გათვალისწინებით გადააქვს.

კვლევის შედეგმა აჩვენა, რომ მთარგმნელი ხშირად ახდენს ფსალმუნების და სახარებისეული წინადადებების პერიფრაზირებას, თუმცა, მე-118 ფსალმუნი და ლუკას სახარების (23:42) წინადადება უცვლელად გადააქვს „ჯეიმს კინგის გამომცემლობის ბიბლიიდან.

გთავაზობთ მაგალითს:

აბომ ჩვენი ქვეყნისაკენ წამოსვლა არათუ თვითონ გადაწყვიტა, არამედ ისე, როგორც ნეტარ აბრაამს გამოუხმო უფალმა ქალდეველთა ქვეყნიდან. ამგვარადვე აბოც, შთამომავალი აბრაამისა, არათუ თავისი გონებით, არამედ ღვთიური ნიშნით იქნა გამოხმობილი:

„**გამოვედ** ქუეყანისაგან შენისა და ნათესავისაგან შენისა და სახლისაგან მამისა შენისა და მოვედ ქუეყანასა მას, რომელი მე გიჩუენო შენ“ (მათ.19.29) (**აბულაძე 1964: 56**).

"Depart from your country and your kindred and your father's house, and enter into a land which I will show you (**Lang 1956: 117**).

მნიშვნელოვანია წმ. აბოს სიტყვები, რომელსაც სახარებიდან მოიხმობს, რათა არ დაფაროს თავისი რწმენა. ის ამბობს, რომ რა აზრი აქვს სანთლის ანთებას, თუკი მისი სინათლე ბნელი სივრციდან გარეთ ვერ გააღწევს. გთავაზობთ სახარების ლანგისეულ პერიფრაზს.

1) „არავინ აღანთის სანთელი და შედგის იგი ქუეშე ჳკშირსა, არამედ ზედა სასანთლესა გადგიან, რადთა ჳნათობდეს ყოველთა; ეგრე ზრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა“ (მათე 5,15-16) (აბულაძე 1964: 62).

1) "No one lights a candle and puts it under a **bushel**, but they set it on a candle-stick, so that it may give light to all. Thus let your light shine before men" (Lang 1956: 121).

2) “არცა ჩუვენთა სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკვიდრონ“ (1 კორ. 6,9-10) (აბულაძე 1964: 62).

2) "The faint-hearted cannot inherit the kingdom of God" (Lang 1956: 122).

განვმარტოთ „ჳკშირის“ მნიშვნელობა, ის ძველი ქართული სიტყვაა და „საწყაოს“ ან „სათლს“ ნიშნავს, ხოლო „bushel“ საზომი ერთეულია, რომელიც 36.4 ლიტრს მოიცავს. ამ შემთხვევაში, ლანგმა „bushel“ მთელი სიზუსტით შეარჩია, რადგანაც ზოგიერთ ინგლისურ ენაზე გამოცემულ სახარებაში გამოყენებულია სიტყვა „basket“ რაც ქართულად - „კალათას“ ნიშნავს, რომელიც ვფიქრობთ, შეუსაბამო იქნებოდა.

ქვემოთ, მოყვანილი მაგალითებში გადმოცემულია დედნის კონტექსტი და ადეკვატურია დედნისა.

"It is no use haranguing me, for I am like a deaf man and have heard nothing, and like a dumb man who never opens his mouth; I have become like a man deprived of hearing, with whom it is quite useless to converse, for my hope is in the Lord. Leave me alone, you worthless people, so that I can seek out the commandments of my God" (Lang 1956: 125).

„- ჩემდამო ნურას იტყოდეთა, რამეთუ მე, ვითარცა ყრუსა, არა მესმოდა და ვითარცა უტყუმან რად არა აღაღის პირი თვისი; ვიყავ მე, ვითარცა კაცი უსმი, რომლისა თანა არა არს პირსა მისსა სიტყუად, რამეთუ მე უფალსა ვესავ (ფს.37. 14-16)“ (აბულაძე 1964: 66).  
“განმეშორენით მე, უკეთურნო, და გამოვიძინე მე მცნებანი ღმრთისა ჩემისანი“ (ფს. 118.115) (აბულაძე 1964: 66).



"I will lift up my eyes unto the Lord, He is ever before me, for He is my right hand, that I may not falter," (Lang 1956: 126)

“წინადაწარ ვხედვედ უფალსა, წინაშე ჩემსა არს მარადის, რამეთუ მარჯულ ჩემსა არს, რადთა არა შევიძრა“ (ფს.15.8); (აბულაძე 1964: 67) .

წმ. აბოს საპყობილეში ყოფნიდან მეათე დღეს მაცხოვრის ნათლისღების საუფლო დღესასწაულმა მოაწია. ამ დღეს მოწამე მოელოდა უფალთან შეხვედრას, რითაც კიდევ ერთხელ დაუმტკიცებდა სარკინოზებს, რომ სიკვდილის შიში ვერ განაშორებდა მას უფლის სიყვარულისგან. ნეტარმა აბომ მოითხოვა წყალი, პირი დაიბანა, თავზე წყალი იცხო და თქვა, რომ ამიერიდან აღარ იცხებდა ამ წარმავალ, თავის მწირობის ზეთს, არამედ როგორც სოლომონ ბრძენი გვასწავლის „ქებათა-ქებათაში“:

„სულნელებასა ნელსაცხელბელთა შენთასა ვრბიოდი“ (ქება 1,3) შენი სარწმუნოებისა და სიყვარულის წარუვალი სურნელებით აღმავსე. იცი, უფალო, რომ საკუთარ თავზე მეტად შეგიყვარე!“ (აბულაძე 1964: 70).

"I ran in the savour of Thy good ointments," O Christ, who filled me with the imperishable perfume of Thy faith and love. Thou knowest, O Lord, that I have loved Thee more than I have loved myself " (Lang 1956: 127).

როდესაც ამირას მსახურები საპყრობილეში წმ. აბოსთან მივიდნენ, წმინდანი იქ მყოფებს გამოემშვიდობა და ყველა ქრისტიანს ლოცვისკენ მოუხმო. თბილისის ქუჩებში ბორკილებდადებული აბო კი ისე მიდიოდა, როგორც მკვდარს გაჰყვება ვინმე და თავისთავს ასმეთვრამეტე ფსალმუნს უკითხავდა, შემდეგ კი ამ მუხლის საგალობლად წარმოთქვამდა ნეტარი ავაზაკის სიტყვებს. ეს ფაქტი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ასმეთვრამეტე ფსალმუნი ინგლისურ ენაზე გამოცემულ „კინგს ჯეიმსის“ ბიბლიაში არ ემთხვევა ამავე ციფრს, არამედ ის ინგლისურ გამოცემაში ისე გვხვდება როგორც ასმეცხრამეტე ფსალმუნი. აღნიშნული ფსალმუნი დ. ლანგმა

უცვლელად გადმოიტანა ამავე გამომცემლობის ბიბლიიდან და ცვლილების შესახებ ინგლისელ მკთხველს შენიშვნებში განუმარტა, რომ „ინგლისურის ფსალმუნების წიგნში ეს 119 ფსალმუნია “In the English Psalter, Psalm 119” (Lang 1956: 128).

„ნეტარ არიან უბიწონი გზასა, რომელნი ვლენან რჯულსა უფლისასა“.

"Blessed are the undefiled in the way, who walk in the law of the Lord."( Psalm 119) (Lang 1956: 128.) [King James 2000 Bible](#)

“Blessed are the undefiled in the way, who walk in the law of the LORD”.

<http://biblehub.com/psalms/119-1.htm>

ასმეთვრამეტე ფსალმუნის მსგავსად დ. ლანგმა ლუკას სახარების (23:42) ტექსტი უცვლელად გადმოიტანა „კინგს ჯეიმსის“ ფსალმუნებიდან:

„მომიკსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა!“

"Lord, remember me when Thou comest into Thy kingdom."(Luke 23;42)

[King James 2000 Bible](#)

“Lord, remember me when thou comest into thy kingdom”. <http://biblehub.com/luke/23-42.htm>

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ, „წმ. აბო თბილელის წამების“ ლანგისეულ თარგმანში დაცულია თარგმანის ეკვივალენტურობა და დაკონკრეტებულია ის თარიღები, რომელიც ორიგინალში მხოლოდ მინიშნებულია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლანგისეულ თარგმანში გამოტოვებულია „წამების“ I-IV თავები. თუმცა მთარგმნელი ინგლისელ მკითხველს შესავალ წერილში ამცნობს პროლოგის გამოტოვების შესახებ და ამავე თავის მოკლე მიმოხილვას სთავაზობს. მისივე თქმით, პირველ თავში იოანე საბანისძე აღწერს იმ სავალალო მდგომარეობას, რომელიც ქართველ ერს არაბთა ბატონობამ მოუტანა. ხალიფა ძალისხმევას არ

იშურებდა, რომ ქართველები გაემაჰმადიანებინა. ის საამისოდ სხვადასხვა ხერხს იყენებდა: ცბიერი პოლიტიკით, სულიერი, ფიზიკური თუ ეკონომიკური ძალადობის გზით ცდილობდა ერის დამონებას, ქართველთა ერის ნაწილი „ირხეოდა, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“.

I - IV თავებში წარმოდგენილ ჰომილექტიკურ ნაწილს თუ წმინდანის ქებას მთარგმნელი შეგნებულად არიდებს თავს. მისი მიზანი იყო აღეწერა საქართველოს იმდროინდელი მძიმე პოლიტიკური ვითარება, რომელიც არაბთა ბატონობამ განაპირობა.

ვილიამ ედვარდ ალენის შეფასებით, „პილატეს თემა“ იკვეთება სპარსი და არაბი მმართველების შედარებით ჰუმანურ ბუნებაში. ისინი რელიგიური ენთუზიასტების წინააღმდეგ სახელმწიფო კანონების ადმინისტრირების აუცილებლობის წინაშე იდგნენ. მოწამეობრივი პროპაგანდის ღირებულება ნათელია ანტიკური დრამების ორივე მხარისთვის, ხოლო ხელისუფლება თავაზიანი ფორმით მერყეობს ენთუზიასტის მიმართ ჰუმანური სიმპათიის გამოხატვის თვალსაზრისით, რაც მიუთითებს მორალის არსებობაზე ადმინისტრაციის ამ რთული და მუდმივი პრობლემატიკის ფონზე.

რაც შეეხება „წმ. აბოს წამების“ II-III თავებს, დ. ლანგმა ტექსტში წარმოდგენილ მრავალრიცხოვან ბიბლიურ ციტატებთან ერთად შექმნა მაღალი მხატვრული ღირებულებით გამორჩეული თარგმანი.

## თავი X.

### გრიგოლ ხანძთელი და საქართველოს ეროვნული აღორძინება

გიორგი მერჩულის თხზულება ძველი ქართული ლიტერატურისა და კულტურის მკვლევართა ყურადღებას მრავალი ასპექტით იქცევს. იგი როგორც საისტორიო წყარო, მრავალ საყურდღებო ცნობას გვაწვდის. ეს არის ეპოქალური ძეგლი, ძველი ქართული პროზის ერთი უმნიშვნელოვანესი ნიმუში, რომელიც პირუთვნელი უტყუარობით ასახავს VIII - IX საუკუნეების საქართველოს სინამდვილეს.

გიორგი მერჩულე თავის თხზულებაში მიზნად ისახავს, აგვიწეროს ამ ეპოქის უდიდესი ქართველი მეუდაბნოე მამის - წმ. გრიგოლ ხანძთელის (758 -860 წ.წ.), მისი თანამოაზრეებისა და მოწაფეების „შრომა და მოღვაწეობა“ .

„წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, როგორც აგიოგრაფიული თხზულება, არა მარტო ქართველი, არამედ ევროპელი მეცნიერის - დევიდ მარშალ ლანგის ინტერესის საგანი გახდა. თარგმანის შესავალ ნაწილში ლანგი მიმოიხილავს იმ ეპოქალურ ვითარებას, რომელიც წინ უძღვოდა ამ ნაწარმოების შექმნას. იგი საუბრობს წმ. აბო თბილელსა და წმ. გრიგოლ ხანძთელს შორის შესაძლო კავშირებზე. მისი თქმით, წმინდა გრიგოლ ხანძთელს ბევრი საერთო ჰქონდა აბო თბილელის ცხოვრებასთან, უპირველესად ის, რომ „გრიგოლი, რომელიც დაიბადა 759 წელს, დაახლოებით აბოს თანატოლი იყო, ორივე მათგანი ქართლის ერისთავის - ნერსეს კარზე ცხოვრობდა და ასკეტური ცხოვრებისადმი უდიდეს მიდრეკილებას ამჟღავნებდა. თუმცა, მათი ღვაწლი განსხვავებული იყო: წმ. აბომ გადაწყვიტა, თავი გაეწირა და მოწამეობრივი გზის გავლით დაემტკიცებინა ქრისტიანული სარწმუნოებისადმი ერთგულება. წმ. გრიგოლმა კი გადაწყვიტა, დაეტოვებინა არაბთა ბატონობის ადგილი და მუსლიმი დამპყრობლების წინააღმდეგ ერის სულიერი ძალების მობილიზებით წვლილი შეეტანა ქართლის ეროვნული ცნობიერების აღორძინებაში (Lang 1956: 134).

დ. ლანგი ასევე ეხმიანება იმ მძიმე პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც არაბთა ბატონობის დროს ქართლში სუფევდა. მისივე თქმით, მიუხედავად ასეთი მძიმე პირობებისა, „არაბთა ბატონობის ეპოქა მაინც ხელსაყრელი აღმოჩნდა წმ. გრიგოლის სამშობლოს. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო სარკინოზთა ბატონობის წინააღმდეგ მებრძოლი პატრიოტული ცენტრი იყო. მოძრაობას სათავეში ედგა ბაგრატოვანი მეფე აშოტი (780-826), იგი დაუპირისპირდა არაბ მმართველებს და დახმარება სთხოვა ბიზანტიის იმპერატორს, რომელმაც მას კურაპალატის ტიტული უბოძა“ (Lang 1956: 135).

ვეთანხმებით ლანგისეულ მოსაზრებას და მოკლედ გავიხსენებთ იმ მძიმე პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც წინ უძღოდა წმ. გრიგოლ ხანძთელის სამოღვაწეო ეპოქას:

გიორგი მერჩულის თხზულება დაწერილია X საუკუნეში, კერძოდ, 951 წელს. ძეგლში საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდია აღწერილი ჩვენი ქვეყნის ისტორიისა — VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან X საუკუნის 60-იან წლებამდე.

ეს არის ხანა, როდესაც არაბთა მფლობელობის ანუ „ჟამთა სიავის“ შემდეგ საქართველოში თანდათან შეიქმნა ახალი ფეოდალური სახელმწიფოებრივი გაერთიანებანი: ქართლ-მესხეთისა, დასავლეთ საქართველოსი, კახეთისა და ჰერეთისა, რომლებიც უფრო გვიან, X-XI საუკუნეთა მიჯნაზე, გაერთიანდა და ჩამოყალიბდა საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს სახით.

გიორგი მერჩულის თხზულება გვიხატავს მონასტრული ცხოვრების აღორძინებას სამხრეთ საქართველოში, რომელიც ქვეყანაში სარწმუნოებრივ-ეროვნული ნიშნით მიმდინარეობდა. იგი ასახავს ისტორიულ-კულტურულ გარემოს იმ ეპოქისას, რა დროიდანაც დაიწყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღმავლობა და ქართული კულტურის აღორძინება.

ჩვენი ქვეყნის ისტორიაში VI-VII საუკუნეები ორი დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენით ხასიათდება: ეს არის საქართველოს სახელმწიფოებრივ ერთეულთა დამოუკიდებლობის გაუქმება და არაბთა მფლობელობის დამყარება.

VI საუკუნის დასაწყისში საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა ორი სახელმწიფოებრივი გაერთიანება:

1. იბერიის (ქართლის) სამეფო, რომელიც აერთიანებდა აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებს.
2. ლაზიკის (ეგრისის) სამეფო, რომლის ფარგლებშიც გაერთიანებული იყო დასავლეთ საქართველოს ქვეყნები.

მთელი VI საუკუნის განმავლობაში ორმა დიდმა მეზობელმა იმპერიამ — ირანმა და ბიზანტიამ (აღმოსავლეთ რომმა) — განამტკიცა თავისი პოლიტიკური გავლენა საქართველოს სამეფოებზე. პირველად, VI საუკუნის პირველ ნახევარში, ირანმა დაიპყრო და შეიერთა იბერიის სამეფო, რომელსაც ხანგრძლივი სახელმწიფოებრივი ტრადიციები და მრავალსაუკუნოვანი ისტორიული წარსული ჰქონდა. იბერიის სამეფოს დაცემას მოჰყვა ლაზიკის (დასავლეთ საქართველოს) სამეფოს დაცემა. მას შემდეგ, რაც ირანმა შეიერთა იბერია, წარმოებდა ხანგრძლივი და დიდი ომები ირანისა და ბიზანტიის იმპერიებს შორის პოლიტიკური უპირატესობის მოპოვებისთვის დასავლეთ საქართველოში — ლაზიკაში. ეს ომები იმით დასრულდა, რომ ლაზიკა საბოლოოდ ბიზანტიის იმპერიის გავლენის სფეროში დარჩა. VII საუკუნის შუა წლებში კავკასიაში პირველად ჩნდება ახალი პოლიტიკური ძალა — არაბობა, რამაც ახალი მიმართულება მისცა კავკასიის ხალხთა ისტორიას. პოლიტიკურად დაშლილი და მკვიდრ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას მოკლებული შეხვდნენ საქართველოში ახალი ძალის, არაბების, გამოჩენას კავკასიაში. ამ დროიდან, კერძოდ, მე-7 საუკუნის ნახევრიდან, იწყება არაბთა ბატონობა საქართველოში.

მომდევნო ეპოქა — VII საუკუნის მეორე ნახევარი და VIII საუკუნე, არის ხანა, როდესაც საქართველოში პოლიტიკური უპირატესობის მოპოვების მიზნით ისევ იბრძვის ორი გარეშე ძალა — არაბთა ხალიფატი და ბიზანტია. არაბები მტკიცედ დამკვიდრდნენ აღმოსავლეთ საქართველოში. დროგამოშვებით ისინი ავრცელებენ თავიანთ გავლენას დასავლეთ საქართველოზეც, მაგრამ მცირე ხნით, დასავლეთ საქართველო ამ ეპოქაშიც უპირატესად ბიზანტიის გავლენის სფეროში იყო. მოქცეული. ამ ხნის მანძილზე საქართველოში არ შეწყვეტილა ბრძოლა უცხოელთა ბატონობის წინააღმდეგ; ქართველი ხალხი, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორიული წარსული ჰქონდა, არ შერიგებია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოსპობას. VII-VIII საუკუნეებში საქართველო დროგამოშვებით მაინც ახერხებდა, თავი დაეღწია არაბთა ბატონობისთვის.

VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე, როდესაც საქართველოს ცალკეული მხარეები თანდათანობით თავს აღწევენ უცხოელთა ბატონობას, საფუძველი ეყრება ახალ ქართულ ფეოდალურ სახელმწიფოებრივ ერთეულებს. ამავე ხანებში იქმნება ქართული ფეოდალური სამთავროები საქართველოს აღმოსავლეთ სანაპიროზე: კახეთსა და ჰერეთში. ამის შემდეგ, IX საუკუნის პირველ მეოთხედში, კერძოდ, 809—826 წლებში, საფუძველი ეყრება ეროვნულ სახელმწიფოებრიობას ცენტრალურ იბერიაში, ქართლ-მესხეთის მხარეებში, რომელიც ძველი იბერიის (ქართლის) სახელმწიფოებრივი ტრადიციების მემკვიდრედ გამოდის და იწოდება „ქართველთა სამეფოდ“. მომდევნო ხანა — IX- X საუკუნეები კი არის ეპოქა, როდესაც წარმოებს კონსოლიდაცია ოთხი ქართული ფეოდალური სახელმწიფოსი: ქართლ-მესხეთისა, დასავლეთ საქართველოსი, კახეთისა და ჰერეთისა.

ზოგადად ასე გამოიყურება ის წინარე ისტორია, რომელიც უძღოდა გიორგი მერჩულის თხზულებაში აღწერილ პერიოდს, რომელიც, თავის მხრივ, არაერთი ასპექტითაა საინტერესო. „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, როგორც საისტორიო ნაწარმოები, იმ მხრივ არის მნიშვნელოვანი, რომ აქ ჩვენ ვეცნობით „ახლად შენების“

დასაწყისს ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის პირველ ხანებში, ვეცნობით ისტორიულ-კულტურულ ვითარებას, მთელ რიგ ახალ ფაქტებს საქართველოს ისტორიიდან, ასევე, ვეცნობით კონკრეტულ ისტორიულ გარემოში მოღვაწე ქართველ მამულიშვილებს, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპარეზზე ეწევიან „ახლად შენების“ საქმეს, საფუძველს უყრიან ახალ საქართველოს (**ინგოროყვა 1954: 29-34**).

მეტად მნიშვნელოვანია ზემოხსენებული ძეგლისადმი ევროპელი მკვლევრის - დევიდ ლანგის დამოკიდებულება.

ქართული და ინგლისური ტექსტების შედარებამ ცხადყო, რომ „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ თარგმანი დინამიკური ეკვივალენტურობით არის შესრულებული და ორიგინალის საკმაოდ შემოკლებულ ვერსიას წარმოადგენს. ლანგმა თხზულებიდან ამოკრიბა ძირითადი ეპიზოდები, თავისი შეხედულებისამებრ დაალაგა და დაასათაურა ისინი. მეტი სიცხადისთვის ქვემოთ მოგვყავს ლანგის მიერ გამოყოფილი თავების ინგლისური სახელწოდებები და მათი ქართული შესატყვისები:

- 1) „Introductory“ – „შესავალი“ (**Lang 1956: 135**).
- 2) „Gregory’s early years“ – „გრიგოლის ადრეული წლები“ (**Lang 1956: 136**).
- 3) „Ordained a priest“ – „მღვლად კურთხევა“ (**Lang 1956: 137**).
- 4) „Choose a monastic life“ – „სამონასტრო ცხოვრების არჩევა“ (**Lang 1956: 138**).
- 5) „The building of Khandzta“ – „ხანძთის მშენებლობა“ (**Lang 1956: 139**).
- 6) „Monastic austerities“ – „მკაცრი სამონასტრო წესები“ (**Lang 1956: 141**).
- 7) „Gregory and Ashot the Kuropalates“ – „გრიგოლი და აშოტ კურაპალატი“ (**Lang 1956: 141**).
- 8) „Gregory visits Constantinople“ – „გრიგოლის ვიზიტი კონსტანტინოპოლში“ (**Lang 1956: 145**).
- 9) „Relations between Church and state“ – „ურთიერთობა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის“ (**Lang 1956: 146**).



- 10) „Distinguish careers of Gregory’s disciples“ – „გრიგოლის მოწაფეების განსხვავებული ღვაწლი“ (Lang 1956: 148).
- 11) „An evil plot frustrated“ – „ავბედითი შეთქმულების ჩაშლა“ (Lang 1956: 149).
- 12) „Death of St Gregory“ – „წმ. გრიგოლის გარდაცვალება“ (Lang. 1956; 151).

როგორც ჩანს, ლანგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ნაწარმოების ცალკეული მონაკვეთების სწორ დასათაურებას. ლანგისეული სახელწოდებები მკითხველს თავიდანვე აცნობს შესაბამისი თავის პრობლემატიკას.

ამავე პრინციპითაა შერჩეული ნაწარმოების ძირითადი სათაური – „Gregory of Khandzta and the Georgian National Revival“ („გრიგოლ ხანძთელი და საქართველოს ეროვნული აღორძინება“). ამ გზით ლანგი სათაურშივე განმარტავს ნაწარმოების არსს.

მთარგმნელი ერთი სათაურის ქვეშ აერთიანებს ეპიზოდებს. მაგალითისთვის განვიხილოთ ერთი მათგანი. „Relations between Church and state“ – „ურთიერთობა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის (Lang 1956: 146-148). ეს თავი მეტად მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ლანგი მეცნიერული სიზუსტით ცდილობს გადმოსცეს იმ პერიოდის ქართული ეკლესიის მდგომარეობა. ეკლესია აქ წარმოდგენილია როგორც ერთი მთლიანი ეროვნული დამოუკიდებელი ორგანიზმი, რომელიც განაგებს თავის თავს, სადაც თვით ბერებსაც კი მედიდურად უჭირავთ თავი მეფეების წინაშე. ამ თავში ლანგს შეტანილი აქვს ეპიზოდი, სადაც მოთხრობილია თუ როგორ გაუგზავნა წერილი საბა იშხნელს ბაგრატ კურაპალატმა და მასთან სტუმრობა სთხოვა, მაგრამ ბერი მმართველს არ დაემორჩილა, ის არც თვითონ წავიდა და არც პასუხი გაუგზავნა. თარგმანში ეს ეპიზოდი ზუსტად და სრულად არის გადატანილი. დევიდ ლანგს სტილისტური გასაღები სწორად აქვს შერჩეული და დედნის დამახასიათებელი რიტმი, ინტონაცია, სინტაქსური კონსტრუქციები და მეტყველება შესატყვისი ფორმით აქვს გადმოცემული. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ დიალოგს საბა იშხნელსა და კურაპალატს შორის. როდესაც გრიგოლის დახმარებით კურაპალატმა ურჩი ბერი თავის სურვილზე დაიყოლია, მათ შორის გაიმართა

საუბარი, სადაც მეფემ უსაყვედურა საბას და უთხრა, რომ „ჯერ არს კელმწიფეთა მორჩილებად“-ო, “Obedience is due to the sovereign” (Lang 1956: 147), ბერმა ასე უპასუხა: “დიდებულო მეფეო, შენ ქვეყანასა კელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტე ზეცისა და ქვეყანისა და ქუესკნელთად. შენ ნათესავთა ამათ მეფე ხარ, ხოლო ქრისტე ყოველთა დაბადებულთად; შენ წარმავალთა ამათ ჟამთა მეფე ხარ, ხოლო ქრისტე საუკუნოდ მეუფე და სრული ჰგიეს უცვალეხელი, უჟამოდ, დაუსაბამოდ. დაუსრულებელი მეუფე ანგელოზთა და კაცთად. და უფროდ შენსა ჯერ-არს სმენად სიტყუათა მისთად, რომელმანცა ბრძანა, ვითარმედ: „ვერვის კელ-ეწიფების მონებად ორთა უფალთად“, არამედ აწ სიტყუთა ძმისა და მოძღურისა ჩემისა გრიგოლისითა მოვედ წინაშე შენსა“ (აბულაძე 1963: 274). ‘Noble king, you are lord of the earth, but Christ is Lord of the heavens, the earth, and the underworld; you are lord of this nation, but Christ is Lord of all men that are born; you are king of this transitory time, but Christ is King eternal. He remains perfect and unchangeable, timeless, without beginning or end, King of angels and of men, and his words are to be heeded more than yours. Christ declare: No man can serve two masters. But now I have come before you in obedience to the word of our brother and pastor Gregory’ (Lang 1956: 147).

„წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ დამშვენებულია სახარებისეული ტექსტებითა და ფსალმუნებით. უმეტესობა ამ ფსალმუნებისა უცვლელად გვხვდება ლანგის თარგმანებში. მაგალითად, ამავე თავში ლანგი გვთავაზობს მათეს სახარებისეული სიტყვების პერიფრაზს (ბიბლია 1989: 962). „ეგრე ბრწყინევიდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რადთა იხილნენ საქმენნი თქუენნი კეთილნი და ადიდებდნენ მამასა თქუენსა ზეცათასა“ (ი.აბულაძე 1963; 274). ‘Let your light so shine before men, that they may see your good works, and glorify your Father which is in heaven’ (Lang 1956: 147).

მნიშვნელოვანია წმ. გრიგოლის ადრეული წლების დ. ლანგისეული აღწერა ‘Gregory’s early years’ (Lang 1956: 136-137). აქ მთარგმნელი მოკლედ გადმოგვცემს ბიოგრაფიულ ცნობებს წმინდანის ყრმობის შესახებ. ის ხაზს უსვამს გრიგოლის ნერსე ერისთავის

კარზე აღზრდის ამბავს და საუბრობს იმ დიდ ინტერესსა და სიყვარულზე, რომელსაც წმ. გრიგოლი ფსალმუნებისა და სამოძღვრო ლიტერატურის შესწავლისას ამჟღავნებდა. თარგმანში, რომელიც დედნის შემოკლებული ვარიანტია, სრულად არ არის ასახული ის ღირსეული თვისებები, რაც გრიგოლ ხანძთელს ახასიათებდა. მაგალითად, „სიტყუად იყო მისი შეზავებული მარილითა მადლისაფთა და წესი განუჩინის ენასა თვისსა“. გამოტოვებულია დანიელ წინასწარმეტყველის სიტყვებიც, რომლებიც ნათლად აღწერენ საკვებისადმი წმინდანის დამოკიდებულებას: „პური გულის სათქუმელი არა ვჰამო“ (აბულაძე 1963: 250).

თარგმანში გამოყოფილი და დასათაურებულია წმ. გრიგოლის მღვდლად კურთხევის ეპიზოდი **'Ordained a priest'** (Lang 1956: 137), სადაც ლანგი მოკლედ გადმოგვცემს მთავრების ძალისხმევას იმისათვის, რომ გრიგოლი მღვდელი გამხდარიყო. ამ თავში გამოტოვებულია ის განცდები, რაც წმინდანს ეუფლება მღვდლად გახდომამდე, ხოლო რაც შეეხება მის ეპისკოპოსად დანიშვნას, ეს ეპიზოდი ლანგს აღნიშნული აქვს თარგმანში. აქვე გვხვდება მალაქია წინასწარმეტყველის სიტყვების პერიფრაზი, რომელიც გრიგოლის სადიდებლად არის გამოთქმული: „ბაგეთა მღდელისათა დაიცვან სამართალი და შჯული პირისა მისისაგან გამოიძიონ, რამეთუ ანგელოზი უფლისა და ყოვლისა მპყრობელისადა არს იგი“ (აბულაძე 1963: 250). „The priest's lips should keep knowledge, and they should seek the law at his mouth; for he is the messenger of the Lord of hosts“ (Lang 1956: 137).

მიგვაჩნია, რომ ლანგის მიერ ეპიზოდების გავრცობა შემოკლება განსაზღვრა, აგიოგრაფიის ისტორიაში მომხდარმა ცვლილებებმა. როგორც ცნობილია, მე-10 საუკუნეში აგიოგრაფიაში ახალი ხანა დაიწყო. ძველი კიმენური რედაქცია, ადრევე შეირყვნა მწვალებელთა მიერ. ამიტომ საბერძნეთის ეკლესიაში დაიწყეს ძველი ტექსტების შესწორება და მათი გავრცობა-შემკობა. შესაბამისად, ლანგმა თავის შეხედულებისამებრ შეამოკლა და პირიქით სრულყოფილად გადაიტანა ეპიზოდები თარგმანში.

„სამონასტრო ცხოვრების არჩევა“ – (‘Choose the monastic life’ - Lang, 1956: 138) ასე დაასათაურა ლანგმა ეპიზოდი, სადაც მთარგმნელი მოგვითხრობს გრიგოლ ხანძთელის და მისი მეგობრების, საბა იშხნელის, თეოდორეს და ქრისტეფორეს ოპიზაში წასვლის ამბავს. თარგმანში ეს ეპიზოდი დედნის ადეკვატურია. ორიგინალის მსგავსად, ლანგი ინგლისელ მკითხველს აცნობს წმ. გრიგოლის სწრაფვას სამონასტრო ცხოვრებისკენ. აქვე განმარტებულია მონასტრის მკაცრი წესები, რომელსაც წმინდანი ტაო-კლარჯეთის უდაბნოში ამკვიდრებდა.

მეტად მნიშვნელოვანია ხანძთის მონასტრის მშენებლობის ეპიზოდი ‘**The building of Khandzta**’ (Lang 1956: 139). დ. ლანგი თარგმანში სრულყოფილად გადმოსცემს ხუეიდოს ბერის ხილვას მონასტრის მშენებლობასთან დაკავშირებით, წმ. გრიგოლის ჩამოსვლას ხანძთაში, მაგრამ შემოკლებულია გრიგოლისა და მოხუცი ხუეიდოსის საუბარი და ერთმანეთის დალოცვის სიუჟეტი.

ლანგი დაწვრილებით საუბრობს ხანძთის მონასტრის მშენებლობის დროს არსებულ სირთულეებზეც: „რამეთუ არა აქუნდა მათ არცა ცული და წერაქვ, არცა სხუად ეგვეითარი საჯმარი“ (აბულაძე 1963: 257) „...as they had neither hatchets nor pickaxes nor any other tool“ (Lang 1956: 140). მაგალითი გამორჩეულია ლექსიკურ ერთეულთა სიზუსტით. ორივე ქვემოთ მოყვანილი ინგლისური სიტყვების თარგმანები დედნის ადეკვატურია. მაგ., სამშენებლო ხელსაწყოებიდან – „წერაქვ“ ინგლისურად გადატანილია როგორც „pickaxe“, რაც სავსებით ადეკვატურია:

<http://dictionary.ge/ka/word/pickaxe+I/>

ასევეა „ცულის“ შემთხვევაში, იგი გადატანილია როგორც ‘hatchet’

<http://dictionary.ge/ka/word/hatchet/>

„წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ გვხვდება ბიბლიური პარალელები. გიორგი მერჩულე ამ პარალელებს იმდროინდელი გეოგრაფიული და ისტორიული ვითარების ან წმ. გრიგოლის, როგორც პიროვნების, დასახასიათებლად იყენებს. ნიშანდობლივია,

რომ ყველა იგავი, რაც მოყვანილია ტექსტში, წმინდა მამის შინაგან და სულიერ მდგომარეობას აღწერს.

აქ მოხმობილი ბიბლიური იგავებიდან ერთი იგავი წმ. შუშანიკისა და წმ. აბო თბილელის „მარტვილობებშიც“ გვხვდება. ეს არის იგავი მეთერთმეტე ჟამის მუშაკზე. წმ. შუშანიკი საკუთარ თავს მეთერთმეტე ჟამის მუშაკად მოიხსენიებს. „წმ. აბო თბილელის წამებაში“ კი ნაწარმოების ავტორი იოვანე საბანისძე, როგორც აბოსთან დაახლოვებული პირი, წმინდანს მეთერთმეტე ჟამის მუშაკს უწოდებს. რაც შეეხება გიორგი მერჩულეს, ის საერთოდ არ იცნობდა წმ. გრიგოლს. მეტიც, მან ეს ნაწარმოები დაწერა წმინდანის გარდაცვალებიდან 90 წლის შემდეგ. ის გრიგოლ ხანძთელის ახლობლების მონაყოლის მიხედვით უწოდებს მას მეთერთმეტე ჟამის მუშაკს.

იგავი „მეთერთმეტე მოქმედი ვენახისა“ (მეთერთმეტე მუშაკი ვენახისა, მეთერთმეტე ჟამის მუშაკი) აღწერილია მათეს სახარებაში. ამ იგავის თანახმად, ვენახის პატრონმა განთიადზე მიწის მუშები დაიქირავა და სანაცვლოდ თითო დრაჰკანი აღუთქვა. მან დღის სხვადასხვა მონაკვეთში კვლავ დაიქირავა მუშაკები და მათაც იმავე საზღაურს დაჰპირდა. სულ ბოლოს მეპატრონემ ღამის 11 საათზე დაიქირავა ვენახის მუშაკი. შუადამისას, როცა პატრონი ყველა დაქირავებულს გაუსწორდა, მეთერთმეტე ჟამის მუშაკსაც იმდენივე გადაუხადა, რამდენიც განთიადზე მოსულთ. ამ იგავის მორალი არის ის, რომ არასოდეს არის გვიან ღვთის სამსახურში ჩადგომა, ღვთის სამართალი თანაბრად მიუზღვება ჭეშმარიტების მსახურთ.

აგიოგრაფიის გმირები ხშირად მოიხსენებიან, როგორც „მეთერთმეტე ჟამის მუშაკები“. ისინი თავიანთი ღვაწლით გაუტოლდნენ ღვთის გზაზე ადრე დამდგართ. ამიტომაცაა წმ. გრიგოლ ხანძთელის და მისი მოწაფეების ღვაწლი შედარებული „მეთერთმეტე ჟამის მუშაკთან“.

მიუხედავად იმისა, რომ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ დ. ლანგისეული თარგმანი წარმოადგენს დედნის მეტად შემოკლებულ ვერსიას, მთარგმნელი გვერდს არ უვლის ისეთ სახარებისეულ ციტატას, როგორც არის „მეთერთმეტე ჟამის მუშაკი“: „და

დღითი დღე აღორძინდებოდეს ძმანი, რამეთუ შეეძინებოდეს უფალსა მუშაკნი მეთერთმეტისა ჟამისანი მოქმედად ჭემმარიტსა მას ვენაცსა“ (აბულაძე 1963: 257).

„Every day their numbers increased: the Lord procured workers of the eleventh hour for the cultivation of that righteous vineyard“ (Lang 1956: 140).

ზემოთ მოყვანილი ბიბლიური ციტატა ლანგისეული პერიფრაზია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებობს ბიბლიის სიტყვასიტყვითი და თავისუფალი თარგმანები, რომლებიც ერთმანეთისაგან სიზუსტით განსხვავდებიან. ეს სიზუსტე იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ფართოდ ესმის მთარგმნელს სათარგმნი ერთეული, სათარგმნი სემენტი. რადგან მთარგმნელისთვის ასეთი შეიძლება მთელი კონტექსტი იყოს, მაშინ იგი ამ კონტექსტს დეტალიზაციის გარეშე, მთლიანობაში გადმოსცემს. ეს თარგმანის უკიდურესად თავისუფალი სახეა. ბიბლიის ხელნაწერებში, როგორც ბერძნულში, ისე ქართულში, ასეთ ტექსტებსაც ვხვდებით და მათ პერიფრაზი ეწოდებათ. ის მთარგმნელი, რომელიც ზუსტ თარგმანს ასრულებს, ავიწროებს სათარგმნი სემენტის მოცულობას. სემენტად მას მაჩნია 1. ფრაზა, რადგან უნდა გადმოსცეს მისი სემანტიკაცა და ფორმაც (სინტაქსური სტრუქტურაც). 2. სიტყვა და დამხმარე სიტყვებიც, მათი სემანტიკაც და მორფოლოგიური სტრუქტურაც. 3. სიტყვის შემადგენელი ნაწილები. მთარგმნელის ამოცანაა, ეს სათარგმნი სემენტები ადეკვაურად გადმოსცეს ან თარგმანის ენაში არსებული ეკვივალენტებით, ან თავისი შექმნილი შესატყვისებით (ხარანაული 2003: 136-142).

დ. ლანგი ერთ-ერთ თავში, რომელსაც მან „მკაცრი სამონასტო წესები“ უწოდა („Monastic austerities“ – Lang 1956: 141), ინგლისელ მკითხველს სრულყოფილად აცნობს იმ მკაცრ სამონასტრო კანონებს, რომელსაც წმ. გრიგოლი თავად იცავდა და მაგალითს სხვა ბერებსაც აძლევდა. მაგალითად, ის, რომ სენაკებში მხოლოდ ერთი პატარა საწოლი იდგა, უბადრუკი ქვეშაგით და პატარა წყლის ჭურჭლით. „და სენაკებსა მათსა საკუამი არა აქუნდა, რამეთუ ცეცხლი არა აღეგზებოდა, და არცა ღამწუ სანთელი

აღანთიან“ (აბულაძე 1963; 266). „There were no chimneys in their cells because no fires were lit. Nor did they light candles at night “ (Lang 1956: 141).

აქვე აღწერილია თუ როგორ მარხულობდა წმინდა გრიგოლი. ის მხოლოდ მცირეოდენ კალნაბს მიირთმევდა. „ხოლო ნეტარმა მამამან გრიგოლ თავადნი დიდნი მარხვანი გარდავლნის მცირედითა კალნაბითა უმგზვრითა“ (აბულაძე 1963: 267). „During Lent, Father Gregory fed on just a little dried cabbage“. აქ მნიშვნელოვანია სიტყვა „კალნაბის“ გადატანა ინგლისურ ენაში. „კალნაბი“ ქართულად „ყვავილოვან კომბოსტოს“ ნიშნავს (მაყაშვილი 1961: 77), ხოლო ლანგმა ის ჩვეულებრივი კომბოსტოს მნიშვნელობით გადაიტანა, რაც სავსებით გამართლებულია. რადგან „ყვავილოვანი კომბოსტოს“ მოყვანის ისტორია სათავეს მე-16 საუკუნიდან იღებს. შესაბამისად, მე-9 საუკუნეში გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის დროს ყვავილოვანი კომბოსტო ფიზიკურად არ მოიპოვებოდა. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ დ. ლანგი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა აგიოგრაფიული ორიგინალი ტექსტების შესწავლას.

ზემოთ აღწერილი ლანგისეული მკაცრი სამონასტრო წესები თანამედროვე ადამიანს შეიძლება გადაჭარბებულ ასკეტიზმად მოეჩვენოს, მაგრამ აქ ჩანს ის, რომ ამ წმ. ბერების ცხოვრების უმაღლესი მიზანი ღმერთისა და ქვეყნის სამსახური იყო.

**გრიგოლი და აშოტ კურაპალატი („Gregory and Ashot the Kuropalates“ - Lang 1956: 141).** ამ სათაურის ქვეშ ლანგს მოთხრობილი აქვს აშოტ კურაპალატისა და „სიძვის დიაცის“ გამიჯნურების ეპიზოდი. ეს ნაწილი მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ აქ ჩანს თუ როგორი დიდი გავლენით სარგებლობდა იმ დროს სასულიერო პირი. ის ყოველგვარი თავშეკავების გარეშე ჩაერია მეფის სასიყვარულო საქმეში და მისი სატრფო სასახლიდან დედათა მონასტერში წაიყვანა.

აქ ეკლესია არ ერევა საკუთრივ სახელმწიფო საქმეებში, ის მხოლოდ მტკიცე დარაჯად უდგას ახლადფეხადგმულ სახელმწიფოს განმტკიცება-გამაგრებას და შეუბრალებლად ამხელს ყველას, თუგინდ მეფესაც, ვინც კი ზნეობრივ პრინციპს ღალატობს.

აღნიშნულ ეპიზოდს ეხმიანება უილიამ ედვარდ ალენი თავის რეცენზიაში, რომელიც მან „ქართველი წმინდანების ცხოვრებათა და წამებათა კრებულთან“ დაკავშირებით დაწერა. მისი თქმით, „გრიგოლ ხანძთელი (759-861), კიდევ ერთი დიდი „პოლიტიკური“ წმინდანი, საქართველოს ისტორიის უდავოდ ერთ-ერთი შემქმნელი მოღვაწე იყო. წმინდა გრიგოლი ქართველ მმართველთა სამ თაობას ხელმძღვანელობდა და ჭოროხის ხეობაში ერთგვარი სამონასტრო რესპუბლიკა შექმნა. ის მეფის პირად ცხოვრებაში ჩაერია და მისი სატრფო აიძულა მონაზვნად აღკვეცილიყო. რა თქმა უნდა, იგი უფრო წარმატებული აღმოჩნდა, ვიდრე სამი საუკუნის შემდეგ - თომას პეკეტი, თუმცა, ალბათ აშოტ კურაპალატს არ სმენოდა ჰენრი II- ის ნორმანული ფურორის შესახებ. წმინდანმა სამონასტრო რესპუბლიკაში არამართლმადიდებლური, ამორალური ქცევები აღკვეთა, თუმცა როგორც ჩანს, საკუთარ თავს გარკვეულ თავისუფლებას ანიჭებდა (დოქტორი ლანგი ტაქტიკურად ტოვებს შესაბამის ციტატას)“ (იხ. დანართი №1).

გ. გაჩეჩილაძე პროზაულ თარგმანზე საუბრისას ეხება მხატვრული კომპონენტების თანამიმდევრობის საკითხს. მისი განმარტებით, მხატვრულ სახეებში გამოხატული აზრი, რომელიც ასახავს ავტორის მსოფლმხედველობას და შესაბამის ემოციურ რეაქციას რომელიმე კონკრეტული მოვლენის მიმართ, იწვევს გარკვეულ ინტონაციას და რიტმულ წყობას მეტყველებაში. ეს ყოველივე იხატება გარკვეულ სინტაქსურ წყობაში. წინადადება შედგება აზრობრივი ჯგუფისა ანუ სინტაგმებისაგან. მათი აზრობრივი გაერთიანება ქმნის წინადადებას. ამავე სქემით მიმდინარეობს მხატვრული თარგმანის პროცესიც, მაგრამ მისი სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ იგი მექანიკურად კი არ იმეორებს სქემის ყოველ მომენტს, არამედ ცდილობს, დედნის ეროვნული სპეციფიკის არსებითი მხარე შეინარჩუნოს ყოველ მომენტში და, ამავე დროს, არ უღალატოს საკუთარი ენის კანონებს. სწორედ ამ გზით იქმნება ახალი თვისობრიობა: სიტყვიერ სახეებში გამოხატული დედნის აზრი (შესაბამისი მსოფლმხედველობითა და ემოციური ელფერით) გადმოდის შესატყვისი ინტონაციით, რიტმითა და სინტაქსური წყობით ახალ ენაზე: ყოველ ენას თავისი



სპეციფიკური ინტონაცია, რიტმი და სინტაქსური წყობა აქვს და თავისი ენის არსენალში ეძებს მთარგმნელი დედნის იარაღის მსგავსი ფუნქციის მქონე იარაღს, რომელსაც შეუძლია წარმოქმნას დედნის ფორმისა და შინაარსის ერთიანობა ახალ ენაზე (გაჩეჩილაძე: 1966: 237).

ო. დიკუშინა ინტონაციას უწოდებს მეტყველების მელოდიას და მასში გულისხმობს ხმის მუსიკალურ მოძრაობას გარკვეული კანონზომიერებების მიხედვით მეტყველების დროს. ის ამბობს: ჩვენ მიგვაჩნია სავსებით სწორად ვამტკიცოთ, რომ ყოველ ენას აქვს საკუთარი რიტმულ-მელოდიური წყობა, რომელსაც შეუძლია ძლიერ განსხვავდებოდეს სხვა ენათა რიტმულ მელოდიური წყობისაგან. ის ასევე ახასიათებს მეტყველების ნაკადს, რომელიც ნაწევრდება პაუზების, ფრაზის, მახვილის და ინტონაციის საშუალებით რიტმულ-სინტაქსურ ერთიანობებად ანუ სინტაგმებად, რომლებსაც, თავის მხრივ, შეუძლიათ, წარმოქმნან უფრო რთული ერთიანობანი — ფრაზები, რომლებიც წარმოადგენენ დამთავრებულ გამონათქვამებს და გამოირჩევიან მეტყველებაში ტონის უფრო ღრმა დაცემით და უფრო გრძელი პაუზით, ვიდრე სინტაგმებს შორის არსებული პაუზა (Дикущина 1952: 103).

დედნის ინტონაციის, რიტმის და სინტაქსური წყობის ახალ ენაზე გადატანას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ლანგი. ზემოთ განხილულ „სასიყვარულო ეპიზოდში“ უამრავი შესაბამისი მაგალითი მოიძებნება. თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ დიალოგი „სიძვის დიაცსა“ და წმ. გრიგოლს შორის:

**„მ საწყალობელო!** რაღსათვს შორის ცოლ-ქმართა შთაჭრილ ხარ წარსაწყმედელად შენდა საუკუნოდ ბოროტითა მით ცოდვითა, რომლითა დამონებულ ხარ ეშმაკისადა და ცუდითა რადთმე მიზეზითა საფრვე ქმნულ ხარ დიდისა ჯელმწიფისადა“.

ხოლო მან ცრემლით ჰრქუა: „წმიდაო ღმრთისაო, მე თავსა ჩემსა ვერ თავისუფალ ვარ, ვინადთგან გარდარეული სიყვარული აქუს ჩემდა მომართ კურაპალატსა და აწ არად უწყი, თუ რად ვყო, რამეთუ ბრძანებამან სიტყუათა შენთამან შემადრწუნა ფრიად“.

ხოლო წმინდამან მან ჰრქუა: “შვილო, იქმენ სრულად მორჩილ სიტყვათა ჩემ

გლახაკისათა და მე თავს-მდებ გექმნე ქრისტეს მიმართ, რადთა მან თავადმან ყოველნი ბრალნი შენნი შეგინდევნეს. და მან ჰრქუ: წმინდაო მამაო, ჳელთა შენთ ვარ, უმჯობესი სულისა ჩემისაჲ იზრუნე“ (აბულაძე 1963: 296).

**'Wretched creature!** Why have you come between husband and wife ensuring perdition for yourself through this grievous sin of yours which enslaves you to the devil, and frivolously offering yourself as a temptation for the great sovereign?" She said tearfully, 'Holy man of God, I have no power over myself, because the prince is deeply in love with me, anti now I do not know what to do. I am extremely distressed by what you have said.' The saint continued, 'My child, obey fully my words, which are those of a pious man, and I pledge myself before Christ that He will forgive you all your sins.' She answered, 'Holy Father, I am in your hands. Intercede on behalf of my soul' (Lang 1956: 143).

ზემოთ მოყვანილ დიალოგში მეტყველების ნაკადი ნაწევრდება პაუზების, ფრაზის, მახვილის და ინტონაციის საშუალებით რიტმულ-სინტაქსურ ერთიანობებად ანუ სინტაგმებად. მაგ. „ჰ საწყალობელო!“ ეს სინტაგმა გადატანილია ადეკვატურად „Wretched creature!“ და ბუნებრივ ელფერს აძლევს დედანს. თხრობის სტილიც და ინტონაციაც სწორად არის მოძებნილი, მეტყველების სწორ დანაწევრებაზეა შერჩეული წაკითხულის სწორი აღქმა მსმენელის მიერ.

ამავე თავში დ. ლანგი მთელი მხატვრული სიზუსტით აგვიწერს გაბრიელ დაფანჩულის სახეს: „Now there was a certain renowned gentleman in the service of Ashot Kuropalates; his name was Gabriel Dapanchuli, and his descendants are called Dapanchuli to this day. This gentleman was adorned with every perfection, with wealth, ripeness of judgment and a noble presence; he was renowned for success in all matters of business, as well as for his piety“ (Lang1956: 141).

„ხოლო იყო ვინმე აზნაური დიდებული წინაშე აშოტ კურაპალატისა, და ერქვა მას სახელი გაბრიელ დაფანჩული, და აწ ნათესავთა მისთა ჰრქვან დაფანჩულნი. ესე აზნაური შემკულ იყო ყოვლითა სიხარულითა და სიმდიდრითა, სიბრძნითა,

ჰასაკითა და ახოვნებითა, და ყოველთა ზედა საქმესა განმარჯუებითა და კეთილად მორწმუნეობითა ქებული იყო“ (აბულაძე 1963: 258).

მნიშვნელოვანია ამავე თავში აღწერილი ხანძთის პეიზაჟი. ლანგმა მთელი ეკვივალენტური სიზუსტით გადმოსცა ხანძთის უდაბნო. როგორც ეგერი ამბობს: „თარგმანის ეკვივალენტურობას განსაზღვრავს თარგმანისა და ორიგინალის კომუნიკაციურ ღირებულებათა თანხვედრა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ორიგინალის კომუნიკაციური ღირებულება ინვარიანტულია თარგმანისათვის. კომუნიკაციური ღირებულება კი ის თვისებაა, რომელიც იწვევს გარკვეულ კომუნიკაციურ ეფექტს ადრესატის ცნობიერებაში, სადაც აღმოცენდება იმ აზრთა იდენტური ნაკადი, რომელთა გადაცემაც მიზნად ჰქონდა ორიგინალის ავტორს“ (Erep 1979: 137). გთავაზობთ ხანძთის დახასიათების ეპიზოდს:

„კეთილ არს უდაბნოდ იგი მზისა მცხუნვარებითა და ჰაერისა შეზავებითა ყოვლით კერძო. და აქუს მას წყაროდ მდიდრად გამომდინარე, შუენიერი, გრილი და ჰამოდ, მაღნართა სიმრავლეს ურიცხვ და მცირედი რაიმე სხუადაცა ნუგეშინისსაცემული ძალისაებრ მის უდაბნოდსა, ხოლო სათესავი ყანად და სათიბელი ქუეყანად რადთურთით არა არს, არცა იქმნების ღირლოლოვანთა მათ ფიცხელთა მწუერვალთა მათ ღადოსადათა“ (აბულაძე 1963: 262).

„This solitary spot is excellent for the warmth of the sun and the mildness of the air all around. It has a free-flowing spring, beautifully cool and pleasant. There are countless groves of trees, and as much in the way of crops as one can expect to grow in the wilderness, but there are no fields for harvest or for hay. Nor is it possible for any to exist there on the sharp and craggy peaks of the Ghado mountains“ (Lang 1965: 142).

აქ შეინიშნება ლექსიკურ ერთეულთა იდენტურობა. „წყაროდ მდიდრად გამომდინარე“ ნიშნავს ჭარბად მომდინარე წყაროს, რაც ინგლისურად ადეკვატურად არის მოცემული „a free-flowing spring“, რაც ნიშნავს თავისუფლად მომდინარე წყაროს, რომელიც არ ჩერდება (კემბრიჯის ინგლისურ-ინგლისურ ლექსიკონი)

<http://dictionary.cambridge.org/dictionary/english/free-flowing>

„ჰამოდ“ ძველი ქართული სიტყვაა და საამოს ნიშნავს. ინგლისურად დ. ლანგმა კარგად შეუსაბამა მას სიტყვა „pleasant“.

„ფიცხელთა მწუერვალთა მათ დადოსადთა“ the sharp and craggy peaks of the Ghado mountains' „დადო“ ნიშნავს მიუვალ, ქვადორღიან მთებს (ზ. სარჯველაძე 2001: 288). შესაბამისად, ლანგმა ინგლისურ თარგმანში ჩაამატა სიტყვა „მთები“ იმისათვის, რომ მკითხველისთვის ნათელი ყოფილიყო „დადოს“ მნიშვნელობა (ზ. სარჯველაძე 2001: 288).

„წმ. გრიგოლის ვიზიტი კონსტანტინოპოლში“ (**‘Gregory visits Constantinople’- Lang 1956: 145**). ასე ასათაურებს დ. ლანგი გრიგოლის კონსტანტინოპოლში გამგზავრების ეპიზოდს. ეს ეპიზოდი მთელი სიზუსტით გვხვდება თარგმანში. ეს თავი იმ მხრივ არის მნიშვნელოვანი, რომ მასში ასახულია წმ. გრიგოლის სამომავლო მიზნები - ტაძრებში დაწესდეს საღვთო და განუსჯელი საეკლესიო წესები. მნიშვნელოვანია გრიგოლის მეგობრის მიერ საბაწმინდის წესის გადმოწერა და ჩამოტანაც „to write down the monastic rules of St. Savva and send them to him“ (**Lang 1956: 145**).

აქვე საუბარია გრიგოლის მიერ კონსტანტინოპოლში წმინდა ნაწილებისა და ძელიცხოვლის მონახულებასა და თყვანისცემაზე: „Arriving at Constantinople, he made obedience to the wood of life and all the other holy relics, and joyfully went round to pray at all the sacred shrines“ (**Lang 1956: 145**).

“და წარემართა საბერძნეთად და მოიწია კონსტანტინეპოლს, და თაყვანის-სცა ძელსა ცხორებისასა და წმიდათა ყოველთა ნაწილსა. და სიხარულით მოვლნა ყოველნი წმიდანი ადგილნი სალოცველნი“ (**აბულაძე 1963: 264**).

ამავე თავში მოკლედ არის გადმოცემული აშოტ კურაპალატის გარდაცვალების ამბავი და წმინდა ნაწილების ჩამობრძანება საქართველოში, ისევე როგორც საბაწმინდის წესის გადაცემა გრიგოლისთვის.

„გრიგოლის მოწაფეების განსხვავებული ღვაწლი“ (**Distinguish careers of Gregory's disciples - Lang 1956: 148**). ეს თავი მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ აქ საუბარია გრიგოლის მოწაფეების, ეფრემისა და არსენის, ღვაწლის შესახებ. დ. ლანგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეფრემი ბევრი სიკეთის მომნიჭებელი გახდა ჩვენი ქვეყნისათვის, რადგანაც თვდაპირველად მირონს იერუსალიმიდან მოაბრძანებდნენ, ეფრემმა კი ქრისტესმიერი ბრძანებით და აღმოსავლეთის კათალიკოსთა გადაწყვეტილებით, ქართლში დააწესა მირონის კურთხევა (**აბულაძე 1963: 290**). ‘The great Ephraim became a great benefactor to our land. Earlier, the Catholicos-Patriarchs of the East used to bring the holy chrism for their consecration from Jerusalem. But Ephraim instituted anointment with holy chrism prepared in Georgia, by glad consent and authorization of the Patriarch of Jerusalem’ (**Lang 1956: 148**).

მიუხედავად მუსულმანთაგან დევნისა და ცალკეულ რეგიონებში წარმართობის კვალის არსებობისა, ქრისტიანობა იმდროინდელ საქართველოში გამარჯვებული რელიგია იყო; ორმხრივი სარწმუნოებრივი შეურიგებლობა მკვეთრად აპირისპირებდა ქართველებსა და მაჰმადიანურ აღმოსავლეთს, მაგრამ ქრისტიანობა ვერ გამოდგებოდა ზღუდედ სამხრეთ-დასავლეთით მოსაზღვრე ბიზანტიის იმპერიასთან ურთიერთობისას, რომლის პოლიტიკურ გეგმაშიც შედიოდა საქართველოს ბიზანტინიზაცია. ამიტომ ეროვნული მთლიანობის იდეის შემუშავებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა ქართულ ენას, მაგრამ აქაც დიდი პოლიტიკური გამჭრიახობა და ტაქტი იყო საჭირო. საქართველოში სამი ქართველური ტომი სახლობს, რომელიც მონათესავე და მსგავს, მაგრამ მაინც ერთმანეთისაგან განსხვავებულ ენაზე საუბრობს. ასეთ ვითარებაში შეიქმნა ფორმულა, რომელმაც განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის რაობა: „ქართლად ფრიადი ქუეყანად

ადირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენით ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების, ხოლო კვრიელემსონი ბერძნულად ითქუმის, რომელი არს ქართულად „უფალო წყალობა-ყავ“ გინათუ „უფალო, შეგვწყალებ“ (აბულაძე 1963: 290). ლანგს ეს ფორმულა აბსოლუტური სიზუსტით გადააქვს თარგმანში: „Georgia is reckoned to consist of those spacious lands in which church services are celebrated and all prayers said in the Georgian tongue. Only the *Kyrie-eleison*, which means 'Lord, have mercy,' or 'Lord be merciful to us' is pronounced in Greek“ (Lang 1963: 148).

ამავე თავშია მოთხრობილი ეპისკოპოს ზაქარიას ღვთიური სასწაულის შესახებ. მას შემდეგ, რაც ტბის მონასტრის ახლოს, ფრიალო ფერდობზე, საშინელი ლოდი ინძრეოდა და შეშინებული მონაზვნები თავიანთი სახლებიდან გარბოდნენ, დაიმედებულმა ზაქარიამ უთხრა მათ: „ხვალ ნახავთ ამ ლოდს იმ ადგილას დადებულს, სადაც ჩვენ არაფერი გვევნება“, და ასეც მოხდა, რადგანაც მამებმა საერთოდ ვერ შეიგრძნეს მისი რყევა, ხოლო მეორე დღეს მყარად იდო იგი წარმოუდგენელ ადგილას. „Near the monastery of Tbeti a fearsome crag was trembling on the edge of the cliff, and the monks fled from their dwellings in terror. Zacharias stayed confidently, and said to them: 'Tomorrow you will see that crag lying in a place quite harmless to us.' And so it turned out. The fathers did not notice its trembling any more, and next day it was lying motionless on a spot which they had not expected, just as the saint had said; and they glorified Christ“ (Lang 1963: 149).

ზემოთ განხილულ პირველ ეპიზოდში მოცემულია ლექსიკურ ერთეულთა სიზუსტე, ხოლო თხრობა დედნის სტილის ადეკვატურია. თუმცა ზაქარიას მიერ აღსრულებულ მეორე სასწაულში შეინიშნება ლექსიკურ ერთეულთა უზუსტობა მაგალითად, სიტყვა „სთუელი“ ძველი ქართული სიტყვაა და „რთველს“ ნიშნავს, თუმცა თარგმანში გადატანილია როგორც „შემოდგომა“, რაც ჩვენი აზრით, ხელს უშლის დედნისეული ერთეულის სწორად გაგებას: „და იქვე ზაქარია სთულისა ჟამთა ჯდა ოდეს ტბას

თვსთა ბაბილოთა მწიფეთა ქუეშე, რომელთა მრავალგზის შაშვ ჭამდა“ (აბულაძე 1963: 304).

‘This same Zacharias was sitting one **autumn** day in Tbeti, under his own ripe grapevines, at which a black-bird was persistently pecking’ (Lang 1956: 149).

დ. ლანგის ყურადღებას იქცევს ვინმე ცქირის ეპიზოდი. ამ ეპიზოდს მან სათაურად „ავბედითი შეთქმულების ჩაშლა“ უწოდა (‘An evil plot frustrated’- Lang. 1956; 149). გიორგი მერჩულის ცნობით, ცქირი ამირა საჰაკმა აღზარდა და აშოტის სასახლის კარზე ჯაშუშის როლსაც ასრულებდა. შესაბამისად, მას კარგად უნდა სცოდნოდა ტაო-პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ექნებოდა არაბებისთვის, რომელთაც დროთა ვითარებაში შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ, რომ სამხრეთ საქართველოში წამოწყებული მოძრაობა ქვეყნიდან მათ განდევნასა და საქართველოს გაერთიანებას ისახავდა მიზნად. ეტყობა, გარკვეული პოლიტიკური ვითარების გამო, აშოტმა ვერ შეძლო უარის თქმა და ცქირი ანჩის ეპისკოპოსი გახდა.

ძალაუფლებით გაამაყებული თვითმარქვია ეპისკოპოსი სრულიად აშკარად ეწეოდა ანტიქართულ საქმიანობას. იგი კარგად ხედავდა, რომ წმ. გრიგოლ ხანძთელი იყო ეროვნული მოძრაობის სულიერი მამა და წინამძღოლი და მისი მოკვლა გადაწყვიტა, მაგრამ განზრახვის ასრულება ვერ შეძლო.

შემთხვევითი არ არის ლანგის მიერ ამ ეპიზოდის სრულყოფილად გადატანა თარგმანში. მან, როგორც ისტორიკოსმა, საჭიროდ ჩათვალა, ეჩვენებინა დასავლელი მკითხველისთვის, თუ რა ძლიერი იყო არაბთა ბატონობა იმ დროს საქართველოში, რომელსაც გრიგოლი თავისი სიმტკიცით და პოლიტიკური სიბრძნით უპირისპირდებოდა.

ორიგინალში ცქირი წარმოდგენილია როგორც წმინდა ხორბალთა შორის აღმოცენებული ღვარძლი (ერთი ვილაც აღმოცენებული სარწებში დიაკონად). სიტყვა „სარწები“ თარგმანში გამოტოვებულია. თუმცა, მისი მნიშვნელობა დღემდე

ბუნდოვანია. „სარწები“ ნ. მარის მიერ ტოპონიმიდაა გაგებული, ზ. სარჯველაძე კი „ყანად“ განმარტვს მას, თუმცა აღნიშნული სიტყვა „ყანის“ ან რაიმე სხვა მნიშვნელობით სხვაგან არსად არ გვხვდება. ვფიქრობთ, მოცემული სიტყვა ლანგმა უზუსტობად მიიჩნია და შესაბამისად თავი აარიდა თარგმანში გადატანას. თუმცა, ამ წინადადებით შინაარსი არ დარღვეულა.

„ხოლო შორის იფქლთა მათ წმიდათა იპოვა ერთი ვინმე, ვითარცა ღუარძლი, სარწებს აღმოცენებული დიაკონებასა შინა...“ (აბულაძე 1963: 305).

‘Among this holy wheat there grew a noxious weed in the shape of a deacon’ (Lang 1956: 149).

დაბოლოს, დ. ლანგმა ცალკე გამოყო წმ. გრიგოლ ხანძთელის გარდაცვალების ეპიზოდი: „გრიგოლის გარდაცვალება“ („Death of St.Gregory“ - Lang 1956: 151). აქ მოკლედ არის აღწერილი წმ. მამის გარდაცვალების ამბავი. ამავე თავში ლანგი დასაბუთებულად საუბრობს გრიგოლის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით. გთავაზობთ მკვლევარის განმარტებას თარიღთან დაკავშირებით: „ხოლო ნეტარი მამა გრიგოლი გარდაიცვალა 81 ქრონიკონს (ქრ. შ. 861). ბიოგრაფია კი დაიწერა მისი გარდაცვალებიდან ოთხმოცდაათი წლის შემდეგ, მას შემდეგ, რაც 6554 წელი გავიდა დასაბამიდან“. „The death of our blessed Father Gregory occurred in the 81st year of the Paschal Cycle (A.D. 861). His biography was written ninety years after his passing, when 6554 years had elapsed since the creation” (Lang 195: 150). განსხვავებულია ინგოროყვას და ლაგის მოსაზრებები თარიღთან დაკავშირებით.

ცნობილი ფაქტია, რომ ძველი მწერლობის ნიმუშების დათარიღება ხშირად დიდ სირთულეებს უკავშირდება. არის შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ ძეგლის თარიღი მთელი საუკუნეების განმავლობაში მერყეობს.

გიორგი მერჩულის თხზულება ამ მხრივ ბედნიერ გამოწაკლისს წარმოადგენს. თუ როდის დაიწერა „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, ამის შესახებ დაწვრილებითი ცნობა თვითონ ნაწარმოებში არის დაცული. რაც შეეხება წმინდანის აღსრულების ჟამს,



ტექსტის თანახმად „იყო გარდაცვალება... გრიგოლისი (ხანძთელისა) რიცხუსა წელიწადთა მისთასა ას და მეორესა წელსა (ე.ი. გრიგოლ ხანძთელი გარდაიცვალა 102 წლის ასაკში), ქრონიკონსა 81-სა;

„არამედ გარდაცვალებითგან მისით დაიწერა ცხორებაჲ ესე მისი შემდგომად ოთხმეოცდაათისა წლისა“.

ამდენად, წმ. გრიგოლ ხანძთელი, როგორც ზემოთ მოყვანილ უწყებაშია აღნიშნული, გარდაიცვალა 81 ქრონიკონს.

ქრონიკონი იმ ეპოქაში (მე-9 საუკუნიდან მე-10 საუკუნის ნახევრამდე), იანგარიშებოდა 1-ლი სექტემბრიდან. ამ ანგარიშის თანახმად, 81 ქრონიკონი დაიწყო 860 წლის 1 სექტემბერს და დასრულდა 861 წლის 31 აგვისტოს.

ამასთან ერთად, ჩვენ გვაქვს მეორე ცნობაც წმ. გრიგოლ ხანძთელის გარდაცვალების შესახებ: ძველ ქართულ სვინაქსარებში გრიგოლ ხანძთელის ხსენება დაწესებულია 5 ოქტომბერს. როგორც ჩანს, ეს თარიღი აღნიშნავს გრიგოლ ხანძთელის გარდაცვალების დღეს.

შეფარდება ამ ორი ქრონოლოგიისა — ქრონიკონისა და თვის რიცხვისა — გვადლევს საშუალებას, ზუსტად განვსაზღვროთ, რომ გრიგოლ ხანძთელის გარდაცვალების თარიღი არის 860 წლის 5 ოქტომბერი.

წმ. გრიგოლ ხანძთელის გარდაცვალების თარიღად დღემდე შეცდომით იყო მიჩნეული 861 წელი, ე. ი. მხედველობაში არ იყო მიღებული, რომ ქრონიკონი ამ ეპოქაში იწყებოდა არა 1-ლი იანვრიდან, არამედ 1-ლი სექტემბრიდან (წინაწლის). ამ მცდარი დათარიღების გამო თავი იჩინა შემდეგმა გაუგებრობამ, ქრონოლოგიურმა შეუსაბამობამ: ჩვენ ვიღებთ ერთწლიან განსხვავებას გიორგი მერჩულის თხზულებაში დაცულ ორ თარიღს შორის, რომელთაგან პირველი (ქრონიკონი) აღნიშნავს გრიგოლ ხანძთელის გარდაცვალებას, ხოლო მეორე - „დასაბამითგანნი წელნი“, გიორგი მერჩულის თხზულების დაწერის თარიღს. სინამდვილეში არავითარ ქრონოლოგიურ

შეუთანხმებლობას აქ ადგილი არ აქვს. კერძოდ, წლის დასაწყისი პირველი სექტემბრიდან აღნიშნულია მე-10 საუკუნის ქართულ იადგარებში, სადაც 1-ლ სექტემბერს ეწოდება „გვრგვნი წელიწდისა“ (ინგოროცა 1954: 7-8).

როგორც აღვნიშნეთ, დ. ლანგის თარგმანი არის დედნის მეტად შემოკლებული ვერსია. მასში გამოტოვებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი პასაჟი. მიუხედავად იმისა, რომ ლანგი ახასიათებს გრიგოლს, თარგმანში ის დედნის შესაბამისად მაინც არ ჩანს. მთარგმნელს გამოტოვებული აქვს არა მარტო სულიერი განცდები, რასაც, ბუნებრივია, გარკვეული შტრიხები შეაქვს გმირის პორტრეტში, არამედ ისეთი პასაჟებიც, სადაც გრიგოლის დახასიათებაა მოცემული.

თარგმანში არ ჩანს, რომ გრიგოლმა დიდი სამმო ჩამოაყალიბა. მეტიც, ძმობის ზოგიერთი წევრის მხოლოდ სახელია ნახსენები. თარგმანში არაფერია ნათქვამი წმ. გრიგოლ ხანძთელის უახლოეს თნამოაზრეებზე, როგორებიც არიან: ფებრონია, ზენონი, ეპიფანე, მატოი.

დ. ლანგი საჭიროდ არ მიიჩნევს, ასახოს ისეთი მნიშვნელოვანი და მოზრდილი ეპიზოდები, როგორიცაა ადარნესეს გამიჯნურება. აქაც ადარნესემ ვინმე მეძავი ქალის ცილისწამებით (ვისთანაც თავად მრუშობდა) უსამართლოდ მოიშორა ერთგული ცოლი და გააგზავნა მისსავე მხარეში, აფხაზეთში. გრიგოლმა მრავალგზის ამხილა ადარნესე, თუმცა მან არ შეისმინა ნეტარი მამის სიტყვები, პირიქით, უკეთურებას უკეთურება დაამატა და სხვა ცოლი შეირთო. მაშინ მამა გრიგოლმა უწინასწარმეტყველა მას, თუ როგორ დაისჯებოდა ამის გამო. ისიც უთხრა, რომ მისი სიტყვების არ შესმენის გამო ბოროტი სნეულება დაეუფლებოდა, ხოლო შვილები, რომლებიც ეყოლებოდა, დაიტანჯებოდნენ ეშმაკისაგან და ვერ განიკურნებოდნენ, სანამ დედოფლისაგან შენდობას არ ითხოვდნენ.

ადარნესე ძალიან შეშინდა გრიგოლის სიტყვების გამო და ნეტარ მამას შეწყალება სთხოვა.

რამდენიმე ხანში ადარნესე ძვლების ტეხის სენით დაავადდა და ტკივილებისაგან მწარედ იტანჯებოდა. მან დაუყოვნებლივ გააგზავნა კაცი დედოფალთან შენდობის სათხოვნელად. დედოფალმა ქრისტე ღმერთს სთხოვა, შეენდო ადარნესესთვის დანაშაული და ისიც მყისვე განიკურნა.

მიუხედავად იმისა, რომ თარგმანში ლანგმა დაწვრილებით აღწერა გაბრიელ დაფანჩულის სახე, მისი ოჯახისა და შვილების შესახებ არაფერია ნათქვამი.

დ. ლანგმა საჭიროდ არ ჩათვალა ეთარგმნა ისეთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი, როგორც არის ჯავახეთის კრება სადაც საერო და სასულიერო პირთა დამოკიდებულება საინტერესო კუთხით წარმოჩინდება. როგორც ტექსტიდან ვიგებთ, სამცხელ ერისთავს, მირიანს, „მძლავრს სამცხისა ერითა“ და „კურთხევითა მცირედთა ეპისკოპოსთა“, თავისი ძე არსენი, ხანცთის მონასტერში აღზრდილი და გრიგოლის მოწაფე, კათალიკოსად დაუდგენია. ამით განაწყენებულ ქართლის ეპისკოპოსებს და გუარამ მამფალს, რომელიც ისედაც „გულძვირად ყოფილა მირიანისათვის“, კრება მოუწვევიათ ჯავახეთში.

ამ პერიოდში კლარჯეთის მონასტრები დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. მათი პოზიცია გადამწყვეტი მნიშვნელობისა იყო ქართული ეკლესიის ცხოვრებაში. ასე რომ, ძნელი წარმოსადგენია მირიანს თვითნებობა გაეხედა კლარჯელ ბერებთან და, მით უმეტეს, გრიგოლ ხანძთელთან რომელიც განმგებელი იყო „ყოველთა უდაბნოთა“.

წმ. გრიგოლი მოგვიანებით მოვიდა კრებაზე და მისმა სიტყვამ „მოკლედ დააწყნარა შფოთი გრძლად მოსაცილებელი“. არსენის მოწინააღმდეგე სასულიერო პირებმაც კი წმინდანის სიტყვის შემდეგ დუმილი არჩიეს. ყველაზე აქტიურ ძალად გუარამ მამფალი დარჩა, რომელიც აშკარად ცდილობდა სულიერი მამებისთვის თავის ნების მოხვევას. ტექსტის ეს მონაკვეთი ძალზე მნიშვნელოვანი ადგილია. აქ კარგად ჩანს რაოდენ შეუვალი იყო ეკლესია საერო პირთა მიმართ. გუარამმა განაცხადა: ძალის გამოყენებით მღვდელმთავრად გახდომა სჯულის კანონის დარღვევააო და „აუგისა სიტყვანი განამრავლა“. წმ. გრიგოლმა კი უპასუხა, რომ ერისკაცს არა აქვს უფლება,

ჩაერიოს „წინამძღვართა მამათა განსაგებელში“ და მეტიც, გუარამი იმის ღირსადაც კი არ ჩათვალა, რომ მასთან არსენის კათალიკოსად კურთხევის კანონიერების შესახებ ემსჯელა.

ჯავახეთის კრებაზე გადაწყდა არსენის კათალიკოსად კურთხევის საკითხი. ამავე დროს, ეკლესიამ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა თავისი უფლებებისთვის ბრძოლაში.

ვფიქრობთ, რომ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის დამოკიდებულება დ. ლანგმა კარგად გადმოსცა ერთ-ერთ თავში, რომლის სათაურია: „ურთიერთობა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის“ („Relations between Church and state“). შესაბამისად, ამით აიხსნება თუ რატომ არ შეიტანა „ჯავახეთის კრება“ თარგმანში. ლანგის მიზანი იყო, როგორც მეცნიერს, აღეწერა იმდროინდელი ეკლესიის და სახელმწიფოს ვითარება, რაც მან კარგად გადმოგვცა ზემოთ მოხსენებულ თავში. აქედან გამომდინარე, მან ჯავახეთის კრების სიუჟეტის თარგმანში გადატანა მნიშვნელოვნად არ ჩათვალა.

იმ დროს სასწაულების აღსრულების უნარი წმინდანობის აუცილებელ დამახასიათებელ თვისებად ითვლებოდა, ამიტომაც ავტორი თხზულებაში 16 გვერდს მხოლოდ სასწაულებს უთმობს.

თუმცა, აგიოგრაფიული ტექსტებისთვის დამახასიათებელი სასწაულები დ. ლანგმა სრულად არ გადაიტანა. ვფიქრობთ, ამის მიზეზი არის ის, რომ მკვლევრების აზრით, ისინი მერჩულეს არ უნდა ეკუთვნოდეს. ისინი შეუტანია ბაგრატ ერისთავთა ერისთავს, ადარნესე კურაპალატის ძეს, „რომელმან ნეტარისა მამისა გრიგოლის ცხოვრებაჲ ესჴ განაახლა სასწაულთა შერთვით“-ო. სიტყვა „შერთვა“ ამტკიცებს, რომ „განმაახლებელს“ ცნობები სასწაულებზე თხზულების ბოლოში კი არ დაურთავს, არამედ შეუტანია შიგნით. იქ, სადაც თვით „ცხოვრების“ ავტორს სასწაულთა შესახებ ჰქონია ლაპარაკი. გიორგი მერჩულეს სასწაულები ბოლოში არ ჰქონდა მოქცეული,

სასწაულებზე ლაპარაკის შემდეგ მას ხანძთელი მამის უკანასკნელი დღეები აქვს აღწერილი (ჯავახიშვილი 1945: 119).

ტექსტების შედარებამ დაგვარწმუნა, რომ დ. ლანგის მიერ „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ შერჩეული ეპიზოდები საკმაოდ ზუსტად არის გადატანილი ინგლისურ ენაზე. თხრობა დინამიკური ეკვივალენტობის პრინციპით არის შესრულებული. რომელიც უპირველეს ყოვლისა, მიმართულია ეკვივალენტური რეაქციის გამოწვევისა და არა ეკვივალენტური ფორმის შემოთავაზებისკენ. აქვე შეგვიძლია დავიმოწმოთ ნაიდას მოსაზრება დინამიკურ ეკვივალენტობაზე, კერძოდ, დინამიკურ ეკვივალენტობაზე ორიენტირებული თარგანის ტიპების არსებობაზე. მისი თქმით, ასეთ თარგმანებში, ძირითადად, ყურადღების ცენტრშია არა იმდენად საწყისი შეტყობინება, არამედ მიმდების რეაქცია. დინამიკური ეკვივალენტობის პრინციპით შესრულებული თარგმანი შეიძლება აღვწეროთ როგორც ორი ენის მატარებელი სუბიექტის თარგმანი, რომელიც კარგად იცნობს ორივე შესაბამის კულტურას. ამ პრინციპით თარგმანი შეიძლება იყოს როგორც საწყის შეტყობინებასთან ყველაზე ახლოს მდგომი ბუნებრივი ეკვივალენტი, რადგან ასეთი თარგმანი, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია ეკვივალენტური რეაქციის გამოწვევაზე და არა ეკვივალენტური ფორმის შემოთავაზებაზე (Nida. 1969; 202).

ვეთახმებით, ნაიდას მოსაზრებას და მიგვაჩნია, რომ ლანგის მიზანი იყო ნათარგმნ ტექსტში გადმოცემა საწყისი იმფორმაცია, რომელიც ადეკვატურ რეაქციას გამოიწვევდა მკითხველში.

## თავი XI.

### ქართველი ათონელები

მოცემულ კრებულში - „Lives and Legends of the Georgian Saints“ - შესულია ათონელი მამების, კერძოდ, წმ. იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება. შესავალ ნაწილში, სახელწოდებით “THE GEORGIAN ATHONITES“, წარმოჩენილია წმ. მამების მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. აღნიშნული თარგმანით დ. ლანგმა ხელი შეუწყო ქართული კულტურის პროპაგანდას ევროპელი მკითხველის წინაშე. კერძოდ, მათ გაიცნეს IX-XII საუკუნეების ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობა და ისტორია, რომლებზეც მოგვითხრობენ ქართული მწერლობის ძეგლები. ამ მხრივ ლოგიკურია დ. ლანგის ინტერესი წმ. ათონელი მამებისადმი. აღსანიშნავია, რომ მე-10 საუკუნეში ბიზანტიური კულტურა აღმავლობის გზას დაადგა, განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია ბიზანტიურმა ლიტერატურამ. შემოქმედებით ასპარეზზე გამოვიდნენ გამოჩენილი მწერლები, რომელთაც ეპოქა შექმნეს არამარტო ბიზანტიური, არამედ საერთოდ, ქრისტიანული ლიტერატურის ისტორიაში. მათი მრავალმხრივი მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მუშაობის შედეგად ბიზანტიურმა ლიტერატურამ მსოფლიო სახელი და ავტორიტეტი მოიპოვა, ბიზანტია ქრისტიანული მწერლობის ცენტრად იქცა.

დ. ლანგი შესავალ ნაწილში ინგლისურენოვან მკითხველს განუმარტავს, რომ მეუდაბნოე მამები ათონის მთაზე (თესალონიკის აღმოსავლეთით, ეგეოსის ზღვაში მდებარე ნახევარკუნძული) უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ. რადგანაც დიდი სამონასტრო კერები საბოლოოდ მე-10 საუკუნეში დაფუძნდა, ათონი წარმოადგენდა მრავალენოვან თანამეგობრობას, რომელიც აერთიანებდა მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლის წარმომადგენლებს ბერძენ მოღვაწეებთან ერთად. მათ შორის ყველაზე გამორჩეულები ქართველი მოღვაწეები იყვნენ. ამის შესახებ მოთხრობილია

ივირონისა და ათონის ქართული მონასტრების დამაარსებლების ცხოვრების ეპიზოდებში“ (ლანგი 1956: 154) „From ancient times, hermits and ascetics have dwelt on mount Athos, that famous peninsula which just out into the Egean Sea to the east of Salonica, opposite the island of Lesbos. Since the great monastic foundations were finally established in the 10<sup>th</sup> century, Athos has been a polyglot community, including, besides the more numerous Greeks, representatives of the other principal nations of Orthodox Christendom. Prominent among of these were the Georgians, as is shown by the extracts from the lives of the founders of the Iviron or Georgian monastery on Athos which makes up this chapter.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საუბარი IX-XII საუკუნეების ქართულ-ბიზანტიურ ურთიერთობებზე. აღსანიშნავია, რომ ამ დროს ბიზანტიაში შესამჩნევად ამაღლდა განათლების დონე, განვითარდა ფილოსოფიური აზროვნება, აყვავდა ფილოლოგიური სკოლა, თანდათანობით მომზადდა ის ნიადაგი, რომელიც ევროპული რენესანსის ერთ-ერთ საფუძვლად იქცა (კეკელიძე 1957: 358).

ყოველივე ამას კარგად ხედავდნენ და სწორად აფასებდნენ ქართველები. ქართველმა მოღვაწეებმა აუცილებლად მიიჩნიეს ბიზანტიური კულტურის საფუძვლიანი გაცნობა, გულდასმით შესწავლა, შემოქმედებითად ათვისება და ქართულ სინამდვილეში გადმონერგვა. ამ მიზნით ისინი ბიზანტიის კულტურულ-საგანმანათლებლო კერებში დასახლდნენ, რათა იქიდან კარგად ედევნებინათ თვალი ბიზანტიელთა შემოქმედებითი საქმიანობისთვის და ყოველდღიურად შესძლებოდათ ყოველგვარი სიახლის დროულად გაცნობა-ათვისება. ამიტომაც IX—XI საუკუნეებში ბიზანტიის სხვადასხვა ადგილას (ოლიმპოზე, ათონზე, პეტრიწონში და ა.შ) საფუძველი ჩაეყარა ქართული კულტურის ცენტრებს, ზოგან ჩამოყალიბდა ლიტერატურული სკოლები, რომლებიც თავისებურად მიუდგნენ ბიზანტიური კულტურის ათვისების საკითხს. თავისებური მიდგომა კი აუცილებელი იყო, რადგან ბიზანტიელების ქედმაღლობა ყოველგვარ საზღვარს სცილდებოდა. მათ ვერც კი წარმოედგინათ, რომ სხვა ერის წარმომადგენლებიც შეიძლება ყოფილიყვნენ განათლებულნი და წიგნიერნი. ქართველებს კარგად ესმოდათ, რომ საჭირო იყო

ბიზანტიური კულტურის ათვისება, მაგრამ არა მონური ქედმოხრა და ბრმა მორჩილება, არამედ შემოქმედებითი მიდგომა — თავის შეკავება წამლეკავი გავლენისა და მექანიკური გამეორებისაგან და თავისთავადი სახის შენარჩუნება. ამ მიზნით მათ დაიწყეს მრავალმხრივი მუშაობა, რათა ბიზანტიური კულტურა შემოქმედებითად აეთვისებინათ, ყოველივე კარგი გადმოენერგათ, ეროვნული ლიტერატურა გაემდიდრებინათ და „ბარბაროსობისაგან“ თავის დასაღწევად ეროვნული სახე შეენარჩუნებინათ. ყოველივე ეს კულტურული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ნიშნით მიმდინარეობდა (კეკელიძე 1961: 110-111).

თავიანთი ინტენსიური მუშაობით ქართველმა მოღვაწეებმა შესამჩნევი წარმატებები მოიპოვეს. მოპოვებული წარმატებებით მათ ბიზანტიელთა დაცინვას თავი დააღწიეს. ამავე დროს, მათ გარკვეული კმაყოფილება დაეუფლათ ბიზანტიელების დონემდე კულტურული ამაღლებისა და ქედმაღალ პირებთან გატოლების გამო (კეკელიძე 1956: 8-9). აქედან გამომდინარე, ისინი მაღლიერების გრძნობით წერდნენ წმ. ექვთიმე ათონელზე „ნაკლულევანებაჲ ენისაჲ ჩუენისაჲ და რომელნი-ესე ბარბაროზ წოდებულ ვიყვნით ელენთა მიერ უსწავლელობისათჳს და უმეცრებისა ჩუენისა, მათ თანავე აღგურაცხა სიბრძნითა თჳსითა“ (აბულაძე 1967: 108).

საგულისხმოა, რომ თანდათანობით შესამჩნევი გახდა ქართველთა და (აღმოსავლეთის სხვა ხალხთა) გავლენა ბიზანტიელთა საზოგადოებრივი ცხოვრების არაერთ მხარეზე.

ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობა ასე წარმოგვიდგება: 1. ქართულ ენაზე შემონახულია ისეთი თხზულებები ბიზანტიური მწერლობისა, რომელთა ბერძნული დედნები დაკარგულია, მათი აღდგენა მხოლოდ ქართული თარგმანითაა შესაძლებელი; 2. ქართულ მწერლობაში შემონახულია ისეთი ცნობები ზოგიერთი ბიზანტიელი მწერლის შესახებ, რომლებიც ავსებენ და სრულიად ახალ ასპექტში აშუქებენ ამ მწერლების ცხოვრებასა და შემოქმედებას; 3. ქართულმა მწერლობამ შემოინახა ცნობები ბიზანტიური მწერლობის ისტორიაში სრულიად უცნობი მწერლების შესახებ; 4. ზოგიერთი ნაწარმოები ბიზანტიური ლიტერატურისა



ქართულ მწერლობაში გადმოვიდა ისეთი ვარიანტებით, რომელნიც სხვა აზრსა და მნიშვნელობას აძლევენ ამ ნაწარმოებებს. მეტიც, ქართველები მონაწილეობენ ბიზანტიური ლიტერატურის საკუთარი შემოქმედებით შევსება-გამდიდრებაში. ისინი თხზავდნენ ბერძნულ ენაზე ორიგინალურ ძეგლებს, თარგმნიდნენ ქართული ენიდან ბერძნულად და ა. შ. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წმ. ექვთიმე ათონელის მრავალმხრივი საქმიანობა.

ქართულ-ბიზანტიური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა, რომელსაც ხანგრძლივი ისტორია აქვს, ვითარდებოდა როგორც ბიზანტიაში, ასევე, საქართველოში. ამ ურთიერთობის განვითარებაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს საკუთრივ ბიზანტიის ტერიტორიაზე აღმოცენებულმა ქართული კულტურის კერებმა (ოლიმპმა, რომანამ, ათონმა, პეტრიწონმა და ა. შ. )

ძველი ქართული მწერლობის საზღვარგარეთულ კერათა შორის ეროვნული კულტურის განვითარებისთვის ყველაზე მეტი მნიშვნელობა ჰქონდა ათონის სავანეს, რომელიც გადაიქცა იმ წყაროდ, საიდანაც ჩვენში უხვად მოდიოდა მოწინავე კულტურის ნაკადი. თუ ქართული მწერლობა უაღრესად განვითარდა XI-XII საუკუნეებში, ეს ივერთა მონასტრის მეოხებითაც მოხდა, სადაც თავმოყრილი იყო ქართველთა საუკეთესო კულტურული ძალები, რომელთაც მიზნად დაისახეს, გაეცნოთ თავიანთ თანამემამულეთათვის დასავლეთის ლიტერატურული სიმდიდრე და მემკვიდრეობა. აქ ითარგმნა და გადაიწერა დიდი ნაწილი იმ ლიტერატურული საგანძურისა, რომლითაც სამართლიანად ამაყოფს ჩვენი ძველი მწერლობის ისტორია. აქ, ათონზე, განსაკუთრებით შეიქმნა და ჩამოყალიბდა სალიტერატურო, საგრამატიკო და საკალიგრაფიო სკოლა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს ისტორიაში. ერთი სიტყვით, არც ერთ სამონასტრო დაწერებულებას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონდა ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიაში, როგორც ათონის ივერთა მონასტერს. უიმისოდ ჩვენი კულტურის ისტორიას შეიძლება სხვა სახე და ხასიათი მიეღო“ (კეკელიძე 1955: 1-11).

## § 11. 1. ცხოვრება მამისა ჩვენისა იოანესი და ექვთიმესი და თხორობა მათი კეთილი საქმიანობისა

ათონის ქართველთა მონასტრის დაარსების ისტორიის შესასწავლად ყველაზე სანდო წყაროა გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრებად ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთვიმესი და უწყებად ღირსისა მის მოქალაქობისა მათისა“, რომელიც უაღრესი ნდობის ღირსია, მრავალმხრივ საინტერესოა, ღრმა და მაღალი საზოგადოებრივი და ეროვნული აზრებით გამსჭვალულია. საუცხო ქართულით და მომხიბლავი გულწრფელი კილოთი ნაწერი, იგი სამართლიანად ძველი საისტორიო მწერლობის საუკეთესო ძეგლად უნდა ჩაითვალოს“ (ი. ჯავახიშვილი). მომდევნო ხანაზე საინტერესო ცნობებს ვპოულობთ გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფიაში - „ცხოვრებად და მოქალაქეობად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა გიორგი მთაწმინდელისა“.

დ. ლანგის ზემოაღნიშნული თარგმანები თანამედროვე ინგლისური ენით არის შესრულებული და მეტისმეტად შემოკლებულ, ადაპტირებულ ვერსიას წარმოადგენენ. შესაბამისად, დ. ლანგი თარგმნილი ეპიზოდების დასაწყისში მიუთითებს, რომ აღნიშნული თარგმანი შესრულებულია თხზულებიდან - „ცხოვრება მამისა ჩუენისა იოანესი და ექვთიმესი და თხორობა მათი კეთილი საქმიანობისა, რომელიც აღწერილ იქნა გლახაკისა გიორგის მიერ ხუცეს-მონაზონისა“ (“From : — The life of our Fathers John and Euthymius and Recital of their virtuous work, described by the wretched George, the priest and monk”) (Lang 1956: 155) ხოლო „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“ თარგმნილია თხზულებიდან - „ცხოვრება და მოღვაწეობა წმიდისა და ნეტარის მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმინდელისა“ (“From : — The life and Acts of our Holy and Blessed Father, George the Athonite”) (Lang 1956: 165).

„წმ. იოანე და ექვთიმე ათონელების ცხოვრების“ ქართული და ინგლისური ტექსტების შედარებამ ცხადყო, რომ ეს თარგმანიც დინამიკური ეკვივალენტურობით არის

შესრულებული და საკმაოდ შემოკლებულ ვერსიას წარმოადგენს. ლანგმა თხზულებიდან ამოკრიბა ძირითადი ეპიზოდები, თავისი შეხედულებისამებრ დაალაგა და დაასათაურა ისინი. მეტი სიცხადისთვის ქვემოთ მოგვყავს ლანგის მიერ გამოყოფილი თავების ინგლისური სახელწოდებები და მათი ქართული შესატყვისები:

- 1) “John adopts the monastic vocation” – “იოანე ითვისებს სამონასტრო საქმიანობას“ (Lang 1956: 156).
- 2) “John and Euthymius reach Mount Athos” - „იოანეს და ექვთიმეს ჩამოსვლა ათონის მთაზე“ (Lang 1956; 157).
- 3) “Adventures of John Tornik, the soldier-monk” სამხედრო - ასკეტის, იოანე-თორნიკეს, თავგადასავალი (Lang. 1956: 157).
- 4) “Building of the Iviron monastery” - “ივერთა მონასტრის მშენებლობა“ (Lang 1956: 159).
- 5) „Tornik’s last days“- „თორნიკეს უკანასკნელი დღეები“ (Lang 1956: 159).
- 6) “John prostrated with gout, and dies”-“იოანეს ნეკრისის ქარით დაუძლურება და გარდაცვალება“ (Lang 1956: 160).
- 7) “Fruitful labours of Euthymius”-„ექვთიმეს ნაყოფიერი შრომა“ (Lang 1956: 161).
- 8)“Euthymius goes to Constantinople and meets with a fatal accident”-“ექვთიმეს კონსტანტინოპოლში გამგზავრება და საბედისწერო შემთხვევა (Lang 1956: 163).

ამ შემთხვევაშიც, დ. ლანგმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭა როგორც თვითონ ნაწარმოების, ასევე, ცალკეული მონაკვეთების დასათაურებას. ლანგისეულ სახელწოდებებს მკითხველი თავიდანვე შეჰყავს შესაბამისი ნაწარმოების პრობლემატიკაში.

მაგალითისთვის განვიხილოთ ერთ-ერთი თავი: „John adopts the monastic vocation” (“იოანე ითვისებს სამონასტრო საქმიანობას“, Lang 1956: 156). ეს თავი მეტად მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ აქ დ. ლანგი საუბრობს წმ. იოანე

მთაწმინდელის შესახებ. ის, ორიგინალის მსგავსად, ადეკვატურად ახასიათებს წმ. იოანე მთაწმინდელს. თარგმანში აღწერილია როგორც იოანეს გამორჩეული აღნაგობა, ასევე მისი ადამიანური თვისებები და მორჩილება ღვთისადმი: „Our blessed father John was Georgian by birth, of noble parents and distinguished ancestors. He was eminent among the princes of David the Kuropalates [d. 1001], strong and vigorous and renowned in battle, tall and handsome in stature, wise in mind and of good counsel, filled with the fear of God and with all manner of good works, and singled out for special affection by David the Kuropalates of pious memory (Lang 1956: 156).

ამავე თავში საუბარია იოანეს ჩამოსვლის შესახებ ოლიმპოს მთაზე, სადაც ის მნიშვნელოვან დროს უთმობს სამონასტრო საქმიანობას — მოთმინებით უვლის ჯორებს და სხვა უპატიო საქმიანობასაც თავმდაბლობით ასრულებს.

აქვე დ. ლანგი საუბრობს ბიზანტიის მეფის მიერ დავით კურაპალატისათვის მიწების მიცემის შესახებ, რის სანაცვლოდაც მან კურაპალატისგან აზნაურთა შვილები ითხოვა მძევლად.

შემდგომი თავი, რომელიც დ. ლანგმა ასე დაასათაურა: “John and Euthymius reach Mount Athos” – („იოანეს და ექვთიმეს ჩამოსვლა ათონის მთაზე“ Lang 1956: 157), მოგვითხრობს, თუ როგორ წაიყვანა იოანემ თავისი შვილი ექვთიმე და დასახლდა ათონის მთაზე, ათანასე დიდის ლავრაში, სადაც მან ორი წელი გაატარა.

მეტად მნიშვნელოვანია შემდეგი ეპიზოდი, რომლის სათაურია „Adventures of John Tornik, the soldier-monk” („სამხედრო ასკეტის - თორნიკეს და იოანეს თავგადასავალი, Lang. 1956; 157). ჯერ კიდევ შესავალ წერილში დ. ლანგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ძეგლში აღწერილია დიდგვაროვანი ფეოდალის, ბარდა სკლიაროსის, ამბოხებისა და ქართველი ბერის იოანეს, ერობაში თორნიკე ერისთავის, მიერ, მისი დამარცხების შესახებ რომელიც ქართლის მეფის, დავით კურაპალატის, არმიას სარდლობდა (Lang 1956: 154).

ქართულსა და უცხო საისტორიო წყაროებში კარგადაა ცნობილი ბარდა სკლიაროსის ამბოხება, რომლის ჩაქრობაში ქართულმა ხმალმა კიდევ ერთხელ ასახელა საქართველო და ბიზანტიის ერთ-ერთი სამეფო დინასტია განადგურებისაგან იხსნა.

ამ თავში მოთხრობილია თუ როგორ აუჯანყდა მცირე აზიელი ფეოდალი ბარდა სკლიაროსი ბიზანტიის მცირეწლოვან უფლისწულებს — ბასილსა და კონსტანტინეს 976 წელს. ეს თავი მეტად მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ დ. ლანგმა დედნის მსგავსად აღწერა და დაათარიღა ეს ეპიზოდი, მაშინ, როცა ზოგჯერ მაინც მიჩქმალულია და უგულვებელყოფილია სკლიაროსის ამბოხების ჩახშობაში ქართველთა მონაწილეობა (ვ. ვასილევსკი, გ. ოსტროგორსკი, მ.ლევჩენკო და სხვა). არასწორად და არაზუსტადაა ახსნილი სკლიაროსის დამარცხების მიზეზი სსრ. კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის კოლექტიურ ნაშრომში, რომელშიც ერთობ ყრუდ იხსენიება ქართველთა მონაწილეობა 979 წლის ბრძოლაში (მენაბდე 1980: 185-247).

ამბოხების ისტორია ასეთია: 976 წელს აღმოსავლეთის ერთ-ერთმა დიდმა ფეოდალმა ბარდა სკლეროსმა თავი მოუყარა და აამხედრა ყველა უკმაყოფილო ელემენტი საბერძნეთის მეფის წინააღმდეგ და ისეთი წარმატებით დაიწყო ბრძოლა, რომ სამი წლის განმავლობაში იმპერიის ნახევრის, აზიური პროვინციების, ბატონ-პატრონი გახდა, ხოლო 978 წელს ნიკეაც დაიპყრო და კონსტანტინეპოლს აზიაში უკანასკნელი დასაყრდენი პუნქტიც გამოაცალა. თვით კონსტანტინეპოლში ამ მოახლოებული საშიშროების გამო გამეფდა შიში და სასოწარკვეთილება, გაჩაღდა ძმათაშორისი ბრძოლა, რასაც იმდროინდელი ქართველი მოღვაწე საბა ასე აგვიწერს: „... მეფობასა ბასილისსა და კონსტანტინესსა, პატრიარქობასა ანტონისსა და ფიცხლად განდგომილებასა ბარდა სკლიაროსმა, ჭირსა (=გასაჭირსა უბედურებასა) დიდსა საბერძნეთსასა, ოჭრებასა გლახაკთასა აწყუედასა ჭაბუკთა საუწყალოდ. ურთიერთას მახვლითა ძმაძმასა ზედა და მამაძმასა შვილსა ზედ. ესე ყოველი იქმნებოდა ამას რად წიგნსა ვწერდი, ხოლო თუ ძლევად ვის მიეცემოდა, არავინ უწყოდა თვნიერ უფლისა,

ყოველნივე ურთიერთას ეკუთვებოდეს სიტყვთ და საქმით, მცირენი და დიდნი ყოველნი იბრძოდეს“ (ქორდანია 1948: 293).

ამ განსაცდელის დროს ბიზანტიის სასახლეში, ფოკას წინადადებით, წარმოიშვა იდეა, ეთხოვათ დახმარება ქართველთა მეფის, დავით კურაპალატისათვის. ამ საქმის შუამავლად შეარჩიეს ათონის ივერთა მონასტრის ბერი, ყოფილი მხედართმთავარი იოანე, ერისკაცობაში თორნიკე, რომელსაც წერილი მისწერეს და სთხოვეს, მათთან მისულიყო. როცა თორნიკე სასახლეში მივიდა, იგი მოწიწებით მოიკითხეს და დიდი პატივით მიიღეს. დედოფალმა თეოფანამ, მისთვის (თორნიკესათვის) რომ თავი შეებრალეზინა, თავისი მცირეწლოვანი უფლისწულები: ბასილი და კონსტანტინე ფეხებში ჩაუყარა და მუდარით სთხოვა: „შრომაჲ თავს იდევ და რომლითაცა სახითა გნებავს, წარვედ კურაპალატისა წინაშე და ყოველი ჭირი ჩუენი აუწყე, და ვესავ ღმერთსა (=იმედი,რწმენა მაქვს ღვთისადმი), რომელ იოტოთ (=გააქციოთ) იგი უღმრთოდ სკლიაროსი და ჩუენ ჭირისაგან განგუარინეთო“ (=გასაჭირს მოგვაშორეთო) (აბულაძე 1967: 47).

თორნიკე, მართალია, დიდ უარზე იდგა, მონაზვნობას იმიზეზებდა, მაგრამ მხედველობაში მიიღო ისიც, რომ ურჩობას შეიძლებოდა ცუდი შედეგები მოჰყოლოდა ათონის მონასტრისათვის. ის დათანხმდა და „ვედრების წიგნებით“ ეახლა საქართველოში კურაპალატს. ამ უკანასკნელისთვის სასიამოვნოც კი იყო ბიზანტიის კეისრის თხოვნა, მან შეკრიბა 12,000 რჩეული მხედარი და თორნიკეს მხედართმთავრობით გაისტუმრა სკლიაროსის წინააღმდეგ. 12,000 გულადი მეომრით ნაცადმა სარდალმა თორნიკემ სასტიკი დამარცხება აწვინა მოწინააღმდეგის ჯარს, „აოტა სკლიაროსი, და ვიდრე სპარსეთამდე მეოტად წარიქცია“, მან დიდძალი ნადავლი იგდო ხელთ და ძლევამოსილი უკან, ათონზე, დაბრუნდა.

როგორც აღვნიშნეთ, ეს ეპიზოდი იმ მხრივ არის მნიშვნელოვანი, რომ ლანგმა, როგორც მეცნიერმა და მკვლევარმა, საჭიროდ ჩათვალა, გამოეყო და დაესათაურებინა

ბარდა სკლიაროსის ქართველების მიერ დამარცხების ეპიზოდი და მეტი სიზუსტისთვის მართებულად დაეთარილებინა იგი.

**„Building of the Ivron Monastery“** - (ივერიის მონასტრის მშენებლობა ათონზე“ Lang 1956: 159), მეტად საამაყო ისტორიაა. აქ მოთხრობილია ქართველი მოღვაწეების: იოანეს, ექვთიმეს და თორნიკეს შესახებ, რომელთა სახელებს უკავშირდება ქართული მონასტრის მშენებლობა ათონზე. მეტიც, დ. ლანგმა დაათარიდა მონასტრის მშენებლობის ეპიზოდიც და ამით დააზუსტა იგი (A. D. 980-83).

რაც შეეხება ივერიის მონასტრის მშენებლობის დ. ლანგის მიერ დასახელებულ თარიღს, ის ემთხვევა კ. კეკელიძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას. კ. კეკელიძის თქმით, „ივერიის მონასტრის მშენებლობა უკავშირდება ბარდა სკლიაროსის დამარცხებას, რამაც ათონის ქართველებს ხელში ჩაუგდო განძი და მატერიალური რესურსები მისცა განზრახული საქმის დაწყებისათვის. კეკელიძისავე აზრით, ის გარემოება, რომ ქართველებს ორჯერ გაუღიათ განძი „საშუალისათვის“ 980 და 983 წწ., მაჩვენებელი უნდა იყოს იმისა, რომ 980 წელს მათ აუღიათ ნებართვა და ხელი მიუყვიათ შენებისათვის, ხოლო 983 წელს დაუმთავრებიათ და დამოუკიდებელ ერთეულად დაუწყიათ ათონზე ცხოვრება (კეკელიძე 1945: 224).

**“Tornik’s last days“** („თორნიკეს უკანასკნელი წლები“). ამ თავში ლანგი საუბრობს თორნიკეს მიერ დიდძალი განძის მოპოვების თაობაზე. ის, ორიგინალის მსგავსად, ხაზგასმით ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც თორნიკემ დაამარცხა ბარდა სკლიაროსი, მონასტერში დაბრუნდა დიდძალი ქონებით: „ათორმეტისა კენდინარისა მოიღო განძი ოდენ“ (აბულაძე 1967: 50) (კენდინარი-100 ლიტრა; ათორმეტი კენდინარი - 1200 ლიტრა), რომელთაგანაც ყოველივე თავის სულიერ მამას მისცა, თავისთვის კი არაფერი დაიტოვა. ლანგმა ორიგინალის მსგავსად აღწერა განძის რაოდენობა. აქვე აღწერილია თუ როგორ ემორჩილებოდა იგი იოანეს განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც იოანემ გაიგო, რომ თორნიკე თავის საომარ საქმეებზე ხშირად გარშემომყოფებს ესაუბრებოდა, მოძღვარმა მას თავშეკავებისკენ მოუწოდა, თვალცრემლიანმა

თორნიკემ კი შენდობა სთხოვა. იმ დროიდან მოყოლებული ის მონასტრის ძმებს თავის საბრძოლო რეალიებს აღარ უყვებოდა (ლანგი 1956: 160).

აქვე საინტერესოა ის ფაქტი, რომ დ. ლანგს დათარიღებული აქვს თორნიკეს გარდაცვალების პერიოდი. მისი თქმით, თორნიკე გარდაიცვალა 984 წელს (A. D. 984).

მნიშვნელოვანია ქართველი მეცნიერის, კ. კეკელიძის, მოსაზრება თორნიკეს გარდაცვალებასთან დაკავშირებით. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ თორნიკეს გარდაცვალების თარიღის დადგენისთვის მხედველობაში უნდა მივიღოთ ბიოგრაფის სიტყვები: „შემდგომად თორნიკეს სიკუდილისა ათცამეტსა ინდიქტიონსა“, საიდანაც ჩანს, რომ თორნიკე გარდაცვლილა უფრო ადრე თუ არა, მეცამეტე ინდიქტიონს, ესე იგი 985 წელს მაინც (კეკელიძე. 1945: 225).

**“John prostrated with gout, and dies”** (“იოანეს ნეკრესის ქარისაგან დაუძლურება და გარდაცვალება“). შემთხვევით არ არის ის, რომ ლანგმა თორნიკეს გარდაცვალების შემდეგ აღწერა იოანეს გარდაცვალების ეპიზოდი, გარდაიცვალა თუ არა თორნიკე, „შემდგომად მცირედისა ჟამისა იოანე ნიკრისისა სენსა შთავარდა და მრავალთა წელთა ცხედარსა ზედა დავრდომილი მდებარე იყო და ფრიადთა ტკივილთა მოითმენდა“ (აბულაძე 1967: 55).

ამ სათაურით დ. ლანგმა მოკლედ ისაუბრა იოანეს ნეკრესის ქარით დაუძლურებისა და მის მიერ მთელი ძალაუფლების შვილისათვის გადაცემის თაობაზე. საინტერესოა ლანგის მოსაზრება იოანეს გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით, რომელიც ორიგინალში არ მოგვეპოვება. დ. ლანგი თარგმანში აღნიშნავს, რომ მამა იოანე გარდაიცვალა 1005 წელს, 14 ივნისს. ქართული ისტორიოგრაფიისთვის ეს თარიღი მეტად მნიშვნელოვანია, რადგანაც, სხვა თუ არაფერი, იოანეს გარდაცვალებით თარიღდება დასაწყისი მისი შვილის, ექვთიმეს, მამასახლისობისა. კეკელიძე თავის ნაშრომში არგუმენტირებულად ასკვნის, რომ იოანე გარდაიცვალა 1002 წლის შემდეგ, დაახლოებით 1005 წელს.



როგორც ჩანს, დ. ლანგი იზიარებს კ. კეკელიძის მოსაზრებას იოანეს გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით, რადგანაც ჩვენს ისტორიოგრაფიაში, ყოველგვარი საბუთის გარეშე, ამ წმ. მამის გარდაცვალების თარიღად 998 წელი მიაჩნიათ (კეკელიძე 1945: 226).

**“Fruitful labours of Euthymius”** (“ექვთიმეს ნაყოფიერი მოღვაწობა“). ასე დაასათაურა დ. ლანგმა ექვთიმეს მართლაცდა დიდი ღვაწლი არა მხოლოდ ქართული, არამედ ბედნული კულტურის ისტორიაში. ამ თავში საუბარია, თუ როგორ განანათლა წმ. იოანემ თავის შვილი და ასწავლა მას ბერძნული ენა. შემდეგ კი მოუწოდა, გაემდიდრებინა ქართული ენა მწიგნობრული საქმიანობით.

ორიგინალის მსგავსად, დ. ლანგი დინამიკური ეკვივალენტურობით აღწერს ექვთიმეს ღვაწლს და შეუსვენებელ მთარგმნელობით საქმიანობას. დ. ლანგი აქვე მოუთხრობს მკითხველს, რომ უმრავლესობა მისი წიგნებისა ეგზავნებოდა დავით კურაპალატს, რომელმაც ის იოანე ოქროპირს შეაძარა.

ამავე თავში დ. ლანგმა უკლებლივ წარმოაჩინა ყველა იმ წიგნის სათაური, რომელიც თავის დროზე წმ. ექვთიმემ თარგმნა.

დ. ლანგი მოკლედ ახასიათებს წმ. ექვთიმე ათონელს, შეკუმშულად გადმოსცემს ტაძარში მისი მსახურების შესახებ.

ზემოთ დასახელებული ეპიზოდის დ. ლანგისეული თარგმანი გვიჩვენებს, რომ ექვთიმეს ცხოვრება-მოღვაწეობაში მთავარი და არსებითი ლიტერატურულ-შემოქმედებითი საქმიანობა იყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ იგი მოწოდებით გამოვიდა შემოქმედებით ასპარეზზე. მას წილად ხვდა დიდი პატივი ათონის ლიტერატურული სკოლის დაარსებისა. არსებითად მის სახელთანაა დაკავშირებული ამ სკოლის ჩამოყალიბება და მისი საქმიანობის წარმართვა, ბიზანტიურ კულტურასთან ქართული მწერლობის შემდგომი დაახლოება და

ეროვნული საგანძურის გამდიდრება, ბიზანტიური ლიტერატურული ტრადიციების გადმონერგვა ჩვენს სინამდვილეში.

“Euthymius goes to Constantinople and meets with a fatal accident” (“ექვთიმეს კონსტანტინოპოლში გამგზავრება და საბედისწერო შემთხვევა“, გვ. 163-165).

ამ თავში საუბარია ათონის მთაზე ბერებს შორის მომხდარი არეულობის შესახებ, რომლის შესახებაც ეუწყა მეფე კონსტანტინეს. საუბარია ექვთიმეს ჩასვლის შესახებ კონსტანტინეპოლში და მის შეხვედრაზე მეფესთან. ასევე დედნის მსგავსად აღწერილია ექვთიმეს საბედისწერო გარდაცვალება, რომელიც უკავშირდება ავზნიან სახედას (ლანგი 1956: 165).

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ეპიზოდის შემოკლების გამო თარგმანში არ გვხვდება ბერძნების მიერ ათონის მთაზე მოწყობილი არეულობის ამბავი. მას შემდეგ, რაც ექვთიმემ მონასტრის წინამძღოლობა მიატოვა, მან წინამძღვრად გიორგი I (1019 — 1029) დანიშნა. გიორგიმ შეცვალა იოანეს და ექვთიმეს მიერ შემოღებული წესები, მონასტერში ბერძნული ელემენტი გაამრავლა, ამ უკანასკნელთ დაიწყო ქართველი ბერ-მონაზვნების ჩაგვრა და განდევნა. ბოლოს გიორგი I-ს რომანოზ არგვირას წინააღმდეგ შეთქმულებაში დასდეს ბრალი, რის გამოც კუნძულ მონოვატზე გააძევეს.

თარგმანში არ არის მოხსენიებული გრიგოლი (1029 -1039წწ.), რომელიც ექვთიმემ გიორგი I-ის შემდეგ მამასახლისად აირჩია. ის (გრიგოლი) „იყო ნავთსაყუდელ ქართველთა ნათესავისა და მათი ნუგეშინისმცემელი“ ათონზე. მან თავის თავზე გადაიტანა სიმკაცრე და სისასტიკე ბერძენთა არაერთგზის შეტევისა. მიხეილ მე-4 პაფლადონელის გულისხმიერებითა და დახმარებით მან უკუაგდო ბერძენთა შეტევა ქართველებზე.

არაფერია ნათქვამი არსენზე, რომელიც იყო „კაცი მარჯუე და სავსე გონიერებითა, რომელმან იგი არა შეიწყალა თავი თვისი, არამედ ყოველივე მოსწრაფებად აჩუნა დამტკიცებისა ჩუენისათვის“ (აბულაძე 1967: 96). ის იყო მაჯვენა ხელი გრიგოლისა

ბერძნებთან ბრძოლაში, რისთვისაც „იგუმაცა და მრავალი შრომა დაითმინა და საპყრობილედ შეწყუდევა და კიცხვა და ბასრობაჲ (აბულაძე 1967: 97). მის დროს მოხდა მეორე სასტიკი შეტევა ბერძნებისა ათონზე იმ მიზნით, რომ თუ მთელი მონასტერი არა, დიდი ეკლესია მაინც წაერთმიათ ქართველებისთვის (აბულაძე 1967: 97). მაგრამ თესალონიკში ჩამოსულმა მიხეილ პალეოლოღმა გამართა ბჭობა და საქმე ქართველების სასარგებლოდ გადაწყდა (აბულაძე 1967: 99).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ცხოვრება იოანესი და ეფთვიმესი“ წარმოადგენს შემოკლებულ თარგმანს, სადაც დ. ლანგმა თავის შეხედულებისამებრ შეარჩია, დაასათაურა და თარგმნა ეპიზოდები. დ. ლანგმა, როგორც მკვლევარმა და მეცნიერმა, საჭიროდ ჩათვალა, ევროპელი მკითხველისთვის გაეცნო X საუკუნის ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობები, რომლითაც სამართლიანად ამაყობს ჩვენი ძველი მწერლობის ისტორია.

## **§ 11. 2. ცხოვრება და მოღვაწეობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა გიორგი მთაწმინდელისა**

ამავე თავში დ. ლანგი საუბრობს „წმ. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების“ მნიშვნელობაზე. შესავალ წერილში ის წერს, რომ თხზულება განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან მასში მოთხრობილია ანტიოქიის პატრიარქთან წმ. გიორგი მთაწმინდელის დავა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის ანუ დამოუკიდებლობის მინიჭებასთან დაკავშირებით. ის ხაზგასმით აღნიშნავს ანდრია მოციქულის საქართველოში შემოსვლასა და მოციქულ სიმონ კანანელის აფხაზეთში დაკრძალვის შესახებ. ეს ფაქტი ქართული ეკლესიის ისტორიკოსების დიდ ინტერესს იწვევს. დ. ლანგი მეტად საინტერესო ფაქტად მიიჩნევს იკონოკლასტურ პერიოდში (მე-8 ს.) მცხეთის საპატრიარქო კათედრალში გოთების ეპისკოპოსის, იოანეს, კურთხევას

მაშინ, როცა "მთელ საბერძნეთში ერთი მართლმადიდებელი აღმსარებელიც კი არ მოიძებნებოდა" (ლანგი 1956: 154-155).

საქართველოს ეკლესია სამოციქულოა, რადგანაც ჩვენში ქრისტიანობა მოციქულებმა გაავრცელეს. ამ გზის წინამძღოლი წმ. ანდრია პირველწოდებული იყო, რომელიც ქართულ საეკლესიო ტრადიციაში პირველმქადაგებლის სახელწოდებით იხსენიება.

მოციქულთა ქადაგება ეკლესიის ავტოკეფალიის ერთ-ერთი მთავარი საფუძველია. ამავე დროს, ყველა ავტოკეფალური ეკლესია თანასწორუფლებიანია ერთმანეთის მიმართ იმის მიუხედავად, მათ თავიანთი ავტოკეფალია უშუალოდ მოციქულებისაგან მიიღეს, თუ მათ მიერ დაარსებული ეკლესიების მეშვეობით (ჯაფარიძე 2009: 131).

ქართლში (იბერიაში) ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად მირიან მეფის დროს გამოცხადდა. საქართველოს ეკლესია იერარქიულად ანტიოქიის ეკლესიას დაექვემდებარა და დამოუკიდებლობა მოგვიანებით, ვახტანგ გორგასლის დროს მიიღო, რაც დაადასტურა კონსტანტინოპოლის VI კრებამ (680 წ.): „ბრძანეს ესრეთ წმიდისა ეკლესიისა საქართველოსათვის, რომელ არს წმიდა მცხეთა, რათა იყოს სწორ პატივთა, ვითარცა სამოციქულო კათოლიკე ეკლესიანი“ (გოილაძე 1991: 189).

XI საუკუნეში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია ეჭვქვეშ დადგა, რადგან არსებობდა აზრი, რომ ავტოკეფალიის უფლება მხოლოდ იმ ეკლესიებს აქვთ, რომლებიც მხოლოდ მოციქულებმა დააარსეს, საქართველოს ეკლესია კი, ანტიოქიის იმჟამინდელი მესვეურების აზრით, არ იყო მოციქულთა მიერ დაარსებული. ანტიოქიის პატრიარქთან გამართული დისკუტის დროს საეკლესიო დამოუკიდებლობის დაცვა წმ. გიორგი მთაწმინდელმა შეძლო და ყველა არგუმენტი „ანდრია მოციქულის მიმოსვლის“ ტექსტიდან მოიყვანა, რომელიც ქართულ ენაზე მისმა დიდმა წინამორბედმა ეფთვიმე ათონელმა თარგმნა. ეს ტექსტი ადასტურებს, რომ საქართველოში ქრისტიანობა იქადაგა სამმა მოციქულმა: ანდრია პირველწოდებულმა, სიმონ კანანელმა და მატათამ.

საქართველოს ქრისტიანიზაციისა და მოციქულთა ქადაგების ისტორია საუკუნეების გამწვანებაში იზიდავდა ქართველ თუ უცხოელ მეცნიერებს. ამ მხრივ დიდი ინტერესი გამოხატა დ. ლანგმა, რომელმაც თავის თარგმანებში გადაიტანა სწორედ ის ეპიზოდი, რომელიც ასახავს დავას გიორგი მთაწმინდელსა და ანტიოქიის პატრიარქს შორის ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებით.

ეს თარგმანიც დინამიკური ეკვივალენტურობით არის შესრულებული. აქ მოთხრობილია, თუ როგორ დასდეს ბრალი ბერძნებმა ქართველ მამებს საეკლესიო კანონების დარღვევაში და როგორ ამხილეს ანტიოქიის პატრიარქთან. ბერძნები მიიჩნევდნენ, რომ საქართველოში არც ერთ მოციქულს არ უქადაგია და ამის გამო ქართული ეკლესია არ იყო რომელიმე მოციქულთაგან დამტკიცებული სამწყსო და იგი უსათუოდ უნდა დამორჩილებოდა რომელიმე პატრიარქის გამგეობას.

უპირველესად უნდა აღინიშნოს ის, რომ დ. ლანგმა „წმ. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“ სრულად არ თარგმნა. როგორც ტექსტების შედარებამ გვაჩვენა, მან მხოლოდ ერთი, მისთვის მნიშვნელოვანი ეპიზოდის თარგმანი შემოგვთავაზა და თავისი შეხედულებისამებრ დაასათაურა: „დავა გიორგი მთაწმინდელსა და ანტიოქიის პატრიარქს შორის ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით“ „Disputation between Georgian the Athonite and the Patriarh of Antioch, Concerning the Autonomy of the Georgian Church” (Lang 1956: 165).

დ. ლანგმა ამ ეპიზოდის თარგმნით მხარი დაუჭირა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობას, მეტიც, წიგნის წინასიტყვაობაში აღნიშნა, რომ ქართული ეკლესია სულ მცირე თექვსმეტ საუკუნეს ითვლის და მთელი ამ ხნის განმავლობაში ის ყოველთვის იცავდა ქრისტიანულ აღმსარებლობას.

## თავი XII.

### წამება ქეთევან დედოფლისა

წმ. ქეთევან დედოფლის წამება დიდ ისტორიულ მოვლენად რჩება, რომელიც უკავშირდება არამარტო საქართველოს წარსულს, არამედ მსოფლიოში მიმდინარე ისტორიულ პროცესებს.

თურქეთისა და სპარსეთის ორი ურწმუნო იმპერია, რომელიც ერთმანეთს საშინელად ემტერებოდა ერთიმეორის დათრგუნვას ცდილობდა. XVI საუკუნეში ეს მტრობა გამწვავდა და ზღვარს მიაღწია. ზემოხსენებული იმპერიების მესვეურთა აზრით, საბოლოოდ გაიმარჯვებდა ის იმპერია, რომელიც საქართველოს ტერიტორიას დაიპყრობდა. აქედან გამომდინარე, ჩვენი ქვეყანა თურქეთსა და სპარსეთს შორის განხეთქილების ვაშლად იქცა. ეს ორი სახელმწიფო იმასაც ფიქრობდა, რომ საქართველოში ფეხს ვერ მოიკიდებდა, თუ იქ ქრისტიანული რელიგია იქნებოდა. ამრიგად, ადვილი წარმოსადგენია ის საშინელებანი, რაც ამ ორმა ქვეყანამ საქართველოს დაატეხა.

მას შემდეგ, რაც თურქებმა კონსტანტინოპოლისა და ტრაპიზონის ბერძნული იმპერიები დაამხეს, ვერაფერმა შეძლო მათი დამანგრეველი სვლის შეჩერება. განსაკუთრებული მდგომარეობა შეიქმნა აღმოსავლეთში. ისინი სწრაფად მიიწევდნენ წინ, საქართველოსკენ. ქართველებმა ჯარების სიმცირის გამო ურიცხვ მტერთან მრავალი ბრძოლა წააგეს.

მათ ენით აღუწერელი სიმამაცით დაიცვეს თავიათი რწმენა და სამშობლო, მშობლიური მიწის თითოეული გოჯი, მაგრამ განუწყვეტელი შემოსევების დროს ბოლოს და ბოლოს ისინი მტრის სიმრავლემ დაჯაბნა.

თავის მხრივ არც სპარსეთი იჩენდა ნაკლებ სისასტიკეს თავისი განზრახვის აღსასრულებლად. ეს განზრახვა აღმოსავლეთ საქართველოს დარბევას გულისხმობდა, მტერი სულ უფრო უახლოვდებოდა მის საზღვრებს.

როგორც ცნობილია, სპარსეთის შაჰები გამუდმებით ჯიჯგნიდნენ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილს. ამ დროს სპარსეთს განაგებდა შაჰ-აბას დიდი (1557-1628), რომელიც ტირანობითა და ქრისტიანობისადმი სიძულვილით ბევრად აღემატებოდა თავის წინამორბედებს. ზემოთ მოხსენიებული უბედურებანი ვერც კი შეედრება იმ საშინელებას, რაც ამ ტირანმა საქართველოს ეკლესიასა და ქართველ ერს თავს დაატეხა, - წერს ანტუან დე გოვეა პორტუგალიელი, რომელიც ჯერ სპარსეთის დესპანი იყო, ხოლო 1610 წლიდან - მისიონერი (**თამარაშვილი 1991: 534-535**).

წმ. ქეთევან დედოფლის ეროვნულ-სარწმუნოებრივი ღვაწლი ქართული სულის მარადიულობის სიმბოლოა. XVII ს-ის დასაწყისში, 1624 წლის 12 სექტემბერს, ირანის ქალაქ შირაზში, შაჰ-აბას I- ის ბრძანებით ქეთევან დედოფალი მართლმადიდებლური სარწმუნოების ერთგულებისათვის აწამეს. ამ ფაქტმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა მთელ ქრისტიანულ სამყაროში. ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ქეთევანი, კახეთის დედოფალი, წამებისთანავე წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ 26 (ძვ. სტილით 13) სექტემბერი დაადგინა. ქართველი დედოფლის მოწამებრივი სიმტკიცე, მისი თავგანწირვა ქრისტიანული სარწმუნოებისათვის საქართველოს გადარჩენის სიმბოლოდ აღიქმებოდა. XVII ს-დან XIX ს-ის დასაწყისამდე ქართული მწერლობის 17-მა წარმომადგენელმა სხვადასხვა ჟანრში წმ. ქეთევანის ღვაწლს 22 ლიტერატურული თხზულება მიუძღვნა. XVII ს-ის დასაწყისში, მაჰმადიანური და ქრისტიანული სამყაროს უკიდურესი დაპირისპირებულობის ეპოქაში, ქართველი დედოფლის მსხვერპლშეწირვის ფაქტმა ქრისტიანულ რელიგიას დიდი მნიშვნელობა შესძინა. წმ. დიდმოწამე ქეთევანის ღვაწლმა გადალახა საზღვრები და იგი ზოგადქრისტიანულ ტრაგედიად იქცა.

1624 წელს სპარსეთის შაჰის კარზე ქართველი დედოფლის მოწამებრივი აღსასრულის ისტორიულმა ფაქტმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა დასავლეთ ევროპის წამყვანი ქვეყნების ისტორიული თუ მხატვრული ხასიათის თხზულებებში. ევროპაში დიდმოწამე ქეთევან დედოფლის თემაზე შექმნილმა ლიტერატურამ ქართულ

ისტორიულ და ლიტერატურათმცოდნეობით მეცნიერებაში მრავალმხრივი ინტერესი აღძრა.

XVII საუკუნის ევროპაში ბაროკოს სტილი გაბატონდა, რომლის ერთ-ერთი თავისებურება მორალური გმირის ძიების თემის წინ წამოწევა იყო. წმ. ქეთევან დედოფლის თემა, როგორც ზნეობრივი გმირის განსახიერებისა, სწორედ ამ მხრივ იქცა ევროპული მწერლობის საგანგებო ყურადღების საგნად, წმინდანი მთელი თავისი არსებით დაუპირისპირდა ტირანს, რომელიც ისტორიულ მასალათა შესაბამისად შაჰ-აბასის სახით გამოვლინდა.

XIV-XVI სს. რენესანსის პერიოდის შემდგომ, როდესაც კათოლიკური ეკლესია „ინკვიზიციამ“ მოიცვა, იგი ანგლიკანურ და პროტესტანტულ ნაწილებად გაიხლიჩა, შესაბამისად მათ სჭირდებოდათ მორალური გმირი, სწორედ ასეთ მორალურ გმირად მოიაზრეს წმ. დიდმოწამე ქეთევან დედოფალი. პირველი წიგნი წმ. ქეთევან დედოფალზე ინგლისში გამოიცა 1633 წელს, ხოლო საფრანგეთში - 1636 წელს. გერმანიაში წმ. ქეთევანის გმირობის თემამ გამოძახილი ჰპოვა ისეთი ცნობილი მწერლის შემოქმედებაში, როგორცაა გერმანული დრამატურგიის ფუძემდებელი, „გერმანელ შექსპირად“ წოდებული ანდრეას გრიფიუსი. მისი ტრაგედია, ამოზრდილი საქართველოს თანადროული ისტორიიდან, ისეთი სათაურით მოევლინა ევროპულ ლიტერატურას, როგორცაა „კატერინა (ქეთევან) ქართველი ანუ გაუტეხელი სიმტკიცე“. ეს სათაური უკვე შეიცავდა იმ ზნეობრივ პოტენციალს, რომელიც ზოგადად საქართველოს მიმართ მწერლის დამოკიდებულებას გამოხატავდა.

ევროპის ინტერესი არც შემდგომ საუკუნეებში შენელებულა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია დ. ლანგის შეხედულებები და ინგლისური თარგმანი წმ. ქეთევან დედოფალზე.

დისერტაციის ამ ნაწილში ჩვენ მხოლოდ შესავალი წერილის განხილვით შემოვიფარგლებით, რომელიც წინ უძღვის თარგმანს. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, წმ. ქეთევან დედოფლის წამების ეპიზოდის თარგმანი მან შეასრულა სპარსეთში



მყოფი თანამედროვე ავგუსტინელი მისიონერი მამების ჩანაწერებიდან, რომელიც რომაულ ენაზე იყო დაწერილი. ტექსტის ორიგინალური ვარიანტი პირველად 1910 წელს გამოქვეყნდა მიქელ თამარათის (მიხეილ თამარაშვილი) მიერ.

მიხეილ თამარაშვილმა 1910 წელს რომში ფრანგულ ენაზე გამოსცა „საქართველოს ეკლესიის ისტორია“, რომელმაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა ევროპის სამეცნიერო წრეებში. ამ გამოცემას ვატიკანის სპეციალური პრემია მიენიჭა. მოგვიანებით, 1995 წელს, წიგნი ითარგმანა და გამოიცა თბილისში. ორივე მონოგრაფიას, რომლებიც შედგება ევროპის არქივებში ავტორის მიერ მოძიებული და ზედმიწევნით შესწავლილი უაღრესად საყურადღებო პირველწყაროებისგან, დღემდე ენიჭება დიდი მნიშვნელობა მთელი რიგი საკითხების გარკვევაში.

დ. ლანგის ინგლისური თარგმანი შინაარსობრივად მისდევს მ. თამარაშვილის „საქართველოს ეკლესიის ისტორიაში“ გამოქვეყნებულ ქართულ თარგმანს (1995) „კახეთის დედოფლის — ქეთევანის წამება“ (თამარაშვილი 1995: 537).

ლანგმა, როგორც მეცნიერმა, თავისი თარგმანის შესავალ წერილში მოკლედ დაახასიათა მე-16-მე-17 საუკუნეებში შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური მდგომარეობა. იტალიელი მისიონერის პიერო დელა ვალეს ჩანაწერებზე დაყრდნობით ისაუბრა იმდროინდელი საქართველოს გარე თუ შიდა პოლიტიკურ არეულობაზე, რომელსაც, მისი თქმით, როგორც პირველწყაროს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ცნობილმა რომაელმა პატრიციუსმა პიეტრო დელა ვალემ, რომელიც 1619-1622 წლებში რომის პაპის ელჩი იყო, სპარსეთში საკუთარი თვალთ იხილა საცოდავ დღეში ჩავარდნილი ქართველები. მას ქართველებთან დიდი ურთიერთობა აკავშირებდა. ის იყო არა მარტო ნათლია ზოგიერთი მათგანისა, არამედ ცოლადაც კი შეირთო ახალგაზრდა ქართველი ტყვე ქალი, რომელიც სპარსელებისაგან იყიდა. პიეტრო დელა ვალე თავის „საინტერესო მოგზაურობაში“ ჩვენს ერზე ვრცლად წერს (Pietro Della Valle, Viaggi, Bologna, ტ. II, 1687, გვ. 198-537) (თამარაშვილი 1991: 535).

სწორედ მის მიერ შესრულებული ჩანაწერებით შესაძლებლობა გვეძლევა, რეალური წარმოდგენა ვიქონიოთ წმ. ქეთევანის ტყვეობაზე, დედოფლის მოწამეობის მნიშვნელობაზე.

ცნობილია, რომ წმ. დიდმოწამე ქეთევანს იტალიელი დიპლომატისთვის, პიეტრო დელა ვალესთვის, უჩუქებია ლათინურ ენაზე შესრულებული ლოცვანი, რომელსაც თან ახლდა დედოფლის მიერ ფურცლის არშიაზე გაკეთებული შენიშვნები.

როგორც აღვნიშნეთ, წმ. ქეთევან დედოფლის წამებაზე 22 ლიტერატურული თხზულება არსებობს, თუმცა დ. ლანგმა თარგმნისას უპირატესობა მიანიჭა თვითმხილველი მისიონერი მამების ჩანაწერებიდან ამოღებულ ეპიზოდს, რომელსაც ის პირველწყაროდ მოიაზრებს.

## დასკვნა

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მიზანი იყო დევიდ მარშალ ლანგის მიერ ინგლისურ ენაზე ნათარგმნი ქართველი წმინდანების ცხოვრებათა და წამებათა კრებულის (Lives and Legends of the Georgian Saints. Selected and translated from the original texts by David Marshal Lang) შესწავლა, იმ ქართული ტექსტების მოძიება, საიდანაც შესრულდა ეს თარგმანები და მათი შედარებითი ანალიზი.

დ. მ. ლანგმა სათარგმნად შეარჩია ათი ნაწარმოები ქართული სასულიერო მწერლობიდან და ფაქტობრივად შეასრულა მათი ახალი ინგლისური რედაქცია. ნათარგმნი ნაწარმოებები შემოკლებული და ადაპტირებულია. როგორც კვლევამ გვიჩვენა, ტექსტების შემოკლებისა და ადაპტირების საკითხი ლანგს გარკვეული პრინციპების საფუძველზე აქვს გადაჭრილი: ტექსტების ინგლისურ ენაზე გარდათქმისას არ უნდა დაზიანებულიყო ნაწარმოების ძირითადი სიუჟეტური ხაზი და ინგლისური ტექსტის ენა და სტილი მისაღები უნდა ყოფილიყო თანამედროვე მკითხველისათვის.

ჩვენ შევისწავლეთ თითოეული ტექსტის ინგლისური თარგმანი, მოვიძიეთ მათი ორიგინალები, ქართული და ინგლისური ტექსტები შევუდარეთ ერთმანეთს და დავადგინეთ რომელი პასაჟებია გამოტოვებული, შემოკლებული, თავისებურად შეკუმშული თუ გავრცობილი თარგმანში, როგორაა გადატანილი სახარებისეული ტექსტები თუ სპეციფიკური სიტყვები და გამოთქმები, ტოპონიმები და ა. შ. თარგმანების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ორი ტექსტი („ცხრა კოლაელი ყრმის მარტვილობა“ და „წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“) დედნის ეკვივალენტურია, ხოლო დანარჩენი რვა ტექსტი: („წმინდა ნინო და საქართველოს გაქრისტიანება“, „მარტვილი დედოფალი: წამება წმინდა შუშანიკისა“, „მებრძოლი განდეგილი: პეტრე იბერი, ეპისკოპოსი მაიუმისა, ღაზის მახლობლად“, წმინდა ფრანცისის წინამორბედი: დავით გარეჯელი“, „მარტვილობა აბოსი, ბაღდადელი ნელსაცხებელთა ოსტატისა“, „გრიგოლ ხანძთელი და საქართველოს ეროვნული აღორძინება“, „ქართველი ათონელები“, „წამება ქეთევან დედოფლისა“ დინამიკური ეკვივალენტურობის პრინციპითაა შესრულებული. გარდა იმისა,

რომ ლანგი ტექსტების შემოკლებისა და ადაპტაციის მიუხედავად, მიჰყვება ძირითად სიუჟეტურ ხაზს, ძალიან მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ის, თავის მხრივ, უმატებს მკითხველისათვის სასარგებლო ინფორმაციას, აზუსტებს ამა თუ იმ ფაქტსა თუ მოვლენას, აკონკრეტებს თარიღებს. ცალკე აღნიშვნის ღირსია თითოეულ თარგმანზე დართული შესავალი წერილები, რომლებსაც ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ - ლანგის ლიტერატურულ-თეორიული ნააზრევი შესწავლილი გვაქვს ქართული ლიტერატურათმცოდნეობის კონტექსტში და ასევე ნათარგმნი გვაქვს ქართულად.

კვლევის შედეგები თითოეულ თარგმანთან მიმართებით შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. „წმინდა ნინო და საქართველოს გაქრისტიანება“ სათაურის ინგლისური თარგმანი ემთხვევა ამ ნაწარმოების ლეონტი მროველისეული რედაქციის სათაურს და ძირითადად ეყრდნობა კიდევ მემატიანის შრომას, მაგრამ ასევე იყენებს სხვა რედაქციებსაც.

დ. ლანგი თარგმანს ამცირებს არა მხოლოდ ფრაზების, არამედ მთელი რიგი ეპიზოდების ხარჯზე. იგი მიზანმიმართულად ამოკლებს აგიოგრაფიისათვის დამახასიათებელ სასწაულებს, მაგრამ არ აზიანებს ძირითად სიუჟეტურ ხაზს.

ადაპტაციის მიუხედავად, დ. ლანგი სიფრთხილით ეკიდება ორიგინალის სიმბოლური სახეების გადატანას თარგმანში. პრაქტიკულად ყველა სიმბოლო, რომელიც ქართულ ტექსტშია მოცემული, შენარჩუნებულია და დიდი სიზუსტით არის წარმოდგენილი თარგმანში.

ნაშრომში გამოვლენილია ერთი მხრივ, წმ. ნინოს ტექსტის მაღალმხატვრულად შესრულებული პასაჟები და მეორე მხრივ, მხატვრობადაკარგული ეპიზოდები და მოცემულია შესაბამისი მაგალითები.

ნაწარმოებზე ამ ტიპის მუშაობამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ „წმინდა ნინოს“ თარგმანში შემოკლებისა და ადაპტაციის მიუხედავად შინაარსობრივი მხარე ზუსტად არის გადმოცემული.

2. „ცხრა კოლაელი ყრმის მარტვილობა“ ინგლისური თარგმანის ორიგინალთან შედარებამ ცხადყო, რომ დ. ლანგს „ცხრა კოლაელი ყრმის მარტვილობა“ თარგმნილი აქვს ნიკო მარის

გამოცემიდან, რომელიც ეყრდნობა ათონის მთის ქართული მონასტრის X საუკუნის ხელნაწერს. მარის მიერ უცვლელად გადატანილი არქაული სიტყვების მიუხედავად, დ. ლანგმა მთელი სემანტიკური სიზუსტით გადაიტანა ისინი ინგლისურ თარგმანში. კიდევ ერთხელ დავძენთ, რომ სხვა შემოკლებული თარგმანებისგან განსხვავებით, „ცხრა კოლაელი ყრმის თარგმანი“ თავისი ფორმითა და შინაარსით დედნის ადეკვატურია.

3. **„მარტვილი დედოფალი: წამება წმინდა შუშანიკისა“** ინგლისური თარგმანი ადაპტაციისა და შემოკლების მიუხედავად, დედნის ადეკვატურია. თარგმანი ძალიან საინტერესოდ იკითხება და შესავალ წერილთან ერთად კარგად ასახავს ეპოქას, რომელშიც მოქმედება მიმდინარეობს.

4. **„მებრძოლი განდევილი: პეტრე იბერი, ეპისკოპოსი მაიუმისა, ღაზის მახლობლად“**, ტექსტზე მუშაობისას გამოვლინდა, რომ დ. ლანგს თარგმანი შესრულებული აქვს არა ქართული, არამედ სირიული ხელნაწერიდან. პეტრე იბერის ტექსტის ქართული ვარიანტი, რომელიც ეკუთვნის ზაქარია რიტორს, ლანგის თქმით, დამახინჯებულია, ამიტომ ის დაეყრდნო სირიულ ხელნაწერს. იმ დროისთვის, როდესაც ლანგმა „ქართველი წმინდანების ცხოვრებათა და წამებათა“ კრებული გამოსცა, სირიული ხელნაწერის ქართული თარგმანი ფიზიკურად არ არსებობდა. ქართული თარგმანი სირიულიდან შესრულდა ლანგის თარგმანის გამოცემის შემდეგ. ჩვენ გავეცანით ამ თარგმანს, რამაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ლანგს თარგმანი შესრულებული აქვს სწორედ სირიული ხელნაწერიდან და წარმოადგენს მის ადაპტირებულ ვერსიას. ლანგს პეტრე იბერის ბიოგრაფიასთან ერთად თარგმნილი და დართული აქვს **პლეროფორიები**, რომლის მიზანი იყო, ეჩვენებინა პეტრეს ანტიქალკედონიტობა. ასე, რომ დ. ლანგი იზიარებდა პეტრეს მონოფიზიტური ერესისკენ მიდრეკილებას.

5. **„წმინდა ფრანცისის წინამორბედი: დავით გარეჯელი“** ტექსტების შედარებამ გვიჩვენა, რომ დევიდ ლანგმა, დავით გარეჯელის ტექსტის თარგმანი სხვადასხვა რედაქციებზე დაყრდნობით შეასრულა.

დ. ლანგი თარგმანის დასაწყისში ეყრდნობა „დავით გარეჯელის ცხოვრების“ მ. საბინინის რედაქციას და სათაურად ირჩევს ამავე რედაქციის სათაურს: „The First Thursday after Ascension Day, The Life and Acts of our Holy Father David of Garesja“ („ამაღლების დღესასწაულის შემდგომი

პირველი ხუთშაბათი, ჩვენი წმინდა მამის დავით გარეჯელის ცხოვრება და მოქალაქეობა“). მან ამავე რედაქციიდან ამოკრიფა თხზულების დასაწყისი და დასასრული, ხოლო თარგმნილი ტექსტის ძირითადი ნაწილი ილია აბულაძის რედაქციიდან გადაიღო. ყოველივე ამის შედეგად შეიქმნა ამ უაღრესად საინტერესო ძეგლის ახალი ინგლისური რედაქცია.

ინგლისური ტექსტის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ დ. ლანგის ნაშრომი მიესადაგება პოპულარულ დონეზე შესრულებული თარგმანის მოთხოვნებს და ამავე დროს საინტერესო წასაკითხია ევროპელი მკითხველისათვის. მან ქართველი წმინდანის ცხოვრება შეუდარა იტალიელ წმინდანს - ფრანცის ასიზელს და დავით გარეჯელი მის წინამორბედად აღიარა.

**6. დ. ლანგმა „წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“** თარგმანი შეასრულა ს. ყუბანეიშვილის ქრესტომატიის ტექსტზე დაყრდნობით. ტექსტების შედარებამ ცხადყო, რომ დ. ლანგის „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“ გამოარჩევს მას სხვა დანარჩენი თარგმანებისაგან თავისი სიზუსტითა და ეკვივალენტურობით. არც ერთი პასაჟი ტექსტში შემოკლებული არ არის და ამავე დროს, მასში შენარჩუნებულია ენობრივ ნიშანთა ინვარიანტულობა.

**7. “მარტვილობა აბოსი, ბაღდადელი ნელსაცხებელთა ოსტატისა“** თარგმანი, ორიგინალის მსგავსად, პოლიჟანრულია. დედნისეული ოთხი თავის ნაცვლად, თარგმანი ორი თავისგან შედგება. მას მოკლებული აქვს პირველი და მეოთხე თავები, ხოლო თხზულების II-III თავები, რომლებიც დაწვრილებით მოგვითხრობენ წმ. აბოს თავგადასავალსა და წამების ამბავს, სრულადაა წარმოდგენილი. ეს თავები გამოირჩევიან სინტაქსურ-სტრუქტურული ტოლფარდოვნებით.

**8. “გრიგოლ ხანძთელი და საქართველოს ეროვნული აღორძინება“** თარგმანი ორიგინალის საკმაოდ შემოკლებულ ვერსიას წარმოადგენს. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ ლანგმა თხზულებიდან ამოკრიფა ძირითადი ეპიზოდები, თავისი შეხედულებისამებრ დაალაგა და დაასათაურა ისინი.

მიუხედავად იმისა, რომ თარგმანი წარმოადგენს დედნის შემოკლებულ ვერსიას, მასში შენარჩუნებულია დედნის ინტონაცია, რიტმი და სინტაქსური წყობა. თარგმანი გამოირჩევა ლექსიკურ ერთეულთა სიზუსტით.

9. „ქართველი ათონელები“ ამ სათაურითაა გაერთიანებული იოანე და ექვთიმე ათონელებისა და გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებათა თარგმანები. „იოანე და ექვთიმე ათონელების ცხოვრების“ თარგმანი საკმაოდ შემოკლებულ ვერსიას წარმოადგენს. მთარგმნელმა თხზულებიდან ამოკრიფა ძირითადი ეპიზოდები, დაასათაურა და ქრონოლოგიურად დაალაგა ისინი. რაც შეეხება „წმ. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების“ თარგმანს, ლანგმა ერთი ეპიზოდის თარგმანი შეასრულა, რომელიც ეხება გიორგი მთაწმინდელსა და ანტიოქიის პატრიარქს შორის ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ დავას. მან ამ ეპიზოდის თარგმნით მხარი დაუჭირა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობას, ხოლო, „ქართველი ათონელების“ თარგმანით ევროპელ მკითხველის გააცნო X საუკუნის ქართულ-ბიზანტიური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობები.

10. „წამება ქეთევან დედოფლისა“ თარგმანი დ. ლანგმა შეასრულა სპარსეთში მყოფი თანამედროვე ავგუსტინელი მისიონერი მამების ჩანაწერებიდან, რომელიც რომაულ ენაზე იყო დაწერილი. დ. ლანგი შესავალ წერილში წერს ამ ჩანაწერის შესახებ, რომ ის პირველად რომში, 1910 წელს, მიხეილ თამარაშვილის მიერ გამოქვეყნდა ფრანგულ ენაზე, ხოლო 1995 წელს ეს წიგნი ქართულად ითარგმანა და გამოიცა თბილისში.

უნდა აღინიშნოს, რომ სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ფარგლებში მიღებული დასკვნები სიახლეს წარმოადგენს. მიგვაჩნია, რომ ნაშრომი საინტერესო იქნება, როგორც თარგმანმცოდნეობის სტუდენტებისთვის ასევე, ძველი ქართული ლიტერატურით დაინტერესებული პირთათვის.

## გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

**აბულაძე 1944:** აბულაძე ი. ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X საუკუნეებში. თბილისი 1944 წ.;

**აბულაძე 1955:** აბულაძე ილ. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები. გამოც. თბ. 1955 წ.;

**აბულაძე 1963:** „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“ დასაბეჭდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ნ.ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ანკიევმა და ც. ჯღამაიამ ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, წიგნი I (V-XV სს.) 1967 წ.;

**აბულაძე 1964:** „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“ დასაბეჭდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ნ.ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ანკიევმა და ც. ჯღამაიამ ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, წიგნი I (V-Xსს.) 1964 წ.;

**აბულაძე 1973:** აბულაძე ი. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი 1973 წ.;

**აბულაძე 1983:** აბულაძე ი. იაკობ ცურტაველი, მარტვილობაჲ შუშანიკისი. ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილ. აბულაძემ. თბ. 1983 წ.;

**ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი აღაპებით.** საიუბილეო გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა.სტამბა გრ. ჩარკვიანისა თბ. 1901 წ.;

**ანტონი, მარტირიკა** — კ.კეკელიძის სახ.ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი S 1272

**ბარამიძე 1980:** ბარამიძე ა. ძველი ქართული მწერლობის პრობლემები თბ. 1980 წ.;

**ბარამიძე 1990:** ბარამიძე რ. ნარკვევები ქართული მწერლობის ისტორიიდან თბ. მეცნიერება 1990 წ.;



**ბიბლია**, საპატრიარქოს გამოშვება, თბ. 1989წ.;

**ბროსე 1849:** ქართლის ცხოვრება. დასაბამითგან მეცხრამეტე საუკუნემდის. თარგმნილი და გამოცემული ლუაწლითა უ. ბროსე. I. სპბ: 1849 წ.;

**ბროსე 1851:** ბროსე მ. Brosset M., Additions et éclaircissements a l'histoire de la Géorgie, depuis l'antiquité jusqu'en 1469 d.J.C., SPb, 1851

**გაბიძაშვილი 2007:** გაბიძაშვილი ე. საქ. ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის შრომები, ევსტათი მცხეთელის მარტვილობა (ნარკვევი), ტ. V, 2007 წ.;

**გაჩეჩილაძე 1958:** გაჩეჩილაძე გ. მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები. რეალისტური თარგმანის პრობლემა. თბ. 1958. წ.;

**გაჩეჩილაძე 1966:** გაჩეჩილაძე გ. „მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი“, თბ. 1966 წ.;

**გაწერელია 1977:** გაწერელია ა. „რჩეული ნაწერები“ ტ. I. თბილისი. მერანი 1977 წ.;

**გეორგიკა 1936:** ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ - ტ. III ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, უცხოელ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ. ტფ ილ. სახ. უნ-ტი, საქ, თბილისი 1936 წ.;

**გეორგიკა 1965:** ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ - ტომი II- ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა-მეორე შევსებული გამოცემა - უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ წიგნი XVI- “მეცნიერება“ თბილისი. 1965 წ.;

**გეორგიკა - ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ - ტომი II - ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა - მეორე შევსებული გამოცემა - უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ - წიგნი XVI - თბილისი - 1965**

**გოგიბერიძე 2003:** გოგიბერიძე ს. ქართული ლიტერატურა ევროპულ მეცნიერებაში. ელგუჯა ხინთიბიძის რედაქციით. ივ. ჯავახიშვილის სახ. უნი. თბილისი 2003 წ.;

**გრიფიუსი: 1975** გრიფიუსი ანდრეას, ქეთევანი ქართველი ანუ გაუტეხელი სიმტკიცე, ტრაგედია ხუთ მოქმედებად, გერმანულიდან თარგმნა აკაკი გელოვანმა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1975 წ.;

**დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი** (მთ. რედაქტორი, თ მარგალიტაძე) თსუ ლექსიკოგრაფიული ცენტრი, თბილისი 2010 წ.;

**ეგაძე 1983:** ეგაძე ო. წინათქმა, წიგნი: იაკობ ცურტაველი, შუმანიკის წამება. შემდგენელი და რედაქტორი ო. ეგაძე. თბილისი „ხელოვნება“ 1983 წ.;

**თამარაშვილი 1995:** თამარაშვილი მ, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვაობა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზაზა ალექსიძემ და ჯუმბერ ოდიშელმა. გამომცემლობა „კანდელი“, თბილისი, 1995.

**თურნავა 1979:** თურნავა ს. „შუმანიკის წამება“ ფრანგულად. „წიგნის სამყარო“, 30. VII. 1979 წ.;

**იგოროყვა 1954:** იგოროყვა პ. „გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა“. ნარკვევი ძვ. საქართველოს ლიტერატურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან. თბ. 1954 წ.;

**იაკობ ცურტაველის „შუმანიკის წამება“** და ადრექრისტიანული კულტურა ლიტერატურის ინსტიტუტის გზამკვლევი; თბ. 2012 დარეჯან მენაბდე „შუმანიკის წამება“ უცხოურ ენებზე

**იმედაშვილი 1989:** იმედაშვილი გ. ვეფხისტყაოსანი და ძველი ქართული მწერლობა. „საბჭოთა საქართველო“. თბილისი 1989 წ.;

**ინგლისურ-ქართული ლექსიკონი** (მთ. რედაქტორი თ. მარგალიტაძე), 14 ტომი, ლექსიკოგრაფიული ცენტრი. თბილისი. 1995-2008

**ინგოროყვა 1978:** ინგოროყვა პ. თხზულებათა კრებული, ტომი IV. თბილისი 1978 წ.;

**კაკაბაძე 1928:** ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტიპები, საისტორიო კრებულის წიგნი I-ის დამატება, თბ. 1928 წ.;

**კეკელიძე 1926:** კეკელიძე კ. საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ: (კულტურულ -ისტორიული პრობლემა). [საქართველოში სამონასტრო ორგანიზაციის ფუძემდებლის ვინაობის, სირიიდან ჩამოსვლის მიზეზი და დროის გარკვევისათვის]. ტფილისი უნივერსიტეტის მოამბე: ტ. 6. თბ. 1926 წ.;

**კეკელიძე 1936:** კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტფილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. I. თბ. 1936 წ.;

**კეკელიძე 1945:** კეკელიძე კ., ეტიუდები ძვ. ქართული ლიტ. ისტორიიდან, ტ. II, თბ. 1945 წ.;

**კეკელიძე 1951:** კეკელიძე კ. „ძველი ქართული მწერლობის ისტორია“ ტ. I, II, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფოს უნივერსიტეტის გამომცემლობა 1951 წ.;

**კეკელიძე... 1954:** კეკელიძე კ. ბარამიძე ა., ქართული ლიტერატურის ისტორია ტ. I, ძველი ქართული ლიტერატურა (V – XVIII ს. ს.) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა თბ. 1954 წ.;

**კეკელიძე 1955:** კეკელიძე კ. „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა ტ. III. თბ. 1955 წ.;

**კეკელიძე 1956:** კეკელიძე კ., დიდი ქართველი პოეტი და ჰუმანისტი საშუალო საუკუნეებისა. [შოთა რუსთაველის შესახებ]. // წგ-ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან ტ. I. თბ. 1956 წ.;

**კეკელიძე 1961:** კეკელიძე კ., კულტურული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ანარეკლი ძველ ქართულ ლიტერატურაში. // წგ-ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ. IV. თბ. 1961წ.

**კეკელიძე 1980:** კეკელიძე კ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი I, თბილისი. 1980,

**ლორთქიფანიძე 1966:** ლორთქიფანიძე მ. ადრეფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა. თბილისი 1966 წ.;

**მაყაშვილი 1961:** მაყაშვილი ა. ბოტანიკური ლექსიკონი: მცენარეთა სახელწოდებანი. საბჭოთა საქართველო. თბ. 1961 წ.;

**მენაბდე 1962:** მენაბდე ლ. ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, თბ. 1962 წ.;

**მენაბდე 1978:** მენაბდე ლ. უცხოელი მეცნიერები იაკობ ცურტაველის „შუმანიკის წამების“ შესახებ, თბ. 1978 წ.;

**მენაბდე 1980:** მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბილისი, 1980 წ.;

**მერაბიშვილი 2005:** მერაბიშვილი ი. „პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა“, თბ. 2005 წ.;

**მერკვილაძე 2006:** მერკვილაძე მ. ასურელი მამები. VI ს -ის სირიელი მოღვაწენი საქართველოში. 2006 წ.;

**მეტრეველი 2008:** მეტრეველი რ. მთავარი რედაქტორი, „ქართლის ცხოვრება“, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია თბ. 2008 წ.;

**მურღულია... 1992:** მურღულია რ., ალიბეგაშვილი გ., მაღლაფერიძე ვ., „საუბრები ძველ ქართულ ლიტერატურაზე“. გამომცემლობა „განათლება“ თბ. 1992 წ.,

**ორბელიანი 1991:** ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., ტ.I, 1991 წ.;

**ოძელი 1998:** ოძელი მ. ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის. თბ. 1998 წ.;

**ჟორდანია 1948:** ჟორდანია თ. ქრონიკები I, 123; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწეთა აღწერილობა, ტ. III, 1948 წ.;

**საბინინი 1882:** საბინინი მ. საქართველოს სამოთხე. სრული აღწერაი ღუაწლთა და ვნებათა საქართველოს წმიდათა/შეკრებილი და გამოცემული პეტერბურლის, სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივერიელის გობრონ (მიხაილ) პავლის ძის საბინის მიერ. პეტერბურლი ჩყკბ 1882 წ.;

**საბინინი 2010:** საბინინი მ. სრული აღწერა ღვაწლთა და ვნებათა საქართველოს წმიდათა. შეკრებილი ქრონოლოგიურად და გამოც. პეტერბურგის სასულიერო აკად. კანდიდატის ივერიელის გობრონ (მიხაილ) პავლეს ძის საბინინის მიერ: გამომც. გივი კალანდაძე, ხატმწერი გ.ზაქაიძე. თბ. დიადემა . 2010 წ.;

**სარჯველაძე 2001:** სარჯველაძე ზ. ძველი ქართული ენის სიტყვის კონა თბილისი, სახ. პედ. უნ-ტის გამ-ბა, 2001 წ.;

**საყვარელიძე 2001:** საყვარელიძე ნ. თარგმანის თეორიის საკითხები, თბ. 2001 წ.;

**სირაძე 2008:** სირაძე რ. „წმინდა ნინო“, სამეცნიერო კრებული I, თბ. 2008 წ.;

**სულხან-საბა 1991:** სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ, I, თბ. 1991 წ.;

**სულხან-საბა 1993:** სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული ტ, II, თბ. 1993 წ.;

**ფანჯიკიძე 1988:** ფანჯიკიძე დ. თარგმანის თეორია და პრაქტიკა. თბილისი, 1988 წ.;

**ფანჯიკიძე 1955:** ფანჯიკიძე დ. „თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა“ . თბ, 1995 წ.;

**ფარულავა 1982:** ფარულავა გ. მხატვრული სახის ბუნებისთვის ძვ. ქართულ პროზაში. თბ. 1982 წ.;

ფერაძე 1927: ფერაძე გ. „Die Anfänge des Mönchtums in Georgien- „ Zeitschrift für Kirchengeschichte" (Neue Folge 9) 46, H. I, 1927

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. მთ. რედაქტორი: ჩიქობავა არნ. თბილისი 1950-1964 წ.;

ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ისტორია. თსუ ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების ს/კ ლაბორატორია. ხინთიბიძის რედაქტორობით თბ. 2011 წ.;

ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი. გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1906 წ.;

ქართლის ცხოვრება. ტ. I ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით 1955 . ჯუანშერი ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ. 1955 წ.;

ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები ორიგინალი ტექსტები და ახალი ქართული თარგმანები ტ, II, თბილისი. 2007 წ.;

ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები ორიგინალი ტექსტები და ახალი ქართული თარგმანები ტ, I, თბილისი. 2008 წ.;

ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები ორიგინალი ტექსტები და ახალი ქართული თარგმანები ტ, III, თბილისი. 2008 წ.;

ყუბანიშვილი 1946: ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. 1, თბ. 1946 წ.;

შარაძე 1984: შარაძე გ. ინგლის-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის ფესვები და ქართველოლოგიის აღმოცენება ინგლისში. იხ. გ. შარაძე, ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე (უორდროპები და საქართველო), გ. ბედნიეშვილის რედაქციით, თბ. 1984 წ.;

**რობაქიძე 1978:** რობაქიძე მ. „შუშანიკის წამება“, საიუბილეო კრებული, “შუშანიკის წამების“ ერთი ადგილის გაგებისათვის, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1978 წ.;

**ჩოლობარგია 2006:** იაკობ ცურტაველი. წამება წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ. Jacob Tsurtaveli. The martyrdom of the holy Queen Shushanik. თარგმნა ჯ. ჩოლობარგიამ, თბ.: 2006 წ.;

**ცაიშვილი 1990:** ცაიშვილი ს. „ქართული მწერლობა“ თბ. „მერანი“ 1990 წ.;

**ცინცაბაძე 2009:** ცინცაბაძე მ, ქართველთა დიდმოწამე წმინდა ქეთევან დედოფალი, თბილისი, 2009 წ.;

**ცხოვრება პეტრე იბერისა** ასურული რედაქცია გერმანულიდან თარგმნა, გამოკვლევა კომენტარები და განმარტებითი საძიებელი დაურთო ივ. ლოლაშვილმა თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 1988 წ.;

**წიბახაშვილი 2000:** წიბახაშვილი გ. თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები. თბ. 2000 წ.;

**ჭელიძე 2016:** ჭელიძე ე. საეკლესიო დოგმატიკა და ერესები I, მეექვსე მსოფლიო კრების გაჩინება პეტრე იბერის შესახებ და მართლმადიდებელი ეკლესიის ორი ყოვლადმსოფლიო «სინოდიკონი». თბ. 2016 წ.;

**ხალვაში 2011:** ხალვაში რ. ანდრია პირველწოდებული საქართველოში, ბათუმი, „ლაზარე+“, 2011 წ.;

**ჯავახიშვილი 1901:** Das Martyrium des heiligen Eustatius von Mzchetha, Sityungs bereichte der Königlich-preussischen Akademie der Wissenschaften, zu Berlin,1901 (A. Harnack-თან ერთად).

**ჯავახიშვილი 1945:** ჯავახიშვილი ივ. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. წ. 1, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს.) რედ. ს.

ყაუხჩიშვილი. თბილისი:, სტალინის სახ. თბილ. სახელმწ. უნ-ტის გამ-ბა და სტ., 1945 წ.;

**ჯავახიშვილი 1979:** ჯავახიშვილი ივ. საქართველოს სსრ. მეცნიერებათ აკადემია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თხზულებანი 12 ტომად, ტ. I, თბ. 1979 წ.;

**ჯაფარიძე 1996:** ჯაფარიძე ანანია, მთავარეპისკოპოსი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია ტ. I, თბ. 1996 წ.;

**ჯაფარიძე 2009:** ჯაფარიძე ანანია, მთავარეპისკოპოსი „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, თბ. 2009 წ.;

**Bulletin of the School of Oriental and African Studies, University of London, W. N. D. Allen** review of Lives and Legends of the Georgian saints, selected and translated from the original texts. Published by Cambridge University Press Vol. 19, No. 1, 1957

**Iakob Tsurtaveli, La Martyre de la Sainte Reine Chuchanik, Traduit par S.Tsouladzé, წიგნში:** იაკობ ცურტაველი. შუშანიკის წამება. შემდგენელი და რედაქტორი ო. ეგაძე. თბ.: „ხელოვნება“, 1983 წ.;

**H ფონდის აღწერილობა 1948:** ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქ. სახელმწიფო მუზეუმის H კოლექციის ტ. III, 1948 წ.;

**Lang...1955:** Lang D. M., Georgian Studies in Oxford, Oxford Slavonic Papers, vol. VI, 1955

**Lang...1956:** Lang, D. M., Lives and Legends of the Georgian Saints. Selected and translated from the original texts by David Marshall Lang, London, 1956

**Lang...1957:** Lang D. M., Life of the Blessed Iodasaph; a new Oriental Christian Version of the Barlaam and Ioasaph The Romance; BSOAS, 1957 XX.

**Lang...1966:** Lang D. M., The Georgians. London-New York: 1966.

**Nida... 1975:** Nida E. A., Linguistic Structure and Translation. Stratford, 1975.



**Nida ... 1969:** Nida E., Taber Ch., The Theory and Practice of Translation, Leiden, 1969.

**Nida ... 1974:** Nida E., Taber Ch., The Theory and Practice of Translation, Leiden, 1974.

**Vivian... 1977:** Vivian K., Translator's Note, Shota Rustaveli, The Knight in the Panther's Skin. Translation in Prose by Katharine Vivian, London, 1977.

**Wardrop... 1973** Wardrop M., Wardrop O., Life of St. Nino. In: Studia Biblica et Ecclesiastica. Vol. V. I Oxford 1990.

**THE BALAVARIANI.** A Buddhist Tale from the Christian East. Translated from the Old Georgian by David Marshall Lang, London 1966.

**THE LIFE OF THE BLESSED IODASAPH.** English Translation by D. M. Lang. In: The Balavariani. A Buddhist Tale from the Christian East, London 1966.

**THE WISDOM OF BALAHVAR,** A Christian Legend of the Buddha. English Translation by D. M. Lang, London 1957.

**Бархударов 1984:** Бархударов Л. С., Некоторые проблемы перевода английской поэзии на русский язык. Тетради переводчика. выпуск 21. Москва, 1984.

**Дикушина 1952:** Дикушина О. С. фонетика английского языка. Изд-во литературы на иностранных языках 1952

**Егер 1979:** Егер Г., Коммуникативная и функциональная эквивалентность. Вопросы теории перевода в зарубежной лингвистике. Международные отношения. Москва, 1979.

**Иоселиани 1850:** Иоселиани П. Жизнеописание святых прославляемых Православною грузинскою церковию, Составленное на основании древнихъ и современныхъ сведений с историческими, хронологическими и филологическими замечаниями, сочинение Платона Иоселиани. Тифлисъ, 1850,

**История Византии,** II, издательство «НАУКА» М., 1967.;

**Комиссаров 1980:** Комиссаров В. Н., Лингвистика перевода. Москва, 1980.

**Март 1903:** Н. Март, Тексты и разыскания по армяно- грузинской филологии, т. V, С. петербургь, 1903

**Март 1906:** Март Н. Аркауи, монголское название христиан..., “Византийский Временник“, т. XII, СПб., 1906

**Март 1915:** Март Н. О религиозных верованиях абхазов: (К вопр. об яфетик. культуре и мифологии). XV, 1915 წ., II.

**Морозов 1958:** Морозов М. Пособие по переводу русской художественной прозы на английский язык М 1956

**Рецкер 1974:** Рецкер И. И., Теории перевода и переводческая практика. Очерки лингвистической теории перевода. Москва, 1974.

**Страдание святого мученика Евстафия Мцхетского, წიგნობი** Полное жизнеописание святых грузинской церкви, ч. II сб, 1872

**Такайшвили 1906-1912:** Такайшвили Е. Описание рукописей “Общества распространения грамотности среди грузинского населения”. Т. 2. 1906-1912

**Федоров 1983:** Федоров А.В. Основы общей теории перевода. М.: Высшая школа, 1983

**Федоров 1983:** Федоров А.В. Искусство перевода и жизнь литературы: Очерки. Л., 1983.

**Федоров 1971:** Федоров А.В. Очерки общей и сопоставительной стилистики. М., 1971.

**Федоров 1963:** Федоров А. В. Язык и стиль художественного произведения. М., 1963.

**გაწერელია 1970:** გაწერელია ა., პეტრე იბერიელი ბიოგრაფიის (გავასწოროთ სათაური) საკითხები „მნათობი“ № 3, 1970 წ.;

**გაბრიელაშვილი 2010:** გაბრიელაშვილი ლ. ქრისტიანულ სიმბოლოთა პარადიგმები ასურელ მამათა ცხოვრება-წამებებში, დისერტაცია. თბილისი. 2010 წ.;

**გოილაძე 1992:** გოილაძე გ., საიდან და როდის მოვიდნენ სირიელი მამები საქართველოში „მნათობი“ 1992, № 5-6,

**ინგოროყვა 1939:** ინგოროყვა პ., ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, „მნათობი“, 1939, № 2,

**ნაჭყებია 1998:** ნაჭყებია მ., ქეთევან წამებული XVII-XVIII ს. ს. ქართულ და ევროპულ მწერლობაში. საკანდიდატო დისერტაცია 1998 წ.;

**ყაუხჩიშვილი 1963:** ყაუხჩიშვილი ს. არეოპაგიკული წიგნების გარშემო (პეტრე იბერიელი და დიონისე არეოპაგელი). „მნათობი“, 1963, № 10,

**ხარანაული 2003:** ხარანაული ა., ბიბლიის თარგმანის ხასიათი და მისი შესწავლის მეთოდოლოგიური საფუძვლები. ჟურნალი „ენა და კულტურა“, #4, 2003 წ.;

**ხახანაშვილი 1900:** ხახანაშვილი ა., ქ-ნ უორდროპის და ბ-ნ უორდროპის ახალი შრომის შესახებ (ცხოვრება წმინდა ნინოსი ინგლისურ ენაზე, პროფ. კონეზირის წინასიტყვაობით), „ივერია“, # 280, 24. XII. 1900.

**Karst J.** Littérature géorgienne chrétienne. Bibliothèque Catholique des Sciences Religieuses. Paris: 1934, p. 74-76

**Salia K.** la Littérature géorgienne. “Bedi Kartlisa”, Vol XXIX-XXX. Paris: 1972, p. 207, 209.

**Peeters P.** Sainte Sousanik, martyre en Arméno-Géorgie. “Analecta Bollandiana”. LIII (1935), № 1- 2, p. 5-48; № 3-4, p. 245-307.

**Tsouladzé S.** Traduction dumartyre de sainte Chouchanic, du V siècle, premier monument de la littérature géorgienne “Bedi Kartlisa”, № XXXVI. Paris: 1978, 56-68.

Koller W., Einführung in die Übersetzungswissenschaft. Heidelberg 1979

## ელექტრონული რესურსები:

<http://www.jstor.org/stable/609652>

[www.dict.ge](http://www.dict.ge)

[King James 2000 Bible](#)

<http://biblehub.com/psalms/119-1.htm>

<http://biblehub.com/luke/23-42.htm>

დ.ლანგის მიერ ინგლისურ ენაზე თარგმნილი „ქართველი წმინდანების ცხოვრებათა და წამებათა კრებულის“ უ. ე. დ. ალენისეული რეცენზია ქართულ ენაზე

*ორიგინალი ტექსტებიდან შერჩეული და ნათარგმნი „ქართველი წმინდანების ცხოვრება და მათ შესახებ თქმული ლეგენდები.“ შესრულებული დ. მ. ლანგის მიერ. (აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეთიკური და რელიგიური კლასიკა, №15) 180-ე გვ. რუკა. ლონდონი: შპს George Allen & Unwin, ნიუ იორკი: კომპანია „მაკმილანი“, 1956 წ.*

ამ სერიის რედაქტორები თანხმდებიან, რომ მსოფლიოს მნიშვნელოვანი ქრისტიანული, ასევე, არაქრისტიანული ეთიკური და რელიგიური შედეგები არა ექსპერტის დონის, თუმცა, ინტელექტუალური მკითხველისთვის ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ამ სასარგებლო და ამბიციურ პროექტში უამრავი გამორჩეული მწერალი ჩაერთო. დოქტორ ლანგის მიერ მასში შეტანილი წვლილი კომპეტენტურ სტანდარტს ადგენს. „ქართველი წმინდანების ცხოვრებისა და ლეგენდების“ შესახებ მისი მოკლე მიმოხილვა მარტივად და ახლადდაწერილია. იგი წმინდანთა ბიოგრაფებს საშუალებას აძლევს, წიგნებსა და ხშირად რთულად ხელმისაწვდომ გამოცემებში რამდენიმე ენაზე რედაქტირებული, ინგლისურად ნათარგმნი ტექსტებიდან მათ (წმინდანთა) შესახებ უფრო მეტი ფაქტი გადმოსცენ. 90 წლის წინ, მაღანმა პლატონ იოსელიანის „საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორიის“ ინგლისური ვერსია გამოაქვეყნა. მას შემდეგ, ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული ერთადერთი სერიოზული ნაშრომი იყო "წმინდა ნინოს ცხოვრება", რომელიც 1900 წელს მარჯორი და ოლივერ უორდროპებმა თარგმნეს Studia Biblica et Ecclesiastica-ში. ჟურნალ „ანალექტა ბოლანდიანაში“ (“Analecta Bollandiana”) გამოქვეყნებული პაულ პეტერსის მნიშვნელოვანი კვლევები საქართველოს ისტორიის ბევრი

მოყვარულისთვის ცნობილია, თუმცა, დოქტორმა ლანგმა რეალური ძალისხმევა გასწია, რათა ძირითადი მკითხველებისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო წმ. გრიგოლ ხანძთელისადმი მიძღვნილი აწ გარდაცვლილი ნ. ი. მარის იშვიათი ნაშრომიდან ამონარიდები და კ. კეკელიძის კვლევის დეტალები წმინდა დავით გარეჯის შესახებ, რომელიც, დოქტორ ლანგის სწორი შეფასებით, წმინდა ფრენსის ნამდვილი წინაპარი იყო. (აღსანიშნავია, რომ ახლახან, პავლე ინგოროყვამ გრიგოლ ხანძთელის მემატანის, გიორგი მერჩულის შესახებ 1,000-მდე გვერდიანი ტომი შეადგინა, რომელიც თანამედროვე ქართული ნარკვევების ძეგლია).

ქართველი წმინდანების „ცხოვრებას“ მრავალი ასპექტი აქვს, რომელსაც შეუძლია მეცნიერების მიზიდვა. ფილოლოგებისთვის ნათელია ამ ადრეული შუა საუკუნეების ტექსტების მნიშვნელობა. უფრო მეტიც, დოქტორი ლანგი იხსენებს, რომ „1901 წლისთვის, ადოლფ ფონ ჰარნაკს ბერლინის აკადემიის ნაშრომებში გამოქვეყნებული ჰქონდა „წმინდა ევსტათის ცხოვრების“ ტექსტის გერმანული ვარიანტი“ დეტალური კომენტარების დართვით, რომელშიც აღნიშნულია ბიბლიის ლიტერატურულ ტექსტთან დაკავშირებით გამოთქმული აზრთა სხვადასხვაობა და ხაზგასმულია მისი მნიშვნელობა ბიბლიური კვლევებისთვის. მან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ათი მცნების საინტერესო ზეზუნებრივ ფორმულირებას, ასევე, სამუელის მიერ აღწერილ ქრისტეს ცხოვრებაში გარკვეულ ელემენტებს, რომელიც ტატიანეს „დიატესარონს“ ეხმაურება და თვლის, რომ ადრეულ ეპოქაში ქართული ეკლესია საკუთარ „დიატესარონს“ ფლობდა.

ლაზის მახლობლად მოღვაწე მაიუმის ეპისკოპოსის - წმინდა პეტრე იბერიელის ცხოვრება (409-88), რომელსაც დოქტორი ლანგი ჯეროვნად ახასიათებს, როგორც მეზრძოლ (სამხედრო) ასკეტს, ბიზანტიური ეკლესიის ისტორიის შემსწავლელისთვის მნიშვნელოვანია. მართლაც, ეს არაჩვეულებრივი კაცი თანამედროვე ფსიქიატრისთვის საინტერესო უნდა იყოს. ბიზანტიაში მძევლად გაგზავნილ განებივრებულ ახალგაზრდა უფლისწულს თავისი შუბოსნებიც კი ვერ ეგუებოდნენ. "როდესაც ჯერ

კიდევ ბავშვი იყო“, ტრანსცენდენტული აზროვნება და სამების მისეული ინტერპრეტაციის გამოხატვის ძალა ჰქონდა (ლანგი 1956: 62).

გრიგოლ ხანძთელი (759-861), კიდევ ერთი დიდი "პოლიტიკური" წმინდანი, საქართველოს ისტორიის უდავოდ ერთ-ერთი დამფუძნებელი მოღვაწე იყო. (ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩემ ნაშრომში მას ძალიან ცოტა ყურადღება დავუთმე, თუმცა, აწ გარდაცვლილმა ნ. ი. მარმა კეთილი ნება გამოიჩინა და, ზოგიერთი შოტლანდიური ლექსიკონის სანაცვლოდ, გამომიგზავნა „წმინდანის ცხოვრების შესახებ ტექსტი და სომხურ-ქართული ფილოლოგიური კვლევა, წიგნი V). წმინდა გრიგოლი ქართველ მმართველთა სამ თაობას ხელმძღვანელობდა და ჭოროხის ხეობაში ერთგვარი სამონასტრო რესპუბლიკა შექმნა. გრიგოლ ხანძთელი მეფის პირად ცხოვრებაში ჩაერია და მის სატრფოს აიძულა მონაზვნად აღკვეცილიყო. რა თქმა უნდა, იგი უფრო წარმატებული აღმოჩნდა, ვიდრე სამი საუკუნის შემდეგ - თომას ბეკეტი, თუმცა, ალბათ ამოტ კურაპალატს არ სძენოდა ჰენრი II- ის ნორმანული ფურორის შესახებ. წმინდანმა სამონასტრო რესპუბლიკაში არამართლმადიდებლური, ამორალური ქცევები აღკვეთა, თუმცა, როგორც ჩანს, საკუთარ თავს გარკვეულ თავისუფლებას ანიჭებდა (დოქტორი ლანგი ტაქტიკურად ტოვებს შესაბამის ციტატას). (წმინდანის) „ცხოვრების“ სრული აღწერა, ალბათ, მე-11 საუკუნეში არსებული პირობების ყველაზე თვალსაჩინო სურათია. არანაკლებ მნიშვნელოვანია ტოპოგრაფიული დეტალები, რამაც მარს უბიძგა აღეწერა მისი „ცხოვრება“, როგორც "ქართველი ბადეკერი". ერთ დღესაც, შესაძლოა, მარის ინგლისურენოვანი გამოცემა ხელმისაწვდომი გახდეს.

"ათონელების ცხოვრება" ათონის ივერთა მონასტრისა და მეათე საუკუნის ბიზანტიური ცხოვრების შესახებ დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის. მაგრამ ამ ქართველთა "ცხოვრების" განსაკუთრებული მახასიათებლებია ჰუმანურობის თავისებურებანი, რომელიც შორეული წარსულის აურას უფრო მეტად ავლენს, ვიდრე საეკლესიო და გენეალოგიური დისკუსიის ჩანაწერები. ამდენად, ჩვენ ვიკვლევთ

ბარდა სკლიაროსის დამმარცხებელ ერისკაც ბერ თორნიკე ერისთავის შესახებ, რომლის მიერ მოხვეჭილი ალაფითაც ივერონის მონასტერი გამდიდრდა.

"დიდი თორნიკე ჯარისკაცად იწვრთნებოდა და სამხედრო ცხოვრებაში ერთვებოდა, ამასთან, იგი სიამოვნებით ისმენდა თქმულებებს საომარი თავგადასავლების შესახებ; გამოჩენილი და პატივცემული მამაკაცები მასთან სასაუბროდ დადიოდნენ... როდესაც იოანემ ეს შენიშნა, შიშობდა, რომ ეს მოკრძალებული ადამიანი ერთგვარ სულიერ ზიანს განიცდიდა. ამიტომ, მამა იოანემ მას მიმართა: „მვირფასო ძმაო, მე არ მინდა გადაჭარბებული სულგრძელობით სულიერად დაგაზიანო. ახლა თავი შეიკავე ამ მიწიერ თემებზე საუბრისგან და ამიერიდან არავის დაელაპარაკო, გარდა მამა გაბრიელისა.“ ამის შემდეგ, იგი მონასტრის სამშოსაც კი აღარ ეკონტაქტებოდა, მხოლოდ ზოგიერთ სტუმარს თუ ეტყოდა რამდენიმე სიტყვას (ლანგი 1956: 160).

წმინდა ეუთიმოუსის ამბავი -კონსტანტინოპოლის ერთ-ერთ ქუჩაზე ოჩანი ჯორიდან მისი საბედისწერო გადმოვარდნა საუკეთესო ნაშრომია. (ლანგი 1956: 164).

ზოგჯერ პერსონალური დეტალების ამგვარი ბუნებრივი წინასწარი ფლობა განსაკუთრებით ღირებულია უფრო ადრეულ პერიოდში მოღვაწე წმინდანების „ცხოვრებაში“. წმინდა ნინოს ცხოვრება ავლენს კავკასიაში დასახლებული ებრაელების ტრადიციას, რომელიც ქრისტეს ჯვარცმის პერიოდს მიეკუთვნება. მე-4 საუკუნეში საქართველოს გაქრისტიანება ურბნისის ებრაულ კოლონიებსა (ურიათ უბანისი = ებრაელთა ქალაქი 'Jewstown') და მცხეთას უკავშირდება; ხოლო ქრისტიანული გავლენა იკვეთება ებრაელების გაქრისტიანებით (ერთი-ერთი ასეთი მაგალითი, როგორც ჩანს, თავად წმინდა ნინო იყო). კავკასიელი ებრაელების გავლენა (მოგვიანებით) ვოლგის ტერიტორიაზე წარმოშობილ ხაზართა სახაკანოსა და აშქენაზის ფორმირებაზე მნიშვნელოვანი თემაა, რომელიც უნდა განიხილებოდეს ქართული წყაროების მეშვეობით (ი.ჯავახიშვილს ამ პრობლემის ანთროპოლოგიურ ასპექტებზე რაიმე აზრი უნდა გამოეთქვა).



წმინდა შუშანიკისა და წმინდა ევსტათის (მეწადის) „ცხოვრება“ უნიკალურად წარმოაჩენს ირანელთა ბატონობისდროინდელ საქართველოს. მაგალითად, მეწაღეებისა და თერძების მჭიდრო გილდის ორგანიზაციის არსებობა ცხადია. გილდის წევრებს საკუთარი იდეოლოგია ჰქონდათ. შესაბამისად, ბაღდადელი მენელსაცხებლის, წმ. აბოს „ცხოვრება“ ასახავს იბერიაში, აფხაზეთსა და ხაზარეთში არსებულ მდგომარეობას ადრეული ხალიფატის პერიოდში. "პილატეს თემა" იკვეთება სპარსი და არაბი მმართველების შედარებით ჰუმანურ ბუნებაში, რომლებიც რელიგიური ენთუზიასტების წინააღმდეგ სახელმწიფო კანონების ადმინისტრირების აუცილებლობის პრობლემის წინაშე იდგნენ. მოწამეობრივი პროპაგანდის ღირებულება ნათელია ამ ანტიკური დრამების ორივე მხარისთვის, ხოლო ხელისუფლება თავაზიანი ფორმით მერყეობს ენთუზიასტის მიმართ ჰუმანური სიმპათიის გამოხატვის თვალსაზრისით, რაც მიუთითებს მორალის არსებობაზე ადმინისტრაციის ამ რთული და მუდმივი პრობლემატიკის ფონზე.

დოქტორი ლანგი ტექსტს თან ურთავს მოკლე, მაგრამ სასარგებლო ბიბლიოგრაფიულ შენიშვნას.

ვ. ე. დ. ალენი

## დანართი № 2

„ქართველ წმინდანთა ცხოვრებათა და წამებათა კრებულს“ ლანგმა დაურთო წინათქმა, რომელიც ქართულად ჯერ არ ყოფილა ნათარგმნი და შესწავლილი.

### წინათქმა

„საქართველო წმინდანების დედათ წოდებული ქვეყანაა; ზოგიერთი მათგანი ამ მიწის მკვიდრი შვილია, ხოლო რამდენიმე ჩვეთაგანი თანდათან მოვიდნენ უცხო ქვეყნებიდან იმისთვის, რომ ეხილათ უფალი ღმერთი იესო ქრისტე.“

„წმ. აბოს მარტვილობა“

ყველას ვისაც კი თვალი გადაუვლია ძველი ქრონიკებისთვის, რომლებიც მოგვითხრობენ ჯვაროსნული ომების შესახებ, შეხვდებოდნენ ცნობებს ქართველ ან იბერიელ ქრისტიან ხალხზე, რომლებიც ცხოვრობენ კავკასიასა და შავ ზღვას შორის, სარკინოზებთან და თათრებთან ახლოს, მოგების და მაგოგების საზღვარზე. დაახლოებით 1180 წელს, იერუსალიმის რომაელი პატრიარქი ჟაკ დე ვიტრი წერდა: „აღმოსავლეთში არსებობს ქრისტიანი ერი, რომლებიც არიან ბრძოლაში მეომრები და მამაცები, აღნაგობით ძლევამოსილი და რიცხვით უთვალავი. ისინი მეტისმეტად შევიწროვებული არიან სარკინოზების მიერ, რომლებმაც თავიათი შემოსევებით დიდი ზარალი მიაყენეს სპარსელებს, ირანელებს და ასურელებს რომელთა ურწმუნო საზღვრებთანაც ისინი ცხოვრობენ. ამ ხალხს ქართველებს (ჯორჯიელებს) უწოდებენ, რადგან ისინი პატივს სცემენ წმინდა გიორგის, რომელიც თავიანთ მფარველად გამოუცხადებიათ. წმ. გიორგი ყველა წმინდანზე მაღლა დგას და მფარველობას უწევს ქართველებს ურწმუნოებთან ბრძოლაში. იესო ქრისტეს საფლავთან წმინდა ქალაქში მოსალოცად მოსული ქართველები აღმართული დროშებით შეაბიჯებენ სარკინოზების მიმართ პატივის მიუგებად, მიუხედავად ამისა სარკინოზები ვერც ერთ

შემთხვევაში ვერ ბედავენ მათზე თავდასხმას. ქართველები - თავზე ქუდს, ერთი წყრთის სიგრძის თმას და წვერს ატარებენ”.

ქართველებს მსგავს პატივს მიაგებს შუასაუკუნეების არაბი მწერალი ალუმრი, რომელიც ქართულ ჯარს აღწერდა, როგორც „რელიგიის და ჯვრის ბირთვს“, უმატებდა იმასაც, რომ ეგვიპტეში მცხოვრები მამლუქი სულთნები ქართველ მეფეებს მიმართავდნენ ხოლმე როგორც ძლიერ მონარქს, გმირს, უშიშარს, თავის საქმის მცოდნეს, ბერძენი მეფეების მემკვიდრეს, სამშობლოს და რაინდების დამცველს, რწმენის და ქრისტიანობის მხარდამჭერს, ქრისტიანი გმირების მირონცხებულ მეფეს, საუკეთესო ახლო მეგობარს და მეფეების და სულთნების მხარდამჭერს.

დარწმუნებული ვარ ეს საკმარისი უნდა იყოს იმისთვის, რომ ძლიერი ინტერესი გაგიჩნდეთ აღმოსავლეთ საქრისტიანო მამაცი ხალხის მიმართ. ვისი მფარველი წმინდანიც არის ინგლისის მფარველი ჩვენი წმინდა გიორგი. კონსტანტინე I დიდის დროიდან მოყოლებული, თექვსმეტი საუკუნის განმავლობაში ქართული ეკლესია კვალს ტოვებდა თავის ისტორიაში. ყოველი ამ ხნის განმავლობაში, ის თავისი რწმენის დამცველი იყო მთელ აღმოსავლეთ საქრისტიანოში. ქართული ეკლესია იყო არა მარტო რელიგიური მრწამსის ცენტრი, არამედ სახელმწიფოებრივიც. ქართველი ერის სწრაფვა, რომელიც გაცხადებულია მათ წმინდანთა ცხოვრებაში, ასახვა ჰპოვა ადრეულ ლიტერატურაში.

უამრავი მსგავსი საკითხი არსებობს ჩვენსა და ქართულ ეკლესიას შორის. ის ერთგულებას ინარჩუნებს ქალკედონიაში და ნიკეაში ფორმულირებული დოქტრინის მიმართ. ლიტურგია აღესრულება მშობლიურ ენაზე, მისი სულიერი და თავგანწირული იდეალები ცოტათი განსხვავდებიან ჩვენი საკუთარისაგან. დღევანდელი კომუნისტური რეჟიმის პირობებშიც კი, საქართველო სულიერ ხელმძღვანელად ინარჩუნებს საკუთარ პატრიარქს და მართმადიდებლურ საზოგადოებაში დამოუკიდებელი და ავტოკეფალიის სტატუსი გააჩნია.

ჩვენი მიზანია დასავლეთის მკითხველს გაუზიაროთ შთაბეჭდილებები ქართული ეკლესიის ისტორიისა და მის იდეალებზე, როგორც ეს მათ წმინდანთა ცხოვრებაშია აღწერილი. მთლიანად დაცულია ორიგინალი ტექსტების სიტყვიერი ფორმულირება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კონდენსაციის ღონისძიება გარდაუვალი იყო, რომ არსებული გამოცემები იმავე რაოდენობით წარმოგვედგინა თქვენთვის.